ფსევდოლუსის ძირითადი მოწინააღმდეგე, მაჭანკალი ბალიო, მისი საქმიანობისადმი გარემომცველთა მიერ გამოვლენილი ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, - საბოლოოდ მაინც მხოლოდ ძალის, სიმდიდრის, გავლენის პატივისმცემელი და ნებისმიერი წარუმატებლობის აბუჩად ამგდები საზოგადოების ზნეჩვეულებების განსახიერებად იქცევა. მაჭანკალი ბალიო, ერთგვარი სიამოვნებითაც კი ეთანხმება მისი მისამართით ნათქვამ სალანძღავ სიტყვებს, რადგან ურჩევნია წარმატებული თაღლითი იყოს ვიდრე პატიოსანი უიღბლო. როდესაც სიტყვის გამტეხს გარეწრად მოიხსენიებენ, გალანძღული ბალიო ჯიბეგაფხეკილ კეთილშობილებას მხიარული ენაკვიმატობით აბუჩად იგდებს, სალანძღავ სიტყვები საკუთარი მოხერხებულობის დასტურად მიიჩნევს მხოლოდ, რაც საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებას ნაწილობრივ მაინც ეხმიანება. ფსევდოლუსი მაჭანკალის ცინიზმსა და გაიძვერობას, მხიარულ ენაკვიმატობასა და მოხერხებულობას უპირისპირებს. ფსევდოლუსის ხასიათიც და ქცევაც იმ მარადიული სიბრძნის დასტურად გვევლინება, რომლის თანახმადაც მართლაც ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსა. ფსევდოლუსის არტისტიკული ავანტიურიზმი და ირონია უპირველესად ფეიერვერკული ენაკვიმატობით გამორჩეულ, მისივე გამონათქვამების კასკადში ვლინდება. მისი სითავხედვე იმდენად მახვილგონივრულია, რომ მათთაც კი ხიბლავს, ვისი მისამართითაც მჟღავნდება, როდესაც მოხუცი ბატონი სიმოსი ფსევდულუსს დაემუქრება,

რომ ვაჟიშვილის სასიყვარულო ამბების მოსაგვარებლად საჭირო თანხის მათთვის შესხებას არავის ურჩევს, ფსევდოლუსი ენაკვიმატად პასუხობს, რომ სანამ სიმოსი ცოცხალია, სხვისი გაცუცურაკების საჭიროებას ვერ ხედავს.

ფსევდოლუსი ონავრული თავდაჯერებულობით თან აფრთხილებს თავის ბატონს, რომ მის გაბრძოლებას აპირებს და ამავდროულად იმასაც დასძენს, რომ გაფრთხილება მაინც ვერ უშველის, - ვერ დაიხსნის მის ანკესზე წამოგებისგან. ფსევდოლუსის თავდაჯერებით განცვიფრებული სიმოსის მეგობარი - სოლიდური ასაკის მიუხედავად, ძალზედ ლიბერალური შეხედულებების, - ახალგაზრდების მიმართ მეტად ლოიალური კალიდორუსი, მოვლენათა შემდგომი განვითარებით დაინტერესებული, დაგეგმილ მგზავრობასაც კი დროებით გადადებს.

პიესის მანძილზე ფსევდოლუსი დროდადრო მაყურებელსაც მიმართავს სიტყვებით, რომ თავად. ჯერ არც კი იცის რას მოიმოქმედებს და არც ის იცის, რის საფუძველზე. ასეთი თავდაჯერებული, მაგრამ მიზნის მისაღწევად ყოველგვარი გეგმის არქონის მიუხედავად, გარემოებების თავის სასიკეთოდ გამოყენების უნარის ყოვლისშემძლეობაში რწმენით შთაგონებულს იღბალი წყალობს.

ლიტერატურა:

1. History of the Theatre, by Oscar G. Brockett, Indiana University, Allyn and Bacon, Inc, Boston, 1974, p. 130.
2. ტიტუს მაკკიუს პლავტუსი, ელინისტური და რომაული კომედია, ფსევდოლუსი, თბ., 2013, გვ. 146.
3. The Oxford Illustrated History of Theatre, by Oxford University Press, 1995.
4. Theater, The Penguin Dictionary by John Russell Taylor, Penguin books, 1978.
5. <http://antique – lit niv.ru>

6. Тронский И.М. История античной литературы. М., Высшая школа, 1988, с. 143.
7. ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია, 2009. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.
8. ანტიკური ლიტერატურა. საუნვერსიტეტო კურსი. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.
9. რისმაგ გორდეზიანისა და ნანა ტონიას საერთო რედაქციით, II გამოცემა, 2007.

მაია გოშაძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**პლავტუსის დრამატურგია
(ნაწილი პირველი)**

რეზიუმე

სტატია “პლავტუსის დრამატურგია” შეეხება რომაული კომედიოგრაფიის პირველი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის შემოქმედებას და შეადგენს მომავალი, მსოფლიო თეატრის ისტორიის სახელმძღვანელოს ნაწილს.

სტატიის შესავალი შეეხება თავად პლავტუსის შესახებ არსებული მწირი ცნობების გადმოცემას; მისი შემოქმედების საერთო მახასიათებლების და თავისებურებების წარმოჩენას. სტატიაში ასევე განხილულია პლავტუსისეული კომედიოგრაფიის სტრუქტურული მახასიათებლები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მისი დრამატურგიის შედევრად აღიარებული “ფსევდოლუსის” განხილვას, რომელმაც იმთავითვე უდიდესი აღიარება მოიპოვა როგორც

ფეიერვერკული გონებამახვილობით გამორჩეულმა კომედიამ.

საკვანძო სიტყვები: კომედიები, ენაკვიმატობა, თვითმყოფადობა, გამჭრიახობა, სკეპტიციზმი

Maia Goshadze, An associate professor at Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University

**Dramaturgy of Plautus
(The first part)**

SUMMARY

The article Plautus's dramaturgy is about Plautus's dramaturgy who was the first important comic writer, who have come down to us and is the part of the manual of the world theatre history.

The introduction of article is about the conveyance of existing bit information of Plautus's life, presenting the common characteristics of his creativity plays.

The article examines the structural composition of Plautus comedies, - whether is be the prologue, the finale or dramaturgical methods.

The article Plautus's dramaturgy" also includes the analysis of his play "Pseudolus"

witch was much admired for his witty jokes and a wide range of comic powers.

Key words: Comedies, witty, originality, acumen, skepticism

Maia Goshadze, Асоциированный профессор Грузинского Государственного университета театра и кино имени Шота Руставели

**Драматургия Плавта
(часть первая)**

РЕЗЮМЕ

Статья «Драматургия Плавта» касается первого крупнейшего представителя римской комедиографий и представляет собой часть учебника по истории мирового театра. Первая часть статьи касается жизни римского комедиографа и общих знаменателей его творчества.

Особенное внимание уделяется комедий «Псевдол», признанной шедевром драматургии плавта и весьма популярной в силу своего блестящего остроумия.

Ключевые слова: комедий, остроумие, самобытность, пронциательность, скептицизм

ეპროპილუს ღრამატურგია (ნაწილი II) (ფრაგმენტი მსოფლიო თეატრის ისტორიის სახელმძღვანელოდან)

მაია გოშაძე
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

XX

საკვანძო სიტყვები: დრამატურგია, დეკორა-
იზაცია, ექსპანსია, ინსტინქტები, ძალადობა

ქეშმარიტი ღირსების გრძნობის გამოვლენის გასაოცარ უნარს ავლენენ ევრიპიდესეული გმირები, ტრაგედიაში “ტროელი ქალები”. ანტიკური ლიტერატურის მკვლევრის ტრონსკის თქმით “არნახულ ძალას აღწევს ადამიანური ტანჯვის წარმოჩენა სწორედ ევრიპიდეს ტრაგედიაში” (1). ტრაგედია ტროას დაცემის შემდეგ, ტყვეთა სავალალო ხვედრზე მოგვითხრობს. ტროას დამცველი მამაკაცები ბერძნებმა ამოხოცეს. ტყვეებს შორის მხოლოდ უმწეო ქალები, ბავშვები და მოხუცები აღმოჩნდნენ. მაცნე ატყობინებს პრიაძის ოჯახს თუ ვინ ვისი საკუთრება იქნება. ჰეკაბე ოდისეესის მხევალი გახდება; კასანდრა აგამემნონის საყვარელი, ანდრომაქე – ნეოპტოლემოსის, უმცროსს პო-ლიქსენეს კი აქაველთა საფლავს დააკლავენ. შემზარავ ამბავთა რიცხვი მატულობს. მაცნე ახალ ამბავს ატყობინებს ანდრომაქეს; აქაველებს, მისი ჩვილი ვაჟის ასტიანაქსის ტროას გაღავნის კომპიდან გადაგდება გადაუწყვეტიათ. განაჩენი სასწრაფოდ სისრულეში მოჰყავთ. ანდრომაქე ჩვილის გვამს დასტირის; სისხლითა და გახეთქილი თავის ტვინით გაჟღენთილ, მის ნაზ კულულებს ეფერება. დასასრულს აქაველები ტროას ცეცხლს უკიდებენ, ტყვეები კი თან მიჰყავთ.

“ტროელ ქალებში” როგორც ბერძნების მიერ წამოწყებული, ასევე ნებისმიერი სხვა, ექსპანსიისკენ მიმართული ომი ყოველგვარ ჰეროიკულ შარავანდედს მოკლებულ უბედურებადაა წარმოჩენილი, რომლის დროსაც ვლინდება ადა-

მიანის ყველაზე ბნელი, ქვენა ინსტინქტები. ომი იძლევა დაუსჯელად ძალადობის, ნგრევისა და განადგურების შესაძლებლობას; სხვისი დამორჩილებისა და სხვისთვის ტკივილის მინიჭების შესაძლებლობას. ევრიპიდე დიდი სითამამით წარმოაჩენს ბერძენი გმირების სისასტიკესა და დაცემულ ტროას გადარჩენილ მკვიდრთა უბედურებებს. გამარჯვებულები ნამდვილ ჯალათებად იქცევიან. ასეთივე სისასტიკით ხასიათდებიან ოლიმპოს მთის მკვიდრნი, – ამ შემთხვევაში ათინა-პალადე და პოსეიდონი. ათინა ჯერ ტროას დაღუპვას, შემდგომ კი პოსეიდონთან მოლაპარაკების შედეგად გამარჯვებულ აქაველთა გემების ჩაძირვას გადაწყვეტს. პოსეიდონის დახასიათებით კი ადამიანი დაუნდობელი და ბრიყვი არსებაა; საბოლოოდ თავადაც მსხვერპლად ქცეული ჯალათი. თუმცა თავად პოსეიდონის სიტყვები ნიჰილისტი მიზანტროპის განაჩენად უფრო აღიქმება, ვიდრე ღვთიური სიბრძნის გამომხატველად. “ტროას ქალების” მსგავსად, ევრიპიდეს სხვა პიესებშიც ღმერთები მხსნელის ან უზენაესი მსაჯულის ნაცვლად, უმეტესწილად შურისმამიებლობის სულმოკლე ვნების გამომხატველებად გვევლინებიან; იშვიათ შემთხვევაში კი მხსნელის ფუნქციას ისეთ დამნაშავეთა მიმართ კისრულობენ, როგორცაა ნამდვილ ურჩხულთა სამეული პიესაში “ორესტესი”. ტრაგედიაში “ტროელი ქალები” ტოტალური ქაოსისა და სისასტიკის წინაშე ღირსების გრძნობის შენარჩუნების უნარის მქონე გმირებად სწორედ პრიაძის ოჯახის წევრები, დატყვევებული ქალები იქცევიან.

პიესის ცენტრალურ, მართლაც მონუმენტურ პერსონაჟად დაცემულ ტროას დედოფალი პეკაბე გვევლინება, რომლის თვალწინ შემზარავ ამბავთა მომცველი ეპიზოდები თამაშდება. ტყვედ ქცეული დედოფალი თავისი გასაოცარი შინაგანი სიძლიერის წყალობით ტანჯვას ღირსეულად იტანს, უბედურებასთან გამკლავებისთვის საჭირო ძალებს სხვებსაც ანიჭებს; თავად გაუბედურებული, სხვების თანაგრძნობის უნარს არ კარგავს; მეტიც, სწორედ ზოგად ადამიანურ ხვედრთან და ტკივილთან თანაზიარების იშვიათ, მხოლოდ რჩეულთათვის მისაწვდომ უნარს იძენს. სწორედ ექსტრემალურ სიტუაციაში ვლინდება თუ ვინ ვინ არის, – შინაგანად თავისუფალი თუ მონა. სულგრძელ ადამიანში სწორედ უკიდურესი სასოწარკვეთის ჟამს იღვიძებს მანამდე თვლემარე პიროვნების იდუმალი შესაძლებლობები. მონებად ქცეული ტროელი ქალები შინაგან თავისუფლებას ავლენენ, მაშინ, როდესაც გმირებად შერაცხული აქაველები ადამიანურ სახეს კარგავენ და თავისივე ბრმა ინსტინქტების მონებად იქცევიან. პეკაბე თავის ქალიშვილებს არიგებს, რომ მოძალადე მტრისადმი სიძულვილს არ დაემოწონ და ამ სიძულვილში მტერსავე არ დაემსგავსონ. ტროელ ქალებს თავს დატეხილი უბედურება იმდენად დიდია, რომ მომავალიც აღარ აშინებთ. ყველაფერი შემზარავი და მოსახდენი უკვე მოხდა, სიკვდილი კი მხოლოდ შვებად აღიქმება. ერთადერთი, რის წინაშეც ბედისწერაც, ღმერთებიც და აქაველთა მთელი ჯარი უძლურნი არიან, რის წართმევასაც ტყვეებისთვის ვერ შესძლებენ, ეს ტანჯვის ღირსეულად ატანის უნარია.

ტროას ამდებ აქაველებზე არანაკლები სისასტიკით იქცევიან ოლიმპოს მთის მკვიდრნი. შურისძიებაში გასაოცარი დაუნდობლობით გა-მორჩეულ ჰერას მორიგ მსხვერპლზე მოგვი-თხრობს ევრიპიდეესული “ჰერაკლე”. როდესაც

ჰერაკლე კერბეროსის დასამორჩილებლად ჰადესში ჩავიდა და კარგა ხნით დაიკარგა, ყველას დაღუპული ეგონა. თებეს ტირანმა, ლიკოსმა ჰერაკლეს ოჯახის ამოხოცვა გადაწყვიტა. ყველაზე კრიტიკულ მომენტში დაბრუნებული ჰერაკლე ოჯახს გადაარჩენს და ლიკოსსაც მოკლავს. სწორედ ამ დროს მოუვლენს ჰერა ზევსის პირმშოს სიგიჟეს. გონწართმეული, გაშმაგებული ჰერაკლე ცოლ-შვილს კლავს, გონზე მოსული კი ჩადენილით შეძრწუნებული თვითმკვლელობას გადაწყვეტს. ფინალში ჰერაკლეს, თვითმკვლელობას მისი მეგობარი ათენის მეფე თეზეესი გადააფიქრებინებს. საბოლოოდ, ჰერაკლე თეზეეს ათენში მიჰყვება.

ცოლ-შვილის დახოცვის დრამატიზმს კიდევ უფრო ამძაფრებს ამბის წინაისტორია, – ჰერაკლეს გაუჩინარება, მამას მონატრებულ მცირეწლოვან ვაჟიშვილთა წუხილი, მოსიყვარულე ცოლის დარდი, შემდგომ კი ოჯახის უფროსის დაბრუნებით გამოწვეული უზომო სიხარული. ჯერ მხსნელად, შემდეგ კი მკვლელად მოვლენილი ჰერაკლეს ტრაგედია ღმერთების სამართალის იმედით ყოფნის სრულ აბსურდულობას ავლენს. თუმცა “ტროელი ქალებისგან” განსხვავებით, “ჰერაკლე” მაინც ვერ სცდება მელოდრამის საზღვრებს და ვერ აღწევს ზოგადადამიანურ სატკივართან თანაზიარების განცდის მასშტაბს.

ასევე, პირობითად მელოდრამის ჟანრს შეიძლება მივაკუთვნოთ დრამა “ორესტესი”, რომელიც მოკლებულია ტრაგედიისთვის დამახასიათებელ კათარზისის განცდას და რომელშიც ძალადობის მსხვერპლნი სქემატიზმით გამორჩეულ, უფერულად გაელვებულ ეპიზოდურ პერსონაჟებს წარმოადგენენ, მოძალადეები კი – დამანგრეველი ვნებებით შეპყრობილ პათოლოგებსა და ცივისსხლიან მკვლელებს. პიესაში მოთხრობილია კლიტემნესტრესა და ეგისტოსის მოკვლის შემდგომ მომხდარი ამბე-

ბის შესახებ. მიკენში მყოფ დედისმკვლელ ორესტეს შურისძიების ქალღმერთები, ერინიები შემოესევინან. შემლილობის პირამდე მისულ ორესტეს და მისგან განსხვავებით მუდამ ცივისსხლიან ელექტრას, მათი სიკვდილით დასჯის მსურველ არგოსელთა სასამართლო ემუქრებათ. მათი ხვედრის გასაზიარებლად ჩამოდის დამნაშავეთა სამეულის მესამე წევრი, ორესტეს მეგობარი პილადესი. აგამემნონის ძმა, მენელაოსი ძმისწულს დახმარებას დაპირდება, მაგრამ ორესტე ბიძამისის გულწრფელობას არ ირწმუნებს, – მენელაოსის სიფრთხილეს, დროის გაყვანის მცდელობად მიიჩნევს. შურისძიების მიზნით ორესტესი მშვენიერ ელენეს, – მენელაოსის ცოლსა და დედამისის, კლიტემნესტრას დას კლავს. შემდგომ ელექტრა სასახლეში შეიტყუებს მენელაოსისა და ელენეს პირმშოს, თვინიერებითა და სათნოებით გამორჩეულ ჰერმიონეს, რომელსაც ორესტესი მძევლად აიყვანს. ცოლ-შვილის დასახმარებლად მიისწრაფის მენელაოსი, მაგრამ ცოლი მოკლული, ხოლო ქალიშვილი ორესტეს მიერ ყელზე ხანჯალმიბჯენილი დახვდება. ორესტესი ბიძამისს ქალიშვილის მოკვლით ემუქრება, იმ შემთხვევაში, თუკი არგოსელებს დედისმკვლელთა დასჯას არ გადააფიქრებინებს. მენელაოსი შეგროვილ არგოსელებთან ერთად შეტევაზე გადასვლას ამჯობინებს, ორესტესი კი მამა-პაპისეული სასახლის გადაწვას გადაწყვეტს. მდგომარეობის უკიდურესი დაბადვის დროს ოლიმპოდან (დეუს ეხ მაცჰინა-თი) ჩამოეშვება აპოლონი, რომელიც კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისკენ მოუხმობს ყველას, – ორესტეს ცოლად ჰერმიონეს, პილადესსა კი ელექტრას სთავაზობს. მეგრძოლი მხარეები აპოლონის ნებას ადასრულებენ და სასწრაფოდ შერიგდებიან. ახლად მოკლული ელენეს ცხედართან მენელაოსის და ორესტესს ელვი-სებური სისწრაფით შერიგება, მათი კონ-

ფლიქტის ნამდვილ მოტივსაც, – არგოსში ძალაუფლებისთვის ბრძოლის მოტივს ავლენს. ორესტესისა და ჰერმიონეს ქორწინება კი მეტოქეებს მოკავშირეებად აქცევს. კონფლიქტის უსწრაფესი გადაწვეტა არა იმდენად აპოლონის ნების მორჩილებაზე, რამდენადაც პრაგმატული ინტერესების გამომხატველი თუ გამხმოვანებელი ნების მორჩილებაზე მეტყველებს. მენელაოსი სასწრაფოდ მოუბოდიშებს ახლად მოკლული მეუღლის ცხედარს და ჰერმიონეს, მისი დედის მკვლელისა და მისი მოკვლის უყოყმანოდ მზადმყოფ ორესტეზე გასათხოვებლად თანხმობას გამოთქვამს. შეიძლება ითქვას, რომ პიესის ბედნიერი დასასრული გმირებისა და ღვთაებების ცინიზმსა და ნიჰილიზმზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ქაოსის ნაცვლად დამყარებულ წესრიგზე.

ამბის ბედნიერი დასასრული ვერაფრით აქარწყლებს იმ შემზარავ შთაბეჭდილებას, რომლებსაც პიესის წამყვანი გმირები ახდენენ. დედის მოკვლის შემდეგ, ორესტესს გონების დაბნელება მალევე გაუვლის და ასევე მალევე ირკვევა, რომ საზარელი მკვლელობა დანაშაულთან ზიარების პირველი ნაბიჯი, – ხოლო მელანქოლია კი სინდისის ქეჯნასთან საბოლოოდ დამშვიდობების ხანმოკლე გზა აღმოჩნდა მისთვის. საკმარისი იყო მენელაოსთან შეხვედრა და ბიძის სიფრთხილის ლალატად აღქმა, რომ ორესტესში კვლავ სისხლის ღვრის დაუოკებელი სურვილი იღვიძებს.

თითქოს ერთმანეთის მოყვარული და-ძმისა და ერთგული მეგობრის, პილადესის კავშირი სინამდვილეში შურისძიების, თვითგადარჩენისა და საკუთარი ინტერესების გამო ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის მზაობაზე დაფუძნებულ თანამზრახველთა ერთობას წარმოადგენს. ორესტესი ხოტბას ასხამს პილადესის მეგობრობას, რომლის არსი მეგობრის მიერ განზრახული თუ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულის გამართლების და მასში მონაწილეობის მიღების

მზაობაში ვლინდება. წარუმატებლობის შემთხვევაში მეგობრის ხვედრის გაზიარების გადაწყვეტილება, შურისძიებისა და ძალადობის სურვილში თანამოაზრე ფანატიკოსთა თავზეხელადებულობაზე მეტყველებს და არა სულიერ სიახლოვეზე დაფუძნებულ ერთგულებასა და თანადგომაზე. ნამდვილ ურჩხულად, – შემზარავ დანაშაულთა ჩადენის შთამაგონებლად იქცევა ელექტრა, რომელსაც დედის შემდეგ, მისი დის, მშვენიერი ელენეს მკვლელობა ავადმყოფურ სიამოვნებას ანიჭებს. ელენეს მკვლელობის მიზეზად, მისი როგორც ტროას ომის გამომწვევისა და ძმისშვილების ინტერესების მოღალატე მენელაოსის დასჯა სახელდება. მაგრამ ელენეს მკვლელობისას განცდილი სიხარული და გამარჯვების ყიჟინა, – დეიდამისის გვემის, განგმირვისა და დაჩეხვის მომთხონი შემახილებით, ელექტრაში სისხლს მოწყურებული ნადირის ინსტინქტს ავლენს.

ელექტრა:

მოკალით, მოსპეთ, არ აცოცხლოთ,
ორლესური მახვილი ჩასცხეთ
მამისა და ქმრის სახელის შემრყვენელს,
მრავალ ელინთა დამლუპველს (2)

დედის მკვლელობის ყველაზე შეუდრეკელი მსურველი, ელენეს მკვლელობის ავადმყოფური ექსტაზით შემხვედრი და ჰერმიონეს მძევლად აყვანის გეგმის მომფიქრებელი ელექტრა, დედასთან მოქიშპე, ზოგადად ქალების მეტოქედ აღმქმელი როკაპი ქალის არქეტიპულ სახეს მოგვაგონებს.

ქაოსიდან მხსნელი ღვთაების ნაცვლად, აპოლონი ამ სისხლიანი ბაკქანალიის წამქეზებლად იქცევა. ზეციდან მოვლენილი აპოლონი, დედის მკვლელობის მისივე მბრძანებით ჩამდენ ორესტესა და მის თანამზრახველებს არა მხოლოდ ამართლებს, არამედ ასაჩუქრებს. მენელაოსმა კი სიძედ ცოლისმკვლელი და მხოლოდ ღმერთის ჩარევის შედეგად გადარჩენილი პერმიონეს

მკვლელობის მსურველი უნდა აღიაროს.

სავარაუდოთ, პიესაში სამი პროტაგინისტის შემზარავი გრძნობებისა თუ საქციელთა ავტორისეული შეფასების გამხმომოვანებლად შესაძლოა კლიტემნესტრესა და ელენეს მამა, მკვლელების ბაბუა ტინდარევისი შეიძლება მივიჩნიოთ. ტინდარევისი ერთადერთია, რომელიც უზენაესი სამართლიანობის საფუძვლებს იცავს; ძალადობისა და შურისძიების უარყოფას ახდენს, – ყოველგვარი მიკერძოების გარეშე მკაცრად განიკითხავს როგორც და-ძმის მიერ ჩადენილ მკრეხელურ დანაშაულს, ასევე ქალიშვილთა უზნეობასაც. ტინდარევისი არც ქმრის მკვლელ კლიტემნესტრას ინდობს და არც ტროას ომის მიზეზად ქცეულ, ქმრის მოღალატე ელენეს. ამავდროულად, ყველაზე შემზარავ ცოდვად, სამართლიანად სწორედ დედის მკვლელობას მიიჩნევს. ტინდარევისი არც აპოლონის გაკიცხვას მოერიდება და ადამიანის ღირსებად არა ღმერთების მკრეხელური ბრძანების შესრულებას, არამედ საკუთარი სინდისის ძახილის შესმენასა და დანაშაულის მხოლოდ კანონის ძალით დასჯის გადაწყვეტილებას მიიჩნევს.

ღვთიური სამართალის უარყოფის მიუხედავად, ევრიპიდე სწორედ ერთეულ გმირთა მაღალ ცნობიერებაში ხედავს ყოვლისმომცველი ნიჭილიზმისგან ხსნის შესაძლებლობას. მხოლოდ ჯოგური ცნობიერებისგან გამორჩეულ ადამიანს აქვს საყოველთაო ქაოსში საკუთარი შინაგანი ხმის შესმენისა და გაყოლის უნარი.

ლიტერატურა:

1. Тронский И.М. История античной литературы. М., Высшая школа, 1988, с. 143.
2. ანტიკური მწერლობა, ტრაგედიები, ევრიპიდე, ორესტესი, თბ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გვ. 340.
3. გორდეზიანი რისმაგ, მითების სიბრძნე, თბ., 2005

4. გორდეზიანი რისმაგ, ბერძნული ლიტერატურა, ტ. 16, თბ., ლოგოსი, 2001.
5. ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია, 2009. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.
6. ანტიკური ლიტერატურა. საუნივერსიტეტო კურსი. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.
7. რისმაგ გორდეზიანისა და ნანა ტონიას საერთო რედაქციით, II გამოცემა, 2007.
8. Еврипид. Античная Трагедия В -2-х томах. М.-Л. Искусство, 1980.
9. Варнеке Б.В. История античного театра, М., 1940.
10. History of the Theatre, by Oscar G. Brockett, Indiana University, Allyn and Bacon, Inc, Boston, 1974.
11. The Oxford Illustrated History of Theatre, by Oxford University Press, 1995.
12. Theater, The Penguin Dictionary by John Russell Taylor, Penguin books, 1978.
13. <http://antique – lit niv.ru>

მაია გოშაძე

*საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოციირებული პროფესორი*

**ევრიპიდეს დრამატურგია
(ნაწილი მეორე)**

რეზიუმე

სტატია “ევრიპიდეს დრამატურგია” მოიცავს დიდი ბერძენი ტრაგიკოსის პიესების “ტროელი ქალებისა” და “ორესტესის” ანალიზს. სტატიის ავტორის აზრით “ტროელ ქალებში” სრული

დეჰეროიზაცია ხდება არა მხოლოდ ტროას, არამედ ნებისმიერი, ექსპანსიისკენ მიმართული ომის. პიესის წამყვან მოტივს, ყოველგვარ ჰეროიკულ შარავანდედს მოკლებული, ნამდვილ უბედურებად ქცეული ომის დროს, ნებისმიერი ადამიანის შინაგანი არსის გამოვლენა წარმოადგენს. სწორედ ომის დროს ვლინდება ადამიანის ყველაზე ბნელი, ქვენა ინსტიქტები. ომი იძლევა დაუსჯელად სხვაზე ძალადობისა და სხვისი განადგურების შესაძლებლობას. იმავდროულად, სწორედ ტოტალური ქაოსის და სისასტიკის წინაშე შესაძლოა გამოვლინდეს ადამიანთა, – ამ შემთხვევაში ტროელ ქალთა სულიერი სიძლიერე და ღირსების გრძნობა.

ევრიპიდესეულ “ორესტესში” ღმერთების თვითნებობასა და ადამიანთა სისასტიკეს ერთეული გმირის, ტინდარევსის მაღალი ცნობიერება და სამართლიანობის გრძნობა უპირისპირდება. ქაოსიდან ხსნას ტრაგიკოსი არა გარე სამყაროში, არამედ ერთეულ გმირთა მაღალ ცნობიერებაში ხედავს.

*Maia Goshadze, An associate professor
at Shota Rustaveli Theatre and Film
Georgian State University*

**Euripides’ Dramaturgy
(The second part)**

SUMMARY

The article “Euripides’ dramaturgy” includes the analysis of plays “The Trojan Women” and “Orestes” of the great Greek tragedian. Author thinks that in “The Trojan Women” there is full detheorization of not only Trojan but also any war directed towards expansion. The play aims reveal the inner nature of human what is devoid of any heroic halo during the war of turned into a disaster. The darkest, brute instincts of human is

revealed exactly during the war. The war gives the opportunity to use violence on someone without impunity and the chance to destroy someone else. Meanwhile the human beings and in this case the Trojan women's spiritual strength or the sense of dignity might be revealed exactly in the fond of total chaos and brutality.

In the "Orestes" of Euripides a high awareness and sense of justice of Tyndareus oppose to willfulness of Gods and human cruelty.

Key words: *dramaturgy, detheorization, expansion, instincts, violence*

*Maia Goshadze, Асоциированный профессор
Грузинского Государственного
университета театра и кино
имени Шота Руставели*

Драматургия Еврипида (часть вторая)

РЕЗЮМЕ

Статья «Драматургия Еврипида» содержит в себе анализ двух пьес греческого автора трагедий, в частности «Троянок» и «Орестеса». По мнению автора статьи в «Троянках» отражена дегероизация Еврипидом не только Троянской войны,

но и любой другой войны направленной на завоевание и экспансию других стран. Ведущий мотив пьесы выражается в показе внутренней сущности человека именно в критических ситуациях, которые создаёт война, сама по себе лишённая всякого романтизма и представляющая собой настоящее бедствие. Именно во время войны проявляются самые низменные, тёмные инстинкты человека. Война даёт возможность безнаказанно проявлять агрессию, тягу к насилию и уничтожению другого. В то же время, именно война, ситуация тотального хаоса и жестокости даёт возможность проявлять людям, в данном случае Троянкам благородство человеческого духа, - внутреннюю силу и достоинство.

В другой пьесе Еврипида «Орестес» тотальной человеческой жестокости также противостоит единичный герой, отец Прекрасной Элены, человек высокой нравственности. Вероятнее всего, выход из хаоса Еврипид видит как раз в одиночках, не приемлющих несправедливость и жестокость.

Ключевые слова: *драматургия, дегероизация, экспансия, инстинкты, насилие*

К вопросу о принципах составления учебника иностранного языка

*Борис Имнадзе, Профессор,
Грузинский Технический Университет*

Ключевые слова: принципы, ориентация, своеобразие, овладение, язык-посредник.

Вероятно, ни для кого не является открытием, что методика изложения и подачи учебного материала должна строиться на принципах дидактики, в основе которой лежит теория познания. Между тем, издающиеся в настоящее время учебники и учебные пособия, составляются без учета специфики обучения того или иного конкретного контингента обучающихся. Без учета его нужд и потребностей, трудностей, которые он может испытывать и, зачастую ориентируют обучающихся не столько на овладение явлениями (также и своеобразием) иностранного языка, способствующими активному его овладению, сколько на формальное знакомство с явлениями языка-посредника. Эти требования современные учебники, на наш взгляд, не удовлетворяют. Хотя должен отметить, что формально, принципы их составления соблюдаются, вернее называются, вроде бы четко формулируются и реализуются. На самом деле это не так. Так 1 возьмем принцип научности - важный принцип составления учебника. Основные требования этого принципа заключаются в строгом соответствии содержания учебника современному состоянию науки о том или ином языке, в нашем случае, русском языке, и учете единства грамматической теории и речевой практики. Однако научный принцип отбора грамматического и языкового минимума не соблюдается, тогда как его учет является наиболее важным звеном в процессе изучения языка, без чего сложно преодолеть

трудности усвоения определенным кругом лиц изучаемого языка.

Таким образом, один из важнейших критериев отбора учебного материала – его практическая целенаправленность – не соблюдается.

2. Коммуникативная направленность учебного предмета. Этот принцип ориентирует на приобретение обучающимися прочных, практически применимых знаний, которые и служат основой для целенаправленного развития речевых навыков и способствуют преодолению чрезвычайного увлечения голый теорией, ставя введение, закрепление и активизацию языковых знаний на службу развития речевых умений и знаний. И этот принцип в полной мере также не используется.

3. Принцип учета влияния родного языка на усвоение неродного. В основе этого принципа лежит необходимость установления сходства и различий между неродственными языками и на основании этого осуществление отбора материала изучения и способов семантизации. Современные учебники и учебные пособия все более отходят от этого принципа.

4. Не менее удручающее положение и в отношении использования одного из важнейших принципов дидактики – принципа систематичности и, иначе планового, логически обоснованного порядка изложения учебного материала, его расположения по нарастающей сложности. Анализ современных учебников свидетельствует, что этот принцип авторы, если и используют, то лишь по своим внешним, не всегда оправданным научно и методически, предположениям. Говорить о систематичности

и научности не приходится. Более того, нередко материал по своей сложности и легкости вовсе невозможно отличить и тем более выяснить систему его расположения.. что влечет за собой и нарушение другого не менее важного принципа, (б) принципа доступности. Он осуществляется посредством соблюдения дидактического требования о постепенном нарастании учебной трудности через знакомый материал. К осуществлению этого принципа следует подходить с большой осторожностью, ибо каждый раз, отбирая новый лексический и грамматический материал на основе его связи с изученным, предыдущим, казалось бы обеспечивается непрерывный процесс нарастания знаний, однако, возможно ли такое в условиях необходимости обеспечить и облегчить изучающему восприятие возрастающей постоянно информации по специальности, которая в силу своей специфичности, своих законов не считается, да и не может учитывать методические требования к расположению материала по постепенно нарастающей информации. А вместе с тем, изучая язык специальности нельзя полностью обходить и законы методики.

Как видим, в современных языковых учебниках немало недостатков. Не меньше их и при отборе текстов. Эти принципы в большинстве своем игнорируются вовсе или « в лучшем случае» будучи неверно понятым, нарушается с точки зрения восприятия. Под понятностью понимается легкость, а между тем текст слишком прост для данного возрастного контингента и потому не может обеспечить действительное нарастание знаний, в результате, столкнувшись с текстом по возрасту и по специальности испытывает НЕПРЕОДОЛИМЫЕ сложности.

Не может быть регламентирован и объем учебного текста. Оптимальный его размер должен соответствовать удовлетворению

тех потребностей , которые могут осилить имеющиеся у него знания и обеспечить цельность восприятия. Так составленные учебники, к сожалению, почти не встречаются.

Принцип обеспечения соответствия связи содержания текста с требованиями теоретического (грамматического) материала. При попытке построения статьи с учетом требований этого принципа допускаются непоправимые ошибки из за того, что при составлении учебников и учебных пособий авторы руководствуются своими собственными представлениями о потенциальной доступности того или иного текста.. Представления эти в значительной мере интуитивны, тогда как следует основываться на необходимости изучения того материала, который обеспечит усвоение сути изучаемой специальности, без чего обучающийся не сможет осилить и решить поставленную учебную задачу.

Вышеизложенное позволяет нам выделить пять основных принципа построения учебников и учебных пособий по изучению иностранного языка в технических вузах

1. Принцип познавательно-воспитательной ценности,
2. Принцип учета особенностей языка изучаемой специальности и возраста.
3. Принцип последовательного усложнения и увеличения объема подаваемого материала.
4. Принцип учета и удовлетворения читательских и познавательных интересов.
5. Принцип связи лексического с грамматическим материалом.

Важность учета выделенных нами принципов построения учебников и учебных пособий по иностранному языку для технических вузов сомнению не подвергается.

Между тем каждый из них на деле остается вне внимания Если кто и учитывает их, то только формально.

ბორის იმნაძე, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უცხო ენის სახელმძღვანელოს შედგენის
პრინციპების შესახებ

რეზიუმე

სტატიაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში გამქვეყნებულ უცხო ენის სახელმძღვანელოებში ავტორები არ იცავენ უცხო ენის სწავლების თვისებურებას და იმ პრინციპებს, რომელთა გათვალისწინების გარეშე ძნელია უცხო (რუსული) ენის შესწავლა.

სტატიაში ავტორის მიერ გამოყოფილია სახელმძღვანელოს შედგენის შემდეგი პრინციპები:

1. აღქმა-აღმზრდელობითი პრინციპები;
2. შესასწავლი სპეციალობის ტექნიკური ენის თავისებურებათა და სტუდენტთა ასაკის გათვალისწინების პრინციპი;
3. სასწავლო მასალის თანმიმდევრული გართულება და მოცულობის გაზრდა;
4. მკითხველის ინტერესების დაკმაყოფილების პრინციპი;
5. ლექსიკური და გრამატიკული მასალის ურთიერთდაკავშირების პრინციპი.

საკვანძო სიტყვები: პრინციპები, ორიენტაცია, თავისებურება, დაუფლება, შუამავლობა.

*Boris Imnadze, professor,
Georgian Technical University*

About the principles of drawing up the textbook of a foreign language

SUMMARY

The textbooks and manuals which are published now on foreign (Russian) language are formed without specifics of training in foreign languages in technical colleges. In article the author allocates those principles of creation of textbooks on language which in his opinion, it is necessary to consider in the course of learning of foreign language in technical colleges. Five principles are allocated:

1. Principle of informative and educational value;

2. The principle of the accounting of features of technical language of the studied specialty and age;
3. The principle of consecutive complication and increase in volume of the given material;
4. The principle of the account and satisfaction reader's and the poznachatelnykh of the interests which are trained;
5. Principle of interrelation of lexical material with the grammatical.

Key words: *printsipa, orientation, originality, mastering, intermediate language.*

*Борис Имнадзе, Профессор,
Грузинский Технический Университет*

О принципах составления учебника иностранного языка

РЕЗЮМЕ

Издающиеся в настоящее время учебники и учебные пособия по иностранному(русскому) языку составляются без учета специфики обучения иностранным языкам в технических вузах. В статье автор выделяет те принципы построения учебников по языку, которые по его мнению, необходимо учитывать в процессе изучения иностранного языка в технических вузах. Выделено пять принципов:

1. Принцип познавательной-воспитательной ценности;
2. Принцип учета особенностей технического языка изучаемой специальности и возраста;
3. Принцип последовательного усложнения и увеличения объема подаваемого материала;
4. Принцип учета и удовлетворения читательских и познавательных интересов обучающихся;
5. Принцип взаимосвязи лексического материала с грамматическим.

Ключевые слова: *принципы, ориентация, своеобразие, овладение, язык-посредник.*

ცოდნისა და უნარების კვანტიფიცირება

საკვანძო სიტყვები: უნარები, „ლინკი“, „სტეპი“, კვანტიფიკაცია.

შესავალი

პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს პედაგოგიური გაზომვების (შეფასების) პრობლემა. საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ შეფასებათა სისტემებს, რომლებიც მოწოდებულია ასახოს სასწავლო მიზნების მიღწევის დონე და ხარისხი, შედეგი, რომელიც დაადასტურებს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შესაბამისობას, თუ შეუსაბამობას, არ გააჩნიათ მკაფიო კრიტერიუმები, რომლებიც დამყარებული იქნება ცოდნის სტრუქტურისა და მოცულობის გარკვეულ სამეცნიერო შეხედულებებზე. ამიტომ ძნელია ვილაპარაკოთ ობიექტურობაზე, მოსწავლეთა ცოდნის გაზომვა-შეფასების კანონიერებაზე, მხოლოდ სუბიექტური შეფასებების საფუძველზე, თუ ისინი არ არიან ჩართულნი ცოდნის გაზომვა-შეფასების სპეციალურად შემუშავებულ პროცედურებში.

დ. მენდელეევი ამბობდა, რომ “მეცნიერება იწყება იქ, სადაც იწყებენ გაზომვას..”. ამ გამოწვევის აზრი მდგომარეობს შემდგომში, რომ გაზომვები ყველა დროში წარმოადგენდნენ მიღებული ინფორმაციის ჭეშმარიტების, სანდოობის განმსაზღვრელს შემეცნების მთავარი პრობლემის გადაწყვეტისას. გაზომვების არსი მდგომარეობს იმაში, რომ გასაზომ ობიექტს (ჩვენს შემთხვევაში სტუდენტის განსწავლულობა) ენიჭება გარკვეული სიმბოლოების სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივანიჭოთ აზრი გასაზომი ობიექტის თვისებებს და ხასიათს, შევაფასოთ მათი მნიშვნელობა პრაქტიკულ კონ-

ჯემალ ნიკურაძე, ვახტანგ მელაძე, ვახტანგ კვინტრაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



ტექსტში, შევქმნათ ობიექტის მართვის მექანიზმი, წინასწარ განვსაზღვროთ მისი ქმედება და ა. შ.

აუცილებელია, პრაქტიკული გაზომვების პროცესში, ობიექტი შეიცვალოს გარკვეული მოდელით. ჩატარებული გაზომვების სტრუქტურულ საფუძველს წარმოადგენს კონცეფცია, რომელიც ჩადებულია მოცემულ მოდელში. ნათელია, რომ მოდელი გასაზომი ობიექტის მაქსიმალურად ადეკვატური უნდა იყოს. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცოდნა ისევე როგორც გასაზომი ობიექტი უწყვეტი თვისებებით ხასიათდება, მაშინ როდესაც ნებისმიერი გაზომვა გულისხმობს მონაცემთა დისკრეტულობას. შესაბამისად, უნდა შევქმნათ ისეთი მოდელი, რომელიც ერთის მხრივ პასუხობს დისკრეტულობის მოთხოვნებს, ხოლო მეორეს მხრივ ადეკვატური უნდა იყოს იმ ცოდნისა და უნარების (უმეტესწილად ინტელექტუალურის), რომელიც უნდა გამოამჟღავნოს მოსწავლემ სწავლების დასასრულს. განვიხილოთ ცოდნის გაზომვა-შეფასების რამდენიმე მოსაზრება, რომელიც ლიტერატურაშია აღწერილი და შემუშავებული.

ძირითადი ნაწილი

ნათელია, რომ ცოდნის დაუფლება პირველ ყოვლისა დაკავშირებულია მეხსიერებასთან. რ. ატკინსონი აღნიშნავდა, რომ ხანგრძლივი მეხსიერებისათვის ტიპიურია სემანტიკური კოდირება [1]. თუმცა საზღვარგარეთელი მეცნიერების ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა, რომლებიც ეძღვნებოდა ადამიანის მეხსიერებაში შენახულ, ცოდნის “სტრუქტურის” შესწავლას, არ მოგვცა ცალსახა შედეგები. თუკი დ. გენტერი თვლიდა, რომ ცოდნა ინახება როგორც მთლიანი წარმონაქმნი, პ. ტორნდაიკს მიაჩნდა, რომ

ცოდნა ინახება თვისებათა “კონების” სახით. სიმწელებმა, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ მოცემული პრობლემის ფსიქოლოგიურ მიმართულებებთან, მიგვიყვანა ცოდნის გაზომვა-შეფასების ცდებამდე ინფორმაციული მიმართულების საფუძველზე [2].

ი. იტელსონი განიხილავდა აღქმის ინფორმაციული მოცულობის გაზომვის შესაძლებლობებს, სწავლების პროცესში, ინფორმაციის “ბიტ/წმ” ერთეულებში. კერძოდ ექსპერიმენტულად მიღებული იყო, რომ უცნობი სიგნალების პირობებში მოსწავლეები აღიქვამენ ინფორმაციას 6 ბიტ/წმ სიჩქარით, ცნობილი, მაგრამ უჩვეულო სიგნალების შემთხვევაში-18 ბიტ/წმ სიჩქარით, ხოლო კარგად ნაცნობი ჩვეულებრივი სიგნალებისას 65 ბიტ/წმ-მდე. თუმცა აქამდე არსებული ყველა ცდა ინფორმაციის მოცულობების შეფასებისა მათი შემადგენელი მხარის გათვალისწინებით წარუმატებლად დამთავრდა[3].

ვ. ბესპალკომ და ვ. ბონდარენკომ შემოგვთავაზეს საზომ ერთეულად მივიჩნიოთ ტესტის არსობრივი ოპერაცია სხვადასხვა დონეზე ათვისებული ქმედების ხარისხის რაოდენობრივი მახასიათებელი, ან ცნების ინფორმატიულობის გაზომვის შესაძლებლობა, გამოხატულს წინადადებით, ამ წინადადების მიმართ დასმული შესაძლო კითხვების რაოდენობის გზით. ამგვარად განისაზღვრება ცნების სემანტიკური მნიშვნელობა. თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ ცოდნა, რომელიც უნდა გააჩნდეს მოსწავლეს, არ უნდა იყოს გამოხატული მხოლოდ ათვისებული ცნებების მეშვეობით[4].

აქ შეგვეძლო მიგვეთითებინა სხვა ავტორთა პუბლიკაციებისათვისაც, მით უმეტეს, ყველა ნაშრომს გასდევს ერთიანი აზრი: ისინი გამოხატავენ მცდელობას, შეცვალონ ანათვლების ამპლიტუდების უწყვეტი სიმრავლე, ანუ აწარმოონ კვანტირება. შეგახსენებთ, რომ კვანტირება

გულისხმობს დაყოფას კვანტებად, რაიმე სიდიდის მისი ცალკეული (დისკრეტული) მნიშვნელობების მიმდევრობით წარმოდგენით, გარკვეული ან მოდელირებული კანონის შესაბამისად.

გასული წლების გამოცდილების განზოგადობა და ანალიზი იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ მოსწავლეთა ცოდნის გაზომვა-შეფასების საფუძველში უეჭველად უნდა იდოს კვანტირების იდეა, მაგრამ მიმართება დისკრეტული სიდიდეების ჩამოყალიბებისა, უნდა იყოს სრული და დასაშვები.

თანმედროვე ჰუმანიტარულ აკადემიაში (თჰა), პროფ. მ.პ. კარპენკოს ხელმძღვანელობით დამუშავდა ცოდნის და უნარების მოცულობის გაზომვის კვანტიფიკაციური (კვანტიფიკაცია-ხარისხობრივი ნიშნების რაოდენობრივი გამოსახულება) მოდელი, რომელიც ძირითადად პასუხობდა გაზომვათა უტყუარობის მოთხოვნებს.

არსებული მეთოდიკა ეყრდნობა ჰიპოთეზას, რომლის შესაბამისად, ხანგრძლივ მეხსიერებაში (მეხსიერების ქვესისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის, უნარების და ჩვევების და უზარმაზარი მოცულობის ინფორმაციის ხანგრძლივ შენახვას) ცნებები იწერება აზრობრივი წარმოსახვების მეშვეობით, რომლებიც აერთიანებენ ახალი ცნებების და მოვლენების კონკრეტულ (წარმოსახვით) და აბსტრაქტულ მხრეებს[5].

გამომდინარე ცოდნის განმარტებიდან, როგორც მთლიანობა და სისტემატიზირებული ერთიანობა სამეცნიერო ცნებებისა ბუნების კანონზომიერების შესახებ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ცნება წარმოადგენს ცოდნის ელემენტს.

რაც უფრო რთულია და მნიშვნელოვანია ცნება, მით მეტი კავშირი აქვს მას მოცემული ცოდნის სტრუქტურაში შემავალ სხვა ცნებებთან. შესაბამისად, ცნებას შეიძლება მივაწეროთ მახასიათებელი “სირთულე” რომელშიც იგულისხმება კავშირების რაოდენობა სხვა ცნებებთან.

ცნების „სირთულე“, რომელიც გამოხატული კავშირების სახით (პირობითად მივანიჭოთ ასეთ კავშირს სახელი „ლინკი“ ინგლისური link-დან-რგოლი, კავშირი) წარმოადგენს დისკრეტულ სიდიდეს, რომელიც იძლევა საშუალებას მივაკუთვნოთ ცოდნის უწყვეტ ხასიათს დისკრეტული მნიშვნელობები.

ამგვარად, „ლინკი“ წარმოადგენს ერთეულოვან კავშირს ცნებებს შორის, რომელიც გამოდის, როგორც ცნების სირთულის (ან ტევადობის) გაზომვის პირობით ერთეული.

„ლინკი“-ს, როგორც ცოდნის ერთეულის შემოტანა, საშუალებას იძლევა გამოვხატოთ ადამიანის აზროვნების და მეხსიერების შინაგანი ორგანიზაციის თვისებები, ახალი ინფორმაციის აზრობრივ დატვირთვის დაფიქსირებით. ნათელია, რომ ლინკების რაოდენობა ცნებაში, ტექსტში, მთლიან სასწავლო დისციპლინის თემაში, შესაძლებელია დავითვალოთ.

სწავლება გულისხმობს, არამარტო ცოდნის შეძენას არამედ უნარებისაც. უნარი-ეს ქმედებაა, რომლის შესრულებისთვისაც აუცილებელია შეგნებული თვითკონტროლი. უნარების დაუფლება გულისხმობს შესაძლებლობების ფორმირებას გარკვეული ქმედების შესასრულებლად განსაზღვრული წესებით. უნარები წარმოადგენენ დაგროვილი გამოცდილების შედეგს პროფესიულ მოღვაწეობაში და შედეგად ისინი შეიძლება ავსახოთ ალგორითმის სახით, ანუ ქმედების ერთობლიობით, რომელიც სრულდება გარკვეული თანამიმდევრობით, მოცემული ტიპის ამოცანის გადასაწყვეტად. უნარის დისკრეტულ მნიშვნელობად შეიძლება ჩაითვალოს ალგორითმის ცალკეული ეტაპი, დავარქვათ მას „step“-ი- ბიჯი (ნაბიჯი). „step“-ის რაოდენობა, რომელთა შესრულება აუცილებელია, რომ დემონსტრირება გაუკეთოს უნარების დაუფლებას, ახასიათებს უნარის სირთულეს ან ტევადობას.

ამგვარად, შემოთავაზებულ მიდგომაში, ცოდნის და უნარების გაზომვის პირველად ობიექტურ ერთეულებს წარმოადგენენ „ლინკი“ და „სტეპი“, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ რაოდენობრივად შევაფასოთ ცოდნის და უნარების სირთულე (მოცულობა).

ცოდნისა და უნარების მოცულობათა გაზომვის ერთიანი კვანტიფიკაციური მოდელის ასაგებად, მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანია თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების საზომი ერთეულების (ლინკების და სტეპების) თანაფარდობის საკითხი. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ცოდნისა და უნარების მოცულობის გასაზომად, ყველაზე მოხერხებულ სასწავლო ერთეულად ითვლება „დაყვანილი ცნება“, იგი საერთოა ორივე სახის სასწავლო პროცესისათვის და აუფრო ტევადია ვიდრე „ლინკი“ და „სტეპი“.

შემოთავაზებული მიდგომა გაუზრდის სამუშაოს სახელმძღვანელოების და სასწავლო-მეთოდური მასალების ავტორებს სასწავლო მოცულობის გაზომვის და კვანტიფიკაციის აუცილებლობის გამო, რაც დაკავშირებულია სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციასთან და სწავლების ხარისხის შეფასებასთან.

დასკვნა

საშუალო და უმაღლეს სკოლებში მიღებულ შეფასების სისტემებს არ გააჩნიათ მკვეთრი კრიტერიუმები, ამიტომ ცოდნის გაზომვა აქამდე ემყარება სუბიექტურ შეფასებებს. დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების გამოცდილება აჩვენებს, რომ ცოდნის გაზომვის საფუძველში უნდა იდოს კვანტირების იდეა და მის საფუძველზე არსებული, ცოდნისა და უნარების მოცულობის გაზომვის, კვანტიფიკაციური მოდელი. ცოდნის გაზომვის პირველად ობიექტურ ერთეულებს წარმოადგენენ „ლინკი“ და „სტეპი“. „ლინკი“ ერთეულოვანი კავშირია ცნებებს შორის ანუ ცნების სირთულის (ან მოცულობის) გაზომვის პირობითი ერთეული. უნარების დისკრე-

ტული მნიშვნელობად შეიძლება ჩავთვალოთ ალგორითმის ყოველი ცალკეული ეტაპი ანუ „სტეპი“. „სტეპების „ რაოდენობა განსაზღვრავს უნარის სირთულეს ან „მოცულობას“. ცოდნისა და უნარების გაზომვის კვანტიფიცირებული მოდელის ასაგებად საჭიროა, თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების (ე.ი. ლინკების და სტეპების) გამზომი ერთეულების თანაფარდობის ცოდნა. ამისათვის გამოიყენება „დაყვანილი ცნება“-ერთეული, რომელიც ზომავს ორივე სახის სასწავლო სამუშაოს.

ლიტერატურა:

1. Аткинсон Р. Человеческая память и процесс обучения, М. Пргресс, 1980.
2. Thorndyke P. W. Cognitive structures in comprehension and memory of narrative discourse//Cognitive Psychol. 1997. Vol.9.
3. Ительсон И.В. Математические и кибернетические методы в педагогике. М. Общество «Знание» 1964.
4. Бондаренко В. К. Технические средства обучения. Вып.3-7. М. Общество «Знание», 1976.
5. Карпенко М. П. Телеобучение: М.2008.

*ჯემალ ნიკურაძე, ვახტანგ მელაძე, ვახტანგ კვინტრაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ცოდნისა და უნარების კვანტიფიცირება

რეზიუმე

პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს პედაგოგიური გაზომვების (შეფასების) პრობლემა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცოდნა ისევე როგორც გასაზომი ობიექტი უწყვეტი თვისებებით

ხასიათდება, მაშინ როდესაც ნებისმიერი გაზომვა გულისხმობს მონაცემთა დისკრეტულობას. გასული წლების გამოცდილების განზოგადოება და ანალიზი, იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ მოსწავლეთა ცოდნის გაზომვა-შეფასების საფუძველში უეჭველად უნდა იდოს კვანტირების იდეა. ამგვარად, შემოთავაზებულ მიდგომაში, ცოდნის და უნარების გაზომვის პირველად ობიექტურ ერთეულებს წარმოადგენენ „ლინკი“ და „სტეპი“, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ რაოდენობრივად შევაფასოთ ცოდნის და უნარების სირთულე (მოცულობა). ასეთივე დასკვნამდე მივყავართ დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების გამოცდილებას, რომელიც აჩვენებს, რომ ცოდნის და უნარების მოცულობის გაზომვისას, უნდა გამოვიყენოთ კვანტირების იდეა და მის ბაზაზე არსებული კვანტიფიკაციური მოდელი.

საკვანძო სიტყვები: უნარები, „ლინკი“, „სტეპი“, კვანტიფიკაცია.

*Jemal Nikuradze, Vakhtang Meladze,
Vakhtang Kvintradze
Georgian Technical University, department of physics*

Quantification of knowledge and skills

SUMMARY

One of the unsolved problem of the pedagogics, as a science, is a problem of pedagogical measurements. At same time, one take in account knowledge as volume of measurements and that knowledge possess of continuity whereas any measurements are discrete. Analysis, and general experience of last, ten year permits to make conclusion, that measurement of knowledge must be based on quantification idea. Thus, in this way primary units of knowledge and skills are “link” and “step”, which allow quantitatively estimate

complexity of knowledge and skills. The same result gives the experience of technology of distant education which points out that for the measurement of knowledge and skills, one use quantification idea and quantification model.

Keywords: Skills, "link", "step", quantification.

*ნიკურაძე ჯემალ, მელაძე ვახტანგ,
კვინტრაძე ვახტანგ
გვინტრაძე ვახტანგ
Грузинский Технический Университет*

Квантификация знаний и умений

РЕЗЮМЕ

Одной из нерешенных проблем педагогики как науки является проблема педагогических измерений. При этом следует учитывать знание, как объем измерения,

обладает свойством непрерывности, тогда как любое измерение предполагает дискретность значений. Анализ и обобщение опыта прошлых лет позволил сделать вывод о том, что в основе измерения знаний обучающихся безусловно должна лежать идея квантования. Таким образом, в предполагаемом подходе первичными объективными единицами измерения знаний и умений являются «линк» и «степ», позволяющие количественно оценить сложность (объем) знаний и умений. К такому же заключению приводит нас опыт технологий дистанционного обучения который указывает, что при измерений объемов знаний и умений, надо пользоваться идеей квантирования и квантификационной моделью.

Ключевые слова: Умения, «линк», «степ», квантификация.

Лувийские иероглифы, обозначающие числительные

Нана Хазарадзе, профессор грузинского технического университета, академик Грузинской Национальной Академии наук

Нана Бахсолиани, Асоциированный профессор Грузинский Технический Университет

XX

В XVI веке до н. э. жившие в Малой Азии лувийцы, родственные хеттам, создали оригинальную письменность, на разгадку которой ученым потребовались десятилетия. Многолетние исследования, проведенные с целью расшифровки семантических кодов лувийских иероглифов, привели нас к тому значительному заключению, что не только эпиграфические памятники, датированные II-I тысячелетиями до н. э. и выполненные этим письмом, но и сами лувийские иероглифические знаки представляют собой бесценный информативный источник для реконструкции истории и истории культуры народов древней Анатолии. Создатели этой оригинальной письменности владели исчерпывающей информацией о истории и культуре народов Малой Азии [1: 11 и т. д.].

На сегодняшний день известны до 500 лувийских иероглифов. Согласно выказанной в специальной научной литературе точке зрения, эта письменность первоначально имела культовое назначение. В отличие от хеттской канцелярской клинописи лувийско-иероглифический представлял собой религиозно-монументальную письменность. В позднехеттскую эпоху (первая четверть I тыс. до н. э.) она претерпевает секуляризацию. Укореняется традиция создания надписей строительного и посвятельного характера. В нагорьях Кызыл-Даг, Кара-Даг, Бурункай, в Кара-Тепе (Киликия), Каркемыше (Северная Сирия, нынешн. г. Джераблус) цари и правители

(Хартафу, Азитавада, Яририс, Катувас...) создают письменные памятники типа анналов. Жители современного Кулюлю составляют хозяйственно-налоговые документы на свинцовых пластинках [2: 8-9, 31-32...; 3: 33-37].

Северная граница распространения иероглифических лувийских эпиграфических памятников проходит у Аладжа-Хююк (Малая Азия), восточная – у Гюней (Верхняя Месопотамия), а южная – через Хамат (Сирия). Хотя выполненные этой письменностью отдельные надписи, высеченные на камне, обнаружены также в Сипиле, Кара-Бель, на Кипре, в Вавилоне, Иране и других пунктах. Количество этих надписей превышает 300. Насчитываются более 800 печатей с 26 иероглифическими лувийскими надписями. Печати хеттских времен, дошедшие до нас преимущественно в виде оттисков, чаще всего двуязычные. В основном они содержат информацию об именах, титулатуре и генеалогии хеттских царей (Богазкёй, Тарсус, Угарит). Иероглифические лувийские надписи хеттской эпохи засвидетельствованы и на скальных рельефах с изображениями хеттских царей и сцен жертвоприношений. Нередко иероглифические лувийские надписи сообщают нам имена божеств, передают тексты ритуального характера [4, 17].

Иероглифический лувийский язык родственен клинописному лувийскому. Эти два языка древней Анатолии вместе с ликийским А и ликийским В, писидским,

ликаонским, сидетским языками признаны лувийской подгруппой анатолийской (хеттско-лувийской) группы древних индоевропейских языков [5, 14]. Как правило, лувийский иероглиф представлен в виде открытого слога – гласного или согласного (хотя встречаются и исключения, когда иероглифический знак соответствует какой-либо звукобукве). Иероглифические лувийские логограммы и детерминативы иногда сопровождаются фонетическими комплексами, знакомящими нас со звуковым составом основы слова и его флексией [6, 9].

Существует несколько версий классификации лувийских иероглифов. Согласно разработанной Э. Ларошем довольно аргументированной классификации, лувийские иероглифы с учетом их функции можно разделить на десять групп. Первая группа иероглифических знаков отражает понятия, связанные с человеком, его телом (частями туловища), социальным статусом, различными действиями (я, человек, голова, рука, нога, ступня, женщина (в виде матки), мать, госпожа, царица, царь, великий царь, ребенок, мальчик, царевич, царевна, брат, герой, всемогущий, грозный, беседа, взять, положить, отнести, поклонение, исполнение ритуала и т. д.); вторая группа – животные (собака, лошадь, осёл, олень, бык, овца, заяц, лев...); третья группа – растения (хлебный колос, гранат, гроздь винограда, вечнозеленое дерево...); четвертая – светила, природные явления, ландшафт (небо, солнце, луна, шестиконечные и многолучевые звезды, молния, земля, низменность, гора, река, вода, исток ручья, восток, запад...); седьмая – посуда; восьмая – 27 символов (символы, обозначающие мужское и женское божества, царя, жреца, судью...); девятая – числа, геометрические фигуры (один, два, три, четыре, пять, шесть, семь,

восемь, девять, десять, сто...); десятая группа объединяет иероглифы пока что неустановленной семантики.

Как видим, создатели этой оригинальной письменности владели исчерпывающей информацией о флоре и фауне Малой Азии, её природных богатствах, хозяйстве, быте, военном деле, архитектуре, социальной структуре общества, космогонических и космологических верованиях и представлениях хаттов, лувийцев, хеттов.

На сей раз предметом нашего исследования является девятая группа лувийских иероглифов, выделенная Э. Ларошем (см. выше), – имена числительные, поскольку последние дают нам дополнительную, весьма примечательную информацию об уровне знаний древневосточного общества, пользовавшегося этой письменностью. Здесь же заметим, что ни на одном из известных на сегодняшний день иероглифических лувийских эпиграфических памятников числительные не засвидетельствованы, кроме памятников, обнаруженных в Язылыкая и Кулюлю. Особого внимания заслуживают выявленные в Кулюлю во второй половине прошлого века свинцовые пластины с надписями, составленными с целью хозяйственно-налогового учета [3, 33-37].

В отличие от шумерской, аккадской, хеттской систем имен числительных, в которых последние представлены в виде групп количественных, порядковых, кратностных, разделительных и дробных числительных [7, 41-45; 8, 59-64...], на свинцовых пластинках из Кулюлю мы встречаем только количественные числительные. Однако данное обстоятельство вовсе не исключает предположения, что в других аналогичных письменных памятниках, в силу ряда причин не дошедших до нас, система имен числительных была столь же совершенной,

как это имело место в вышеупомянутых клинописных письменностях. Возможно, недостаток интересной для нас информации обусловлен и тем, что, как полагают, иероглифическим лувийским письмом документы выполнялись на дереве кистью и черной краской и поэтому не сохранились, не выдержали испытаний временем.

На обнаруженных в результате археологических раскопок в Кулюлю свинцовых пластинах, как уже отмечалось выше, зафиксированы только 28 количественных имен числительных. Числительные от 1 до 9 переданы вертикальными линиями, десятки – горизонтальными. Что касается сотен, многократно встречающихся на указанных пластинах, они имеют форму кочерги. В начертании иероглифических лувийских имён числительных мы обнаруживаем еще одну особенность. Круглые числа больше 100 (200, 300, 400) изображаются повторением иероглифа, обозначающего 100. Но в том случае, когда автору документа требуется показать такое количественное число, как, например, 141, 232 и проч., он добавляет снизу к фигуре, обозначающей сотню, сначала горизонтальные линии (десятки), а в конце вертикальные (единицы). Тот же принцип соблюдается при написании таких числительных, как 15, 32, 68 ...

Фонетическая дешифровка иероглифических лувийских числительных пока не удается. С этой точки зрения исключения представляют лувийские иероглифы, обозначающие числа 4 и 9 (mi, nu). Подобно хеттской и лувийской клинописи, ликийскому А и В, фонетическое прочтение чисел, обозначающих 4 и 9, основано на акрофоническом принципе.

Для иллюстрации вышесказанного приведем фрагмент документальных записей, выполненных на свинцовых пластинах,

обнаруженных на расположенной в восточной части Малой Азии поздnehеттской эпохи территории Табала¹, в современном Кулюлю. В документе говорится о количестве овец, розданных с целью вознаграждения за выполненный труд жителям городов Табала (Тиварал, Верхняя Туна, Нижняя Туна и Туна, Асахайалар, Сунавара, Мурат, Сунаката, Ахатикукурай, Арусалис). Здесь же заметим, что в других фрагментах надписи из Кулюлю указано также количество быков и ячменя.

Иероглифический лувийский текст [10, 148] выглядит так: 32 овцы Мувахис дал Ни. 68 овец Лалис дал Парасата (?) для Куки. 140 овец мы дали 7 идолам в городе Асахайалар, 40 овец [дали] Нуну. 30 овец 3 наместникам. 30 овец мы дали Кули, Тумиси, Туту (мужчины?) в городе Сунавара. 20 овец Сатану. 40 овец ... (?) 2. 100 овец 5 идолам в городе Мурат. 20 овец Квисаю, Палусу, в городе Сунаката. 100 овец 5 идолам в городе Тиварал. 20 овец 2 охотникам. 141 овцу 3 идолам в городе Ахатикукурай. 15 овец они дали ... (?) города Арусалис. 200 овец Атivarарсу. 20 овец ... (?). 14 овец из города Асайларай принесли по приказу ... (?).

Реконструкция истории лувийских иероглифов, обозначающих числительные, несмотря на скудность материала, еще раз свидетельствует о том, что изучение семантических кодов лувийских иероглифов является делом перспективным и в то же время необходимым.

¹ Табал в контексте данных письменных памятников ассирийской клинописи и иероглифического лувийского находился в юго-западном секторе Великой Каппадокии, к западу от современного Гюрюн-Шахрипозанда (верховье р. Сейхан), к северу и северо-западу от нынешней линии Позанд-Зельве-Боричифлик, к востоку от линии Султанхан-Кайсери-Сивас-Топад (восточнее р. Галис, нынешней р. Кызыл-Ирмак) [9, 25-61].

ლიტერატურა:

1. Хазарадзе Н. Источниковедческие и историографические разыскания. – Тб., 2009.
2. Хазарадзе Н. В мире лувийских иероглифов. – Тб., 2006. – Груз.
3. Бахсолиани Н. Свинцовые пластинки из Кулюлю // Труды Института истории и этнологии. VIII. – Тб., 2008. – Груз.
4. Laroche E., Les Hieroglyphes Hittites, Paris, 1960.
5. Языки Азии и Африки. I. - Москва, 1976.
6. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte I: Grammatica, Roma, 1966.
7. Шарашенидзе Дж. Грамматика шумерского языка. – Тб., 2005. – Груз.
8. Татишвили И. Аккадский язык. – Тб., 2009. – Груз.
9. Хазарадзе Н. Древневосточные и картвелологические разыскания. – Тб., 2001. – Груз.
10. J. D. Hawkins, The Kululu lead strips economic documents in Hieroglyphic Luwian, AnSt, vol. XXXVII, London-Ankara, 1987.

ნანა ხაზარაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,

ნანა ბახსოლიანი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რიცხვითი სახელების აღმნიშვნელი
ლუვიური იეროგლიფები**

რეზიუმე

ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდების ამოხსნასთან დაკავშირებით ჩატარებულმა მრავალწლიანმა კვლევა-ძიებებმა გვიჩვენა, რომ არა მხოლოდ ლუვიური იეროგლიფური დამწერლობით შესრულებული წერილობითი ძეგლები, არამედ ცხოველთა სამყაროს, მცენარეთა, ძველანატოლიური არქიტექტურის ძეგლების ინტერიერის და ექსტერიერის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფური ნიშნები ძველი ანატოლიის ხალხების ისტორიისა და კულტურის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის ძვირფას საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს.

Nana Khazaradze, Professor of Georgian Technical University, Academician of Georgian National Academy of Sciences

Nana Bakhsoiliani, associate professor, Georgian Technical University

**LUVIAN HIEROGLYPHS DENOTING
NUMERALS**

SUMMARY

Results of our labour-intensive research of many years conducted for the purpose of study of the given hieroglyphic Luwian written monuments and reconstruction of semantic codes of separate hieroglyphic signs (hieroglyphs representing animals, plants, interiors and exteriors of ancient Anatolian architectural monuments, heavenly bodies, etc.) unequivocally demonstrate that not only hieroglyphic Luwian inscriptions, but also separate hieroglyphic signs should be considered as a source of information of primary importance. The results of study of the hieroglyphic Luwian system of numerals lead to the same conclusion.

ნანა ხაზარაძე, პროფესორ გრუინსკოგო ტექნიკური უნივერსიტეტი, აკადემიკი გრუინსკოგო ნაციონალური აკადემიის ნაუკ

ნანა ბახსოლიანი, ასოცირებული პროფესორი გრუინსკოგო ტექნიკური უნივერსიტეტი

**ლუვიური იეროგლიფები, აღმნიშვნელი
რიცხვითი**

РЕЗЮМЕ

Многолетние исследования, проведенные с целью расшифровки семантических кодов лувийских иероглифов, приводит авторов к заключению, что не только эпиграфические памятники, выполненные этим письмом, но и сами лувийские иероглифические знаки, обозначающие животный мир, растения, интерьер, экстерьер памятников архитектуры представляют собой бесценный информативный источник для реконструкции истории и истории культуры народов древней Анатолии.

ფილოლოგია ФИЛОЛОГИЯ PHILOLOGY

პაოლო იაშვილის პუბლიცისტური და სარედაქციო პოლემიკის ისტორიიდან

*ლელა ბუთურიშვილი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

XX

საკვანძო სიტყვები: „თერგდალეულები“, „ცისფერი ორდენი“, „ცისფერი ყანწები“, სიმბოლიზმი.

XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაზე ისევ დიდი გავლენა ჰქონდათ ილიას და აკაკის. ახალი თაობა თითქოს ეურჩებოდა მათ, მაგრამ მაინც „თერგდალეულთა“ გზას აგრძელებდა. ქართულ პოეზიას „ეპიგონთა აჩრდილი გადაეფარა“.

ზოგი შემოქმედი განახლების იმპულსის აუცილებლობას გრძნობდა და ცდილობდა რაღაც შეეცვალა. მაგალითად, ვაჟა-ფშაველამ ფშავესურეთს მიმართა და ლეგენდების სამყარო შემოიტანა მწერლობაში, ალექსანდრე ყაზბეგმა „ნაციონალური რომანტიკა“ ააღორძინა. მაგრამ ეს ყოველივე საკმარისი არ იყო. საჭირო იყო რადიკალური ცვლილებები და არც ამან დააყოვნა. XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი პოლიტიკური თუ კულტურული მდგომარეობა ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა მოდერნისტული მიმართულების აღმოცენებისათვის. საქართველოში მოდერნიზმის შემოსვლას თავიანთი ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრევით ხელი შეუწყვეს არჩილ ჯორჯაძემ, კიტა აბაშიძემ და გრიგოლ რობაქიძემ. სამივე მათგანი ქართულ ლიტერატურას მსოფლიო ჭრილში განიხილავდა და საქართველოში სიმბოლიზმის

აუცილებლობაზე მსჯელობდა. კიტა აბაშიძემ ფერდინანდ ბრუნეტიერის ევოლუციის პრინციპი ქართულ მწერლობას მოარგო. მისი აზრით, XIX საუკუნის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას ევოლუციის შემდეგი საფეხურები უნდა გაეცლო: რომანტიზმი - რეალიზმი - ნატურალიზმი - ნეორომანტიზმი - სიმბოლიზმი. იგი ნეორომანტიკოსად ალექსანდრე ყაზბეგს თვლიდა, ხოლო სიმბოლისტებად - ვაჟა-ფშაველასა და შიო არაგვისპირელს. ვაჟა სიმბოლისტად ჯერ კიდევ 1897 წელს მოიხსენია. ვაჟას სიმბოლისტობა თითქმის არავინ გაიზიარა, მაგრამ ამ დებულებამ წაახალისა ახალი თაობა და რეალიზმის დეკადანსს საქართველოში მართლაც სიმბოლიზმის განვითარება მოჰყვა. პირველი სიმბოლისტური გაერთიანების „ცისფერი ორდენის“ სახელწოდება მათი პირველი ბეჭდური ორგანოს „ცისფერი ყანწების“ სახელს უკავშირდება (I ნომერი გამოიცა 1916 წელის 28 თებერვალს, II - იქვე, ამავე წლის დეკემბერში). ცისფერი ყანწების სიმბოლიკა ასეც არის ახსნილი: „ ცისფერი პირველქმნილი ფერი, ამაღლებულის სიმბოლოა. „ცისფერი ყანწები“ პოეზიის ალეგორიაა.“(1, 2)

მაინც ვინ შედიოდა ამ ორდენში? პაოლო იაშვილი 1922 წელს გაზეთ „ბარბაკადში“ ათ „ცისფერყანწელს“ ასახელებს: გრიგოლ რობაქიძე,

ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ალი არსენიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე და პაოლო იაშვილი. ტიციან ტაბიძის თქმით, ცისფერ ორდენში 13 წევრი იყო; შემდგომში ამავე ციფრს ასახელებს პაოლოც. ცისფერყანწელები იყვნენ აგრეთვე სერგო კლდიაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, ივანე ყიფიანი, ლელი ჯაფარიძე, გიონ საგანელი და ზოგიერთი სხვაც, მაგრამ პაოლოს მიერ დასახელებული ათი პოეტი ამ ორდენის მამოძრავებელი ძალა იყო.

ამ ორდენის წევრთა მოქალაქეობრივი აქტივობა იმდენად მაღალი იყო, რომ მხოლოდ პოეზიით ვერ შემოიფარგლნენ. მათ დაარსეს რამდენიმე ბეჭდვითი ორგანო. პირველი იყო „ცისფერი ყანწები“, რომელსაც პაოლო იაშვილი რედაქტორობდა. პირველი ნომრის გამოსვლისთანავე (1916 წლის 28 თებერვალი), როგორც ჩანს, საზოგადოების ერთმა ნაწილმა მტკივნეულად აღიქვა მათთვის პატივსაცემი პირების მონაწილეობა ახალგაზრდული ეპატაჟით შეპყრობილ და „მეხის გავარდნის“ ეფექტის მოსურნე ალმანახში.

„გაუგებრობის გაღავანი“ გრიგოლ რობაქიძის წინაშეც აღიმართა; იგი გარკვეულწილად იძულებულიც გახდა, განემარტა თავისი როლი „ცისფერ ყანწებში“. „ამ დღეებში ქუთაისში გაიმართება ჩემი ლექცია „ცისფერი ყანწების“ შესახებ. ბევრსა ჰგონია, თითქოს მე მარტო „დამცველის“ როლში გამოვდიოდე. ეს მოკლებულია სიმართლეს“ (2, 4), - წერდა რობაქიძე გაზეთში „სახალხო ფურცელი“. „ცისფერი ყანწების“ მიკერძოებულად განხილვას საყვედურობს გრიგოლს ჯაფარ ფაშა (ნ. ჯაფარიძე) გაზეთ „სამშობლოს“ 1916 წლის 7 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ სტატი-აში „გრიგოლ რობაქიძის ლექცია“: „ამ სუსტ მხარეს, სამწუხაროდ ბ-მა რობაქიძის ნიჭიერმა ენამეტყველებამაც ვერაფერი შესძინა. საზოგადოდ ეს ადგილი ლექციისა მეტად ძნელი გამოდგა ავტორისათვის და ისე სუსტი როგორც ამ

ადგილზე იყო ბ-ნი რობაქიძე, თამამად შემძლია ვთქვა, რომ ჯერ იგი არავის ახსოვს.

ეს სწორედ ის ადგილი გახლავთ, სადაც ლექტორი ზოგიერთ ნაწარმოებს ალმანახისას ერთდროულად იწონებს და იწუნებს, ჰოსაც ამბობს და არასაც, მაგრამ უფრო იგი უახლოვდება უარყოფას ვიდრე დადებით მხარეს. ბ-ნ იაშვილის მანიფესტში ბ-ნი რობაქიძე მხოლოდ ყმაწვილურ გატაცების ნაყოფსა ხედავს, ქ-ნი დარიანის ლექსებში ნიჭიერ ავტორს ეძებს, ხოლო თვით ლექსების შესახებ აცხადებს ზომიერების საზღვარს გადაჭარბებულად მიმაჩნიაო“ (3, 3).

ამ „ბრალდებას“ დიდი მანეტრო არ გამოხმაურებია, თუმცა ეს არც იყო საჭირო, რადგან მან უკვე დააფიქსირა თავისი აზრი ზემოთმოხმობილ წერილში: „მართალია, მე პირადად „ცისფერი ყანწები“ მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია ჩვენს ლიტერატურაში, - მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ ალმანახის შედგენისათვის საერთო რედაქცია არ ყოფილა გამართული (ყოველი მონაწილე იქ მხოლოდ თავის ნაწარმოების პასუხისმგებელია), - და ამისათვის იქ გამოთქმული პრინციპები ჩემთვის სავალდებულო არ არის და არც რომელიმე მხატვრული ნაწარმოები იქ მოთავსებული ჩემთვის უსათუოდ მოსაწონი: - ზოგი პრინციპი მისაღებია, ზოგი არა, - ზოგი ნაწარმოები მოსაწონია, ზოგი არა“ (2, 4).

ამ სიტყვებით რობაქიძე კი არ განუდგა ცისფერყანწელებს თავის გადასარჩენად (მას ეს არ ესაჭიროებოდა), უბრალოდ სიფრთხილით, მაგრამ მიუკერძოებლად სიმართლეს უთხრა საზოგადოებას. მაინც რამ ალაშქვითა ასე ქუთათურები? ალმანახში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის, ლელი ჯაფარიძის, გრიგოლ ჯაფარიძის, არისტო ჭუმბაძის, ელენე დარიანის, ივანე ყიფიანისა და იოსებ გრიშაშვილის ლექსები, ასევე აკაკი ფაღავას, ნიკო ლორთქიფანიძისა და ალექსანდრე ცირეკიძის მინიატურები. იმდროინდელი საზოგადოების განრისხება ძირითადად ჟურნალში დაბეჭ-

დიღმა ორმა წერიღმა გამოიწვია - პაოლო იაშვილის „პირველთქმა“ და ტიცინან ტაბიძის „ცისფერი ყანწებით“, რომღებიც ქართველი სიმბოღისტების მანიფესტებად შეგვიძღია მივიჩნოთ. მთვღემარე ქუთაისი შეაზანზარა პაოლო იაშვილის „პირველთქმის“ სიტყვებმა: „ვცოცხღობთ სიმთვრალეში და გვწამს ყოველგვარი ორგია, ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას, უარყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს, წარსუღის ოქროს გვირგვინებს გამოვსტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადვისროღეთ დავიწყების ზღვამი“(4, 2).

„პირველთქმაში“ სიმბოღისტურ თეორიათა გამოძახიღიც გვხვღდება: სიმბოღიზმი შემეცნების ორ გზას აღიარებს: ლოგიკურსა და ინტუიციურს. მათ შორის უპირატესობას ინტუიციურს ანიჭებს. ხოლო პოეზიას, როგორც ინტუიციური შემეცნების ერთ-ერთ სახეობას, სინთეზურ შემეცნებად თვღის. ამიტომ ყვეღამ უნდა აღიაროს პოეზიის ქვეშევრდომობა: „პირველთქმა ჩვენი არის შზამური, იგი ადღუღებული ფოღადიღვით დასწვავს თქვენს გულს, უწმინდესი ხეღოვნების მტერნო, თქვენ, ვისაც არა გწამთ ხეღოვნების მეფობა და მისი მაღალი ტახტის წინაშე არ აღიარებთ სამუღდამო ქვეშევრდომობას“(4, 1). პაოღოს აზრით, განახღლების მგოსანთა პოეზია გამთზარია „მახიღი ინტუიციისაღურობით“: „შეითვისეთ: უარყოფის სიღამაზე, გმირული სიჩქარე, განათებულ სიმღღლის სიყვარული, მღელვარების სიღიადღე, დამსხვრევის აღღრობა. გიყვარღეთ მეზური მისტერიები, ცეცხღის მოკიღდება მისი, რაც წარსულმა გაადიღა, გაუღიმეთ სიკვდიღის ძახიღს, დავიწყეთ სნეულნი და მახინჯნი, უარყავით ღმობიერება და ქაღური სინაზე. გიყვარღეთ ქაღი ვნებიანად და დაუზოგავად ამრავღეთ ხაღხი. ცეცხღი, ცეცხღი ყვეღაფერს, რაც შობს მწუხარებას და დაღღიღობას. უკვდავების სახეღით მოგმართავთ, ხაღხო: იწამეთ ჩვენი გზა თავისუფაღ მომავღისა“(4, 2-3).

პაოლო იაშვიღი „პირველთქმაში გვადღევს

საქართვეღოს მესიანიზმის იღეას: „მოფრინდა სურვიღი ოქროს ფრთებით და აიტაცა ცაში ჩვენი სიმღღრა, რომელიც ამიერიღან იქნება მარადი ისე, როგორც ჩვენი ქვეყანა, საქართვეღოს ხაღხო, დავიწყებულო, მაგრამ დიდებით დავვირგვინების ღღრსო!“ (4, 1).

ავტორი საქართვეღოს შემღდეგ უდიღეს ქვეყნად საფრანგეთს მიიჩნევს, რადგან სწორედ იქ დაირწა სიმბოღიზმის აკვანი: „საქართვეღოს შემღდეგ უდიღესი ქვეყანა არის პარიზი ... ადიღე, ხაღხო, ეს ჩვენი მრისხანე ქაღაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამზაზობღენ ჩვენი ღოთი ძმები - ვერღენი და ბოღღერი, მაღარმე, სიტყვების მესაიდღუმღე და არტურ რემზო, სიამაყით მთვრალი, დაწყეღიღი ჭაზუკი“(4, 2).

უდიღესი ეპატაჟითა და მართღაც მკრეხეღური „თავხეღობითაა“ აღსავსე სტატის ერთ-ერთი მონაკვეთი, რომელსაც შეუძღლებღია იმჟამინდელი „ნაღები“ საზოგადოების აღშფოთება არ გამოეწვია. ამის წაკითხვისას არცთუ უსაფუძვეღო ექვი გიჩნღება იმისა, რომ პაოლო განგებ ცდიღობს ხაღხის გარკვეული ნაწიღის გაღიზიანებას: „ჩვენი აღსარების მოსასმენად მოსულიყვენნ საცოდავი მომღღერღები ავადმყოფ ჩანგებით, ყვითელი მასწავღებღები ღმერთის ქაღაგების და პატოსნებისა, და მრავაღი სხვა მახინჯი და დაზრმავეღული, როგორც ქურღები და მათხოვრები, ისე შემაღულიყვენნ შორეულ ბუჩქებში და სწყეღიღენნ ჩვენ დღესასწაულს. იმ დროს ერთმა ჩვენგანმა, მთეღის თავის სიძღიერიღთ დაიძახა: „არული, არული თქვენ, საცოდავო საჭურისებო, და ხმა დაკარგულო მომღღერაღნო, დაჰშორღით ჩვენს გზას და გადიკარგეთ უთვაღო უფსკრულში“. „არული“ გაისმა ჩვენი საერთო ძახიღი. შიშმა შერკაღა მათი უწმინდური გული და გადასცვიღდენ უიმეღო მტრები ჩვენიღთ გამზადებულ ხრამებში. აღმოსავღეთით მოგვესმა სხვა ხმა. ჩვენკენ მოდიოდა საქართვეღოს ახაღგაზრდობა და გაღობდა სიმღღრას შეერთებისას ... შევერთღით და ერთხმად საქართვეღოს მომავღის მტრებს შევძახეთ,

„არული, არული, არული.“ გათენდა... ჩვენი სახეები გადაჰკოცნა ცისფრად შემოსილმა ბედნიერებამ. ჩვენ მზად ვიყავით მრისხანე ბრძოლისთვის“ (4, 2-3).

საქართველოს მომავლის მტრების ბრძოლაში გამოწვევასთან ერთად პაოლო პირობას დებს, როცა ცისფერი ყანწები ამოწურავს თავის თავს და განახლების ყვაილი სხვაგან გაიხარებს, ორდენის წევრები თავად „დაამასვრევენ“ თავიანთ თავზე მოელვარე გვირგვინებს: „ჩვენ თვით დავამსხვრევთ ჩვენს თავზე მოელვარე გვირგვინებს, როდესაც ვიხილავთ, რომ პირველი ნაპერწკალი ჩვენი კოცონისა მოკვდა სამუდამოდ. ჩვენ ფარული თრთოლვით უარვყოფთ საყვარელ დიდების ტახტს, როდესაც დავინახავთ, რომ სხვა მადლობზე გაიხარა ახალმა განახლების კოცონმა. საქართველოს ფირუზ ხელებს გადავეცით ჩვენი აღსარება, ჩვენი წმინდა პირველთქმა. ჩვენ არ ვშორდებით კოცონს. მოდით და ისმინეთ სხვა ქადაგება. ჩვენი ძლიერება უკვდავია, და მიტომ არ ვღელავთ პასუხის მოლოდინში“ (6, 25).

განხილული, ვფიქრობთ, დამაჯერებლად ცხადყოფს პაოლო იაშვილის რედაქტორულ-ჟურნალისტურ ცოდნას, ალღოს და პუბლიცისტიკის დონეზე სათქმელის გადატანის უნარს.

ლიტერატურა:

1. „ცისფერყანწელები „100 ლექსი“, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2007, მაია ჯალიაშვილი „ქართული პოეზიის დენდები - ცისფერყანწელები“.
2. გრ. რობაქიძე, „აუცილებელი განმარტება“, გაზეთი „სახალხო ფურცელი“, №541,1 აპრილი, თბ., 1916.
3. ჯაფარ ფაშა (ნ. ჯაფარიძე), „გრიგოლ რობაქიძის ლექცია“, გაზეთი „სამშობლო“, №330, 7 აპრილი, თბ., 1916.
4. ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, №1, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქუთაისი, 1916.

ლელა ბუთურიშვილი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პაოლო იაშვილის პუბლიცისტური და სარედაქციო მოღვაწეობის ისტორიიდან

რეზიუმე

შესავალ ნაწილში მიმოხილულია XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის მიმდინარეობები. აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ ძლიერი იყო ილიასა და აკაკის გავლენა, იყო ცალკეული მცდელობები ახალი მიმართულებების შემოტანისა, მაგრამ „თერგდალეულთა“ ზეგავლენას მაინც ვერ აღწევდნენ თავს.

ქართული ლიტერატურის იმდროინდელი ახალი მიმართულების პიონერებად მოგვევლინენ არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე და გრიგოლ რობაქიძე. სამივე მათგანი ქართულ ლიტერატურას მსოფლიო ჭრილში განიხილავდა და საქართველოში სიმბოლიზმის აუცილებლობაზე მიაწინებდა. კიტა აბაშიძის აზრით, XIX საუკუნის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას ევოლუციის შემდეგი საფეხურები უნდა გაეგო: რომანტიზმი - რეალიზმი - ნატურალიზმი - ნეორომანტიზმი - სიმბოლიზმი. ამავდარ მოსაზრებებს მოწინააღმდეგენიც მრავლად ჰყავდა, მაგრამ აღნიშნულმა დებულებამ წახალისა ახალი თაობა და რეალიზმის დეკადანსს საქართველოში მართლაც სიმბოლიზმის განვითარება მოჰყვა. პირველი სიმბოლისტური გაერთიანების - „ცისფერი ორდენის“ სახელწოდება მათი პირველი ბეჭდური ორგანოს „ცისფერი ყანწების“ სახელს უკავშირდება. ცისფერი ყანწების სიმბოლიკა ასეც არის ახსნილი: „ცისფერი პირველქმნილი ფერი, ამაღლებულის სიმბოლოა. „ცისფერი ყანწები“ პოეზიის ალეგორია“.

სატატიის ავტორი გვაცნობს პირველ ციფერყანწელებს: გრიგოლ რობაქიძეს, ტიციან ტაბიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, კოლაუ ნადირაძეს, სანდრო ცირეკიძეს, ალი არსენიშვილს, ნიკოლო მიწიშვილს, გიორგი ლეონიძეს, შალვა აფხაიძეს და პაოლო იაშვილს. მათ დააარსეს საკუთარი

გამოცემა - „ცისფერი ყანწები“, რომელსაც პაოლო იაშვილი რედაქტორობდა. სტატიის მომდევნო ნაწილში ავტორი პაოლო იაშვილს, მისი სარედაქციო წერილის - „პირველთქმა“ - მიხედვით წარმოგვიდგენს, როგორც პროფესიონალ ჟურნალისტს და რედაქტორს, საამისოდ მრავლად გვაცნობს ამონარიდებს მისი სტატიიდან, რომელსაც იგი თითქმის ქართველი სიმბოლისტების მანიფესტებად მიიჩნევს.

განხილული, ვფიქრობთ, დამაჯერებლად ცხადყოფს პაოლო იაშვილის რედაქტორულ-ჟურნალისტურ ცოდნას, ალღოს და პუბლიცისტიკის დონეზე სათქმელის გადატანის უნარს.

საკვანძო სიტყვები: „თერგდალეულები“, „ცისფერი ორდენი“, „ცისფერი ყანწები“, სიმბოლიზმი.

*Lela Buturishvili, PhD,
Georgian Technical University*

From the journalistic and editorial work history of Paolo Iashvili

SUMMARY

The author of the article in the introduction section highlights Georgian literary works of beginning of XX century. Notes, that it still has been the impact of Ilia and Akaki. There were some attempts in bringing in a new direction, but couldn't escape from influence of “Tergdrunk” society.

The author of the article considers that of the time of Georgian literature pioneers of the new direction appearance Archil Jorjadze, Kita Abashidze and Grigol Robakidze. All three of them discussed Georgian literature in the context of the world and pointed the necessity of symbolism in Georgia. By the view of Kita Abashidze, the writing of XIX century have to go through the next stages of evolution: romanticism - realism – naturalism – neo romanticism – symbolism. Such considerations had many opponents, but the regulation has encouraged a new generation and decades of realism in Georgia

was followed by development of symbolism. The first Symbolists Union by the name of “Blue order” is connected to the first printed body “Blue horns”. Blue horns symbols indeed written: blue color is the original color, elevated symbol. “Blue horns” are the allegory of poetry.

The author of the article represents the first members of Blue horns Society: Grigol Robakidze, Titsian Tabidze, Valerian Gaprindashvili, Kolau Nadiradze, Sandro Tsirekidze, Ali Arsenishvili, Nikolo mitsishvili, Giorgi Leonidze, Shalva Apkhaidze and Paolo Iashvili. They founded their own edition “Blue horns” by editor of Paolo Iashvili. In the next part of the article the author represents Paolo Iashvili according to his editorial – “first saying” as the professional journalist and editor, for it introduces many excerpts from his article, which he considers almost all Georgian Symbolists manifesto.

The conclusion of the author: Reviewed, we think, convincingly shows Editorial-journalistic knowledge of Paolo Iashvili, flair and transfer ability of his say in publicist level.

Key words: “Tergdaleulebi”, “Tsisferkantselebi”, “tsisferi kantsebi”, simbolizm.

*Лела Бутуришвили, Докторант,
Грузинский Технический Университет*

Из истории публицистической и редакционной деятельности Паоло Иашвили

РЕЗЮМЕ

Автор статьи вступительной части статьи делает обзор направлении грузинской литературы начала 20-ой столетии. Она подчеркивает, что в литературе пока еще ощутимо было влияние Или Чавчавадзе и Акакия Церетели. Естественно, были отдель-

ные попытки внесения новых направлений, но тогдашние литераторы все еще оставались под влиянием т.н. «Тергдалеулеби».

Автор Статьи считает, что пионерами внесения новых направлений в тогдашней грузинской литературе явились Арчил Джорджадзе, Кита Абашидзе и Григол Робакидзе. Все трое грузинскую литературу обсуждали в всемирном отношении и указывали на необходимость символизма в Грузии. По мнению Кита Абашидзе, грузинская литература 19-ой столетия должно была пройти следующие ступени эволюции: романтизм – реализм – натурализм – неоромантизм – символизм. Таким соображениям противостояли многие, но все таки этот устав поощрил новое поколение и в Грузии за реализмом декаданса следовал развитие символизма. Название первой символистической объединения – «Циспери Орден» (Голубой Орден) – связан с первым печатным органом этой объединении «Циспери Кантсеби» (Голубые Рога). Символика «Циспери Кантсеби» определено так: Голубой цвет – это первейший цвет,

символь возвышении. Голубые Рога - это аллегория поэзии.

Автор статьи нас знакомит первых цисперкантселеби: Григол Робакидзе, Тициан Табидзе, Валериан Гаприндашвили, Колау Надирадзе, Сандро Цирекидзе, Али Арсенишвили, Николо Мицишвили, Гиорги Леонидзе, Шалва Апхайдзе и Паоло Иашвили. Они основали собственное издание – «Циспери Кантсеби» (Голубые Рога), редактором которой был Паоло Иашвили.

В следующей части статьи автор нас знакомит Поало Иашвили по его редакционного письма под названием «Предисловие», как профессионального журналиста и редактора, приводя много цитат из названной статьи. Вышеупомянутое письмо автор статьи считает манифестом грузинских символистов.

Автор статьи делает вывод: Обсужденное письмо, думаю, убедительно доказывает редакторно-журналистские знания и чутьё Паоло Иашвили, его способность перенести на уровне публицистики свои мысли.

Ключевые слова: „Тергдалеулеби“, „«Циспери Кантсеби»“, „Цисперкантселеби“, символизм.

ტიციან ტაბიკი პუბლიცისტი

ლელა ბუთურიშვილი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: ფუტურიზმი, „ცისფერი ორდენი“, „ცისფერი ყანწები“, სიმბოლიზმი.

ტიციან ტაბიკე არა მხოლოდ პოეტური ნო-
ვაციებით გამოირჩევა, არამედ პუბლიცისტური
მოღვაწეობითაც მიიქცია ყურადღება. პაოლო
იაშვილის ემოციური „პირველთქმისგან“ გან-
სხვავებით, ტიციან ტაბიკის წერილი „ცისფერი
ყანწებით“ უფრო აკადემიური ხასიათისაა. ტი-
ციან ტაბიკემ ესეში „ცისფერი ყანწებით“ იდე-
ალიზმს „ჭეშმარიტი ქართული მსოფლმხედ-
ველობა“ დაუპირისპირა: „ცისფერი“ ფერია
რომანტიზმის... ფილოსოფიურმა იდეალიზმმა
იმაში ნახა გამოსავალი. საქართველოში „ცისფერ
ყვავილს“ ღერო წითელი ქონდა. ქართველები-
სათვის ცა და მიწა სამუდამოდ არასოდეს არ
გაყრილან... გულგრილად ვუცქერთ ახლაც მატე-
რიალიზმის და იდეალიზმის დუელს... ჩვენში
უკვე შერიგდნენ სული და ხორცი“(1, 21).

ეს წერილი საქართველოში სიმბოლიზმის არ-
სებობის გამართლების თეორიული მცდელობაა:
„ქართველ ხალხში სცხოვრობს უკვდავი აქტი-
ორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს,
იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების
...ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი
სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღბის და ამიტომ
სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია“(1, 25).

„ცისფერყანწელები“ თავიანთი უკომპრომი-
სო გამონათქვამებისა და ეპატაჟის გამო ზოგმა
კრიტიკოსმა ფუტურისტებად მონათლა. ამ
დაბნეულობას კიდევ უფრო უწყობდა ხელს
ის ფაქტი, რომ ტიციანი თავის ზემოხსენებულ
წერილში არა თუ უპირისპირებდა ერთმანეთს
სიმბოლიზმსა და ფუტურიზმს, არამედ თავისი
მოსაზრებების დასამტკიცებლად ფუტურიზმის
ავტორიტეტებსაც კი იშველიებდა: „ახალი ფუ-
ტურისტების ტერმინოლოგიით თანამედროვე

კულტურა წარმოადგენს უზარმაზარ ქალაქს...“
ან: „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უდნა
შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი
მე მესმის როგორც ქართული სიტყვის შემკრები
ერთეული და მალარმე ამავე აზრით ევროპის
პრეზენტის და ფუტურიზმის“(1, 26). ამ
ფრაზაში ფუტურიზმი უნდა გავიგოთ სიტყვის
პირდაპირი მნიშვნელობით, ანუ როგორც „მო-
მავლის ხელოვნება“ და არა როგორც ლიტერა-
ტურული სკოლა, რომელიც მაშინ საქართველოში
ჯერ არ არსებობდა.

ტიციან ტაბიკეს სიმბოლიზმით გატაცება
მშობლიური მწერლობის ღალატად არ მიაჩნდა:
„სიმბოლიზმი ჩვენში რომ უცხოეთიდან მო-
დის, ამაში არაფერი საფრთხე არ არი. ჩვენ ვი-
ცით, რომ ისტორიულ დროში საქართველო
იმყოფებოდა ბევრი სხვადასხვა კულტურის
გავლენის ქვეშ. ბევრი გადმოუღია იმას ბერ-
ძნულ, არაბულ, სპარსულ კულტურის, ბევრი
იმათთვისაც გაუტანებია. ამას არაფერი დაუშლია
რუსთაველისთვის შეექმნა „ვეფხისტყაოსანი“,
რომელშიც უაღრესად არის გამოჩენილი ქარ-
თული სული. ...როცა ხალხი იღებს სხვისგან
რამეს, იმას თავის ბრძმედში ატარებს. ნაციონა-
ლური აპერცეფციის ძალით ერი ითვისებს იმას,
რაც მის ეროვნულ თავისებურებას ეგუება, რასაც
იმასთან ახლობელი კავშირი აქვს.სიმბოლიზმს
ამ შემთხვევაში ბევრი შეუძლია მოუტანოს
ქართველ ერს.(1, 25).

ტიციანი ქართული მწერლობის დაშტამპუ-
ლობასა და შაბლონურობაზე ჩივის. მიუხედავად
იმისა, რომ სიმბოლიზმმა ევროპაში თავისი დრო
მოლია და უკვე ადგილს უთმობს სხვა უფრო
ახალ მიმდინარეობებს, საქართველოში მას
„ღამეც არ გაუთევია“: „ბატონი შაბლონი დღეს
მალაყს გადადის ჩვენს ლიტერატურაში. იგი
მრავალსახიანია, მრავალფეხიანი და კომმარი-

ვით აწევს ქართულ სინამდვილეს... თუმცა სიმბოლიზმი... კლასიკურ შკოლად იქცა და ერთი თვალთ უყურებს კიდევ თავის საფლავს... ჩვენში სამბოლიზმს ღამეც არ გაუთევია, მხოლოდ ახლა იწყებს ხაზების გახსნას, მხოლოდ დღეს ხდება ეს შეჯგუფება. მართალია ჯერ კიდევ ბიდნია, მაგრამ ეს ბინდია საგარიჟრაჟო“(1, 24).

ტიციან ტაბიძე იმდროინდელი ქართული სიმბოლიზმის „სამებას“ ასახელებს: პოეზიაში - გრიგოლ რობაქიძესა და გალაკტიონ ტაბიძეს, ხოლო ბელეტრისტიკაში - ნიკო ლორთქიფანიძეს. საქართველოში სიმბოლიზმის პირველ-შემომტანად და მოდერნიზმის სახარების მქადაგებლად გრიგოლ რობაქიძეს მიიჩნევს: „პირველი მოციქული სიმბოლიზმის სიტყვიერად ქადაგებდა მოდერნიზმის სახარებას. გრ. რობაქიძის აქაფებული სიტყვა, აღმაფრენი ფანტაზია, თვალისმომჭრელი სახეები ძვირფასი მოგონებაა ჩვენი ახალგაზრდობისა. პირველად იმან შეგვახედა იოჰანანის მოჭრილ თავს, პირველად იმან მოგვასმინა ნიცმეს მწვალბეული სიტყვა. ... გრ. რობაქიძეს ... ერთი ფრაზაც არ შეუცვლია, ერთი მხატვრული სახეც არ მიუტანია მსხვერპლად იმისთვის, რომ უფრო გასაგები ყოფილიყო, რაც იმაში უთუოდ ხაზს უსვამს დიდ მხატვარს. როგორც პირველი მოციქულები სახარების ქადაგების დროს არ კარგავდენ თავიანთ პიროვნებას და თავისებურად ამხელდენ ქრისტეს (გერმანულ ფილოსოფიაში არის ტერმინი პავლიანიზმი ანალოგიური ქრისტიანიზმის) გრ. რობაქიძეც ამბობდა თავისას“(1, 23).

ტიციანი გალაკტიონ ტაბიძეს „სიმბოლიზმის შხამიანი ყვავილის“ ღირსეულად გამზრდელად წარმოგვიდგენს. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ახალგაზრდაა და ჯერ კიდევ ყველაფერი წინა აქვს: „გ. ტაბიძე ... ახალგაზრდაა ამ სამებაში და ყველაზე მეტად ეტყობა სიმბოლიზმისკენ გადახრა. „მე და ღამე“ გვიჩვენებს, რომ მისი სული უძიროდ ღრმია, მგოსანიც შორს იყურება შიგ და გრძნობასაც დაკრავს საბედისწერო ელფერი. პირველი წიგნის ნერვების ტოკვაზე ეტყობა, რომ გაზრდის შხამიან ყვავილს სიმბოლიზმისას, რაც

ძვირად არ დავაფასოთ ის, რაც იმან მოგვცა, მაინც იმაზე მეტი მომავალშია“(1, 24).

რაც შეეხება ნიკო ლორთქიფანიძეს, ავტორი მას დოსტოვესკის ადარებს და ეტიუდების ჯადოქარს უწოდებს: „ნ. ლორთქიფანიძე ძუნწი თავადია, ძალიან ძვირად სწერს ... მის ეტიუდებში მოსჩანს მხატვარი, მის ძვირფას ოპორტებს ჩვენ გულით ვატარებთ. ეტიუდებში ისეთი ხვეულებია აზრების და გრძნობების, ისეთი გადასავალი ტრაგიულის გულუბრყვილოზე, ხანდახან დოსტოვესკისებური ავხორცობაც, რომ გრძნობ ჯადოქრის ხელს და გინდა, რომ დახაზოს დიდი სურათი, რომლის დახატვა ჯერ მარტო იმას შეუძლია“(1, 25).

სიმბოლიზმის ერთგულება „ცისფერი ორდენის“ წევრებს ყოველგვარი კლასიკურის და, კერძოდ, წარსული ქართული ლიტერატურის „უარყოფასაც“ ავალბდა. თუმცა ეს უარყოფა უფრო არტისტული პოზა, ნიღბის სიყვარული იყო. წარსულ მოღვაწეთა უარყოფა პირველად ტიციან ტაბიძის წერილში „ცისფერი ყანწებით“ ჩანს. იგი სამოციანელებს „ბრალდებად უყენებს“, რომ მათ „ქართული პოეზიის ყვავილს დაუწყეს შეცვლა რუსულ ხორბალად, ... ამ „ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა“ მწერლობა გაიხადეს სამიკიტნო ზალად და პოეზია გაზეთად ... ჩვენ უარს არ ვყოფთ „სამოციანელთა“ მწერლების საზოგადოებრივ დამსახურებას, მაგრამ იმათ სამაგიეროდ არ აქვთ ესტეტიური დამსახურება. თავიანთი გაადვილებული ორთოგრაფიით იმათ დამარხეს ქართული ლექსი“(2, 12). ავტორი კიდევ უფრო კრიტიკულია ილიასა და აკაკის ეპიგონებისადმი: „აკაკის და ილიას ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მოქალაქეობრივ მოტივებში ხანდახან ნახულობდნენ ნამდვილ პოეზიას, შემდეგ მათმა შკოლამ მიიღო კარიკატურული სახე და დღეს უიმედოდ გაჰკვივის მოქალაქეობრივი არღანი კაკაფონიას“(2, 14). სხვაგან კი წერს: „ილია ასცდა „ნამდვილი პოეზიის რკალს“.

თავიანთ უშუალო წინამორბედთა ღვაწლის უარყოფის მიუხედავად, აქაც აღმოჩნდა ხელშე-

უხეხელი სახელი „ვაჟა“: „ვაჟა დიდი პროტესტია ძველი საქართველოსი და მთაწმინდა ისე არავის ერგებოდა, როგორც ამ წმინდა მთას...“ (2, 13).

ტრადიციული ქართული მწერლობის უარყოფა ცისფერყანწელებისათვის თვითმიზანი არ ყოფილია. ისინი მხოლოდ რეალისტურ მწერლობას დაუპირისპირდნენ. ხოლო თავი ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციების გამგრძელებლებად გამოაცხადეს: „ცისფერი ყანწები როგორც შკოლა თავის თავს ამტკიცებს ეროვნულად. ინდივიდუალიზმი, თავისუფალი შემოქმედების, ხელოვნების თვითმიზნობა, რომელსაც დღეს ქადაგებს ეს შკოლა საქართველოსთვის არ არი ახალი. რუსთაველის და ბესიკის შემდეგ ამის მტკიცება თითქოს გაუგებარია. ...ჩვენ უარს ვუბნებით ჩვენს ახლობელ წინაპართა ნაშრომს, რადგანაც ის არ აკმაყოფილებს, როგორც საზოგადოდ ხელოვნების, ისე ქართული ძველი ხელოვნების მოთხოვნილებათ, მაგრამ აქედან კიდევ შორს არი წარსულის არ მიღება“ (2, 14).

ტიციან ტაბიძე სტატიამი სვამს კითხვას: რა არის ახალი ქართულ სიმბოლიზმში, თუ იგი თავის თავს წარსულის დებულებებით ამართლებს? კითხვას თავადვე პასუხობს: „ეს კითხვა დაუსვეს ფრანგ სიმვოლისტებსაც, ჩვენი პასუხიც ისეთია, როგორც ფრანგი სიმვოლისტების: - ახალი ის არი, რომ ჩვენ მოგვაქვს ის, რაც თქვენ ქონდათ გაუფრთხილებლობა დაგვეიწყებინათ, რომელსაც, რასაკვირველია, თან ემატება ახალიც“ (2, 15).

ამავე წერილში ავტორს დაყენებული აქვს ქართული მესიანიზმის იდეა. უმთავრეს როლს საქართველოს ეროვნულ აღორძინებაში სწორედ მწერალს ანიჭებს: „დღეს იწყება ძირიანად შეცვლა ქართული აზროვნების, ...დამონებული სული უბრუნდება თავის ძველ ბუდეს. რამდენადაც გაიზრდება ეროვნული შეგნება, იმდენად ჩვენ ვუახლოვდებით წარსულს და ინაკვთება ქართული იდეა. საქართველოს ხელოვნების მომავალიც ამ იდეის გაშლით გაიზომება. ...საქართველოს ეროვნული აღდგომა

უნდა იქნეს აღდგომა ლომის ძველი ქართული იდეით. მაშინ არ იქნება საჭირო „მშვენიერი ტყუილი“, რადგან ეროვნული აღდგომა იქნება დიდი სინამდვილე, ქართველი მხატვარიც ნახავს მაშინ თავის ამდენხანს დაკარგულ სულს, ნახვს და გაიხარებს, ეს იქნება უდიდესი სასწაული და ეს სასწაული იქნება...“ (2, 15).

1916 წელს „ცისფერყანწელებს“ სურდათ ყოველკვირეული სალიტერატურო გაზეთი „ცისფერი ყანწების“ გამოცემა, მაგრამ ეს განზრახვა ვერ განახორციელეს. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ უარი უთხრა „გაურკვეველი მიმართულების“ ჯგუფს მისი სტამბით ესარგებლა. ისტორია ისევ გამეორდა, მხოლოდ ახლა „მამათა თაობას“ სამოციანელები წარმოადგენდნენ. ამან ვერ შეაჩერა მემბოხე პოეტები: საჯარო გამოსვლები დაიწყეს, ლიტერატურულ სადამოებს აწყობდნენ სხვადასხვა კაფეებში, თვითრეკლამასა და საკუთარი იდეების პროპაგენდას ეწეოდნენ. ყოველივე ამით კი იმას მიაღწიეს, როცა 1916 წლის დამლევს „ცისფერი ყანწების“ მეორე და უკანასკნელი ნომერი გამოვიდა, ძველებური ვნებათა ღელვა აღარ მოჰყოლია. ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ დახურვა დიდი დარტყმა იყო ორდენის წევრებისათვის და არა მარტო... მართალია, მათ განაგრძეს ჟურნალისტური მოღვაწეობა, მაგრამ მუდმივად „ცისფერი ყანწების“ აღდგენაზე ოცნებობდნენ. ამის დასტურია ტიციან ტაბიძის სიტყვები, რომლებიც გაზეთ „ბარრიკადის“ მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით დაწერა: „დღემდე ბევრი მოსაზრებები და მათ შორის ტეხნიკური დაბრკოლებებიც გვაიძულებს, რომ ჩვენ კიდევ განვაახლოთ „ბარრიკადი“-ს გამოცემა: ესეც ერთგვარი სუროგატი იქნება, აქ არ იქნეს ის უკანასკნელი თქმა პოეზიაში რომელსაც ამზადებს „ცისფერი ყანწები“ (3, 1).

ამრიგად, ტიციან ტაბიძის პუბლიცისტური ხედვა და საქმიანობა ცხადყოფს, რომ ცისფერყანწელებისათვის ჟურნალისტური საქმიანობა შინაგანი მოთხოვნილება იყო. მათი ღრმა

რწმენით, პრესა საზოგადოებრივი აზრის შექმნის უმძლავრესი იარაღია. ამას მათი რედაქტორობით გამოსული გაზეთები და ჟურნალებიც ადასტურებენ. ამ გამოცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს არამარტო ცისფერი ორდენის პუბლიცისტიკის შესწავლისათვის, არამედ XX საუკუნის დასაწყისის ქართული ჟურნალისტიკის თავისებურებების დასადგენადაც.

ლიტერატურა:

1. ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, №1, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქუთაისი, 1916.
2. ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, №2, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქუთაისი, 1916.
3. გაზეთი „ბარრიკადი“, „ბარრიკადი მეოთხე წელი“, №1, თბ., 1924.

*ლელა ბუთურიშვილი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ტიციან ტაბიძე - პუბლიცისტი

რეზიუმე

სტატიის ავტორი ქართული სიმბოლისტიკის ერთ-ერთ ფემედებელს, ტიციან ტაბიძეს წარმოაჩენს როგორც პუბლიცისტს. „ცისფერყანწელთა“ გამოცემის პირველივე ნომერში იბეჭდება ტიციანის ვრცელი წერილი სათაურით „ციფერი ყანწებით“. ეს პუბლიკაცია გამოირჩევა თავისი აკადემიურობით. იგი საქართველოში სიმბოლიზმის არსებობის გამართლების თეორიული მცდელობაა: „ქართველ ხალხში ცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების... ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღბის და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია“ - მიიჩნევს ტიციან ტაბიძე.

სტატიის ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას,

რომ ტიციანი ქართული მწერლობის დამტამპულობასა და შაბლონურობაზე ჩივის. მიუხედავად იმისა, რომ სიმბოლიზმმა ევროპაში თავისი დრო მოლია და უკვე ადგილს უთმობს სხვა უფრო ახალ მიმდინარეობებს, საქართველოში მას „დამეც არ გაუთევია“. იქვე, ტიციან ტაბიძე იმდროინდელი ქართული სიმბოლიზმის „სამებას“ ასახელებს: პოეზიაში - გრიგოლ რობაქიძესა და გალაკტიონ ტაბიძეს, ხოლო ბელეტრისტიკაში - ნიკო ლორთქიფანიძეს. შემდეგ კი ვრცლად ხსნის იმას, თუ რატომ მიიჩნევს ამ სამეულს სიმბოლისტებად.

სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ ცისფერყანწელებმა და უპირველესად ტიციანმა აღნიშნული წერილით მკაცრად გაილაშქრა ყოველგვარი კლასიკურის და, კერძოდ, წარსული ქართული ლიტერატურის წინააღმდეგ, კრიტიკას ვერ აცდა თვით ილიაც კი, თუმცა ხელშეუხებელიც აღმოჩნდა და ეს იყო ვაჟა-ფშაველა.

ცისფერყანწელები რეალისტურ მწერლობას დაუპირისპირდნენ. თავი კი ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციების გამგრძელებლებად გამოაცხადეს. ამავე წერილში ტიციანს დაყენებული აქვს ქართული მესიანიზმის იდეა. უმთავრეს როლს საქართველოს ეროვნულ აღორძინებაში ტიციანი სწორედ მწერალს ანიჭებს.

ცისფერყანწელებს სურდათ, რომ გაზეთი „ცისფერი ყანწები“ ყოველკვირეულად გამოსულიყო, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ხელი შეუშალა. ამის შემდეგ ცისფერყანწელები იწყებენ ლიტერატურული საღამოების გამართვას, საჯარო გამოსვლებს. ამით ისინი მაინც აღწევენ დასახულ მიზანს.

სტატიის ავტორი ასკვნის: ტიციან ტაბიძის პუბლიცისტური ხედვა და საქმიანობა ცხადყოფს, რომ ცისფერყანწელებისათვის ჟურნალისტური საქმიანობა შინაგანი მოთხოვნილება იყო. მათი ღრმა რწმენით, პრესა საზოგადოებრივი აზრის შექმნის უმძლავრესი იარაღია. ამას მათი რედაქტორობით გამოსული გაზეთები და ჟურნალებიც ადასტურებენ. ამ გამოცემებს დიდი

მნიშვნელობა აქვს არამარტო ცისფერი ორდენის პუბლიცისტის შესწავლისათვის, არამედ XX საუკუნის დასაწყისის ქართული ჟურნალისტიკის თავისებურებების დასადგენადაც.

საკვანძო სიტყვები: ფუტურიზმი, ცისფერი, „ცისფერი ყანწები“, „ცისფერყანწელები“ სიმბოლიზმი.

*Lela Buturishvili, PhD,
Georgian Technical University*

Titsian Tabidze – Publicist

SUMMARY

In the article the author one of the foundation of Georgian Symbolism, Titsian Tabidze represents, as a publicist. In the first issue of “Blue Horn Society” there was printed extensive letter of Titsian with a title of “Blue Horns”. This publication is signified with its academic. It is the attempt of justification theory that there is symbolism in Georgia. “In the Georgian people there is living undying active spirit. It always wants to be the other, it likes playing of live... Georgian people like mask, the symbolism just is the philosophy of this mask and that’s why symbolism is necessary for us” – considers Titsian Tabidze.

The author of the article underline the event that Titsian Tabidze complains about the extrude and stereotypically of Georgian writing. In spite of this that symbolism in the Europe ends and makes way for newer course, in the Georgia it “didn’t spent a night”. Titsian Tabidze also names those times Georgian symbolism of “Trinity”: in the poetry Grigol Robakidze and Galaktion Tabidze, and in the fiction – Niko Lortkipanidze. And then he explains widely why he considers threesome as the symbolist.

The author of the article considers that Blue Horns Society and first of all Titsian attack

severely with this letter classicism and performed privately in the past against the Georgian literature, Iliia couldn’t miss criticism too, however, proved to be untouchable and he was Vazha-Pshavela.

Blue horns society counteracted to the realistic literature, and this time they announced Themselves as the continuer of traditions of old Georgian literature. In the same letter he has raised the idea of Georgian messiansm. A major role in the national revival of Georgia Titsian Tabidze considers right the writer.

Blue Horns Society wanted that the newspaper “Blue Horns” was published in every week, but they couldn’t do this. Spreading of literacy among Georgian community disrupted them. After this Blue Horns Society begin to hold literary evenings, public speaking. By doing so, they could still reach their goal.

The author of the article concludes: Titsian Tabidze’s publicist reveals the vision and activities shows that Blue Horns journalistic activities were internal demand. They are convinced that press is the greatest tool for the creation of public opinion. The newspapers and magazines by their edited accepts this too. This issue has great importance not only learning to blue order publications, but in order to determine the specific features of beginning of XX century Georgia journalism.

Key words: futurizm, blue, “Tergdaleulebi”, “Tsisferkantse-lebi”, “tsisferi kantsebi”, simbolizm.

*ლელა ბუთურიშვილი, დოქორანტი,
გურიის ტექნიკური უნივერსიტეტი*

Тициан Табидзе - публицист

Резюме

Автор, Лела Бутურიшвили, в статье читателю представляет Тициана Табидзе,

одного основателя грузинской символистики, как публициста. В первом же номере издания «ЦисперКантселеби» публикуется обширное письмо «С голубыми рогами». Эта публикация выделяется академичностью. Письмо, можно сказать, есть попытка оправдания существования символизма в Грузии: В грузинском народе живет бессмертный актерский дух. Он всегда хочет быть другим, он любит театрализовать жизнь... Грузинский народ любит маску, символизм как раз и есть философия этой маски и по-этому существование символизма обязательно нужна для нас. – так считает Тициан Табидзе.

Автор статьи подчеркивает то обстоятельство, что Тициан жалуется на штамповку и шаблонность грузинской литературы. Не смотря на то, что символизм для Европы это уже прошлое, которое уступает место другим более новым направлениям, в Грузии он, фигурально говоря, пока еще и не переночевал. Тут же Тициан Табидзе называет троицу тогдашнего грузинского символизма: в поэзии – это Григол Робакидзе и Галактион Табидзе, а в беллетристике – Нико Лордкипанидзе. Потом он детально объясняет, почему воспринимает эту троицу символистами.

Автор статьи считает, что «Цисперкантселеби» (Голуборогие), а в первую очередь Тициан Табидзе, обсуждаемым письмом устроили строгий поход против всякой классической литературы, а в частности, против прошлой грузинской литературы. Критиковали даже самого Ильи Чавчавадзе,

однако оказался и неприкасаемый писатель – это был Важа-Пшавела.

«Цисперкантселеби» (Голуборогие) противостояли реалистичному литературе, а себя они объявили наследниками традиции древней грузинской литературы. В том же письме Тициан Табидзе ставит вопрос об идее грузинского мессианизма. Тициан Табидзе главную роль в национальной возрождении Грузии отдает писателю.

«Цисперкантселеби» (Голуборогие) хотели, чтобы газета «Циспери Кантсеби» (Голубые рога) становилась ежедневной, но эту идею не поддержали тогдашние влиятельные организации, после чего «Цисперкантселеби» (Голуборогие) начинают организовать литературные вечера, публичные выступления. Этим они все таки достигают своей цели.

Автор статьи делает вывод: публицистическое видение и деятельность Тициана Табидзе доказывает, что для «Цисперкантселеби» (Голуборогих) журналистская деятельность была внутренней потребностью. Они глубоко верили, что пресса была сильное оружие для создания общественной мнения. Этому свидетельствуют газеты и журналы, издаваемые под их редакторством. Эти издания имеют огромное значение не только в деле изучения публицистики т.н. голубого ордена, но и в определении свойств грузинской журналистики начала XX столетия.

Ключевые слова: футуризм, голубой, „Циспери Кантсеби“, „Цисперкантселеби“, символизм.

**XIX-XX საუკუნეების ქართული პროზის
ლექსიკის საკითხები**

*დიანა ჟღენტი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



საკვანძო სიტყვები: გასაგები ენა, საინტერესო ლექსიკა, თავისებურად ნაწარმოები სიტყვები, სიტყვის დიდოსტატი, დიალექტიზმები, არქაიზმები.

XIX-XX საუკუნეების ქართული მწერლობა ყურადღებას იქცევს ე. წ. ლექსიკური “მარგალიტებით”, მრავალფეროვანი და საინტერესო ლექსიკის უზადლო ნიმუშებით.

მაგალითისათვის განვიხილოთ XIX და XX საუკუნეების სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე ქართველი მწერლის ენობრივი ლექსიკა.

დიდი პედაგოგი, ქართული ანბანის შემქმნელი, იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის იდგა დედენის სიწმინდის სადარაჯოზე. იგი ცდილობდა, ეწერა მარტივი, ახალგაზრდობისათვის გასაგები ენით. ყურადღებას იქცევს მწერლის საინტერესო ლექსიკა, სიტყვაწარმოების ნიმუშები.

1) საკუთარ სახელთა კნინობითის ფორმები, **ა** სუფიქტით გაფორმებული:

გიფუა საოცარ სიმარჯვეს იჩენდა (59)

ლექსუა მწყერაობაზე მარტო აღარავის უნახავს (31)

ილ სუფიქტით გაფორმებული ალერსობითის ფორმები.

რისგან არის, **დედილო**, რომ ზოგს კვერცხში ჩანასახი არის? (55)

უნა სუფიქტით გაფორმებული – **გოგოცუნა**:

ხუთი წლის **გოგოცუნა** ასცდა თავის დედასა (19)

ია – **ა**-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან

ჩვენ **ციცუნას** ექვანი შევაბით (15)

ამ სახელში კნინობითის ორი მაწარმოებელია – **უნა** და **ია**. იგი მიღებული უნდა იყოს **ციცუნა**-ზე **ია** სუფიქსის დართვით.

შეინიშნება **იერ** და **იან** სუფიქსთა მონაცვლეობა: ყველა უწინდელს ქალაქებზე უფრო **ხნიანია** (241)

ქართულის ბუნებრივი **სი** – **ე** აფიქსების ნაცვლად სიტყვა **ობა** სუფიქსითაა გაფორმებული, რაც ნიშანდობლივია ქართლური დიალექტისათვის.

სკვებში **ვიწროობა** შეიქმნება (176)

მოთმინება და **ბეჯითობა** უნდა სოფლის მუშაობასა (177)

მებაღეობის ნაცვლად მწერალი იყენებს უმუალოდ სახელის ფუძეზე დართულ **ოსან** სუფიქსის რედუცირებულ ფორმას – **ბაღოსნობა**:

...შინაური პირუტყვის მოშენებასა და **ბაღოსნობაში** (285)

შეიძლება ითქვას, რომ მწერლის მიერ ძირითადად ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმებია გამოყენებული.

სიტყვიერი მასალის სიუხვით გამოირჩევა სიტყვის დიდოსტატის დემნა შენგელაიას თხზულებები. ამ მწერლის წერის მანერა მკვეთრად განსხვავებულია. მიმლეობის საწარმოებლად, ნაცვლად სუფიქსისა, მწერალი **ნა** პრეფიქსს იყენებს.

ტყავეკემ ჩვენგან **წანაგლეჯი** ქონი გაქვთ (ბ.ქ.)

კირით **შენაფეთქავი** კედლები აათვალიერა (ბ.ქ.)

სუფიქსიან ფორმასთან შედარებით მწერალი უსუფიქსო ფორმას ანიჭებს უპირატესობას:

ოთხკუთხი თავი მხრებში ჩაიტანა (ბ.ქ.)

მწერლის ენაში შეინიშნება უცხო სუფიქსის, “ხანა”-ს გამოყენება. “ხანა” სპარსულია და, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ნიშნავს სახლს [1.145]. ეს სუფიქი დ. შენგელაიას ენაში ძირითადად ამავე მნიშვნელობით იხმარება.

დაბახანაში აღარ ისმოდა ქობინების ცემა (ირ. ნ.)

ლილახანაში აღარ ფრიალებდნენ ნარმის ფოთლები (ირ. ნ.)

..... **დავთარხანაში** ზის (ირ. ნ.)

სხვა შემთხვევაში ამ სუფიქსს ალერსობითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საკუთარ სახელში:

ჩემი **დარუხანა** გოგო (შთაგ.)

აღსანიშნავია, რომ დ. შნგელაია კომპოზიტთა შემქნის დიდოსტატია. კომპოზიტთა დიდი ნაწილი შემქნილია არსებითი სახელისა და წარსული დროის მიმღეობის შეერთებით.

მაგალითად: ანწლმორეული, ბურტყელგამარცვნილი, რიჟრაჟნაკრავი, რქაწახერხილი, მხარგადაგლეჯილი, ზარხოშნაკრავი, ლულადაჭყლეტილი...

შეინიშნება მწერლის ენისათვის დამახასიათებელი ფრიად მნიშვნელოვანი თავისებურება – არქაიზმების ხმარება. დ. შნგელაია არქაიზმებს ზომიერად იყენებს – ძირითადად ისტორიული წარსულის ამსახველ ნაწარმოებებში (“შემოქმედი”, “ბაშკადიკლარ”...).

მაგალითად:

“ვახტანგ ნახა” – ცხლად გამომქუხარ ვემაში ერთად ჩაფუფქულიყვენ (შემოქმ.)

“ბეშქენ შედგა” (შემოქმ.)

“წერად ვემზადები” (შემოქმ.)

“დანტე **ჯოჯოხეთად** ჩავიდა”; **“ტყედ** გაველით”... (შემოქმ.).

არქაიზმები დასტურდება ლექსიკაშიც:

ყალამი: **“ყალამი** ფერს გაბედულად დააწო”

საწუთრო: მთელ **საწუთროზე** გაავებულმა სული ძლივს მოიბრუნა”;

სამძვალე: “მთელი სოფლის **სამძვალე** აქ იყო”...

ენუკვის: “მას **ენუკვიდა**”...

სახამლავე: “უნდა... დავიწყვიტო ფეხებზე ეს **სახამლავეები**”...

მწერალი უხვად იყენებს დიალექტიზმებსაც, რომლებიც დადასტურებულია, როგორც ავტორის, ასევე პერსონაჟთა ენაში. დიალექტიზმები უფრო სოფლის თემაზე დაწერილ მნაწარმოებებში გვხვდება (“ბათა ქექია”, “სანავარდო”, “განძი”).

შევეხებით ზოგიერთ მათგანს:

დიალექტიზმები ემყარება ძირითადად დასავლური კილოებისთვის დამახასიათებელ ლექსიკას.

დააქცია **ვინცხამ** შენი ოჯახი; (სანავ.).

რაცხა კაი ამბავი არ უნდა იყოს (ბ.ქ.)

“რაცხა ღვთისმადლია, თუ ღვთის რისხვა” (ბ.ქ.).

ეს ფორმები დადასტურებულია იმერულსა [2, 56] და გურულში [3, 168]:

დასტურდება **რაცხა**, რომელიც გვხვდება იმერულში [4, 168]:

ბედი ისე **რაცხა** გაგწირავს (განძი)

შენ იცი **რაცხა** უპატრონებ (ბ.ქ.)

გვხვდება **პატრონის** ფარდი სიტყვა მეგრულში **პატონი** (ან პატენი) [1, 24]:

– არ გეძინება, **პატონი**? (ბ.ქ.)

– არა, **პატონი** (ბ.ქ. 302).

დასტურდება აგრეთვე მეგრულიზმებიც: ჯიმა, ძღაბი, დოხოორე, საქორთუო...

ქართული სიტყვის შეანიშნავი ოსტატის, გიორგი შატბერაშვილის ენაშიც შეინიშნება ჩვენი სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტის – ქართლური მეტყველების თავისებურებანი.

განვიხილავთ მწერლის ლექსიკის ზოგიერთ ნიმუშს.

გვხვდება ბგერის დაკარგვის ნიშნები სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში:

ნაცვლად სიტყვისა **რომ**, დასტურდება **რო** [5, 128]:

თავგზა **რო** დაკარგე (336);

თქვენ **რო** მოდიოდით (309);

მეც **მაგრა** დავუდექ (191);

იმედი კი არსაიდან **არი** (511);

მარცვლის დაკარგვა პერსონაჟთა მეტყველებაში: ქილა **გამოიტა** (341)

ბიჭო, აქ **მო** (303)

დაუკა, ბიჭო (263)

შეინიშნება ბგერათა ჩანაცვლების შემთხვევებიც: იწვევდნენ **დახუნძლულ** ტოტებს (161)

ახალოხი გადაიცვა (388)

ცალი თვალით **გვერდელად** ახედა (200)

მუზეიმებში დაზომეთ ძველი ნაბდები (210)

დასტურდება კუმშვადი სახელების შეუკუმშავი ფორმები:

ყავარჯენით სიარული (468);

კელაპტარის სიგრძე (440)

განხილული მასალის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ იაკობ გოგებაშვილის ლექსისათვის ძირითადად დამახასიათებელია ხალხურობა.

მკვეთრად განსხვავებულია დემნა შენგელაის წერის მანერა. მის ლექსიკაში ვხვდებით, როგორც თავისებურად ნაწარმოებ სიტყვებს, ისე დიალექტიზმებსა და არქაიზმებს.

გიორგი შატბერაშვილის ლექსიკაში ვხვდებით ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელ საინტერესო ფორმებს.

ლიტერატურა

1. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.
2. მოწინიძე ქ. ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973;
3. თოფურია ვ., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. I, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა, თბ. 1926.
4. ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი, 1966.
5. ქავთარაძე ივ., ქართული ენის ისტორიისათვის XII-XVIII სს. I. თბილისი, 1964.

დიანა ჯგენტი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

XIX – XX საუკუნეების ქართული პროზის ლექსიკის საკითხები

რეზიუმე

XIX-XX საუკუნეების ქართული მწერლობა ყურადღებას იქცევს მრავალფეროვანი და საინტერესო ლექსიკით. სტატიაში განხილულია იაკობ გოგებაშვილის, დემნა შენგელაისა და გიორგი შატბერაშვილის თხზულებათა ლექსიკა, სიტყაწარმოების უბადლო ნიმუშები.

იაკობ გოგებაშვილის ლექსიკისათვის ძირითადად დამახასიათებელია ხალხურობა.

მკვეთრად განსხვავებულია დემნა შენგელა-

ის წერის მანერა. მის ლექსიკაში ვხვდებით თავისებურად ნაწარმოებ სიტყვებს, დიალექტიზმებს, არქაიზმებს.

გიორგი შატბერაშვილის ლექსიკა განიცდის ქართლური დიალექტის გავლენას

საკვანძო სიტყვები: გასაგები ენა, საინტერესო ლექსიკა, თავისებურად ნაწარმოები სიტყვები, დიალექტიზმები, არქაიზმები.

Diana Zhgenti, professor,
Georgian Technical University

Towards Some Lexical Issues of XIX-XX century Georgian Prose

SUMMARY

The literary works of XIX-XX century Georgian writers Iakob Gogebashvili, Demna Shengelaia and Giorgi Shatberashvili demonstrate the usage of interesting and diverse lexis. Their distinctively peculiar word-formation and tendency towards using archaic words are also noteworthy.

Key words: Diverse Lexis, Peculiar Word-formation, Archaic words

Диана Жгенти, профессор,
Грузинский Технический Университет

Вопросы лексики грузинской прозы XIX-XX веков

РЮЗЮМЕ

Грузинская проза XIX-XX веков привлекает внимание своей лексикой. В статье рассмотрена лексика произведений грузинских писателей: Якова Гогешашвили, Демны Шенгелая, Георгия Шатберашвили. Использована: своеобразное словообразование, разнообразная лексика, архаизмы, диалектизмы.

Ключевые слова: Своеобразное словообразование, интересная лексика, архаизмы, диалектизмы.

დრო და დროული ინციფიცი სტიმენ კინგის უეპოქეჟეკაჟი

მაკა კვარაცხელია, დოქტორანტი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: ფილოსოფია, თეოლოგია, კოსმოსი, მეტაფიზიკა.

კინგის ლიტერატურულ ნაწარმოებებში აისახება დროის ფილოსოფიური, თეოლოგიური ან მეცნიერული გაგება, რომელიც მათი დაწერის ეპოქაში იყო გავრცელებული. ლიტერატურაში დროის შესწავლა, ალბათ, ნიშნავს იმის კვლევას, თუ როგორ აისახება ლიტერატურულ ნაწარმოებებში ცხოვრებისეული დროის ადამიანური განცდა. ეს ადვილი როდია და არ ნიშნავს მხოლოდ დროის მოხსენიებას ან ყოფითი თუ სხვა სახის დროის აბსტრაქტული ანალიზის მცდელობას.

ლიტერატურული ნაწარმოებების დრო თავისებური და ინდივიდუალურია. თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებს ქრონოლოგიური რიგით დავალაგებთ, დროის არსი უფრო მკაფიო ვერ გახდება, რასაც დროის მეცნიერული თეორიები ისახავენ მიზნად. ჩოსერის დრო განსხვავდება კინგის დროისგან და არცერთი მათგანი არ წააგავს მარლოუს დროს.

ლიტერატურის შესწავლის ძირითადი ობიექტი, არსებითად, ლინგვისტური ხასიათისაა. პრობლემა, როგორც ჰაიდეგერმა დიდი ხნის წინ გამოთქვა “ყოფიერებასა და დროში” (6), ისაა, რომ დროის აღმნიშვნელი სიტყვები და ციფრები დასავლურ ენებში, უპირველეს ყოვლისა, სივრცული ხასიათისაა და დროს სივრცედ გარდაქმნიან. ამიტომ შეუძლებელია დროის უშუალო რეპრეზენტაცია. ის განყენებისკენ მიისწრაფვის.

დროის სივრცედ გარდასახვის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია საათის ისრების მოძრაობა სივრცეში. საათები ხშირად ფიგურირებს ლიტერატურაში, მაგალითად, ყველა შავ ფენტეზიში არსებით როლს არაზუსტი დრო თამაშობს,

როდესაც საუბარია მკვლელობის ან განცდებთან დაკავშირებული სხვა მოვლენის შესახებ;

ცხოვრებისეული დროის აღსანიშნავად არც ერთი ზუსტი სიტყვა არ არსებობს. ამდენად, მისი აღმნიშვნელი ყველა სიტყვა ლიტერატურაში მეტნაკლებად მეტაფორული ხასიათისაა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე შთამბეჭდავ სახეებში დრო იყენებს საკუთრივ ენას, როგორც დროის ფორმას.

დროის შეუმცენებლობას ხაზგასმით აღნიშნავდნენ დასავლური მოაზროვნეები. ნეტარი ავგუსტინეს “აღსარების” (1) მეცხრე წიგნში ასახულია დროის საიდუმლოს ამოცნობის ერთ-ერთი პირველი მცდელობა. ავგუსტინე კითხულობს: “რა არის დრო?” და იქვე პასუხობს: “თუ არავინ მეკითხება, მაშინ ვიცი, რა არის დრო; თუკი ვინმეს უნდა განვუმარტო, მაშინ უკვე მისი არაფერი გამეგება”.

პოლ ვალერი “პოეზიასა და აბსტრაქტულ აზროვნებაში”, დასძენს – სიტყვა იქცევა პრობლემად, ამბობს ვალერი, როდესაც მას კონტექსტიდან ამოვგლეჯთ, იზოლირებულად განვიხილავთ და, ნეტარი ავგუსტინეს მსგავსად, ვეკითხებით საკუთარ თავს: “რა არის დრო?”. ასეთ შემთხვევაში სიტყვა ამოუხსნელ საიდუმლოდ იქცევა (2).

დრო მხოლოდ საშუალება იყო, ახლა კი მიზნად, ამაზრუნენი ფილოსოფიური ძიებების ობიექტად იქცა. ის უკვე საიდუმლოა, უძირო უფსკრული, აზრის მარტვილობა... (3).

კინგთან ანალოგიურია ჯონ კოფის მონოლოგი “მწვანე მაილი[გზა]” (4) დიდი მონოლოგი წარსული დროის შესახებ. ჯონისთვის დრო დღეების სწორხაზოვანი ჯაჭვია და ის სიკვდილის მომენტში წყდება. დღეები კი წინადადების ან წინადადებათა ერთობლიობის წარმომქმნელი მარცვლების ერთობლიობაა, რომელთაც წარმოთქვამს, მაგალითად, მაგიური სიტყვების

წაჩურჩულებსას. დრო, ჯონის წარმოდგენით, არსებობს მხოლოდ ჩანაწერის სახით. ესაა უსაზღვრო ზღაპარი, უთავბოლო თხრობა. მისი ნაწილები ურთიერთშესაბამისი არაა; მარცვლები მწყობრად არაა შეკავშირებული სიტყვებსა და წინადადებებში.

პასკალი ამტკიცებს, რომ ჩვენ ყველანი ვფიქრობთ ერთი და იმავე არსის შესახებ, როდესაც გვესმის სიტყვა “დრო”. როგორ შეიძლება ამის დასაბუთება? პოლ დე მანის დაკვირვებით, პასკალი აღწერს ტროპოლოგიურ გარდაქმნას. სიტყვა “ტროპი” კი ეტიმოლოგიურად შებრუნებას, შექცევას ნიშნავს. სიტყვა “დრო” ტროპია. უფრო ზუსტად, ესაა კატაქრეზისი ანუ შეუსაბამო გადატანა იმისა, რაც უცნობია და ამიტომ ზუსტი სახელი მას არა შეესატყვისება (5).

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურაში ასახული დროის კრიტიკული ანალიზი სამ კატეგორიად იყოფა: ისინი მეტ-ნაკლებად შეესაბამება შუასაუკუნეობრივი ტრივიუმის სამ კატეგორიას – ლინგვისტური განსწავლის საფუძველს შუა საუკუნეებში: გრამატიკას, ლოგიკასა და რიტორიკას. გრამატიკულ კვლევებში – მაგალითად, ჟერარ ჟენეტის სამტომეულში “ფიგურები” (6) ან ჰარალდ ვაინრიხის “ტემპუსში” (7) გამოკვლეულია დამაბულობის სტრუქტურები და, აგრეთვე, ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინები, რომლებიც უშუალოდ მიემართება დროის განზომილებებს: **მანამ, შემდეგ, ახლა** და ა.შ. ლოგიკურ კვლევებში, მაგალითად, რიკერის “დროსა და ნარატივში” (8) ან თვით პულეს “ადამიანური დროის კვლევებში” (9), განხილულია ლიტერატურაში დროის ასახვის თემატური რეპრეზენტაციები, რაც მეტ-ნაკლებად ემყარება ამ რეპრეზენტაციების ენას. დროის რიტორიკული ინტერპრეტაციები ლიტერატურაში, რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ, როგორც წესი, იმ ხერხებზე მსჯელობს, რომელთა მეშვეობითაც განსაკუთრებული და ბუნდოვანი მხატვრული ენა გამოიყენება ლიტერატურაში ამ იდუმალი მოვლენის – ადამიანური დროის ასახვის მიზნით.

კლასიკურ კრიტიკულ ესეს კვლევების ამ მესამე სფეროში წარმოადგენს პოლ დე მანის “დროის რიტორიკა” (10). ამ ესეში დე მანი ერთმანეთთან აიგივებს ენის ტროპოლოგიურ საშუალებებს – ირონიასა და ალეგორიას, რომელთა მეშვეობითაც მკითხველს ექმნება უშუალო წარმოდგენა დროის იდუმალების შესახებ.

დე მანი განმარტავს თავის თვალსაზრისს გაცილებით გვიანდელ ესეში “დამაჯერებლობის პასკალისეული ალეგორია” (11).

შესაძლებელია დროის სივრცული ალეგორიზების თვალსაჩინოდ ილუსტრირება სტივენ კინგის რომანების მეშვეობით. საზოგადოდ, კინგი ყოველთვის ცდილობს, ნარაციის მეშვეობით გადმოგვეცეს დროის მისეული განცდა. კინგის მეტაფიზიკა დროის მეტაფიზიკაა.

კინგი არაჩვეულებრივად დახვეწილი სივრცული ფიგურების მეშვეობით ასახავს დროს. “რეალისტური” მოვლენების ცოცხალი, დეტალური აღწერები მის ნაწარმოებებში გამოიყენება როგორც დროის ალეგორიები, დე მანისეული გაგებით. ალეგორიის რეალისტური დეტალიზება ხელს არ უშლის აღწერის ალეგორიულ ფუნქციას – ის აუცილებელიცაა მისთვის, როგორც დე მანი შენიშნავს “დამაჯერებლობის პასკალისეული ალეგორიაში”:

კინგის მიერ დროის ალეგორიული გამოხატვის უპირველესი საშუალებაა ადამიანის სხეულის მოძრაობა სივრცეში. ამგვარი მოძრაობების მეშვეობით ორგანიზებულია კინგის მთელი რომანები. გავიხსენოთ, თუნდაც, დეილ ბარბარასა და დიდი ჯიმ რენის მოძრაობა ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით, რაც წარმოქმნის ორმაგი სიუჟეტის სტრუქტურას რომანში “გუმბთის ქვეშე” (12), ან ტოდ ბოდუენი, რომელსაც ისტორია ძალიან უყვარს, მაგრამ ფაშიზმით დაინტერესებულს ყოფილი ნაცისტი კურტ დუისანდერი იყენებს მოწაფედ (13).

საბოლოო ანგარიშით, ისინი ერთობლივად წარმოქმნიან ამბავს, რომელსაც მკითხველი თან-მიმდევრობით ეცნობა. მკითხველი წინ მიიწევს კითხვის დროს, თანაც, ერთი ნარატიული

ბლოკიდან მეორეზე გადასვლისას, ტექსტის ცარიელ ხარვეზებს ახტება. ყოველი ბლოკი სახელდებულია ერთ-ერთი პერსონაჟის სახელის მიხედვით. ესაა პერსონაჟთა საკმაოდ უჩვეულო ცნობიერებებში შეჭრილი – პარენტეზისის მსგავსად – დრო, თითქოს სახელი სხვა არაფერია, თუ არა ენის მოცემულ ბლოკზე მიმაგრებული სახელდებითი იარლიყი. მიუხედავად ამისა, ეს ნარატიული ნაწილები მწყობრ მთლიანობას წარმოქმნის. მათ შორის შეიმჩნევა ნაპრალები და ხარვეზები. შეზღუდული დროის ყოველი მომენტი არსებობს როგორც ლინგვისტური პერსპექტივების პოტენციურად უსაზღვრო სიმრავლე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნეტარი ავგუსტინე - Blessed Augustine, “Confessions, 9”, 337-400
2. პოლ ვალერი - Paul Valery, „Poetry and Abstract Thought”, 1839
3. პოლ ვალერი - Paul Valery, „Blood and Time”, 1895
4. სტივენ კინგი - Stephen King, “Green Mile”, 1999
5. სტივენ კინგი - Stephen King, “Green Mile”, 1999, გვ.79
6. ჟერარ ჯენეტი - Jerard Jenette, Figures, 1966-1972
7. ჰერალდ ვაინრიხი - Harald Weinrich, “Le Temps”, 1964

*მაკა კვარაცხელია, დოქტორანტი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**დრო და დროული ინიციატა სტივენ კინგის
შემოქმედებაში**

რეზიუმე

კინგის ლიტერატურულ ნაწარმოებებში აისახება დროის ფილოსოფიური, თეოლოგიური ან მეცნიერული გაგება, რომელიც მათი დაწე-

რის ეპოქაში იყო გავრცელებული. ამის საპირისპიროდ, ლიტერატურული ნაწარმოებების დრო თავისებური და ინდივიდუალურია. თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებს ქრონოლოგიური რიგით დავალაგებთ, დროის არსი უფრო მკაფიო ვერ გახდება, რასაც დროის მეცნიერული თეორიები ისახავენ მიზნად. დროის აღმნიშვნელი სიტყვები და ციფრები დასავლურ ენებში, უპირველეს ყოვლისა, სივრცული ხასიათისაა და დროს სივრცედ გარდაქმნიან. ამიტომ შეუძლებელია დროის უშუალო რეპრეზენტაცია. ის განყენებისკენ მიისწრაფვის. ცხოვრებისეული დროის აღსანიშნავად არც ერთი ზუსტი სიტყვა არ არსებობს. ამდენად, მისი აღმნიშვნელი ყველა სიტყვა ლიტერატურაში მეტ-ნაკლებად მეტაფორული ხასიათისაა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე შთამბეჭდავ სახეებში კინგი იყენებს საკუთრივ ენას, როგორც დროის ფორმას. საზოგადოდ, კინგი ყოველთვის ცდილობს, ნარატიის მეშვეობით გადმოგვცეს დროის მისეული განცდა. კინგის მეტაფიზიკა დროის მეტაფიზიკაა.

საკვანძო სიტყვები: ფილოსოფია, თეოლოგია, კოსმოსი, მეტაფიზიკა.

*Maka Kvaratskhelia, PhD,
Sukhumi State University*

Time and Timing initiation in Stephen King’s Creative Works

SUMMARY

King’s literary works reflect a philosophical, theological or scientific understanding, that they were written in the epoch of the spread. In contrast, the literary works of the time are peculiar and individual. If regulate literary works in chronological order, the essence of the time could not be more clear that scientific theories aim at. Words denoting the time and numbers in Western languages, above all, has the spatial character and transforms time into space. So

it's impossible to represent the time directly. It aspires to be more abstractive. There is not any precise word to denote the time. Thus, the designation of all the words in the literature more or less is metaphorical by nature. It was found that the most impressive images of the King uses the language itself, as a form of time. In general, the King is always trying to give us a narrative through his feeling. King's metaphysics is the metaphysics of time.

key Word: philosophy, theology, space, metaphysics.

*Мака Кварацхелия, докторант,
Сухумский Государственный Университет*

Время и временная инициация в творчестве Стивена Кинга

РЕЗЮМЕ

Литературные работы Кинга отражают философское, теологическое или научное понимание, что они были написаны в эпоху

распространения. Напротив, литературные работы времени странные и отдельные. Если регулируют литературные работы в хронологическом порядке, сущность времени не могла бы быть более ясной, к которому стремятся научные теории. Слова, обозначающие время и числа на Западных языках, прежде всего, имеют пространственный характер и преобразовывают время в космос. Таким образом, невозможно представлять время непосредственно. Это стремится быть более абстрактным. Нет никакого точного слова, чтобы обозначить время. Таким образом обозначение всех слов в литературе более или менее метафорическое по своей природе. Было найдено, что самые впечатляющие изображения Кинга используют сам язык как форма времени. В целом Король всегда пытается дать нам рассказ через свое чувство. Метафизика Кинга - метафизика времени.

Ключевые слова: философия, теология, космос, метафизика

სოციოლოგია, ფსიქოლოგია და მათი როლი სტიმუან კინგის შემოქმედებით სამყაროში

მაკა კვარაცხელია, დოქტორანტი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XX

საკვანძო სიტყვები: ფანტასტიკა, სოციოლოგია, ფსიქოანალიზი, სოციალური ინსტიტუტები, ზნეობა, მორალი, მითოლოგიები, ჰიპერტექსტუალური ეფექტები.

კინგის შემოქმედებით სამყაროში გარკვევა შეუძლებელი იქნებოდა მისი იდეური და ესთეტიკური პოზიციის გაურკვეველად. წარმოდგენლად მიგვაჩნია მწერლის ღირებულებათა სისტემის ესთეტიკური გააზრება, თუკი ვერ გავიგებთ მის მიზანსწრაფვას გამოიყენოს ფანტასტიკური ელემენტები თავისი ნაწარმოების უმეტესობაში.

კინგი სოციალურად მიზანსწრაფული მწერალია, რომელიც აგრძელებს სამეცნიერო და ფილოსოფიური ფანტასტიკის სოციალური კრიტიკის შტოს. მის შემოქმედებაში სიურეალისტური და ფანტასტიკური მოვლენები უზარმაზარი კულტურული კრიზისის მაჩვენებლებია (1). ამგვარად, კინგის შემოქმედებას მეოცე საუკუნის ფანტასტიკის ჟანრის ლიტერატურის ტრადიციებთან ღრმა კავშირში განვიხილავთ.

კინგის შემოქმედებაში კარგად არის გამოხატული ის, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში საშინელებად გამოიყურება. განსაკუთრებით ტექნოლოგიური საშიშროებანი: შიდა საოჯახო დამაბულობა, განსაკუთრებით უყურადღებო, ღია წინააღმდეგობრიობებით აღსავსე მშობლებით. კინგის შემოქმედებით სამყაროში გარკვეული სიჭარბეც კი შეინიშნება ყოველგვარი პათოლოგიურისა და დაუნდობლობის გამოხატვისას, ზოგჯერ დაწვრილებით გადმოცემასა და დეტალებში, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოსდა ავტორი ხელს უწყობდეს ყოველდღიური ცხოვრების ბნელი მხარეების წარმოჩენას (2).

რომანში “წინააღმდეგობა” (3) საზოგადოების სოციალური სტრუქტურა წარმოჩენილია როგორც ღვთაებრივი სახის ანტიპოდი. ამგვარი დამოკიდებულება კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესთან ავტორის თითქმის ყველა ნაწარმოებში შეიძლება დაიძებნოს. შესაძლოა, ამგვარი უბედურების საფუძვლები „ნარცისისტულ საზოგადოებაში“ ძვეს. “თავისუფლება ხასიათდება ამა თუ იმ შესაძლებლობით თავი დააღწიოს ბოროტებას, რომელიც სოციუმს მახეებად დაუგია, და რომელიც სოციალურ ყოფას ახასიათებს” (freedom is defined in terms of one’s ability to survive the pitfalls of society by escaping from the evil assumed to be endemic to social life (4).

სოციალური ინსტიტუტების უუნარობის გამო, თანამედროვე კულტურის მადომინირებელ იდეოლოგიად თავის გადარჩენა იქცა (5).

კინგისთვის ბოროტების ამოსავალ წყაროდ არა მხოლოდ სოციალიზაციის პროცესებია მოაზრებული, არამედ ადამიანის ზნეობრივი სისუსტე, მისი შინაგანი მზაობა გაურიგდეს ბოროტებას. სწორედ ეს წარმოქმნის ცხოვრებაში გროტესკულ და მიზანთროპულ გმირებს (6), ზოგჯერ ზებუნებრივი სახით, ზოგჯერ კი საკმაოდ მკაფიო, მაგრამ არანაკლებ საშინელი სახითაც...(7)

კინგის შემოქმედებაში თავისუფალი ნება და პასუხისმგებლობა მჭიდრო კავშირიშია სიკეთისა და ბოროტების კონცეფციასთან. რთულ სიტუაციაში მოხვედრილმა კინგის მიერ მოგონილმა გმირებმა არჩევანი უნდა გააკეთონ: უბრალოდ ან იბრძოლონ ბოროტებასთან იმიტომ, რომ ის ემუქრება მათ, ან დაუთმონ. (8); ბოროტების არსებობა ითხოვს მორალურ ქმედებას, არა მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენის რაიმე გარანტიას, არამედ, მთლიანად გამარჯვების გარანტიას (9).

საშინელსა და საიდუმლოში შეიძლება დავინახოთ რაღაც თავისებურად შენიღბული აზრი, რომელიც დაფარულთან და საკრალურთან არის დაკავშირებული, ეს პირდაპირ რელიგიურ ცნობიერებამდე მიდის (10). სწორედ რომ რაციონალიზმისა და ტექნოკრატიის საუკუნემ სცადა თანამედროვე მასობრივი ცნობიერებით შეექმნა იდეალური სახე სრულყოფილი და შეუვალი სხეულისა, ოკულტირება მოეხდინა მისი გარდაუვალი სიკვდილისა და ეროტიულობისა, რომელიც დამოკიდებულია დავიწყების სურვილზე გამოდევნოს ეს დისკომფორტი ადამიანის ხვედრიდან (11). თანამედროვე ლიტერატურა კოსმოსური თუ ფსიქოლოგიური საშინელებებით თითქმის რიტუალურად შეგვახსენებს, რომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სიბნელის შესახებ და ეს რიტუალის ელემენტი, რომელიც გააზრებულად არის მიმართული ჩვენი დემონების გასადევნად, განმეორებითი ფორმისა და ენის ელემენტი, საშინელებათა ჟანრის ლიტერატურას თავის ანარეკლად, ცნობიერ ფორმად, გონიერი არსების მიერ შექმნილად აყალიბებს (12).

კინგი თვლიდა, რომ საშინელებათა ლიტერატურის ძირითადი მიზნიდევლობა მდგომარეობს იმაში, რომ საუკუნეების მანძილზე ის ემსახურებოდა ჩვენი სიკვდილის ერთგვარ რეპეტიციას (13); ის აუცილებელი ხდება საზოგადოებაში, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდობის, ჯანმრთელობისა და სილამაზის მყიფე უპირატესობებს (14); თუკი სიკვდილი განუყოფელია სიცოცხლისაგან, თუკი მრავალი ზნეობრივი ორიენტირი და პრინციპი ვერ გაექცევა სიკვდილის პრინციპს, მის უარყოფას მივყავართ თანამედროვე ადამიანების ფსიქიკისა და ცნობიერების სერიოზულ გამრუდებამდე (15).

1983 წელს დაწერილ რომანში „Pet Sematary“ კინგი თავისებურ ექსპერიმენტს უტარებს თავის გმირებს, რომელიც ტიპურია თანამედროვე ცივილიზაციის წარმომადგენლებისათვის, რომელთათვის სიკვდილი დიდი ხანია ამოგდებულია ყოველდღიური ცხოვრებიდან. ახალგაზრდა ექიმი

(კინგი სპეციალურად ირჩევს პერსონაჟს, რომლის მსოფლმხედველობა გამოხატავს მატერიალური და რაციონალური აზროვნების არსს) ოჯახით სახლში საცხოვრებლად გადმოდის, რომელიც მყუდრო ადგილზე მდებარეობს სტუდენტური კამპუსიდან ოდნავ მოშორებით. ახლა მთავარი გმირი (ლუი კიდრი) დარწმუნებულია, რომ ცხოვრება მყარ საფუძველზე დააყენა. ხანში შესული მეზობელი მზრუნველი კაცია და „ახალი მამის“ როლს თამაშობს, რომელიც მზადაა ყველაზე უკიდურეს და დაუჯერებელ სიტუაციებშიც კი დახმარების ხელი გაუწოდოს მას. მაგალითად, იმ ეპიზოდში, სადაც მისი ქალიშვილის საყვარელი კატა კვდება, იმისათვის, რომ ბავშვი არ ანერვიულოს, ვიდრე მისი გოგო სხვა ქალაქშია არდადეგებზე, ლუი მეზობელთან ერთად ინდიელთა ძველ სასაფლაოზე მიდის, რომელსაც განსაკუთრებული მაგიური ძალა აქვს. აქ ოდესღაც ცხოვრობდნენ კანიბალი ინდიელები, რომლებიც თავიანთ მსხვერპლს მარხავდნენ გარკვეული მაგიური რიტუალების თანხლებით. სწორედ ბოროტ ინდიელს ძალუძს მოულოდნელად გამქრალი კატის ცოცხლად დაბრუნება. ამგვარად, სიკვდილის პრობლემა ადვილად გადასაწყვეტი აღმოჩნდება, ხოლო ასეთ დროს ადამიანი ღმერთს ემსგავსება. გაცოცხლებული კატის შემდეგ ლუი გადაწყვეტს ტრაგიკულად დაღუპული შვილიც გააცოცხლოს. მაგრამ აღმოჩნდება, რომ სიკვდილ-სიცოცხლე ორგანიზმის უბრალოდ ფიზიოლოგიური მდგომარეობა როდია. დგინდება, რომ სიცოცხლე სიკვდილის გარეშე შეუძლებელია, და სიკვდილი ხრწნისა და დანგრევის გარდა თავის თავში მოიცავს მძლავრ დადებით საწყისს. ანუ, ავტორის აზრით, სიკვდილის იდეა ადამიანს ერთგვარი გამოცდის სახით ეძლევა და მისი უარყოფით ის შეიძლება ფიგურალურად რაღაც ზომის მსგავსად მოგვევლინოს (რაც ხდება კიდევ, მაგრამ პირდაპირი მნიშვნელობით უბედურ მსხვერპლებს მოსდით უკიდურესად „ჰუმანური ექსპერიმენტის“ წყალობით). კინგი ამ წიგნის შესავალში ამბობს, რომ „სიკვდილი საიდუმლოა,

ხოლო დაკრძალვა წმიდათა წმიდა“ (16). გამოდის, რომ ავტორი ნაწარმოებში „კარამაზოვის საკითხს“ განიხილავს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ღმერთზე და მის არარსებობაზე კი არა, არამედ იდეების ბრძოლაზე საუბრობს, ინდივიდუალურ სიკვდილზე ანდა ადამიანის უკვდავებაზე. ეს მეორე გულისხმობს სამყაროს საღვთო ზნეობრიობის პრინციპის არსებობას, პირველი - ეგზისტენციალურ საშინელებას, ადამიანის ცხოვრების ნებისმიერი აზრის უარყოფას. თავად კინგი ამბობს, რომ 29 წლიდან ის წერს ღმერთის არსებობის შესაძლებლობაზე და შედეგებზე, რომელიც მოჰყვება მისი არსებობის ფაქტს (about God – the possibility of God and the consequences for humans if God does exist) (17).

საშინელებათა ჟანრის სოციალურ-კულტურული არსის გასაგებად, რომელსაც ხშირად ვერ იტანენ, გამოვყოფდით შემდეგს: ეგზისტენციალური მარტოობის შიში და გარესამყაროს მტრობა; შიში გაუკონტროლებელი ავადმყოფობისა როგორც ფიზიოლოგიური, ისე ფსიქიკური, რომელსაც აქვს არა მარტო ინდივიდუალური, არამედ ეპიდემიური ხასიათიც; ესაა აპოკალიპსის შიში.

კინგი არ უარყოფს ფროიდის იდეების გავლენას მის შემოქმედებაზე „ფროიდის მითი იმდენად მისაწვდომია მწერლისათვის, იმდენად დამყოლი მასალა იმისთვის, რასაც მწერალი აკეთებს“ (18).

კინგი რიგ ნაწარმოებებში რეგრესიისა და ინფანტილური მდგომარეობის დამღუპველ ზეგავლენაზე საუბრობს ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით და საშინელებათა ლიტერატურის ტრადიციებიდან გამომდინარე (19), (20), (21). კინგის მრავალ რომანში გამოხატულია ჭაბუკთა შიში და დიდების ნევროზი. ადამიანებს არ სურთ დიდების სამყაროში ჩაეწერონ, რადგან მათ წარსული დასდევთ კვალდაკვალ. მათი ფსიქიკური საფუძველი ხომ წარსულშია ჩაყრილი, ღრმა სიყრმეში (22, 23, 24, 25, 26, 27).

კინგის ნაწარმოებებს აშკარად დაჰკრავს მითოლოგიზმი, რაც საერთოდ დამახასიათებელია

საშინელებათა ჟანრისთვის - ესაა გარკვეული არქაულობა, რომელიც აუდიტორიაზე გავლენას ახდენს. ვიზუალური და ელექტრონული მედია უაშუალოდ არიან პასუხისმგებელი თანამედროვე საშინელებათა ფენომენზე (28). კინგი ბექდურ ტექსტს იკონოგრაფიულად იყენებს, ერთი მხრივ, უარყოფს ტექსტსა და ტექსტუალობას, და, მეორე მხრივ, ურთავს მულტიმედიურ და ჰიპერტექსტუალურ ეფექტებს. ტექსტი კინგს გადაჰყავს უზუალურ, ვიზუალურ და კინეტიკურ აღქმაში და მკითხველი კი არ კითხულობს მას, არამედ გრძნობს ტექსტს (29).

ამგვარად, კინგი გვიმტკიცებს, რომ საშინელებათა ლიტერატურის უკან რაღაც რეგულარული სოციალური ფუნქციაა, რომელიც არქაულ საზოგადოებებს ახასიათებდათ, და რომელიც მისადაგებულია თანამედროვეობას. თავად კინგის თქმის არ იყოს: საშინელებათა ნაწარმოებების უმეტესობაში ისეთ მკაცრ მორალურ კოდექსებს ვაწყდებით, რომელიც პურიტანსაც კი გააცინებდაო.“ (30).

სტივენ კინგის გმირები როგორც კი დაარღვევენ ყოფიერების რომელსამე მორალურ პრინციპს, აუცილებლად ისჯებიან. „საშინელება გაგრძელდება მანამ, სანამ დიონისისეული ძალები არ დაითრგუნებიან და არ აღდგება აპოლონისეული ნორმა (31).

ლიტერატურა:

1. ტონი მეჯისტრელი - Magistrale, Tony. Landscape of fear. – Ohio. 1988.
2. ალექსანდრე ზვერევი - Зверев А. Второе зрение // Иностранная литература. 1984. № 1.
3. სტივენ კინგი - Stephen King „The Stand“, 1978
4. ქრისტოფერ ლეში - Lasch, Christopher. The Culture of Narcissism. – N.Y., 1979.
5. ალექსანდრა ჰებერგერი - Heberger, Alexandra. The Supernatural depiction of Modern American Phobias and Anxieties in the Work of Stephen King. – Osnabrueck, 2002.
6. ტონი მეჯისტრელი - Magistrale, Tony. Landscape of fear. – Ohio. 1988

7. ჰეიდი სტრენჯელი - Strengell, Heidi. On the Notions of Good and Evil in Stephen King's Fiction. // Perspectives on Evil and Human Wickedness. Vol. 1, № 3. www.wickedness.net
8. უმბერტო ეკო - Эко У. Заметки на полях «Имени розы». – СПб., 2003
9. სერგეი ზენკინი - Зенкин С.Н. Ролан Барт – теоретик и практик мифологии. Вступительная статья // Барт Р. Мифологии. – М., 1996
10. ერიკ ნორდენი - Norden, Eric. Playboy Interview: Stephen King // Beahm, George. The Stephen King Companion. – London, 1990.
11. სტივენ კინგი - Stephen King, “Dance of Death”, 1981
12. ლინდა ბედლი - Badley, Linda. Writing Horror and the Body. The Fiction of Stephen King, Clive Barker, and Anne Rice. – Westport, 1996,

*მაკა კვარაცხელია, დოქტორანტი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**სოციოლოგია, ფსიქოლოგია და მათი როლი
სტივენ კინგის შემოქმედებით სამყაროში**

რეზიუმე

მწერლის ღირებულებათა სისტემის ესთეტიკური გააზრება შეუძლებელია, თუკი ვერ გავიგებთ მის მიზანსწრაფვას გამოიყენოს ფანტასტიკური ელემენტები თავისი ნაწარმოების უმეტესობაში. კინგი სოციალურად მიზანსწრაფული მწერალია, რომელიც აგრძელებს სამეცნიერო და ფილოსოფიური ფანტასტიკის სოციალური კრიტიკის შტოს. მის შემოქმედებაში სიურეალისტური და ფანტასტიკური მოვლენები უზარმაზარი კულტურული კრიზისის მაჩვენებლებია. კინგის შემოქმედებაში კარგად არის გამოხატული ის, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში საშინელებად გამოიყურება. ბოროტების მიზეზები გულგრილობასა და მშობლების დაუნდობლობაში უნდა ვეძიოთ, განათლების სისტემის ინდიფერენტულობაში,

რელიგიურ ფანატიზმში, ხელისუფალთა გაუმადლარ წარმომადგენლებში, რომლებიც კინგის შემოქმედებით სამყაროში იწვევენ გონების იმგვარ ძილს, რომელიც ურჩხულებს წარმოქმნის. ამგვარად, კინგისთვის ბოროტების ამოსავალ წყაროდ არა მხოლოდ სოციალიზაციის პროცესებია მოაზრებული, არამედ ადამიანის ზნეობრივი სისუსტე, მისი შინაგანი მზაობა გაურიგდეს ბოროტებას; თანამედროვე სამყაროს ზიზღის თერაპევტულ დამუშავებას, რომელთაგან ყველაზე მთავარი სიკვდილის შიშია. საშინელება გაგრძელდება მანამ, სანამ დიონისისეული ძალები არ დაითრგუნებიან და არ აღდგება აპოლონისეული ნორმა.

საკვანძო სიტყვები: ფანტასტიკა, სოციოლოგია, ფსიქოანალიზი, სოციალური ინსტიტუტები, ზნეობა, მორალი, მითოლოგიზმი, ჰიპერტექსტუალური ეფექტები.

*Maka Kvaratskhelia, PhD,
Sukhumi State University*

**Sociology, psychology and their role in the
creative world of Stephen King**

РЕЗЮМЕ

It is impossible to understand the writer's aesthetic value system, if you can not understand the commitment to use the fantastic elements in his work. Stephen King is socially aspiring writer, who continues his academic and philosophical fiction branches of social criticism. His surrealistic and fantastic events are huge cultural crisis indicators. King's works are well expressed what real life looks horrible. We should seek the causes of indifference and cruelty of evil parents, the education system, indifference to religious fanaticism, authorities avid, represent the King's creative world, which generate monsters. Thus, not only as a source of socialization processes are considered

the source of evil for the King, but also human moral weakness, his inner readiness to deal with evil. Hate therapeutic process of the modern world, which is the home of a death. Horror continue until Dionysus forces have turned down and Apollo norm will not be restored.

Key words: fantasy, sociology, psychoanalysis, social institutions, morals, mythology.

*Мака Кварацхелия, докторант,
Сухумский Государственный Университет*

Социология, психология и их роль в творческом мире Стивена Кинга

РЕЗЮМЕ

Невозможно понять эстетическую систему ценностей писателя, если Вы не можете понять обязательство использовать фантастические элементы в его работе. Стивен Кинг в социальном отношении стремится писатель, который продолжает его академические и философские ветви беллетристики социальной критики. Его

сюрреалистические и фантастические события - огромные культурные кризисные индикаторы. Работы Кинга хорошо выражены, какая реальная жизнь выглядит ужасной. Мы должны искать причины безразличия и жестокость злых родителей, системы образования, безразличия к религиозному фанатизму, энергичные власти, представлять творческий мир Кинга, которые производят монстров. Таким образом, не только как источник процессов национализации считаются источником зла для Кинга, но также и человеческой моральной слабостью, его внутренняя готовность иметь дело со злом. Ненавидьте терапевтический процесс современного мира, который является домом смерти. Ужас продолжается, пока силы Диониса не выключили, и норма Аполлона не будет восстановлена.

Ключевые слова: фантазия, sociology, психоанализ, социальные институты, нравы, мифология.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული ფოლკლორული ტექსტების კლასიფიკაციის საკითხი

ქეთევან სიხარულიძე
ფოლკლორის აკადემიური დოქტორი



საკვანძო სიტყვები: ფოლკლორი, ტექსტები, კავკასია, ისტორიული, ეთნოგრაფიული.

კავკასია, მისი მოსახლეობის ეთნიკურ-კულტურული სიჭრელის გამო, ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი რეგიონია. კავკასიაში მოსახლე ხალხთა მუდმივი და ინტენსიური კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები განაპირობებდა ადგილობრივ ნიადაგზე კულტურათა თავისებურ სინთეზს, რამაც ხელი შეუწყო ზოგადკავკასიური გარემოსა და ერთიანი კავკასიური ფენომენის შექმნას. კავკასიელებმა საუკუნეების მანძილზე თანაცხოვრების პირობებში შეიმუშავეს ერთმანეთთან ურთიერთობის დარეგულირების საშუალებები და საფუძველი ჩაუყარეს ბრძნულად გააზრებულ საკომუნიკაციო კულტურას.

ქართველებსა და მათ ჩრდილოკავკასიელ მეზობლებს ძველადვე აკავშირებდათ პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა, მათ წეს-ჩვეულებებში, მატერიალურ კულტურასა და სოციალურ ინსტიტუტებში ბევრი საერთო ჰქონდათ. როგორც ჩანს, ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ კავკასიაში მცხოვრებმა ხალხებმა შეძლეს ისეთი გზების გამოხატვა, რომლებიც ამყარებდნენ მათ ურთიერთობებს და უსაფრთხოების გარანტიებს ქმნიდნენ.

თანამედროვე ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მონაცემებით დასტურდება კავკასიაში მოსახლე ტომთა კულტურების გარკვეული მსგავსება და მემკვიდრეობითობა. ეს აისახა კიდევ ქართულ და ჩრდილოკავკასიურ ფოლკლორულ

შემოქმედებაში. ზოგი ფოლკლორისტი აღიარებდა უძველეს ხანაში ერთიანი კავკასიური სუბსტრატის არსებობას, რომლის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბებულიყო მსგავსი ფოლკლორული სახეები, მაგრამ ამის შესახებ მათი კვლევა-ძიება არ გაფართოებულა.

ფოლკლორისტიკაში მეცნიერულად დამუშავებულია კავკასიაში მოსახლე თითოეული ხალხის ზეპირსიტყვიერი შემოქმედება, მაგრამ მხოლოდ ერთეული ავტორები თუ შეხებებიან, ისიც სპორადულად, ქართულ და ჩრდილოკავკასიურ ფოლკლორულ პარალელებს.

კავკასიოლოგიური საკითხები საფუძვლიანად არის შესწავლილი ენათმეცნიერული და ისტორიული თვალსაზრისით, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფოლკლორისტიკის ყურადღების მიღმა დარჩა ქართველებისა და მათი უახლოესი მეზობლების ზეპირსიტყვიერების ურთიერთმიმართების საკითხები.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ფოლკლორისტთა ერთმა ჯგუფმა შეიმუშავა პროექტი და მიზნად დაისახა ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობების ფუნდამენტური შესწავლა. კვლევა მიმდინარეობს გრანტის ფარგლებში, რომელსაც ფინანსურად უზრუნველყოფს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

ქართული და ჩრდილოკავკასიური ფოლკლორული ურთიერთობის კვლევა გამოავლენს კავკასიის ხალხთა საკომუნიკაციო კულტურის ხასიათს, კონტაქტების ინტენსივობას, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციასა და ღირებულებებს. ეთნიკური და სარწმუნოებრივი სიჭრელით გამორჩეული ეს რეგიონი სხვადასხვა

წარმომავლობის ხალხთა მიგრაციების ასპარეზი იყო. მკვიდრ მოსახლეობასთან მათი ურთიერთობა სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა. ინტენსიურ კონტაქტებს ცვლიდა იზოლაცია და კარჩაკეტილობა, ბარისა და მთის რეგიონების დათითობა და სხვადასხვა მიმართულებით განვითარება. ეს აისახა კიდევ ამ ხალხების კულტურულ კონტაქტებსა და ფოლკლორულ შემოქმედებაში. ამჟამად გამოკვეთილი ერთი გენეზისის მქონე სახეების გვერდით ვხედავთ ისტორიული მეზობლობით განპირობებულ სესხებასა და ტიპოლოგიურ მსგავსებას. ეს საკითხები არ დასმულა ფოლკლორისტების მიერ და შესაბამისად, არც გამოკვლეულა.

პროექტის სიახლეს წარმოადგენს კავკასიური მასალის კომპლექსური კვლევა, რაც აქამდე არ ჩატარებულა. მისი მიზანია, საერთაშორისო სამეცნიერო წრესა და ფართო საზოგადოებას გააცნოს ქართული და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორული ურთიერთობები, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ამ ხალხთა მეზობლობამ, ისტორიულ-გეოგრაფიულმა გარემომ და ინტენსიურმა კულტურულმა კავშირებმა. პროექტი ნათელს მოჰგვინს იმ გავლენებს, რაც მოახდინეს ერთმანეთის შემოქმედებაზე მეზობელმა ხალხებმა და როგორ აისახა ფოლკლორში მათი ისტორიული ურთიერთობები.

მოპოვებული მასალის კომპარატივისტული შესწავლა გამოავლენს კავკასიელთა ერთიან ტრადიციულ ღირებულებებს, ფოლკლორულ სიუჟეტთა და სახეთა მსგავსება-განსხვავებას (რაც, თავის მხრივ, შეიძლება სხვადასხვა ტიპის კვლევების საფუძველიც გახდეს). ამ მასალაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდება ერთიანი კავკასიური ფოლკლორული სიუჟეტების საძიებლისა და კატალოგის შექმნა. თანამედროვე ნარატივები გამოავლენს კავკასიის მოსახლეთა მიმართებას ტრადიციულობასთან, მათ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ღირებულებებს. ამის გათვალისწინებას კი შეუძლია

გარკვეული როლი შეასრულოს კავკასიაში დღეს არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში.

ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობების კვლევა მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ-იდეოლოგიურ საკითხებთან, რამდენადაც კავკასიის ხალხთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული აღწერების ავტორები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული რუსეთის იმპერიის სამსახურში მდგარი სამხედრო პირები იყვნენ. რუს ავტორთა ცნობები, მიუხედავად მათი ტენდენციურობისა, რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების შესახებ მდიდარ მასალას იძლევა როგორც ცალკეული ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ლიტერატურათმცოდნეობითი თუ კულტუროლოგიური საკითხების შესასწავლად, ისეზოგადად პოსტკოლონიური კვლევის თვალსაზრისით.

მე-19 საუკუნის შუა წლებისთვის, როდესაც კავკასიის უდიდესი ნაწილი უკვე შეერთებული იყო რუსეთთან, თავისთავად წარმოიშვა ამ ახლად შემოერთებული ხალხებისა და ტომების ენების, ისტორიის, ეთნოგრაფიული ვითარებისა და საერთოდ ყოფა-ცხოვრების გაცნობა-შესწავლის საჭიროება. ამას თავისი პოლიტიკური სარჩული ჰქონდა. მეფის მთავრობა ცდილობდა, ხელი შეეწყო ამ მუშაობისთვის, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მანამდე ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი კავკასიელი ხალხების უფრო ახლოს გასაცნობად (არჯევანიძე, 1978:6).

დაარსდა პერიოდული გამოცემები, უმთავრესად რუსულ ენაზე, რომლებმაც თანამშრომლებად შემოიკრიბეს ადგილობრივი ინტელიგენცია, როგორც რუსები, ისე ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, მთის ხალხთა წარმომადგენლები და სხვა. ამ პერიოდულ გამოცემებს ჰქონდათ თავიანთი მიზნები და პუბლიკაციათა უდიდესი ნაწილი სპეციალური ინტერესებით იყო შერჩეული. განსაკუთრებით ეს ითქმის რუსეთის სიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამო-

ცემებზე (ЗКОИРГО, ИКОИРГО), პრომლებიც, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადად გეოგრაფიული ხასიათის მიმოხილვებს აქვეყნებდნენ. ამავე დროს აქ სხვადასხვა სიბშირითა და ხარისხით იბეჭდებოდა მასალა, რომელსაც მეტნაკლებად შეხება აქვს ჩვენს საკვლევ საკითხებთან. ამ გამოცემებთან შედარებით უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა ფოლკლორულ ტექსტებს გაზეთი „ნოვოეობოზრენიე“. აქ იბეჭდებოდა რუსული ლიტერატურის მიმოხილვები, უცხოური ლიტერატურის თარგმანები და მათ შორის გვვდება ფოლკლორული მასალაც. უმეტესად ეს ინფორმაციები გაბნეულია სხვადასხვა ტიპის პუბლიკაციებში, უპირატესად ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებში. ამ გამოცემებში ფოლკლორული ტექსტები უმრავლეს შემთხვევაში არ არის სრულყოფილი, ისინი ან ფრაგმენტულია, ან სტილიზებული. თუმცა, მათ მაინც აქვთ თავიანთი ღირებულება, რადგან სიუჟეტის ბირთვი მაინც შენარჩუნებულია და შესაძლებელია მათი გარკვეული პარამეტრებით შედარება სხვა ტექსტებთან.

ამ პერიოდის გამოცემებს შორის ფოლკლორული მასალის სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა პერიოდული გამოცემა „ცნობები კავკასიის მთიელთა შესახებ“ (ССКГ). მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ამ კრებულმა „მასალათა კრებულთან ერთად“ (СМОПК - Сборник сведений о местностях и племенах Кавказа) შეასრულა მნიშვნელოვანი როლი კავკასიაში მცხოვრები ხალხების ფოლკლორული ტექსტების პუბლიკაციის საქმეში. ფოლკლორული ტექსტების თავმოყრისა და პუბლიკაციის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ „კავკასიის მთიელთა კრებული“ და „მასალათა კრებული“ (რომლის კვლევაც მესამე ტრანშშია დაგეგმილი), მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ასრულებდნენ ფლაგმანის როლს.

მე-19 საუკუნის ფოლკლორისტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია ქართველ და რუს ისტორიკოსთა, ენათმეცნიერთა, ეთნოგრაფთა, ლი-

ტერატურათმცოდნეთა, საზოგადოებრივი აზრის მკვლევართა, აგრეთვე უცხოელ მოგზაურთა ის ნაშრომებიც, რომლებშიც ზეპირსიტყვიერი მასალაა გამოყენებული, რადგან ფოლკლორისტიკა, როგორც მეცნიერების დარგი, ამ მონაცემებს ემყარება. უკვე მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებში ფოლკლორისტიკული ინტერესები უფრო გაღრმავდა და უმთავრესად პრაქტიკულ შემკრებლობით მუშაობასა და ცოცხალი ზეპირსიტყვიერი ტრადიციის აღწერასა და დახასიათებაში გამოვლინდა. თანაც ეს ყველაფერი გაცნობითი მიზნით კეთდებოდა. რუსულენოვან პერიოდიკაში სხვებთან ერთად ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალას რუსი ავტორებიც აქვეყნებდნენ. ზეპირსიტყვიერ მასალას დიდ ადგილს უთმობდნენ ისეთი პერიოდული გამოცემები, როგორიც იყო გაზეთი „კავკაზი“ და მისი სხვადასხვა წლებში გამომავალი დამატებები: „Сборник газеты «Кавказ», «Литературный листок», Брошюры газет «Кавказ» და სხვა. კვლევის პირველი ეტაპი სწორედ ამ გამოცემებში დაბეჭდილი ფოლკლორული მასალის ძიებას დაეთმო.

მომდევნო ეტაპზე კვლევის არეალში შემოვიდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამომავალი ისეთი სერიოზული გამოცემები, როგორებიცაა „Записки кавказского отдела Императорского русского географического общества (ЗКОИРГО)“ - რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების კრებული (1872-1917), «Известия Кавказского отдела Императорского русского географического общества (ИКОИРГО)“ - რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების კრებული (1872-1917), „Новое обозрение“ - ახალი მიმოხილვა, «Терский сборник» (1892-1893) - თერგის კრებული, «Сборник сведений о кавказских горцах (ССКГ)» - (1868-1876) - ცნობები კავკასიის მთიელთა შესახებ. კვლევის ეს ეტაპები მოიცავდა დასახელებული პერიოდიკის ყველა პუბლიკაციის აღწერას და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალების ანოტაციების შექმნას.

ფოლკლორული ურთიერთობების შესწავლის მომდევნო ეტაპებზე მასალათა შეგროვების პარალელურად კვლევის პროცესში უნდა ჩაერთოს ტექსტების კლასიფიკაცია და საკლასიფიკაციო სისტემის შიგნით მათი შედარება. კლასიფიკაცია უნდა მოხდეს რამდენიმე ნიშნით.

1. როგორც აღინიშნა, ზოგიერთ გამოცემაში ფოლკლორული ტექსტები ჩართულია ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებში, ამიტომ თავდაპირველად უნდა გაიმიჯნოს ამ შინაარსის წერილები იმის მიხედვით, არის მათში ფოლკლორული ტექსტები თუ არა.

2. ამის შემდეგ მოპოვებული მასალა უნდა დაჯგუფდეს ჟანრული პრინციპით, თუ რომელ ჟანრს განეკუთვნება ესა თუ ის ტექსტი და არა იმის მიხედვით, თუ რომელი ხალხის ფოლკლორულ საგანძურს ეკუთვნის იგი. ამ შემთხვევაში ეს იქნება დამატებითი ინფორმაცია.

ეს ნათელს გახდის, თუ როგორია ქართული და ჩრდილოკავკასიური მასალის თანაფარდობა და როგორ გამოიყურება ამ დროის პუბლიკაციების ჟანრული შედგენილობა. ამ თვალსაზრისით უკვე მოპოვებულია მდიდარი მასალა, მათ შორისაა მცირე ჟანრის ნაწარმოებები – ანდაზები, გამოცანები, გათვლები, ლექსები, ზღაპრები, ეპოსის ნიმუშები, მითიური მოთხრობები, თქმულებები და სხვა.

3. ჟანრების მიხედვით დახარისხების შემდეგ გამოიყოფა თემატური ქვეჯგუფები.

თქმულებები დაჯგუფდება ძირითადი შინაარსის მიხედვით, მაგალითად, ტბების წარმოშობის შესახებ (რომლებშიც ცოდვის გამო დასჯის მოტივი ფიგურირებს), ქვაკაცებისა და ქალქვების წარმოშობის შესახებ, რელიგიური დღესასწაულების დაარსების შესახებ და სხვა. ზღაპრები ტრადიციულად ქვეჟანრების მიხედვით დაიყოფა (ჯადოსნური, ცხოველთა და საყოფიერო), მაგრამ აქვე ჩაერთვება ზღაპართა ტიპოლოგიური ანალიზიც. თემატიკისა და ფუნქციის მიხედვით დაჯგუფდება საწესჩვეულებო ფოლკლორის ნიმუშები – ამინდის გა-

მოწვევა, ბარაქიანობის გამოთხოვა, კარდაკარიტუალური სიარულის მიზანი და შინაარსი და სხვა.

4. მე-19 და მე-20 საუკუნეების ჩანაწერებისა და საველე მუშაობის დროს მოპოვებული მასალის დამუშავებისას მოტივების მიხედვით კლასიფიკაციასაც მიექცევა ყურადღება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გამოიკვეთოს კავკასიური მოტივები. ეს კი სამომავლოდ შექმნის ბაზას კავკასიური მოტივების საძიებლის შექმნისთვის.

5. მოპოვებული მასალის შედარებითი კვლევა საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ მხატვრული სახეების კლასიფიკაციაც.

შემდგომში კვლევამ შესაძლოა გარკვეული კორექტივები შეიტანოს ამ კლასიფიკაციაში, მაგრამ ძირითად მიმართულებას ის ვერ შეცვლის.

ამგვარი კლასიფიკაცია საშუალებას მოგვცემს, სრულფასოვნად შევისწავლოთ დაგროვილი ტექსტები, შევადაროთ ისინი ამ საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით და წარმოვაჩინოთ ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობები. შეხვედრის წერტილები ნათელს ჰგენს კულტურულ ღირებულებათა ჩამოყალიბების საფუძველს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნების მიხედვით პასუხი გავცეთ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- კულტურათა შორის ღირებულებათა თანხვედრა და დაპირისპირება,
- ტექსტების აღმოჩენა ინტერკულტურული შედარების თვალსაზრისით;
- როგორ კონკრეტდება მეთოდურად ტერმინი-მეტაფორა „კულტურა, როგორც ტექსტი“?
- როგორ უნდა გამოვიყენოთ ლიტერატურათმცოდნეობითი და ფოლკლორისტული ცოდნა ფოლკლორული მასალისა და ლიტერატურული ტექსტების ინტერპრეტაციისას,
- როგორ უნდა გავაშუქოთ კრიტიკულად - როგორ უკავშირდებიან კულტურული მოვლენები ტექსტებსა და ტექსტუალურ სტრატეგიებს.

Ketevan Sikharulidze
Academic doctor of philology

Кетеван Сихарулидзе
Академический доктор филологии

**Classification of folk texts published in
Russian periodicals in the second half of the
19th century**

**Классификация народных текстов, изданных
в российских периодических изданиях второй
половины 19-го века**

РЕЗЮМЕ

SUMMARY

The article deals with Caucasian people's folklore materials published in the Russian periodicals in the second half of the 19th century, and with comparative studies of these materials. Such types of researches will reveal Caucasian people's traditional values and common features of their artistic creativity. The article also presents the classification markings through which it will be possible to classify the folklore texts and make the comparison within the classification system.

Статья имеет дело с фольклорными материалами белых, изданными в российских периодических изданиях во второй половине 19-го века, и со сравнительными исследованиями этих материалов. Такие типы исследований покажут традиционные ценности белых и общие черты их артистической креативности. Статья также представляет маркировки классификации, посредством которых будет возможно классифицировать фольклорные тексты и сделать сравнение в пределах системы классификации.

Key words: *folklore, texts, Caucasus, historical ethnographical.*

Ключевые слова: *folklore, тексты, Кавказ, исторический этнографический.*

გლობალიზტიკა და გლობალურ-ენობრივი ტენდენციები

ირინე ცინცაძე, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

XX

საკვანძო სიტყვები: გლობალიზტიკა, გლობალისტური-ენობრივი ცნობიერება, კულტურის თეორიები, ენის კომუნიკაციური სტატუსი.

კულტურათმშორისი ურთიერთობები უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესები დაჩქარდა და აქტიურ ფაზაში შევიდა. სიტყვა გლობალიზაცია ინგლისურ Globe-ს უკავშირდება, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს. გლობალიზაცია, როგორც ტერმინი, პირველად ამერიკელმა სოციოლოგმა რ. რობერტსონმა გამოიყენა თავის სტატიაში 1983 წელს.

გლობალიზაცია რომ ობიექტური რეალობაა, უდავოა. იგი ისეთივე ძველი ცნებაა როგორც ცივილიზაცია, როგორც რელიგია. მარკუს ავრელიუსი გავიხსენოთ, რომელიც ამბობს – მე იმდენად ვარ ავრელიუსი, რამდენადაც ვარ რომის მოქალაქე, ხოლო როგორც ადამიანი, მე მსოფლიო მოქალაქე ვარ.¹

რა კუთხით აღარ გვხვდება სიტყვა „გლობალიზაცია“ და რას აღარ უკავშირდება ამ სიტყვით გამოხატული ცნება საზოგადოებრივ ცნობიერებაში. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ასოციაციები საერთო პროცესებთან და ანტიგლობალიზტების გამოსვლებთან დაკავშირებით ჩნდება. მაგრამ სწორია გლობალიზაციის გაიგივება მსგავსი მასშტაბის პროცესებთან გამონაკლისის გარეშე? რასაკვირველია, ლაპარაკია პროცესების ერთობლიობაზე, მაგრამ არა ყველასა და ნებისმიერზე, არამედ მხოლოდ ისეთზე, რომელიც ადამიანებსა და ქვეყნებს აერთიანებს, მათ ერთიან სოციალურ ორგანიზმად აინტეგრირებს – აღნიშნავს გოჩა ჩოგოვაძე. მაგალითად, შეიძლება დათბობაც

¹ В. М. Кулагин. Глобализация и развитие человека. М. 2003

გლობალური იყოს, მაგრამ იგი მთლიანობაში ნაკლებად არის დამოკიდებული ადამიანის ნებასა და ორგანიზებულობაზე.²

დღეს დავაც არ ღირს იმაზე, რომ გლობალიზაციის პროცესი უსწრაფესი ტემპით მიმდინარეობს, რასაც ხელი შეუწყო ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ, რაც იოლად არღვევს საზღვრებს და გადის გლობალურ მასშტაბებზე.

გლობალიზაციის სინონიმად ზოგჯერ ამერიკანიზაციას მოიხმარენ, რაც ამერიკული კულტურის მსოფლიო მასშტაბით გავრცელებასა და დამკვიდრებაზე მიუთითებს. ეს ტერმინი ამერიკული ნორმების, ღირებულებების, სტრუქტურებისა და ინსტიტუტების დანარჩენ მსოფლიოზე გავლენას ასახავს. გ. ზიმელი ამას „თანამედროვე სიხარბეს“, ამერიკული „პროდუქტის“ დანარჩენ მსოფლიოზე აგრესიულ ექსპორტს უწოდებს. მართალია, გლობალიზაცია უნაშთოდ არ დაიყვანება ამერიკანიზაციაზე, თუმცა ეს უკანასკნელი მისი შემადგენელი უდიდესი ნაწილია, ამ მაგალითზე ერთი რამ ნათელია, ის დიდი ქვეყნები, რომელიც გლობალიზაციის პროცესის აჩქარების ისტორიულ პერიოდში მომძლავრებულები იყვნენ, მსოფლიო მასშტაბით ავრცელებენ თავის კულტურას და გლობალიზაცია მათ თითქმის არაფრის დაკარგვით ემუქრება, მაგრამ რა ბედი ელის ისეთ პატარა ქვეყნებს, როგორც საქართველოა?

როგორც ვიცით, კულტურული გლობალიზაცია მიზნად ისახავს რელიგიური, ეროვნული და კულტურული განხვავებების წაშლას და ერთსახოვანი გლობალური კულტურის ფორმირებას.

² გ. ჩოგოვაძე, გლობანსი, მოსკოვი, 2006, გვ.10

საინტერესოა როგორია გლობალისტური ენობრივი ცნობიერება? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო განმარტება აქვს თემურ ჯაგოდნიშვილს: „თანამედროვე გლობალიზაციამ ახალი გლობალისტური მსოფლგანცდა დაამკვიდრა, დროჟამული, სოციალურ – პოლიტიკური, კულტურულ – საგანმანათლებლო კონცეფციების, ტრადიციების დაახლოება – გაერთვაროვნებით შთამბეჭდავად „დააპატარავა“ ადამიანის საარსებო სივრცე, თანაც იმდენად, რომ უსაშველოდ შორეული და მიუწვდომელი ხელისგაწვდებაზე დაახლოვა და გააჩვეულებრივა. გლობალიზმმა მოვლენათა ცენტრში ადამიანი მოაქცია, პარადოქსულად გააშიშვლა და გაადარბა ადამიანის სული. გლობალიზმმა სამყაროული მოვლენების გრანდიოზულობით სულიერად დააპატარავა ადამიანი, რაღაცნაირად შეაცუნა და ერთგვარად გაამარტოხელა სოციალურ სივრცეში, მოჭარბებულად სოციალიზებულ სოციუმად აქცია. ამ მოვლენამ სულ სხვა საფუძვლებზე დაამყარა ადამიანთა შორის ურთიერთობები.

სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II 2003 წლის საშობაო ეპისტოლეში ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ჩვენი ცხოვრება მრავალ უმნიშვნელოვანეს მხარეს მოიცავს. მათ შორის ერთ-ერთი მთავარია ადამიანთა შორის ურთიერთობის საკითხი. თანამედროვე კაცი იმითაცაა განსხვავებული, რომ ზედმეტად თავდაჯერებულია, არ ერიდება სიცრუეს, შეურაცხყოფას და, ამავე დროს, მკაცრია სხვათა მიმართ. ჩვენ არაერთხელ ვართ მომსწრენი იმისა, თუ არგუმენტირებული საწინააღმდეგო პოზიციის მიუხედავად, თავის აზრს ჯიუტად როგორ ამტკიცებს ესა თუ ის პიროვნება და მხოლოდ საკუთარ თავს მიიჩნევს ჭეშმარიტების მქადაგებლად. ბოროტისულის მიერ შეპყრობილი და ამპარტავნების ცოდვით მოცული ასეთი ადამიანი უარყოფს სხვათა მოსაზრებას და მტრობასადაშეურიგებლობის ცოდვაში უფლობა“.

აი, ასეთი ცნობიერებით აღბეჭდა გლობალიზმმა ადამიანის სული და ამგვარი თავისებური დალი დაასვა მის კომუნიკაციებს სოციალურ თუ პროფესიულ სივრცეებში. მაგრამ გლობალიზმმა მხოლოდ მოქალაქეობრივი ცნობიერება და პოზიცია არ აავსო ამგვარი ფსიქოლოგიითა და განცდით. გლობალიზმმა ახალი ენობრივი ცნობიერებაც დაამკვიდრა, მეტიც, ყველაზე მკვეთრად და შემაცუნებლად უცნაურად გლობალიზმმა ენობრივ სამყაროში იჩინა თავი. ეს მოვლენა ბუნებრივად წარმოგვიდგება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ყოველი მოვლენა, მით უფრო სამყაროული წვდომილება შესაბამის ენობრივ მასალას – ლექსიკა – ფრაზეოლოგიას, მეტყველების სტილს, მანერას ირგებს, გლობალისტური ენობრივი ცნობიერების, მეტყველების სტილის, მანერის (რაც გლობალისტის ამბიციების პირდაპირპროპორციულია) არსებობას მტკიცება აღარ დასჭირდება. იგი ფაქტია და უკვე იმით მიიქცია ყურადღება, რომ წინ წამოსწია ენის კომუნიკაციურ – პრაგმატიკული ასპექტები. გლობალიზაციისათვის ენა უმთავრესი კომუნიკაციური სოციოსისტემაა. ცხადია, რომ მასზეა უმთავრესად დამოკიდებული კომუნიკაციური ინტენსიურობა და საზოგადოებრივი ურთიერთგაგებინება. ამ თვალსაზრისით ენა და მეტყველება არა მხოლოდ ლინგვისტიკის, არამედ სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, კულტუროლოგიის, ფილოსოფიის...ინტერესთა საგანი გახდა.¹

კულტურის თეორიებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ენას. კულტურის ბევრი სფერო არავერბალურია – ფერწერა, ქორეოგრაფია, ჟესტები და სხვ. მაგრამ კულტურის ყველა ელემენტი, შეიძლება ენაში გამოისახოს.

ენა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბგერითი (ხმებით) და სიმბოლოებით გამხორციელებული

¹ თ. ჯაგოდნიშვილი, გლობალისტური ენობრივი ცნობიერება და თანამედროვე პუბლიცისტიკის ენის ზოგიერთი თავისებურება. სეუ, მეცნიერება, თბ. 2014. გვ. 81

ბული კომუნკაციის სისტემა, რომელთა მნიშვნელობა პირობითია, მაგრამ გარკვეული სტრუქტურა აქვთ.

ენა შეზღუდული ფენომენია. მას კონკრეტული და მუდმივი სტრუქტურა და ფუნქციონირების წესები აქვს, რომელთა საფუძველზედაც ფაქტებს, მოვლენებს, საგნებს სიტყვებად, წინადადებად, გამონათქვამებად აყალიბებს.

ენა, როგორც სისტემათა სისტემა, XX საუკუნის განმავლობაში აქტიურად შეისწავლებოდა სტრუქტურალისტთა და მათი მიმდევრების მიერ. ლინგვისტიკაში ეს პერიოდი აღინიშნა ენის სისტემის სიღრმისეული შესწავლით, რომელმაც, პირველ რიგში, ლინგვისტიკას, როგორც მეცნიერებას, თვისობრივად შეუცვალა მეცნიერული სტატუსი: ლინგვისტური კვლევა გახდა თანამიმდევრული, სისტემური და კანონზომიერი. სტრუქტურალიზმის უდავო მიღწევების მიუხედავად, ამ მიმდინარეობის ყურადღების მიღმა დარჩა ენაში ადამიანური ფაქტორის არსებობა. მაგრამ ენა მეტისმეტად რთული ორგანიზმია იმისათვის, რომ მისი აღწერა ჩაეციოს „მარტივ“ ლოგიკურ სქემებში. ამიტომ ენათმეცნიერთა უმრავლესობა დღეს თვლის, რომ ენა არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც ადამიანისაგან დამოუკიდებელი სისტემა. ის უნდა შეისწავლებოდეს როგორც „ანთროპოლოგიური ფენომენი“, როდესაც ყურადღების ცენტრში ადამიანია, თავისი მთავარი მსაზღვრელით – ენით: „ენას ემყარება და მასში გამოიხატება ის, რაც ადამიანისათვის წარმოადგენს სამყაროს... სამყაროს ყოფა არის ენობრივი არსებობა“. ამგვარად, უახლესი ლინგვისტიკის კვლევის არეალში მოექცა არა მხოლოდ და შეიძლება არა იმდენად ახალი ფაქტები, რამდენადაც განსხვავებული კუთხით დანახული ძველი პრობლემა.

გლობალიზაცია თითქოს ერთი ენის კომუნიკაციური სტატუსის დაკანონებას მოასწავებს, მაგრამ (ჯერჯერობით მაინც) მსოფლიო ენობრივი პრაქტიკა სხვას ცხადყოფს: განსაკუთრებით

ვრცელსა და დიდ ინგლისურეკან სამყაროში ინტეგრირებას ინტენსიურად ცდილობენ სუსტი და განვითარებადი ქვეყნები, რომლებისთვისაც ინგლისური ენა გლობალიზაციურ პროცესებში სრულფასოვანი ჩართულობის ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ძლიერი, თავად თანამედროვე გლობალიზმის არსის განმსაზღვრელი ქვეყნები, უპირველესად კი, აშშ-ში, თანამედროვე მსოფლიოს ერთენოვნებას სხვაგვარად უყურებს – აღნიშნავს თ. ჯაგოდნიშვილი.

თანამედროვე მსოფლიოს პრესტიჟულ ენად ინგლისური სახელდება, რადგან ის იმდენად პოპულარულია, რომ მაზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ბრიტანეთის ყოფილი კოლონიები: ინდოეთი, პაკისტანი, ნიგერია, კენია) მეტყველებენ და წერენ; ბევრ სახელმწიფოში კი (მაგ.: ირლანდიაში, ფილიპინებზე...) მეორე ენადაა დაკანონებული. ინგლისური ენა დომინირებს როგორც ოფიციალური, სამუშაო ენა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში; ხოლო საერთაშორისო სიმპოზიუმებისა თუ კონფერენციებზე ძირითადად სამუშაო ენად ითვლება.

ამ ენის ასე დიდი მასშტაბით გავრცელებას ხელი შეუწყო საინფორმაციო ტექნოლოგიების ზრდამაც: ინგლისური ტექნოლოგიების ენაა. მსოფლიოს იმ ქვეყნებში, რომლებშიც წარმოებული ტექნიკა შედის, ინფორმაცია ინგლისურ ენაზე უფრო ადვილად აღიქმება, ვიდრე თუნდაც ჩინურად (სადაც, როგორც წესი, წარმოებული ტექნიკის უდიდესი ნაწილი მზადდება). მაგრამ ამას, საერთოენობრივი სურათის თვალსაზრისით, მკვეთრად უარყოფითი შედეგები მოაქვს ე.წ. არაპრესტიჟული ენებისთვის, რომელთაც, შეიძლება ითქვას, საოჯახო ფუნქციადა შერჩათ, რადგან ინფორმაციული საზოგადოების პირობებში მნიშვნელოვანი ხდება სწორედ ის ენა, რომელზეც ვრცელდება ინფორმაცია; ამ ინფორმაციაზე ხელმიუწვდომ-

ლობა კი მეტალინგვისტური სოციალური და ეკონომიკური პრობლემების განმაპირობებელი ფაქტორი ხდება.

ამისდა კვალად, საჭირო ხდება უმცირესობათა ენების მოდერნიზება, შესაბამისი ტერმინოლოგიის დამკვიდრება, მათი სწორად შერჩევისგზით. ახალი ტერმინოლოგიის შერჩევის დროს კი საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ ისინი უნდა ჟღერდეს თანამედროვედ, მიანიშნებდეს მოდერნიზმს, პროგრესს და არა წარსულს და რეგრესს.¹

სტანდარტიზებულ ენაში სასაუბრო სამეტყველო სტილის, განსაკუთრებით ქალაქური მეტყველების ლექსიკისა და სტილის მძლავრად შეჭრამ, სხვადასხვა სოციალური, პროფესიული, ასაკობრივი ჯგუფების ლექსიკა – ფრაზეოლოგიისა და მეტყველების სტილების განსხვავებათა ნივილირების ტენდენციებმა, საგრძნობი გახადა ზოგადად არაკოდინფიცირებული მეტყველების საფუძველზე საერთო (ზოგადი) ჟარგონის შეჭრა – დამკვიდრება წიგნიერ ენაში – მწერლობასა და პუბლიცისტიკაში. საერთო ჟარგონი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს იმ და იმგვარ არაკოდინფიცირებულ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას, რომელიც არ არის რომელიმე ცალკეული სოციალური ჯგუფის კუთვნილება. მას გამოიყენებს ეროვნული სალიტერატურო ენის ნებისმიერი მატარებელი.

ისიც კარგად არის გარკვეული, რომ საერთო ჟარგონი ერთგვარი შუალედური ენიბრივი მოვლენაა, რომელიც გაწოლილია სასაუბრო მეტყველებასა და სტანდარტიზებულ ენას, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ლექსიკას შუა. მეორე მხრივ, სწორედ საერთო ჟარგონების გავლით იჭრება სოციალური, პროფესიული, ასაკობრივი ჟარგონების ლექსიკა და ფრაზეოლოგია სასაუბრო მეტყველებაშიც და პუბლიცისტიკის ენაშიც. საერთო ჟარგონის ლექსიკა, თანდათანობით სალიტერატურო ენაშიც იკიდებს ფეხს. ამის გამო

იცვლება „სალიტერატურო ენის“ ცნებაც არაკოდინფიცირებული ლექსიკის ფუნქციონირებით მისი სივრცის გაფართოების გამო, ასევე ვარიანტული ლექსიკა – ფრაზეოლოგიის შემატების შედეგად. კომუნიკაციური ლინგვისტიკის მკვლევარები ლამის ერთხმად აფიქსირებენ იმ გარემოებას, რომ XX – XXI საუკუნის მიჯნაზე და შემდგომ ათწლეულებშიც ენისა და მეტყველების ვარიანტულობა (სხვადასხვა სოციოლექტების სალიტერატურო ენის სივრცეში შეჭრის საფუძველზე) სამეტყველო პრაქტიკის უმთავრესი მახასიათებელი გახდა. ეს თავისებურება ყველაზე მკაფიოდ პუბლიცისტიკის ენობრივ სამყაროს დაეტყო. ამის გამო, ენობრივი და სამეტყველო ნორმების, ასევე სამეტყველო გატაცებების, სამეტყველო მოდის საჯარო მეტყველებასა და კოდინფიცირებულ ენაში ფეხისმოკიდების პრობლემები აქტუალურია არა მხოლოდ ზოგადად თანამედროვე ეტაპის მეტყველების კულტურისათვის, არამედ და უპირველესად პუბლიცისტიკის ენისათვის.²

თანამედროვე ქართული ჟურნალ – გაზეთების ენა გლობალიზაციას ერთგვარი მოზაიკური სურათის შექმნით ეხმიანება და წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით მათმა შესწავლამ აჩვენა, რომ, რიგ შემთხვევებში (განსაკუთრებით ეს ეხება ე.წ. საკუთრივ ელიტური წრეებისთვის და არა – მთელი მოსახლეობისთვის – განკუთვნილ ბეჭდურ გამოცემებს), ამგვარი ენობრივი მოზაიკურობა მკითხველთან კომუნიკაციისთვის გააზრებულად არჩეული ტონია, სტრატეგიაა: ანგლიციზმებით წერა, მოცემულ შემთხვევაში, იმ გლობალურ პროცესებთან კავშირის ფორმალური გამოხატულებაც კია, რომელიც, ძირითადად, თანამედროვე მსოფლიო შოუ – ბიზნესის განვითარების ტემპის სინქრონულ ათვისებას უსვამს ხაზს. მაგალითისათვის მოვიყვან ერთ-ერთი თანამედროვე ქართული ჟურნალის, „თბილისი Live-ის“, მხოლოდ ერთი ნომრის (2013

¹ მ. კილანავა, გლობალიზაციის ენობრივი live-სურათი, <http://www.nplg.gov.ge>

² თ. ჯაგოდნიშვილი, გლობალისტური ენობრივი ცნობიერება და თანამედროვე პუბლიცისტიკის ენის ზოგიერთი თავისებურება. სეუ, მეცნიერება, თბ. 2014. გვ. 88

წლის მარტის თვე) სტატიებში გამოყენებული ინგლისური ენიდან შემოსული სიტყვების რამდენიმე მაგალითს:

1. აღმოსავლური და თანამედროვე ელემენტებით გაფორმებულ რესტორანში, მშვიდი და სარელაქსაციო ატმოსფეროა შექმნილი.... (გვ.9)
2. ბევრ სამომრავოსთან ერთად, პარკინგის პრობლემაც მქონდა. (გვ. 25);
3. პოპულარობა ერთი სიმღერის გაპიარებით მოიპოვეს. (გვ. 39);
4. პირველი სინგლი მათ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში გამოუშვეს. (გვ. 41);
5. წელს ყველაზე კრეატიულ ნამუშევრად გულის ფორმის ორმო დასახელდა. (გვ. 52);
6. ქასტინგი, ე.წ. შერჩევა სერიალისთვის 2011 წლის დეკემბერში შედგა. (გვ. 78);
7. ივენთი სპეციალური შოუთი გაიხსნა. (გვ. 104);
8. ჩვენი სტაფი საზღვარგარეთ ტრენინგებს გადის. (გვ. 139);

წარმოდგენილი მაგალითების მიხედვით, ცხადი ხდება, რომ ენობრივი არაერთგვაროვნება იმდენად სათანადო ლექსიკურ ერთეულთა არარსებობით კი არაა გამოწვეული, რამდენადაც გარკვეული პრესტიჟული ტონის შერჩევის მცდელობით, რომელიც გულისხმობს უცხო ენის (ინგლისურის) პრიმატულობის ხაზგასმას და ამ გზით საკუთარი რეიტინგის ამაღლებასაც. დამოწმებულ ანგლიციზმთა აბსოლუტურ უმრავლესობას ქართული შესატყვისები აქვს. უცხო სიტყვათა ლექსიკონში, მოხელის სამაგიდო ლექსიკონსა და ინგლისურ-ქართული, ქართულ-ინგლისური თანამედროვე ლექსიკონში, თითოეული ტერმინი განმარტებულია და მათი აქ დამოწმებაც აუცილებლობად არ წარმოადგენს სწორედ იმის გამო, რომ ამ ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობები ფართო საზოგადოებისათვის აბსოლუტურად ნათელია. ეს კი, თავის მხრივ, ქართულ ენაში მათს დამკვიდრებაზე მიუთითებს.

როგორც თ. ჯაგოდინიშვილი აღნიშნავს, უფრო მკვეთრად და ღრმად თანამედროვე ქართულ მედიაში ფესვგადგმული ეს ტენდენციები შეფასებულია სრულიად საქართველოს კათალიკოს – პატრიარქისა და უწმინდესის, უნეტარესის ილია მეორის ეპისტოლეებში, სადაც მედიის კრიტიკული შეფასება XX საუკუნის ბოლო წლებიდან იწყება, ხოლო უკანასკნელ წლებში თანდათან უფრო და უფრო მძაფრდება, აი, მაგალითად, როგორაა შეფასებული მედია 2003 წლის საშობაო ეპისტოლეში: „მსოფლიოს გლობალური კომპიუტერიზაციის პროცესის ფონზე ინტერნეტი და სხვა საინფორმაციო საშუალებანი ხშირად ავრცელებენ ნეგატიურ დამთრგუნველ ინფორმაციას, თესვენ შიშს ხვალისდელი დღისა, არყევენ საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული ცხოვრების სულიერ საფუძვლებს და აღვიძებენ დაბალ ინსტიქტებს. შედეგიცააშკარაა, – თანამედროვეადამიანისათვის, რომელსაც არა აქვს ჭეშმარიტი სარწმუნოება, ყოველივე ნებადართულია: მრუშობაც, აბორტიც, მკვლელობაც, ძალადობაც და ზნეობრივი დეგრადაციის სხვა გამოვლინებებიც.

მეტად სამწუხაროა, რომ ასეთი აზროვნების დანერგვას გარკვეულწილად ხელს უწყობს სატელევიზიო პროგრამები და ჟურნალ – გაზეთები“.

მთელი სამყარო ენაში და ენით არსებობს! ერი უკვდავია მხოლოდ მაშინ, თუ ის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს. ახლა ჩვენ თვალწინ ირღვევა ქართული ენის სტრუქტურა, სინტაქსი. „მტერობა ენის არს მტერობა ქვეყნის“, – გვაფრთხილებდა ილია; „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ – გოდებდა გრიგოლ ორბელიანი. ნებისმიერ ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ ქართული ენა ქართველთა ერთობისა და ქართული სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია, ამიტომ მისი სიწმინდე ხელშეუხებელი უნდა იყოს ყველა ეტაპზე. მარტინ ჰაიდეგერმა ადამიანი ასე განსაზღვრა – მე ვარ ის, რასაც ვლაპარაკობ! არ გაგვიკვირდეს, ზუსტად იმას ვიმსახურებთ, რასაც ვაკეთებთ,

როგორც ვეპყრობით ჩვენი იდენტობის გარანტს – ქართულ ენას!¹

მოცემულ შემთხვევაში ქართული მედიის ამგვარი შეფასება და ჟურნალისტური პროფესიული საქმიანობის ნეოლიბერალისტური ლტოლვა-მისწრაფებები უპირველესად ენისადმი კონცეპტუალური, ღრმად გაცნობიერებული პოზიციისა და იმ კარგად ცნობილ ჭეშმარიტებას ემყარება, რომელიც გვაუწყებს, რომ „ერის ერთ-ერთი მახასიათებელია ენა. ენასა და ერს შორის, შეიძლება ითქვას, იგივეობის ნიშანია“ (მისი უწმინდესობის საშობაო ეპისტოლე 2008 წლისა, 563).²

როდესაც ვსაუბრობთ ენის გლობალიზაციის შესახებ, აქვე მოვიტან ამონარიდს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის საკმაოდ გახმაურებული და საინტერესო სტატიიდან „ენა და სახელმწიფო“:

„გლობალიზაციის საყოველთაო პროცესი საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას კულტურულ და ცნობიერ კავშირს ისტორიულ ფესვებთან. ამ პროცესის შესახვედრად თვით უძლიერესი ერებიც კი ემზადებოდნენ (ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფოს დაარსებით, ფეოდალური დანაწევრების დამლევით, საერთო შიდაეკონომიკური ბაზრის შექმნით, ერთიანი კულტურული სივრცის ჩამოყალიბებით, შიდაეთიკური საზღვრების მოშლით)...

...ამ ვითარების გამო აუცილებლად მივიჩნევთ, რომ სამომავლოდ ქართულ ენასა და კულტურას საქართველოში მიენიჭოს პრიორიტეტი რუსულთან შედარებით. იგულისხმება საქართველოს მოცვა ქართული ენით, ლიტერატურით, მუსიკით, ფილოსოფიით, კულტურით, ეკონომიკური დოქტრინებით. სახელმწიფომ ქვეყანაში უნდა გაატაროს შესაბამისი ენობრივი პოლიტიკა, ქართული ენის სახელმწიფოებრიობა რეალურად უნდა განხორციელდეს.

¹ საბა მეტრეველი, ვერბალური ნონსენსი – ენა და საზოგადოება, გაზეთი „პრემიერი“, 11-17 დეკემბერი, 13.12.2013

² თ. ჯაგოდნიშვილი, გლობალისტური ენობრივი ცნობიერება და თანამედროვე პუბლიცისტიკის ენის ზოგიერთი თავისებურება. სეუ, მეცნიერება, თბ. 2014.გვ. 89

აღნიშნულის განსახორციელებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საინფორმაციო საშუალებების (ტელეხედვის, რადიომაუწყებლობისა და ინტერნეტის) ქართულენოვანებას. ქართულმა ტელეარხებმა გადაცემა უნდა განხორციელონ სახელმწიფო ენით, ისევე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია. ქართული კულტურისათვის დამამცირებელია, რომ საქართველოს მხარეების უდიდესი ნაწილი ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთის მთიანეთი, ქვეყნის სხვა ოლქები წარმოადგენს რუსულ და უცხოენოვან ტელე და რადიო სივრცეს და (არა ქართულს)...

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტელე და რადიო დიქტორთა მეტყველებას. მათი საუბარი გასაგები უნდა იყოს უცხოეთში მცხოვრები ქართველისათვის. არა მხოლოდ თურქეთისა და ირანის მკვიდრ ქართველებს, არამედ, თვით საქართველოს მსმენელს უჭირს ტელე და რადიო დიქტორთა უზომოდ აჩქარებული და აქცენტირებული მეტყველების აღქმა, მითუმეტეს, მათი მოსმენა უჭირთ საქართველოში მცხოვრებ იმ აზიერბაჯანელებსა თუ სომხებს, რომელთაც სახელმწიფო ენის ათვისება სურთ.

საქართველო, ვითარცა მცირერიცხოვანი ქვეყანა, როგორც აღინიშნა, უფრო მეტად უნდა შეემზადოს გლობალიზაციის პროცესის შესახვედრად ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებით, შესაბამისად, ტერიტორიულ – ადმინისტრაციული მოწყობის მიზნით, ამჟამად საქართველო არ უნდა დაიყოს კუთხური ნიშნით შექმნილ რეგიონალურ მხარეებად. ამან შეიძლება სამომავლოდ ქვეყნის მთლიანობას საფრთხე შეუქმნას. შესაძლოა, ამგვარმა დაყოფამ ხელი შეუწყოს სეპარატისტული ტენდენციების ჩანერგვასა და განვითარებას რეგიონალური ხელისუფლების მხრიდან (მაგალითად ისე, როგორც ეს მოხდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“), ფედერალური მოწყობა შეიძლება დამლუპველი აღმოჩნდეს საქართველოსათვის...

გლობალიზაციის პროცესის ღირსეულად შე-

სახვედრად ქართველმა ერმა უნდა განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, შეეძლოს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, რისთვისაც უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, რისთვისაც უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართული ენისა და კულტურის გავრცობას¹.

თანამედროვე მასმედიის ენასა და მეტყველებაში ქართული წარმოთქმის, ინტონაციის, ბუნება, რიტმიკა – მელოდიკური სტრუქტურა შეგნებულად არის უგულვებელყოფილი და ხელოვნურად ინერგება ლექსიკა – ფრაზეოლოგიის უცხოენოვანი აღმავალი მახვილით დასრულების მანერა. ასევე უცხოენოვანი სახელწოდებებიც ქართველისათვის არაბუნებრივი აქცენტუაციით წარმოთქმა (მაგ. ერთი „ცნობადი“ ჟურნალისტის მიერ აშშ-ს დედაქალაქის სახელის ინგლისურენოვან ყაიდაზე წარმოთქმის („ვოუშინგტონ“) დამკვიდრების დაჟინებული მცდელობა). უცხოენოვანი წარმოთქმის გაბატონებამ გავლენა იქონია მეტყველების სტილზედაც. ქართული მასმედიის ენამ დაკარგა მშვიდი, დარბაისლური, რიტმიკულ – მელოდიკურად გაწონასწორებული გაბმული მეტყველების სტილი (რომელიც სწორად თავისი მშვიდი აკადემიზმით იზრდიდა დამაჯერებლობასა და შთამბეჭდაობას) და თვალშისაცემი შემტევ – აგრესიული გახდა. ეს განსაკუთრებით ტელე-ჟურნალისტებზე ითქმის.

თანამედროვე ქართული პუბლიცისტიკის ენისა და მეტყველების ერთი თავისებურებაა სიტყვების გამოყენება, არადანიშნულებით (კონტექსტისათვის შეუფერებლად). მაგალითად, სიტყვა „ეკონომიურის“ გამოყენება „ეკონომიკურის“ ნაცვლად, ასევე „მოთხოვნა“, ნაცვლად „მოთხოვილებისა“, „აღქმის“ მაგიერ „აღთქმისა“;

„ცნების“ მაგიერ „მცნებისა“; „მოკვდავის“ ნაცვლად „მომაკვდავისა“; „მასიურის“ ნაცვლად „მასობრივისა“ და ა.შ.²

გლობალიზაცია, ენის გლობალური პოლიტიკა, კულტურული გლობალიზაცია – დღეს ეს საკითხები ძალზედ აქტუალურია და ამავდროულად გლობალურია, რომლის კვლევა – ძიებაც ასევე აქტუალური და ამოუწურავია. ერთ პატარა ნაშრომში აღნიშნული საკითხების განხილვა ფაქტიურად შეუძლებელია.

და ბოლოს, ამ სამყაროში მიმდინარე პროცესებთან შეწყობა - ესაა სამყაროს, მისი კანონზომიერებების შეცნობის გზა, გზა განათლებისა. გლობალიზაციის ეპოქას თავისი კორექტივები მუდმივად შეაქვს, რაც რა თქმა უნდა საქართველოსაც შეეხება. ეს აისახება როგორც კულტურაში, სპორტში, ხელოვნებაში, ასევე მედიაში, რომელიც გლობალური სამყაროს განუყოფელი ნაწილია.

ლიტერატურა:

1. ჯაგოდნიშვილი თემურ, გლობალისტური ენობრივი ცნობიერება და თანამედროვე პუბლიცისტიკის ენის ზოგიერთი თავისებურება. სეუ@მეცნიერება, #01(1) თბ. 2014.
2. ჩოგოვაძე გოჩა, გლობალანსი, მოსკოვი, 2006
3. ნ. ნიკოლაიშვილი, გლობალიზაცია და კულტურა, „ახალი აზრი“, #2 (16), 2004
4. დ. რაზმაძე, ენა როგორც კულტურის ფენომენი, <http://www.nplg.gov.ge>
5. მ. კილანავა, გლობალიზაციის ენობრივი live-სურათი, <http://www.nplg.gov.ge>
6. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ენა და სახელმწიფო, საისტორიო მაცნე ჟურნალი – სვეტიცხოველი, 2009, #1,
7. საბა მეტრეველი, ვერბალური ნონსენსი – ენა და საზოგადოება, გაზეთი „პრემიერი“, 11–17 დეკემბერი, 13.12.2013
8. В. М. Кулагин. Глобализация и развитие человека. М. 2003

¹ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ენა და სახელმწიფო, საისტორიო მაცნე ჟურნალი – სვეტიცხოველი, 2009, #1, გვ. 77–83 (247)

² თ. ჯაგოდნიშვილი, გლობალისტური ენობრივი ცნობიერება და თანამედროვე პუბლიცისტიკის ენის ზოგიერთი თავისებურება. სეუ, მეცნიერება, თბ. 2014, გვ. 92

*Irine Tsintsadze, PhD,
Georgian Technical University*

**Globalization and global language
tendencies**

SUMMARY

Globalization, global language politics and cultural globalization are very important issues nowadays. Exactly concerning these matters some issues are discussed in the article though it is only a small part of future research.

The way of following ongoing events in the world is a way of cognition of the regularities of the universe and education. Globalization permanently brings changes which concern Georgia as well. Changes appear in culture, sport, art and also media as an integral part of global affairs.

*Ирине Цинцадзе, Докторант,
Грузитский Технический Университет*

**Глобалистика и глобально-языковые
тенденции**

РЕЗЮМЕ

Глобализация, языковая глобальная политика, культурная глобализация – сегодня эти вопросы являются актуальными и, в тоже время, глобальным. Именно указанные вопросы рассмотрены в данной статье, однако это лишь малая часть исследования.

Участие в происходящих в мире процессах подразумевает изучение мира, путь познания закономерности, путь просвещения. Эпоха глобализации вносит свои постоянные коррективы, что не может не повлиять на Грузию. Данный процесс отражается на культуре, спорте, искусстве, а также на меди, которая является неотделимой частью глобального мира.

შინაარსი როგორც „სენტენციური პრიმიტივების“ კომპოზიცია

*გიორგი ჩიკოძე,
საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია*



საკვანძო სიტყვები: სინონიმები, პრიმიტივები, სტრუქტურა, წინადადება.

წინადადების (ზოგადად, ტექსტის) შინაარსი განიხილება როგორც როლებრივი სტრუქტურა, რომლის შემადგენელი ერთეულები “სენტენციური პრიმიტივები”, ანუ მაქსიმალურად გამარტივებული მარტივი წინადადებებია. მაქსიმალიზმი კი შეზღუდულია იმ თვალსაზრისით, რომ თითოეული “პრიმიტივი” გამჭვირვალედ, თვალსაჩინოდ უნდა გამოხატავდეს რომელიმე ცალკეულ სიტუაციას (პროცესი, მდგომარეობა ან რაღაც მახასიათებელი). ცალკეული სიტუაციის ჯამი, მათი კომპოზიცია, როლებრივი სტრუქტურა კი შეიძლება გაუტოლდეს მთლიანი ტექსტის, პირველ რიგში კი, რთული წინადადების მთლიან შინაარსს.

ამ მიდგომის განვითარება და ქართული ტექსტისთვის მორგება ჯერჯერობით საწყის ეტაპზეა, რაც აიხსნება მისი “გარეგნული” პრიმიტივობით, ზოგი თვალსაზრისით კი მიამიტურობა/ნაივიურობით. ეს გამართლებულია იმ თვალსაზრისით, რომ “ჩვენ არ შეგვიძლია გავცდეთ ბუნებრივი ენის ფარგლებს” თუნდაც ენის შემეცნებისას (მ. ჰაიდგერი), რაც გვიბიძგებს ენის შიგნით “გასაღების” იმ ურთულესი პრობლემის ძებნისაკენ, რომელსაც ენობრივი შინაარსის ცნება წარმოადგენს.

ამავე დროს, ენობრივი შინაარსის წარმოდგენა განაპირობებს იმ მიმართულების რეალიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს ენის, კერძოდ, მისი ფუნქციონირების მაქსიმალურად სრულ ასახვას. სახელდობრ, ენის მოდელირებას, რომლის ამოცანაც არის ისეთი სისტემების შედგენა, რომლებიც იმეორებენ ენის მთავარ ფუნქციას.

ეს უკანასკნელი კი, ვ. ჰუმბოლდტის თანახმად, მდგომარეობს “შესაძლებლობაში ენობრივი გამოხატულებიდან ამოსვლით მივადწიოთ მის შინაარსს და პირიქით, მოვძებნოთ სათანადო ენობრივი გამოხატულება ნებისმიერი შინაარსისათვის”. აქედან გამომდინარე, ჩნდება ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ამოცანა: შინაარსის წარმოდგენის ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, და იმ პროცესების განსაზღვრა, რომლებიც აკავშირებენ ენის ორ მხარეს: შინაარსს და გამოხატულებას.

საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, სწორედ შინაარსის წარმოდგენამ უნდა განსაზღვროს პროცედურების ხასიათი, მათი სტრუქტურა და მათი აგებულების ოპტიმალური ვარიანტი, რადგან შინაარსი არის ენის ფუნქციონირების (ანალიზის) “ფინალური” და მერე მიმართულების (სინთეზის) “სასტარტო” წერტილი. თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ მხოლოდ გამოხატულება არის ჩვენთვის უშუალოდ მისაწვდომი მხარე, შინაარსის კვლევაც, პირველ რიგში, ეფუძნება გამოხატულების ანალიზს. კერძოდ, ეფუძნება მისი შემადგენელი ნაწილების შინაარსის, ანუ მათი სემანტიკის კვლევას ვარაუდით, რომ ცოდნის ერთობლიობა მოგვაგონებს ელემენტების კომპოზიციის სემანტიკასაც.

მიდგომის ერთ-ერთი თავისებურებაა ისიც, რომ ცალკეული “მოკრძალებული ზომის” ერთეულების სემანტიკა უმრავლეს შემთხვევაში არ ექვემდებარება უშუალო “გაშიფვრას” და ვლინდება უფრო ფართო კონტექსტებში. ამ თვალსაზრისით, შემოთავაზებული მიდგომა შინაარსის შემადგენელ ნაწილებად გვთავაზობს ისეთ ერთეულებს, რომელთა შინაარსი ვლინდება პირდაპირი, ბუნებრივი გზით მათი აღქმის

შედეგად. ასეთად მიიჩნევა დასრულებული გრამატიკული წინადადებები, რომლებიც შინაარსის აღქმის, თუ გამოხატვის ბუნებრივი საშუალებაა ნებისმიერი პიროვნებისთვის, რომელიც ფლობს მოცემულ ბუნებრივ ენას.

ამ მიდგომის ჩამოყალიბების დამატებით პირობას ქმნის “ეკონომიის პრინციპი”, რომელიც კარნახობს შემადგენლების “პრიმიტივიზაციას”. ჯერჯერობით მიმდინარეობს მიდგომის აპრობირება კონკრეტულ მაგალითებზე. აღსანიშნავია, რომ ცდები შეიძლება ჩატარდეს ორი განსხვავებული, ურთიერთსაპირისპირო, ანალიზური ან სინთეზური კუთხით. ამ პრობლემას ჩვენ ვუდგებოდით ანალიზის თვალთახედვით, ანუ განვიხილავდით რომელიმე რთულ წინადადებას და მისი დაშლის შესაძლებლობას ოპტიმალურ “პრიმიტივებად”. მოცემულ ნაშრომში კი შევეცდებით საპირისპირო, ანუ სინთეზური მიმართულების მოსინჯვას: ამ შემთხვევაში საწყის მდგომარეობა უნდა იყოს ცალკეული “პრიმიტიული” სიტუაციის გამოხატველი მარტივი წინადადებების სიმრავლე, რომლებსაც აერთიანებს სემანტიკური როლების (Fillmore 1968) მსგავსი სემანტიკური როლები და ამ მოცემულობიდან ამოსვლით ვცდილობთ დავადგინოთ ტრანსფორმაციები, რომლებიც ამ “პრიმიტივებს” ერთ გამონათქვამში აერთიანებენ. გამონათქვამში უნდა აისახოს სიტუაციების და მათი როლებრივი მიმართებების ჯამური შინაარსი.

იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი გამოხატვის საშუალებას გვაძლევს არა ერთადერთი, არამედ რამდენიმე (კვაზი-) სინონიმური გამონათქვამი, სავარაუდო სისტემა შეიძლება შეფასდეს, როგორც სემანტიკური გენერატორი (წარმოშობი სისტემა), რომლის სათავეც, N. Chomsky-ის სინტაქსური სისტემისაგან განსხვავებით, ზემოთ ხსენებული “პრიმიტივების” სიმრავლეა და არა “წინადადების” აღმნიშვნელი “ცარიელი” S-სიმბოლო.

ამავე დროს, აღსანიშნავია უშუალო შინაარსობრივი დამოკიდებულება, რომელიც ამ მიდ-

გომას გააჩნია მონოგრაფიაში (ი. მელჩუკი 1974) მოცემულ სქემასთან. ამ მონოგრაფიაში, რომელიც ენის მოდელირების საწყისად ითვლება, სინთეზური მიმართულება წარმოდგენილია პროცესად, რომლის საწყისი ეტაპი მოცემული შინაარსის გამომხატველი რომელიმე წინადადებაა. შემდგომი პროცესის ამოცანა კი არის საწყისი გამოხატულების გარდაქმნა/ტრანსფორმაცია ნებისმიერ სხვა მის კვაზი-სინონიმურ გამონათქვამად. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ აქ განხილული მიდგომა გვთავაზობს წარმოდგენის კონკრეტიზაციის ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტს, რომელიც ეყრდნობა “სენტენციური პრიმიტივების” და მათ შორის არსებული მიმართებების ცნებას.

ამ მიდგომის რეალიზაცია გვპირდება როგორც გამოყენებითი ენობრივი სისტემების (თარგმანი, ენის სწავლება) გამარტივებას და გაუმჯობესებას, ისე იმ ფუნდამენტალური მიდგომის კონკრეტიზაციას, რომელიც გამოიხატება ვარაუდში, რომ ენობრივი შინაარსი წარმოადგენს კვაზი-სინონიმური გამონათქვამების გადაკვეთას (ა. ჟოლკოვსკი, ი. მელჩუკი). მისი აშკარა “მანკიერი წრის” შემცველი ხასიათის მიუხედავად, ეს დებულება მეტად ფასეულია თუნდაც იმიტომ, რომ მას არ გააჩნია არავითარი სხვა “კონკურენტუნარიანი” მეტოქე ენობრივ სფეროში. ამ თვალსაზრისით კი პრიმიტივების სქემა შეიძლება განხილული იქნას, როგორც ამ კვაზი-სინონიმური გამონათქვამების გადაკვეთის კონკრეტული მაგალითი, რომელიც, ამავე დროს, სათანადო ტრანსფორმაციულ გარდაქმნებთან ერთად იმპლიციტურად, პოტენციურად მოიცავს მთლიან შესატყვის კვაზი-სინონიმურ სიმრავლეს და რომელსაც თავისი ფუნქციონირებით მთელი ამ სიმრავლის გენერირება (წარმოშობა) შეუძლია.

სანამ ნაშრომის შინაარსის ძირითადი ნაწილის მაგალითებზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი არ უზრუნველყოფენ მოცემული ამოცანის გადაწყვეტას: მათი დანიშნულება მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ აქ

დასმული ამოცანა უფრო გასაგები და ნათელი გახდეს და დაადასტუროს ამ პრობლემის გადაწყვეტის, თუნდაც ზოგ შემთხვევაში, შესაძლებლობა.


ბუნებრივია, დავიწყებთ შედარებით მარტივი მაგალითებით. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მარტივ წინადადებათა ჯგუფი, რომლებიც ასახავს შემდეგ “ფაქტებს”:

1. (მე) მივედი მაღაზიაში;
2. მაღაზია მდებარეობს ჩემ სახლთან ახლოს;
3. მაღაზია ვაჭრობს წიგნებით;
4. მინდოდა ლექსიკონის შეძენა.

1-4 “ფაქტების” ჯგუფის ერთ გამონათქვამად “შეკვრის” ერთ-ერთი ვარიანტია:


მივედი ჩემ სახლთან ახლო მდებარე წიგნების მაღაზიაში ლექსიკონის საყიდლად.

გამონათქვამს შეიძლება მივანიჭოთ შემდეგი როლებრივი სტრუქტურა:



როლებრივ ჭდეებს შემდეგი სემანტიკური დატვირთვა აქვს: R გულისხმობს სასურველ შედეგს (Result); A(L) გულისხმობს ატრიბუტს (A), რომელიც მიუთითებს საზღვრულის ადგილზე (L); A(P) აგრეთვე ატრიბუტია, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის დანიშნულებას (Purpose).

შეიძლება შევეცადოთ სქემის გარკვეულ გამარტივებას:



აქ მხოლოდ დომინანტი წინადადებაა მოცემული მთლიანად, დანარჩენი კი ნომრებითაა (2, 3, 4) წარმოდგენილი; AP/L გულისხმობს ადრესატს.

როლებრივი მიმართებებით “პრიმიტივების” ჯგუფის მონიშვნა სრულყოფს გენერაციის პროცესის სათავეში მდგომ ინფორმაციას.

ზემოთ განხილული (1-4) ჯგუფის მარტივ შემთხვევაშიც ამ მიმართებათა წინასწარი დადგენის გარეშე ჩნდება გარკვეული ვარიანტის შესაძლებლობა. მაგალითად, აქცენტი შეიძლება გაკეთებული იყოს იმაზე, რომ მე ვეწვიე სწორედ წიგნების, და არა სურსათის ან ტანსაცმლის მაღაზიას:

რადგანაც ლექსიკონის შეძენა მინდოდა, მივედი ჩემ სახლთან ახლო მდებარე მაღაზიაში, რომელიც ვაჭრობდა წიგნებით.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ როლებრივი მიმართებები ზოგ შემთხვევაში მოითხოვს დამატებით ინფორმაციას. მოცემულ შემთხვევაში ეს, პირველ რიგში, ეხება R-სიმბოლოთი მონიშნულ მიმართებას. ზემოთ მისი მნიშვნელობა გამოხატული იყო როგორც რეზულტატი/შედეგი, რაც მთლად არ ეთანადება წინადადებაში გადმოცემულ ინტერპრეტაციას, რომ ლექსიკონის შეძენა გამოიყურება, როგორც მიზანი, ანუ სასურველი, სავარაუდო და არა უკვე მიღწეული მოვლენა, მომხდარი ფაქტი.

“მიზნის” მიმართების თავისებურება ვლინდება “საბაბთან”, “მიზეზთან” დამოკიდებულებაში: ის ფაქტობრივად უტოლდება ამ უკანასკნელს, რადგანაც ასრულებს გარკვეული “სტიმულის” ანუ “მიზეზის” როლს, ანუ სუბიექტს უბიძგებს შესაბამისი პროცესისა და საბოლოო მიზნის მიღწევისაკენ. ეს კი არ ახასიათებს უკვე მიღებულ, რეალიზებულ “შედეგს”:

შევიძინე ლექსიკონი

არ არის წიგნების მაღაზიაში მისასვლელი “სტიმული”.

თავის მხრივ, ეს სიტუაცია შეიძლება არის “მიზეზი”, “პირობა”, რომლის რეალიზაცია საფუძველს ქმნის სხვა, ახალი სიტუაციის ჩამოყალიბებისათვის:

უკეთ ვსწავლობ ენას/უკეთ ვთარგმნი ამ ენიდან და ამ ენაზე.

ამგვარად, საჭიროება მოითხოვს უფრო და-

ზუსტებული სიმბოლოების შემოდებას. R სიმბოლოს ინდექსაცია: R_1 (მიზეზი, საბაზი), R_2 (პირობა), R_3 (მიზანი), R_4 (შედეგი, რეზულტატი). უფრო დახვეწილი ვარიანტი გულისხმობს გარკვეული მნიშვნელობის დაცვას, რასაც შევეცდებით მომავალში.

„პრიმიტივთა“ ჯგუფის ერთობლივ წინადადებაში გაერთიანებაზე და მათ სტრუქტურაზე გავლენას ახდენს დომინანტი წევრის არჩევა, რომელიც გარკვეულწილად ზემოქმედებას ახდენს როლებრივი მიმართებების განსაზღვრაზე. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი ჯგუფი შეიძლება გაერთიანდეს გამონათქვამშიც:

წიგნების მაღაზია, სადაც მე მივედი ლექსიკონის შესაძენად, მდებარეობს ჩემ სახლთან ახლოს.

აქ ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ **მაღაზია** ახლოსაა **ჩემ სახლთან**, ანუ ყურადღება გადატანილია, პირველ რიგში, **მაღაზიის** ადგილზე/პოზიციაზე და არა **ჩემ მისვლაზე** მაღაზიაში, როგორც პირველ ვარიანტში ჩანს.

ამავე დროს, **მაღაზია** დამატებით დახასიათებულია იმით, რომ **მე იქ მივედი**, ანუ **ჩემი იქ მისვლის** ფაქტით, რომელიც შეიძლება დავახასიათოდ როგორც $A(S)$, ანუ ატრიბუტი (A), რომელიც საზღვრულ ობიექტს უკავშირებს S წინადადებით გამოხატულ რაღაც ფაქტს.

ამ მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი სქემა, რომელსაც მიჰყვება შინაარსის პირველადი წარმოდგენის პროცესი:

- პრიმიტივთა ჯგუფის ჩამოყალიბება →
- დომინანტი პრიმიტივის არჩევა →
- როლებრივი მიმართებების დადგენა →
- (კვაზი-)სინონიმური წინადადების წარმოშობა.

ჩვენ გაკვრით შევხებით პირველ სამ ეტაპს, განვიხილეთ მათი არსი ერთ-ერთ უმარტივეს მაგალითზე.

პირველი სამეულის ხასიათს თითქმის მთლიანად განსაზღვრავს პრაგმატიკულ-სემანტიკური მოსაზრებები: 1) ვირჩევთ ფაქტებს, რომლის ასახვას ვაპირებთ დასკვნით გამონათქვამში;

2) ვირჩევთ მათ შორის დომინანტს, რომელსაც უნდა, პირველ რიგში, გაესვას ხაზი; 3) როლებრივ მიმართებებს ვადგენთ ამ ფაქტებს (დომინანტის ჩათვლით) შორის.

საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება „პრიმიტივების“ ენობრივ (ლექსიკურ, გრამატიკულ) გაფორმებას. ამ უმნიშვნელოვანესი ცნების ზუსტი დეფინიციას შემდეგ შემოგთავაზებთ. წინასწარ ვარიანტად შეიძლება წარმოდგინოთ მარტივი წინადადება თავისი ცენტრალური (Core) სტრუქტურით, ანუ მისი ბირთვით (ზმნით) და მისი ძირითადი აქცენტებით, რომელთა სემანტიკა ამ ზმნის ძირითად როლებრივ მოთხოვნებს ავსებს და, ამრიგად, Core სტრუქტურას აქცევს იმ სიტუაციის ამსახველ საშუალებად, რომელსაც ზმნის ლექსიკა კარნახობს. ცენტრალურ სტრუქტურას შეიძლება დაემატოს პერიფერიის (L,T) და ატრიბუტიკის უმარტივესი ($A(X)$) კომპონენტები. უკანასკნელი სიმბოლო ($A(X)$) გულისხმობს, პირველ რიგში, ზედსართავებით გამოხატულ უმარტივეს ატრიბუტებს, რომლებიც საზღვრულ ობიექტს გარკვეულ შინაგან თუ გარეგან თვისებებს (ლამაზი გოგო, ჭკვიანი ბიჭი, მაღალი მთა, ...) ანიჭებენ.

შინაარსის პირველადი წარმოდგენა შეიძლება სტატიკური ქსელის სახით, რომლის კვანძები შევსებულია პრიმიტივებით, რომლებსაც აერთიანებენ სემანტიკური როლების სიმბოლოებით მონიშნული რკალები. ქსელის მწვერვალი კი არის დომინანტი-პრიმიტივის კვანძი.

ისევე, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში ეს განსაზღვრა გამოყოფს ძირითად, ნეიტრალურ, ანუ ცენტრალურ ვარიანტს, რომელიც არ გამოირცხავს მისგან გარკვეულ „გადახრებს“. „რადიალური“ სქემის არსებობას ამ შემთხვევაშიც ადასტურებს უკვე არჩეული „სანიმუშო“ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის მე-4 „პრიმიტივი“ (მინდა შევიძინო ...), რომლის ბირთვი გახლეჩილია ორ ერთეულად: მოდალურად (მინდა) და მის დაქვემდებარებულად (შევიძინო). გამართლება შეიძლება იყოს, რომ ეს „გადახრა“ დიდად არ განსხვავდება ცენტრალური დე-

ფინიციისაგან, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მოდალური „მინდა“ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გარკვეული დამატებითი სემანტიკური ელფერი ძირითადი სემანტიკის გამომხატველი ზმნისთვის („შეძენა“), ანუ როგორც მისი ატრიბუტი.

ამ მიდგომის რეალიზაციის მეტად მნიშვნელოვანი ასპექტია თვით „პრიმიტივების“ პირვანდელი, საწყისი ფორმის არჩევა. ზოგადად ჩვენ უკვე მოვხაზეთ „პრიმიტივების“ სავარაუდო საწყისი სემანტიკურ-სინტაქსური სტრუქტურა. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს სტრუქტურაში ჩართული ლექსიკური ერთეულების არჩევანს. ეს უკანასკნელი შეიძლება გარკვეულწილად დავუკავშიროთ „სინონიმურ მწკრივებს“ (Ю. Апресян 1995) იმის გათვალისწინებით, რომ წარმოშობის შემდგომ პროცესში, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ლექსიკურ სინონიმას, ან, უფრო ზუსტად, კვაზი-სინონიმას.

ლექსიკური სემანტიკის მიდგომის თანახმად, სინონიმურ მწკრივში გაერთიანებულ წევრებს საერთო სემანტიკური გადაკვეთა უნდა ჰქონდეს და მწკრივის დომინანტად უნდა მივიჩნიოთ ის წევრი, რომლის სემანტიკა ყველაზე ახლოა სწორედ ამ გადაკვეთასთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მწკრივების შედგენა და შემდგომ დომინანტების გამოყოფა საკმაოდ რთული ამოცანაა და არსებული სინონიმური ლექსიკონები ჯერჯერობით ვერ პასუხობენ ამ მიდგომის, კერძოდ დომინანტის არჩევის, მოთხოვნებს. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მხოლოდ მეტად ფასეული საფუძველია ამ მიმართულების განვითარებისა და სინონიმური მწკრივების სტანდარტებთან მიახლოებისთვის, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია „პრიმიტივების“ ჩამოსაყალიბებლად. ამგვარად, აქაც რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლებით. კერძოდ, მე-4 „პრიმიტივის“ მაგალითში შეიძლება გამოვყოთ მისი მოდალური წევრი „მინდა“, რომლის კვაზი-სინონიმებად შეიძლება მივიჩნიოთ სხვა ლექსიკური ერთეულები. კერძოდ: აპირებს/

მოისურვა/მოიწადინა...; შესაძლოა კომბინაციებიც: გაუჩნდა/აქვს/გააჩნია/... სურვილი/წადილი/მიდრეკილება/მისწრაფება/.... როგორც ჩანს, ამ მაგალითების ფონზე, **მინდა** ერთეულს აქვს ყველაზე ნეიტრალური მნიშვნელობა, რომელიც, ამავე დროს, ახლავს სავარაუდო მწკრივის დანარჩენ წევრებსაც, თუმცა დამატებითი ელფერებით; კერძოდ ემოციური ნიუანსით, რომელიც, მაგალითად, ვლინდება „სურვილში“ და შემდგომ ძლიერდება „წადილში“; უფრო გონივრულად გამოიყურება დაპირება/დაგეგმვა; გონებაში, სულში ღრმად ჩანერგილ განწყობას გულისხმობს მისწრაფება/ლტოლვა.

ლექსიკური სინონიმია გულისხმობს აგრეთვე მოცემულ მწკრივთან შეფარდებულ მწკრივების არსებობას. მოცემულ შემთხვევაში **მინდას** შეფარდებულ მწკრივად შეიძლება მივიჩნიოთ: უნდა, საჭიროა, აუცილებლობა, იძულება, მოთხოვნა, ბრძანება, დამალება, ..., რომლებიც გამოხატავენ არა შინაგან სურვილს, არამედ გარედან ინიცირებულ სტიმულს/კაუზირებას, რომლის შედეგად უნდა შესრულდეს რაღაც აქტი/პროცესი/რაღაც შედეგის მიღწევა. მწკრივების სიახლოვის ერთ-ერთი საფუძველი არის ისიც, რომ მეორე მწკრივით ასახულმა აქტებმა შესაძლოა ის შინაგანი სურვილი, მიდრეკილება გააღვიძოს, რომელსაც პირველი მწკრივის ერთეულები ნებსით თუ უნებლიეთ გამოხატავენ.

სინონიმურ მწკრივებში ჩართულია (1-4) პრიმიტივების ზოგი სხვა წევრიც. საკმაოდ ფართო მწკრივი უკავშირდება შეძენა ზმნას: ყიდვა, მოპოვება, დაუფლება, მისაკუთრება, ... უფრო რთულ სქემაში ჩართულია ლექსემა, რომელიც ახასიათებს სიტყვას **მაღაზია**, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც Gener ლექსიკური ფუნქცია (Мельчук 1974) ისეთი ლექსიკური ერთეულებისა, როგორცაა, ერთი მხრივ, უკვე მოძველებული უნივერსალი, უნივერსალი, გასტრონომი, ან უფრო თანამედროვე - სუპერმარკეტი; მეორე მხრივ, იმავე ლექსიკურ სქემაში შეიძლება ჩავრთოთ: **ბაზარი** და **ბირჟა**. მათი საერთო თვისებაა სავაჭრო ფუნქცია.

მსგავსი იერარქიის შუალედურ რგოლს შეიძლება მივაკუთვნოთ **ლექსიკონი**, რომლის Gener-ს წარმოადგენს **წიგნი** და რომელიც, ამავე დროს, ასრულებს Gener-ის ფუნქციას სხვადასხვა სახის ლექსიკონებისთვის (განმარტებითი, ორენოვანი, ენციკლოპედიური).

ეს ლექსიკური ინფორმაცია (სინონიმური მწკრივები, თუ ლექსიკური ფუნქციები) ასახული უნდა იყოს სისტემის ლექსიკონში, რადგან ის იძლევა იმ არჩევანის შესაძლებლობას, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, გენერირების პოტენციალს (რომელიც, თავის მხრივ ასახავს ენის ცოდნას), მეორე მხრივ კი, შესაძლებლობას კონკრეტული გამონათქვამის „ავტორისთვის“ შეარჩიოს გამოხატულების ის ვარიანტი, რომელიც (მისი აზრით) ყველაზე ახლოა მის ჩანაფიქრთან. თუმცა ეს მხოლოდ იმ წერტილს ეხება, რომელიც გამონათქვამის წარმოქმნაში ლექსიკურ ასპექტს ეკუთვნის. იმავე თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია სინტაქსური გაფორმების არჩევა, რომელიც გამოხატავს მოცემულ როლებრივ სტრუქტურას.

ასეთი ტრანსფორმაციების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს:

$$V_{\text{гр}} + \text{OB} \rightarrow \text{OB}_g + N(V_{\text{гр}}),$$

სადაც $V_{\text{гр}}$ -გარდამავალი ზმნაა და OB, სინტაქსური თვალსაზრისით, მისი პირდაპირი ობიექტია, რომელსაც, ამავე დროს, ეკუთვნის ობიექტის სემანტიკური როლი; $N(V_{\text{гр}})$ არის იმავე ტრანზიტული ზმნის საწყისი ფორმა. OB-ის ქვედა ინდექსი (g) მიუთითებს მის ნათესაობით (genitive) ბრუნვაზე. ამ ტრანსფორმაციის გამოყენებამ შეიძლება უზრუნველყოს მე-4 „პრიმიტივის“ სინონიმური გარდაქმნა:

მინდა შევიძინო ლექსიკონი \rightarrow მინდა ლექსიკონის შექმნა.

ამავე დროს თუკი განვიხილავთ მე-4 პრიმიტივს როგორც „სტიმულს“, ანუ მიზეზს (C) პირველი პრიმიტივის განხორციელებისთვის მივიღებთ შესაძლო გარდაქმნებს:

მივედი მაღაზიაში (იმისთვის) რომ შემეძინა ლექსიკონი/ლექსიკონის **შესაქმნად**;

რომლის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ, მე-4 პრიმიტივის თანახმად, არსებობს **სურვილი** (მინდა), რომელიც „მიბიძგებს“ ამ სურვილის შინაარსის (ლექსიკონის შექმნა) განხორციელებისკენ, შესაბამისი აქტი კი არის

ჩემი მისვლა მაღაზიაში,

რომლის მიზანიც (R) არის ამ სურვილის შინაარსის (შექმნა) რეალიზაცია.

შემდეგი, უფრო ვრცელი (თუმცა სტილისტურად ნაკლებად გამართლებული) გამონათქვამი უფრო სრულად ასახავს ამ სიტუაციას:

რადგანაც/ვინაიდან/რაკი მინდოდა (ლექსიკონის შექმნა/ შემეძინა ლექსიკონი), მივედი მაღაზიაში (იმისთვის რომ შემეძინა ის იმის შესაქმნად)

აქ ნაცვლსახელები ის, იმის ანაფორულად მიუთითებენ ლექსიკონზე, რაც შეეხება თავად „დომინანტს“ **მივედი მაღაზიაში**, ის ასრულებს ერთ-ერთ შესაძლო პირობას (R_3) როლის დასმული ამოცანის **ლექსიკონის შექმნა** შესასრულებლად, და ამგვარად „შუამდგომლობს“ საწყის მიზეზს („მინდა“) და სავარაუდოდ შედეგს („შექმნა“) შორის.

ტრანსფორმაციების მიზანს ხშირად წარმოადგენს

$$N_g + N$$

სიტყვაშენაერთი, რომელიც „კუმშავს“ საწყის კონსტრუქციას და ამგვარად ხშირად გამონათქვამს სტილისტურად უფრო მისაღებს ხდის.

მივედი მაღაზიაში, რომელიც ვაჭრობს წიგნებით/წიგნების მაღაზიაში.

ეს კონსტრუქცია სემანტიკური როლების საკმაოდ ფართო სპექტრს ასახავს. ზემოთ უკვე შევეხეთ ერთ-ერთ მაგალითს, რომლის ფარგლებში ეს კონსტრუქცია გამოხატავს მიმართებას ტრანზიტული ზმნასა და მის პირდაპირ ობიექტს შორის, ანუ სადაც N_g ასრულებს ობიექტის (OB) როლს.

განსხვავებულ სემანტიკას გამოხატავს მე-2 პრიმიტივის გარდაქმნა:

მაღაზია ვაჭრობს წიგნებით \rightarrow წიგნების მაღაზია.

ამ შემთხვევაში N (მაღაზია) გამოხატავს „წყაროს“, სადაც მოიპოვება, საიდანაც მომდინარე-

ობს რაღაც “შედეგი” (N_9), რომელიც ამ წყაროს “გამოსავალია”, “პროდუქტია”, ამ შემთხვევაში - **წიგნი**, რომელიც წყაროს **მაღაზია** წყალობით მისაწვდომია მყიდველისთვის. ანალოგიური ზოგადი შინაარსი ახასიათებს: ტანსაცმლის მაღაზიას, აბრეშუმის ფაბრიკას, ლითონის ქარხანას, მანგანუმის მაღაროს და ა.შ.

ლექსიკური ჩანაცვლების და სტრუქტურული გარდაქმნების ურთიერთდამოკიდებულების მაგალითია **ვაჭრობა** ლექსემის ჩანაცვლება ზმნური ფორმით **გაყიდვა**:

მაღაზია ვაჭრობს წიგნებით/ყიდის წიგნებს.

ჩანაცვლება ამ შემთხვევაში იწვევს **ვაჭრობის/გაყიდვის** სემანტიკური ობიექტის (OB) მორფოლოგიური გაფორმების შეცვლას: მოქმედებითი **წიგნებით** გადადის ამ როლის უფრო ჩვეულებრივ მიცემითში **წიგნებს**.

ანალოგიურ ტრანსფორმაციას მოითხოვს ჩანაცვლება O_{pen1} ლექსიკური ფუნქციით გაპირობებული ტრანსფორმაციის კონტექსტშიც:

მაღაზია განახორციელებს/აწარმოებს წიგნებით ვაჭრობას/წიგნების გაყიდვას.

შეიძლება ვახსენოთ კიდევ ერთი ტრანსფორმაცია:

წიგნების მაღაზია → ეს წიგნების მაღაზია → (ამ) მაღაზიაში იყიდება წიგნები.

ამ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით შეიძლება აღვნიშნოთ AG როლის გაფორმების არაცალსახობა პასივის კონტექსტში:

წიგნები იყიდება მაღაზიაში/(გა)იყიდა პეტრეს მიერ.

ამ შემთხვევაში AG-ის გაფორმება დამოკიდებულია ვინ/რა ჯგუფების დაპირისპირებაზე. AG-ის გაფორმების ვარიაციულობას აჩვენებს შემდეგი მაგალითიც:

მიწისძვრამ დაანგრია სახლი → სახლი დაინგრა მიწისძვრით/მიწისძვრის გამო.

აქ AG-ის როლს ასრულებს პროცესი **მიწისძვრა**, რომელიც აქტიურ ზემოქმედებას ახდენს OB-ზე **სახლი**.

“დომინანტის” გამოყოფა წარმოაჩენს მას როგორც მოცემული ჯგუფის შუაგულს, ცენტრალურ

ლურ “ფაქტს”, რომლის გარშემო “განლაგებულია” ჯგუფის დანარჩენი წევრები, რომლებიც ავრცობენ და აზუსტებენ ერთობლივ შინაარსს და ამგვარად წარმოადგენენ “დომინანტის”, ამ “ბირთვის” პერიფერიას.

თუმცა აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ასეთი “ერთადერთი” ბირთვის არჩევა არ არის აუცილებელი, ზოგ შემთხვევაში მაინც. ჩვენი მაგალითის შემთხვევაშიც შესაძლებელია ისეთი კონსტრუქციის აგება, რომელიც ენობრივი გამოხატულების თვალსაზრისით ჯგუფის ჯამური შინაარსია, როგორც პრიმიტივების საწყისი ფორმების თანმიმდევრობა, როგორც ერთგვაროვანი წევრების თავისებური ანალოგი:

მინდოდა ლექსიკონის შექმნა/ყიდვა, ჩვენს ახლოს არის/მდებარეობს მაღაზია, იქ იყიდება წიგნები, მივედი ამ მაღაზიაში.

ბუნებრივია “ამბის” მოყოლას შეიძლება წინ უსწრებდეს იმ მიზეზის ხსენება, რომელმაც წარმოშვა ჩემი “სურვილი”. ეს შეიძლება იყოს მაგალითად:

თარგმანი გამიჭირდა, ...

ამგვარი იქნებოდა ამ “ისტორიის” დასასრულიც:

შევიძინე ლექსიკონი და თარგმანიც გამიადვილდა.

თუმცა არ არის გამორიცხული “წარუმატებლობაც”:

თუმცა/მაგრამ ლექსიკონი იქ არ აღმოჩნდა

ან უფრო „არასასიამოვნო“:

ლექსიკონი კი ვიშოვე, მაგრამ თარგმანი მაინც ვერ დავასრულე.

თანამიმდევრობის როლებრივი სტრუქტურის გაშიფვრა მთლიანად ეყრდნობა პრაგმატიკას, ანუ ვარაუდობს მსმენელის/მკითხველის ენციკლოპედიურ და ყოფით, ზოგადი სახის ცოდნას - რომ გაჭირვებისას ვეძებთ ჩიხიდან რაიმე გამოსავალს; თარგმნის კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ერთ „გამოსავალს“, სავარაუდოდ, წარმოადგენს ორენოვანი ლექსიკონი და ა.შ.

ჯაჭვის ყოველი რგოლი შეიძლება განვიხილოთ როგორც „პასუხები“ კითხვების შესაბამის თანმიმდევრობაზე:

სად იყავი? მაღაზიაში;
რა/რის მაღაზიაში? წიგნების;

და ა.შ.

ეს დიალოგი შეიძლება განვიხილოთ როგორც შინაგანი ინტერაქტიური რეჟიმის პრიმიტიული მოდელი, რომელიც აზროვნების და ენის ურთიერთობას ახასიათებს. სახელდობრ, პროცესის მსვლელობაში აზროვნება გამოყოფს და აგროვებს იმ „ფაქტებს“, რომელთა გამოხატვას „აპირებს“ მომავალ გამონათქვამში. ენა კი აფორმებს ამ ფაქტებს პრიმიტიული წინადადების სახით, და სთავაზობს ამ პრიმიტივის შესაძლო გაერთიანებას საბოლოო ერთობლივ სტრუქტურაში. ისიც დასაშვებია, რომ ამ „დიალოგის“ მსვლელობისას „ფაქტების“ პირველადი გაფორმება შეიძლება განსხვავდებოდეს „პრიმიტივების“ სტანდარტებისაგან. ამ შემთხვევაში სათანადო ტრანსფორმაციებმა და ჩანაცვლებებმა უნდა გამოასწორონ „გადახრები“, რის შედეგაც შეიძლება მოხდეს ამ „სტანდარტიზებული“ ერთეულების შერწყმა ერთობლივ როლებრივ სტრუქტურაში, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა განაგრძოს შემოთავაზებები აზროვნებისთვის ამ როლებრივი სტრუქტურის შესაძლო სინონიმური ტრანსფორმაციების სახით.

ამგვარად, საბოლოო შედეგის ჩამოყალიბების მსვლელობაში სისტემა მართავს ენობრივი მოდელის ფუნქციონირების ორივე საპირისპირო მიმართულებას: ანალიზსაც (პრიმიტივების სტანდარტიზაცია) და სინთეზსაც (კვაზი-სინონიმური გენერაცია).

ეს შეხამება მომავალი გამონათქვამის „ავტორისთვის“ გარკვეულ თავისუფლებას უზრუნველყოფს პირველადი ელემენტების, ანუ „პრიმიტივების“ საწყისი გაფორმების ასარჩევად.

ამგვარად, ამ „პრიმიტივებზე“ და მათზე აგებულ როლებრივ სტრუქტურაზე დაყრდნობილმა სინონიმურმა გენერატორმა (მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში) უნდა უზრუნველყოს ენობრივი მოდელის ორივე საპირისპირო მიმართულების ფუნქციონირება.

ამავე დროს სინონიმური გენერაციის გამო-

ყენებით შეიძლება მნიშვნელოვნად გამარტივდეს ენასთან დაკავშირებული ყველა გამოყენებითი ამოცანის გადაწყვეტაც. მაგალითად: თარგმნის მოდელირებისას დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს შესავალი ენის „პრიმიტივებზე“ აგებულ როლებრივ სტრუქტურასთან გამოსავალი გამონათქვამის შინაარსობრივ შესაბამისობაში მოყვანა, თუკი როლებრივი სტრუქტურის სავარაუდო სტაბილურობის და ამავე დროს „პრიმიტივების“ თარგმნის სიმარტივეს გავითვალისწინებთ.

ლიტერატურა:

1. Fillmore 1968. The Case for Case. In “Universals of Linguistic Theory”, Edited by Emmon Bach and Robert T. Harris, University of Texas at Austin.
2. N. Chomsky 1957, Syntactic Structures, ‘s-Gravenhage: Mouton & Co.
3. Мельчук 1974. Опыт теории лингвистических моделей “Смысл↔Текст”, изд. “Наука”, Москва.
4. Ю. Апресян 1995. Лексическая семантика. Синонимические средства языка. Избранные труды, том. 1. Школа «Языки русской культуры», изд. «Восточная литература» РАН.

გიორგი ჩიკოიძე,
საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია

შინაარსი როგორც “სენტენციური პრიმიტივების” კომპოზიცია რეზიუმე

განხილულია სინონიმური გამონათქვამების გენერატორის სავარაუდო სქემა, რომელიც ეფუძნება საწყის შინაარსობრივ წარმოდგენას, რომელიც აგებულია „პრიმიტივებზე“ და როლებრივ მიმართებებზე, სადაც „პრიმიტივებში“ იგულისხმება უმარტივესი სტრუქტურის წინადადება, წარმოდგენილი

თავისი ცენტრალური სტრუქტურით (Core), „პრიმიტიული“ გარემოებებით (ადგილის, დროის) და ატრიბუტებით.

*George Chikoidze
Georgian National Academy*

**Contents statement as composition
“sentensionalnykh of primitives”**

SUMMARY

Possibilities of representation contents of the statement in the form of structure which knots are the most simple sentences (“primitives”) connected by the semantic role relations are considered. Thus the structure “primitive” is defined by “the central structure” (Core) and the elementary peripheries elements (a place, time, some attributes).

This submission of the contents is offered as an entrance for the generator of synonymous statements.

*Георгий Чикойдзе
Грузинская Национальная Академия*

**Содержание высказывание как
композиция «сентенциональных
примитивов»**

РЕЗЮМЕ

Рассмотрены возможности представления содержание высказывания в виде структуры, узлами которой являются простейшие предложения («примитивы»), связанные семантическими ролевыми отношениями. При этом структура «примитив» определяется «центральной структурой» (Core) и простейшими элементами «периферии» (место, время, некоторые атрибуты).

Это представление содержания предлагается в качестве входа для генератора синонимичных высказываний.

წინადადების დაწვრილი „სენტიმენტური პრიმიტივიზაცია“

გიორგი ჩიკობერი,
საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია



საკვანძო სიტყვები: წინადადება, სენტიმენტური, სემანტიკური,

ენის მოდელირების ცენტრალური პრობლემა მისი წინააღმდეგობა, რომელიც მოდელის ფუნქციონირების ერთ-ერთი მიმართულების (ანალიზი) საბოლოო მიზანია და, ამავე დროს, საპირისპირო მიმართულების (სინთეზი) - საწყისი წერტილი.

თუკი დავეთანხმებით იმ თვალსაზრისს, რომ ჩვენი აზროვნება პრაქტიკულად ვერ სცილდება ბუნებრივი ენის ფარგლებს (მ. ჰაიდეგერი), სავსებით მისაღებად და გამართლებულად მივიჩნევთ წინააღმდეგობას იმ განმარტებასაც, რომლის თანახმად, ის წარმოადგენს სინონიმურ გამონათქვამთა საერთო მახასიათებელს, იმისდა მიუხედავად, რომ ეს მიდგომა აშკარად მოიცავს “მანკიერ წრეს” (ი. მელჩუკი, ა. ჟოლკოვსკი). ამ განსაზღვრას, ერთი მხრივ, მხარს უჭერს ყოველდღიური პრაქტიკა, რომლის ფარგლებში ერთი გამონათქვამის წინააღმდეგობა, როგორც წესი, აიხსნება მეორე, მისი (კვაზი-)სინონიმური წინადადების დახმარებით; მეორე მხრივ კი, უდიდესი ფილოსოფოსი (ჰეგელი) უარს ამბობს ბუნებრივი ენის თეორიის ფორმალური ენით გამოხატვაზე, რადგანაც თვლის, რომ მისი მშობლიური (გერმანული) ენა საკმაოდ ძლიერია ამ ამოცანის შესასრულებლად.

თეორიულად გაუმართლებელი ჩანს მიდგომა, რომელიც ცდილობს წინააღმდეგობას (კვაზი-)სინონიმური გამონათქვამების სრული სიით.

წარმომშობი გრამატიკის ზოგიერთი სქემის მაგალითი გვიბიძგებს რომელიმე ცალკეული წინადადების შერჩევისკენ, რომლისგანაც სისტემამ შეიძლება წარმოშვას, გენერირება მოახდინოს

მისი ყველა დანარჩენი (კვაზი-)სინონიმური გამონათქვამისა.

თუმცა, ზოგ შემთხვევაში ასეთი (კვაზი-)სინონიმური წინადადებების სიმრავლე მოიცავს საკმაოდ რთულ და ვრცელ წევრებს. საკითხი მოითხოვს ისეთ გამარტივებას და სტანდარტიზაციას, რომელიც, თავის მხრივ, გაამარტივებს და სტაბილურს გახდის შემდგომი გენერაციის პროცესს.

ამ მიდგომის ერთ-ერთი ვარიანტი არის (კვაზი-)სინონიმური წინადადებების სიმრავლის წევრების დაშლა ე.წ. “სენტიმენტურ პრიმიტივებად” და ამ “პრიმიტივების” საფუძველზე ისეთი სტრუქტურის აგება, რომელიც, ერთი მხრივ, საკმაოდ გამჭვირვალედ ასახავს სიმრავლის შესაბამის წინააღმდეგობას, მეორე მხრივ კი, ექვემდებარება გენერატორის გამარტივებას და სტანდარტიზაციის მოთხოვნებს.

ამ მიდგომის კონტექსტში ჩნდება ორმხრივი ამოცანა: 1) რას გულისხმობს “სენტიმენტური პრიმიტივი”; 2) როგორ უნდა მოხდეს ამა თუ იმ გამონათქვამის შესაბამისი “პრიმიტივების” სტრუქტურირება.

მოცემულ ნაშრომში ვცდილობთ ორივე კითხვას პასუხი გაეცეს სემანტიკური როლების სისტემაზე (Fillmore 1968) დაყრდნობით.

ზოგადად მიდგომის არსი არის მცდელობა: დავშალოთ რთული მოვლენა (პროცესი, მდგომარეობა) მარტივ კომპონენტებად, შემადგენელ ნაწილებად, რომელთაგან თითოეული მათგანი წარმოადგენილია მარტივი, შეიძლება ითქვას, უმარტივესი, თუმცა გრამატიკულად მართებული წინადადებით. უკანასკნელი თვისება, ანუ ენის ჩვეულებრივი მოთხოვნების დაცვა კომპონენტებს გადააქცევს ერთეულებად, რომლებიც გასაგები უნდა იყოს ბუნებრივი ენის

მფლობელთათვის და, ამავე დროს, მან უნდა გაამარტივოს ენობრივი მოდელის გამოყენებითი სისტემები (პირველ რიგში - თარგმანი).

შემოთავაზებული მონახაზის თანახმად, თითოეული კომპონენტის გამომსახველი “პრიმიტივის” ზედა ფენა (Van Vallin et al 1999) არის ცენტრალური სტრუქტურა (Core). მისი “ბირთვის” როლს ასრულებს ზმნური ფორმა, რომელიც ასახავს იმ პროცესს/მოვლენას, რომლის გამომხატველია მოცემული კომპონენტი. იმავე ზედა (Core) ფენას განეკუთვნებიან ამ პროცესის/მდგომარეობის უშუალო მონაწილენი (Чикоидзе 2010), როგორცაა “კაუზატორი” (CS), აგენსი (AG), ობიექტი (OB), ადრესატი (AD).

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიდგომა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ამ წევრების მნიშვნელობის “ენობრივ შეფასებას”, სახელდობრ იმას, როგორ არის გაფორმებული ესა თუ ის სემანტიკური როლი მოცემული ზმნის კონტექსტში. მაგალითად, ძირითადი მონაწილეების და შესაბამისი როლების ექსპლიციტური ხსენება ზმნური ფორმის გამოხატულებაში განსაზღვრავს მის მიკუთვნებას ზედა ფენასთან/უმაღლეს ფენასთან:

დამახატვინა
მან (CS) მე (AG)
ის (OB) მისთვის (AD).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომელიმე მონაწილისთვის ძირითადი როლის მინიჭება განისაზღვრება მოცემული ზმნის ისეთი პარადიგმის არსებობით, რომელიც ექსპლიციტურად მიმართავს ამ როლს თავისი აფიქსებით. მოცემულ მაგალითში არსებობს ფორმები **დავხატე, დამხატა, დამიხატა**, რომლებიც ადასტურებენ OB-ისა და AD-ის მიკუთვნებას ძირითადი როლების სიმრავლესთან. შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ როლის სტატუსს განსაზღვრავს ზმნური სუპერ-პარადიგმა მთლიანობაში და არა მისი ცალკეული წევრი-პარადიგმა (Чикоидзе 2010).

უნდა ითქვას, რომ ენა, როგორც წესი, არ ეგუება მკაცრ (მათემატიკურ) მოთხოვნებს და

მისი განსაზღვრებები, უმეტეს შემთხვევაში, მოიცავს და დასაშვებს ხდის რიგ “გადახრებს” და გამონაკლისებს, რომლებსაც ენობრივი ინტუიცია მოითხოვს. როლების კვალიფიკაციის შემთხვევაში ჩნდება ისეთი მაგალითები, რომლებიც (ინტუიციის თანახმად) შეგუებას მოითხოვს ისეთ გამონაკლისთან, როგორცაა, მაგალითად, სივრცობრივი გადაადგილების უმნიშვნელოვანესი ზმნა - **მივიდა:**

**მივიდა სოფელში, ავიდა მთაზე,
მივიდა ჭასთან (ახლოს), ...**

მიუხედავად იმისა, რომ ეს ზმნა თავის არც ერთ ფორმაში ექსპლიციტურად არ მიმართავს მოძრაობის ადრესატს, ამ უკანასკნელის როლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ძირითად გუნდში მისი “ჩარიცხვა” სრულიად მართებულად გამოიყურება.

მსგავსი ფორმები ასახავენ ადგილს, სადაც ვითარდება პროცესი/მდგომარეობა, ანუ ასრულებენ ადგილის გარემოების ტრადიციულ ფუნქციას ისეთი ზმნების კონტექსტში, რომლებიც არ არიან ასე ორიენტირებული “მიმართულებაზე”, დანიშნულების წერტილზე:

**შარშან (T) ვისვენებდით ზღვაზე (L)/
ბათუმში (L) დავსეირნობდით ბულვარზე (L);
დავცურავდით ზღვაში (L) ...**

ადგილის L-როლთან ერთად, აქ ნახსენებია დროის T-მახასიათებელიც. ჯამში ისინი ქმნიან “პერიფერიის” ფენის ძირითად ნაწილს, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება უმტკივნეულოდ დარჩეს “პრიმიტივის” ფარგლებში. მისი გამოყოფა შესაძლებელია ფორმალურად, თუმცა უფრო გაართულებს (და არა გაამარტივებს) ჯამურ სურათს; წარმოიდგინეთ ისეთი კონსტიტუენტების დამატება, როგორცაა

ვისვენებდით ზღვაზე/ბათუმში

ან უფრო ზოგადად:

**ეს ხდებოდა ზღვაზე/ ბათუმში/ ბულვარზე/
ზღვაში...**

ანალოგიურად, ურყევია მოქმედებითი ბრუნვის ფორმა, რომლის აღსანიშნი ხან შეიძლება მიეთვალოს მონაწილეთა სიმრავლეს (I-როლი),

ხან კი უფრო ირყევა ატრიბუტის (A) როლისკენ:
ამ დანით (I) კარგად დავჭერი ხორცი;
ყველა აღტაცებით/შემოვიდა სწრაფი ნაბიჯით/
ქოლგით ხელში/ორი ბავშვით.

პირველ მაგალითში I როლის შემსრულებელი ფორმა გამოხატავს **დანას** როგორც ინსტრუმენტს, რომელიც **დაჭრის** პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილეა და ამგვარად, როგორც ეტყობა, ბუნებრივად უნდა დარჩეს “პრიმიტივის” შემადგენლობაში.

მეორე სტრიქონის ნიმუშების ქცევა არაერთგვაროვანია, თუმცა ყველა მათგანს შეიძლება მივცეთ ატრიბუტის A მნიშვნელობა. რაც შეეხება განსხვავებებს, პირველიწყვილი (**სწრაფი ნაბიჯით** და **აღტაცებით**) ატრიბუტებია, რომლებიც საკმაოდ მჭიდროდ არიან დაკავშირებული თავის საზღვრულთან და საკმაოდ მარტივად შეიძლება დარჩნენ პრიმიტივის უშუალო შემადგენლობაში. თუმცა რომ პირველი მათგანი **სწრაფი ნაბიჯით** იდიომატურ ხასიათის არის და შეიძლება დაექვემდებაროს სინონიმურ გამარტივებას:

სწრაფი ნაბიჯით → სწრაფად;

ატრიბუტების მეორე წყვილი (**ქოლგით ხელში, ორი ბავშვით**) იმ მატერიალურ საგნებს ასახავს, რომლებიც ახლავს, თან მოყვება საზღვრულს. მათი გამოტანა პრიმიტივის ფარგლებს გარეთ შესაძლებელია ტრანსფორმაციებით:

ქოლგით ხელში → ხელში ეჭირა ქოლგა,

ორი ბავშვით → თან ახლდა ორი ბავშვი,

რომელთა მოცილება გაამარტივებს “პრიმიტივის” სტრუქტურას.

საერთოდ, ალბათ, სწორედ ატრიბუტი ქმნის ყველაზე რთულ, არაერთგვაროვან პრობლემას - “პრიმიტივიზაციის” პროცესს. მაგალითად, საწყისი გამონათქვამი უნდა “განთავისუფლდეს” ისეთი “მძიმე” კონსტრუქციებისაგან, როგორიცაა დაქვემდებარებული ატრიბუტული წინადადება:

გუშინ ბაღში, რომელიც მდებარეობს ჩემი სახლის მახლობლად, შემხვდა ქალბატონი, რომლის თაყვანისმცემელი ვიყავი ახალგაზრდობაში.

“დომინანტის” როლს ამ შემთხვევაში ასრულებს:


ბაღში შემხვდა ქალბატონი, რომლის ორივე წევრს (**ბაღში (L)** და **ქალბატონი (OB)**) ახლავს დაქვემდებარებული ატრიბუტული წინადადება:

A(L): ბაღი მდებარეობს ჩემი სახლის მახლობლად;

AA(OB): ვიყავი ამ ქალბატონის თაყვანისმცემელი.

საწყისი წინადადების სქემა მიიღებს ასეთ სახეს:

D: მე (OB) შევხვდი ქალბატონს (AD)



აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ობიექტის როლის მიკუთვნება იმპლიციტური “მე” მონაწილისთვის აიხსნება **შეხვედრა** ზმნური ლექსემის სუპერპარადიგმით:

შეახვედრა მან (CS) მას (AG) ის (OB) მასთან (AD)

→ **შეახვედრა მან (AG) ის (OB) მას (AD);**

შეხვდა ის (OB) მას (AD).

სირთულის თვალსაზრისით, დაქვემდებარებული ატრიბუტული წინადადების ანტიპოდს წარმოადგენს ჩვეულებრივი ზედსართაული მსაზღვრელი:

მაღალი ბიჭი, ლამაზი გოგო, წითელი დროშა და ა.შ.

ასეთი სახის მსუბუქმა განსაზღვრებამ, როგორც ჩანს, არ უნდა “დაამძიმოს” პრიმიტივი, რაც მიუთითებს ამ ატრიბუტის დატოვების შესაძლებლობაზე დომინანტი პრიმიტივის შემადგენლობაში იმის გათვალისწინებით, რომ მათი გამოტანა დომინანტის ფარგლებს გარეთ მხოლოდ გაართულებდა ზოგად როლებრივ სქემას.

ატრიბუტის (ისევე როგორც ზოგი სხვა ერთეულის) ცალკე “პრიმიტივად” გამოყოფა უფრო მართებულად გამოიყურება, როცა მას ახლავს გარკვეული პრაგმატიკული დატვირთვა

და შესაბამისი ლოგიკური აქცენტი. ასეთი ელფერის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა სიტყვათა რიგიც, კერძოდ, მისი “გადახრა” ნეიტრალურისაგან ანუ ჩვეულებრივისგან. მაგალითად, ეს ნიუანსი ჩნდება, როცა სახელური (ზედსართავი, არსებითი) ატრიბუტი გადაინაცვლებს (ოდნავ უჩვეულო) პოსტპოზიციამი:

ამ ლამაზმა და ნიჭიერმა გოგომ (ადვილად/ვერ) მოიპოვა მაცურებლის ტაში / ამ გოგომ, ლამაზმა და ნიჭიერმა, (ადვილად/ვერ) მოიპოვა მაცურებლის ტაში.

მეორე მაგალითში აქცენტი გოგოს თვისებებზე (ლამაზი და ნიჭიერი) უფრო თვალში საცემია, ვიდრე პირველ მაგალითში (პრეპოზიციურთან შედარებით).

მსგავსი შინაარსობრივი ნიუანსი ახასიათებს პრე-/პოსტ-პოზიციურ არსებითულ ატრიბუტებსაც:

ამ წარმატებულ ახალგაზრდას წვრთნიდა ცნობილი სპორტსმენი მამამისი/ მამამისი, ცნობილი სპორტსმენი.

მიმღეობით გამოხატული ატრიბუტი ხშირად უახლოვდება დაქვემდებარებულ წინადადებას, რაც სავსებით ბუნებრივია მიმღეობის ზმნური წარმომავლობის გათვალისწინებით:

მან მაჩუქა მისი ოსტატური ფუნჯით დახატული სურათი → მაჩუქა სურათი, დახატული მისი ოსტატური ფუნჯით → ... სურათი, რომელიც დაიხატა მისი ოსტატური ფუნჯით → ... სურათი, რომელიც მან დახატა თავისი/ მისი ოსტატური ფუნჯით.

ბოლო ვარიანტი გამონათქვამს ათავისუფლებს მეტონომიისგან, რომელიც ანაცვლებს ხელსაწილს, მხატვარს მისი იარაღით - ფუნჯით, თუმცა ასეთი გარდაქმნების მართებულობა ზოგჯერ საეჭვოა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს გარკვეულ წინასწარ ანალიზს (მოცემული მაგალითის შემთხვევაში გარდაქმნების მართებულობა საეჭვო გახდებოდა ატრიბუტის - ოსტატური - გარეშე). კომპლიმენტის ნაცვლად მივიღებდით დადასტურებას, რომ

ინსტრუმენტი ფუნჯი ნამდვილად ეკუთვნოდა თავად მხატვარს.

წინასწარ ანალიზს მოითხოვს აგრეთვე ნათესაობითი ბრუნვით გამოხატული პრეპოზიციული ატრიბუტები:

მამის სახლი, სახლის სარდაფი, სარდაფის გასაღები, ...

იდენტურად გაფორმებული მოცემული წყვილები მკვეთრად განსხვავებულ მიმართებებს გამოხატავენ: კუთვნილებას (მამის სახლი), ნაწილს (სახლის სარდაფი), დანიშნულებას (სარდაფის გასაღები). შესაძლებელია სხვა ვარიანტებიც: ქვანახშირის მადარო, ლითონის ქარხანა, პეტრეს მოსვლა და ა.შ.

მაგალითების ამ სამეულის პირველი წყვილი უმატებს.

ზემოთ განხილული კუთვნილების, ნაწილის და მასალის მნიშვნელობებს ემატება წყაროს მახასიათებელიც:

ქარხანა - ლითონის მწარმოებელი;

მადარო - სადაც მოიპოვება ქვანახშირი.

განმარტებითი და ენციკლოპედიური ინფორმაციის გამოყოფას და სენტენციურ “პრიმიტივად” ჩამოყალიბებას აზრი აქვს ზოგ სპეციფიკურ შემთხვევაში (მაგალითად, ორიენტირებული - შემეცნებით ან სასწავლო პროცესებზე). ჩვეულებრივ კონტექსტებში კი, ალბათ, უფრო მართებულია კონსტრუქციების დატოვება საწყისი ფორმით და მათი მონიშვნა A_i როლის სიმბოლოებით, სადაც i-ინდექსი მიუთითებს იმ სპეციფიკურ მიმართებაზე, რომელსაც გამოხატავს თითოეული მათგანი.

ამ ნიმუშებისაგან განსხვავებით, უკანასკნელი მაგალითი (პეტრეს მოსვლა), რომლის საზღვრული გაფორმებულია ზმნის საწყისით მოსვლა, ტრანსფორმაციას ადვილად ექვემდებარება პრიმიტიულ წინადადებაში:

პეტრე მოდის/მოვიდა/მოვა;

ეს კონსტრუქცია ხშირად გამოხატავს რომელიმე სემანტიკურ როლს:

მისმა მოსვლამ (AG) დიდად გამახარა;

გამახსენდა მისი (უეცარი) მოსვლა (OB) იმ დღეს, როცა ... ;

მის (მაშინდელ) მოსვლას (AD) მივუძღვენი ლექსი.

ნიშანდობლივია, რომ სამივე შემთხვევაში **მისი მოსვლა** არის შესაბამისი სემანტიკური როლის შინაარსი, რაც უფრო თვალსაჩინო ხდება იმ ტრანსფორმაციების შემდეგ, რომლებიც სათანადო ბრუნვის ნაცვალსახელით ჩანაცვლებენ შესაბამისი როლის გაფორმებას, რომელსაც მოსდევს “რომ” კავშირი. მაგალითად:

გამახსენდა (ის), რომ ის (უეცრად) მოვიდა მაშინ, როცა ... ;

უნდა აღინიშნოს, რომ **ის** ნაცვალსახელი ამ კონტექსტში სტილისტურად ჭარბია, განსაკუთრებით მეორე **ის** ნაცვალსახელის აუცილებლობის გათვალისწინებით. თუმცა ეს ნაცვალსახელი შეიძლება გამოყენებული იქნეს “პრიმიტივების” როლებრივ სქემაში, როგორც OB როლის ექსპლიციტური წარმომადგენელი, რომელსაც ახლავს პრიმიტივი **ის მოვიდა**. მისი i-ინდექსი მიუთითებს სპეციფიკურ ატრიბუტულ ფუნქციაზე, რომელიც ამჯერად გამოხატავს “შინაარსს”.

ამ ატრიბუტული კონსტრუქციის

$Ng+N$

მოკლე მიმოხილვას დავასრულებთ სემანტიკურ მიმართებათა სქემის მონახაზით, რომლებიც ზემოთ განხილულ მაგალითებს შორის არსებობს. საწყის წერტილად მონოგრაფიის (Чикова 2010) ანალოგიით ავირჩიოთ სივრცული დამოკიდებულება:

N წარმოადგენს Ng -ს ნაწილს

სახლის სარდაფი

ამ მაგალითს უშუალოდ ერწყმის შემთხვევა, როცა N წარმოადგენს Ng სიმრავლის (და არა ერთიანი სხეულის) ელემენტს:

გუნდის/ პარტიის/ ... წევრი.

თავისებურ ინვერსია არის შემთხვევა, როცა N რომელიც (ვირტუალური) სიმრავლეა, რომლის კონკრეტული წევრი გამოყოფილია Ng თვისებით, მაგალითად კუთვნილებით:

მამის სახლი

Ng შეიძლება იყოს ვირტუალური მასაც, რომ-

ლის გარკვეული ნაწილი გამოყენებულია როგორც N-საგნის მასალა: **ხის სახლი, ლითონის ყუთი, ...**

მასის ან სიმრავლის მეტაფორად შეიძლება მივიჩნიოთ სიტუაციაც, რომლის ნაწილები არიან მისი მონაწილენი (AG, OB, AD, ...).

მისი მოსვლა/ამოდრავება/აშენება/ ...

დაბოლოს, კიდევ უფრო დინამიკური ვარიანტი, რომლის მიხედვით N არის წყარო, წიადი, საიდანაც რომელიც მისი ნაწილი, კომპონენტი წარმოიშობა და გამოყენების ობიექტი ხდება:

ქვანახშირის მადარო, ლითონის ქარხანა, პურის საცხობი, ...

სქემის მონახაზის დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ენობრივი მნიშვნელობები და მიმართებები (მათემატიკური ან ფორმალურ-ლოგიკურისაგან განსხვავებით) მკაცრ ცალსახობას არ იცავენ, რაც ხელს უწყობს ენის ზოგადობას და ყოვლისმომცველობას, რომლის გარეშე ვერ ვიქნებოდით “გონიერი არსებები” (“ენაგამოხატავს მხოლოდ ზოგადს”). ენობრივ ერთეულებს და მიმართებებს ახასიათებს მრავალასპექტიანობა, მრავალწახნაგოვნება, რომელიც თავს იჩენს ზემოთ განხილული სქემის ფარგლებშიც. სახელდობრ, ზემოხსენებულმა ინვერსიულმა შემთხვევებმა (**მამის სახლი, პეტრეს მოსვლა**) შეიძლება რეინტერპრეტაცია განიცადონ, რომელიც მათ ამ ინვერსიულობას მოარიდებს. მაგალითად, კუთვნილების მიმართებას (**მამის სახლი**). მსაზღვრელს **მამა** შეიძლება მეტონომიურად მივაკუთვნოთ სიმრავლის სტატუსი, რომელიც მოიცავს მამის მთელ ქონებას და რომლის ცალკეული შემადგენელი ნაწილი ამ კონკრეტულ შემთხვევაში არის საზღვრული **სახლი**.

ანალოგიურად, სიტყვაშენაერთში **პეტრე მოვიდა** ისევ მეტონომიის საშუალებით **პეტრეს** მივაწეროთ მისი აქტიურობის მთელი არე, რომლის ცალკეული აქტიც ამ თვალსაზრისით არის **პეტრეს მოსვლა**.

ამ მიდგომის უფრო სრული ვარიანტია კონსტრუქციების პირველი წევრის (Ng), როგორც ორივე სიმრავლის გადაკვეთის, განხილვა. მაგა-

ლითად, კუთვნილების შემთხვევაში მამა “ჩნდება” სახლების (ვირტუალური) და მამის ქონების (კონკრეტული) სიმრავლეების გადაკვეთაზე, ის ზოგადად მფლობელია. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ “სახლია” ვირტუალური სიმრავლის ერთ-ერთი ელემენტი, სახელდობრ, რომელიდაც კონკრეტული “სახლის”.

Ng+N კონსტრუქციით გამოხატულ მიმართებათა სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია და ზემოთ მოცემული მაგალითები არ ამოწურავს მათი სემანტიკის შესაძლო ვარიანტებს, რომელიც ცალკე სპეციალური კვლევის საგანი უნდა იყოს. აქ ჩვენ შევხებით მხოლოდ ერთ ვარიანტს, რომელიც საფუძვლად დაედო ნათესაობითი ბრუნვის დასახელებას:

ნინოს დედა/მამა, და, ძმა, ქმარი, შვილი, ...

ეს მიმართებები იმპლიციტურად გარკვეულ სიმრავლეს გულისხმობს, სახელდობრ, ოჯახს, სანათესაოს, რომლის წევრებია როგორც Ng ნინო, ისე ამავე სიმრავლის ზემოთ ჩამოთვლილი (და ზოგი სხვა) წევრები. ამგვარად, აქ საქმე გვაქვს არა “მთლიანობა → მისი ნაწილი” ანუ “სიმრავლე → მისი ქვესიმრავლე”, არამედ ერთი და იმავე სიმრავლის წევრებს შორის მიმართებები

წევრი 1 (Ng) → წევრი 2 (N) სიმრავლე.

დამატებით N გამოხატავს სპეციფიკურ მიმართებას (სიმრავლის ტერმინოლოგიაში), რომელიც ამ პიროვნებებს ახასიათებს მოცემული სიმრავლის (სანათესაო) ფარგლებში.

დასაშვებია ოდნავ სხვაგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც ამ ვარიანტს უფრო დაუახლოვებს კონსტრუქციის ბაზისურ სემანტიკას: ამისთვის Ng ნინო უნდა განვიხილოთ როგორც აქცენტირებული წევრი, რომელიც ამ კონტექსტში წარმოადგენს მისი მთელი “სანათესაოს” მეტონომს, ანუ იმ სიმრავლეს, რომლის ნაწილი ანუ წევრი (ბაზისური სქემის თანახმად) არის რომელიმე N ნათესავი. ამ მიდგომას გარკვეულწილად მხარს უჭერს გამონათქვამები:

ეს პიროვნება/ბიჭი/გოგო/ ... ნინოს ნათესავია/ ოჯახის წევრია.

როგორც ჩანს, Ng+N კონსტრუქციის სე-

მანტიკა საკმაოდ მარტივად შეიძლება გამოვლინდეს ინდექსირებული ატრიბუტული სიმბოლოების (A_i) საშუალებით და არ მოითხოვს დამოუკიდებელ “პრიმიტივად” გამოყოფას, რაც მხოლოდ გაართულებდა მთლიანი წინადადების ზოგად სქემას. ზოგ შემთხვევაში კონსტრუქციის ტრანსფორმაცია თითქმის შეუძლებელია ან, თითქმის უაზროა:

ვიცნობ ნინოს ძმას → ვიცნობ ძმას, რომელიც ნინოს ძმაა ḡ

გამონაკლისია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კონსტრუქცია, სადაც N წევრი გამოხატულია ზმნის საწყისით (პეტრეს მოსვლა) და რომელიც წარმოგვიდგენს ხოლმე რომელიმე სემანტიკური როლის შინაარსს:

პეტრეს მოსვლამ გამახარა → გამიხარდა (ის), რომ პეტრე მოვიდა.

შინაარსის ასეთი “გახსნა” ხშირად ახლავს ზმნებს, რომლებიც გამოხატავენ “ვერბალური კომუნიკაციის” აქტებს:

გავიგე/ მითხრეს/ შემატყობინეს/ ... , რომ პეტრე მოვიდა.

პეტრეს მოსვლა ამ შემთხვევაში ასრულებს ობიექტის (OB) სემანტიკურ როლს, რომელიც სავსებით მართებულად შეიძლება გამოიყოს როგორც დამოუკიდებელი პრიმიტივი, თუმცა “მართული” დომინანტი წინადადების OB როლი, მით უმეტეს, რომ მრავალ შემთხვევაში OB როლი შეიძლება წარმოდგენილი იყოს საკმაოდ რთული სტრუქტურის მქონე ერთეულით, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს დაშლას “პრიმიტივებად”:

გავიგე/დავინახე/ ... , რომ პეტრე, რომელიც იყო ცნობილი მოცურავე, ჩახტა წყალში მაღალი კოშკიდან, რომელიც დგას იმ ტბის პირას, რომელიც ...

ზმნები, რომლებიც მიმართავენ ამ სახის OB-ს, წარმოადგენენ საკმაოდ ფართო კლასს:

უთხრა, მოახსენა, შეატყობინა, ურჩია, უბრძანა, სთხოვა, შეეხვეწა, შეევედრა, ... და ა.შ.

მთავარი კავშირის ფუნქციას ასრულებს რომ, რომელსაც სპეციფიკური აქცენტირების შემთხვევაში ახლავს ჩვენებითი ნაცვალსახელი ის:

ის მითხრა, მიზრძანა, გამიზიარა/ ... , რომ ...

ზოგ ზმნასთან (დამარწმუნა, დამაეჭვა) ჩნდება ფორმა იმაში:

(ვერ) დამარწმუნა/დამაეჭვა/დავეთანხმე/ ... იმაში, რომ

ასეთი უჩვეულო გაფორმების მიუხედავად, რომ კავშირით “მიბმული” წინადადება, სემანტიკური თვალსაზრისით, ობიექტის როლს ასრულებს.

ზოგი ზმნის კონტექსტში რომ-ს შეიძლება ახლდეს დამატებითი ერთეულებიც:

ვისაუბრეთ/ვიმსჯელებთ/ვიკამათეთ/ ... იმის შესახებ/თაობაზე, რომ ...

ეს ობიექტი ზოგჯერ შეიძლება გამოხატული იყოს არა წინადადებით, არამედ ცალკეული არსებითი სახელით ან რაიმე ND ჯგუფით:

მან მომიყვა/გამახსენა/ ... ეს ამბავი/წერილის შინაარსი/ ...

ასეთ შემთხვევაში ეს როლი ზოგადი სქემის დამოუკიდებელი კომპონენტის გამოყოფას არ მოითხოვს. როლის სიმბოლოდ მნემონიკის დასაცავად შეიძლება მივიღოთ OB^m (meaning).

საწყისი წინადადების “პრიმიტივებად” დაშლის კიდევ ერთ შესაძლებლობაა მიზეზ-შედეგობრივი კომპონენტების გამოყოფის საშუალება. ეს ლოგიკური მიმართებები (როცა ასახული არიან წინადადების გამოხატულებაში) წარმოადგენენ შინაარსის უმნიშვნელოვანეს ასპექტს, თუმცა, ამავე დროს, უპირისპირდებიან მის ბირთვს, რომელიც წარმოდგენილია დომინანტური წევრით: ისინი “მეტყველებენ” იმაზე “რატომ და რისთვის” არის შექმნილი ან სიტუაცია მოისაზრება ნაგულისხმევი დომინანტით.

მიზეზს, ანუ მოვლენას/მოქმედებას, რომელიც, თავის მხრივ, რაღაც სხვა მოვლენას ან მდგომარეობას იწვევს, ყველაზე ხშირად გამოხატავენ კავშირები - გამო, წყალობით. პირველი მათგანი გამოხატავს მიზეზის დადებით შედეგს, მეორე ორიენტირებულია დადებით, სასურველ შედეგზე. ორივეს შეიძლება შეენაცვლოს შედეგად:

გვალვის გამო/შედეგად მოსავალი განახევრდა;

მიწის გონივრული მოვლის წყალობით/ შედეგად მოსავალი გაორმაგდა.

მეტაფორულ გადახრად შეიძლება მივიჩნიოთ მიზეზის გაფორმება აგენსის (AG) მსგავსად:

გვალვამ განახევრა მოსავალი;

მიწის გონივრულმა მოვლამ გააორმაგა მოსავალი.

იმ შემთხვევაში, როცა მიზეზი გამოწვეულია “ვიდაცის აქტიურობით”, მისი წარმოდგენა შესაძლებელია ინსტრუმენტის (I) მსგავსადაც:

მიწის გონივრული მოვლით გავაორმაგეთ მოსავალი.

მიზეზ-შედეგობრივი მიმართება შეიძლება გამოიხატოს არა როგორც კონკრეტული, მომხდარი ფაქტი, არამედ როგორც ზოგადი ვარაუდი, სახელდობრ, როგორც რაღაც მოვლენა/ მოქმედების და მისი მოსალოდნელი შედეგის მიმართება; ამ შემთხვევაში მიზეზი უფრო ჰგავს პირობას, რომლის შესრულებას სავარაუდოდ მოჰყვება შესაძლო შედეგი:

მიწას გონივრულად თუ მოუვლი, მოსავალიც გაიზრდება;

გვალვა თუ იქნება, მოსავალიც შემცირდება.

ამ მიმართების რეალიზაციას ასახავს კავშირები:

რადგანაც/ვინაიდან/რაკი მიწას გონივრულად ვუვლიდი, მოსავალიც გაიზარდა.

ამ მიმართების გამოხატვის კიდევ ერთი საშუალებაა მისი გრამატიკალიზაცია, რომელსაც ქართული ზმნის კაუზატივი ასრულებს:

პეტრემ პავლეს ააშენებინა/შეაკეთებინა/აყიდვინა/ ... სახლი.

იგულისხმება, რომ პეტრემ ამა თუ იმ გზით პავლეს სტიმული მისცა მოქმედების შესასრულებლად. ეს სტიმულიც არის საბოლოო აქტის თავისებური მიზეზი, პირობა, საბაზი. თუმცა მისი რეალიზაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა კონკრეტული საშუალებებით, რაც შეიძლება ექსპლიციტურად აისახოს დამატებათა ინსტრუმენტალური ფორმის ჩართვით:

პეტრემ (თავისი) ბრძანებით/ რჩევით/ დახმარებით/ ... ააშენებინა/ ... პავლეს სახლი.

ასეთ დროს ზოგადი და გარკვეული
პეტრემ მისცა სტიმული/მოახდინა კაუზაცია პავლეს

შეიძლება შეიცვალოს ექსპლიციტური ვარიანტი

პეტრემ უბრძანა/ურჩია/ ... პავლეს.

ბოლოს უნდა ვახსენოთ ის სიტუაცია, როცა გამონათქვამი ექსპლიციტურად გამოხატავს შედეგს, რომელიც პროცესის “მიზანია”. ასეთი “მიზანდასახული” პროცესის მაგალითია:

პეტრე აგროვებს ფულს კომპიუტერის/მანქანის/სახლის/ ... შესაძენად.

ფულის შეგროვების წარმატება განიხილება როგორც საფუძველი, პირობა საბოლოო აქტის ყიდვის შესასრულებლად, რაც შეიძლება ექსპლიციტურად აისახოს გამონათქვამებში:

რადგანაც/ვინაიდან/რაკი ფული (ვერ) შეაგროვა, კომპიუტერიც/ ... (ვერ) იყიდა.

არ არის გამორიცხული სიტუაცია, რომელიც ეწინააღმდეგება საწყისი გამონათქვამით გამოხატულ ვარაუდს:

ფული (კი) დააგროვა, მაგრამ კომპიუტერი/ ... არ იყიდა.

მოცემული ნაშრომი მცირე ნაბიჯია საბოლოო მიზნისაკენ, სახელდობრ, სენტენციური პრიმიტივების როლბრივი სტრუქტურის საშუალებით გამონათქვამის წარმოდგენისკენ. მიზნის მისაღწევად საჭიროა როგორც სენტენციური პრიმიტივების, ისე მათი როლბრივი, ანუ სემანტიკური ფუნქციის განსაზღვრა.

სწორედ ამიტომ განვიხილეთ, პირველ რიგში, სხვადასხვა ატრიბუტული სემანტიკის მატარებელი ატრიბუტულ კონსტრუქციებს დაქვემდებარებული წინადადებები, ზედსართაული და ნათესაობითი ბრუნვით (Ng+N) გამოხატული მსაზღვრელები.

ნაშრომის მეორე ნაწილი კი დაეთმო გამონათქვამის კომპონენტებს, რომლებიც “დომინანტური” წინადადების მთლიანობის (და არა მისი ცალკეული წევრების) დახასიათებას იძლევიან. ასეთებად მიჩნეულია შინაარსის (OB^m) და მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების ამსახველი კონსტრუქციები.

ნაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ აქ გამოთქმულია მხოლოდ ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს კომპონენტები გამოდგება, როგორც სენტენციური პრიმიტივები გამონათქვამის შინაარსის წარმოსადგენად. ყოველი ზემოთ განხილული სავარაუდო ვარიანტი მოითხოვს გაცილებით უფრო ვრცელ შესწავლას და დაზუსტებას, რაც გამონათქვამთა ფართო სპექტრზე მათ შემოწმებას გულისხმობს და, აგრეთვე, გულისხმობს ტრანსფორმაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც მათ როლბრივი სტრუქტურის შესაბამის პრიმიტივებად გარდაქმნიან.

ლიტერატურა:

- 1) Fillmore 1968. The Case for Case. In “Universals of Linguistic Theory”, Edited by Emmon Bach and Robert T. Harris, University of Texas at Austin.
- 2) Van Valin et al. 1997. Co-author: R.J. Lapolla. Syntax. Structure, Meaning and Function. Cambridge University Press.
- 3) Г. Чикоидзе. Систематизация значений некоторых классов языковых единиц. Институт Систем Управления Арчила Элиашвили, Редактор Б.Л. Имнадзе. Тбилиси, 2010 (Монография 27 печ. л.).

*გიორგი ჩიკოიძე,
საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია*

წინადადების დაშლა „სენტენციურ პრიმიტივებად“

რეზიუმე

ნაშრომი ორიენტირებულია გამონათქვამის იმ კომპონენტების გამოყოფაზე, რომლებსაც სავარაუდოდ შეუძლია სენტენციური “პრიმიტივების” სხვადასხვა სემანტიკური როლების შესრულება როლბრივი სქემის ფარგლებში, რომელიც გამონათქვამის შინაარსს ასახავს. ასეთ კომპონენტებად განხილულია ზოგი ატრიბუტული კონსტრუქცია, შინაარსის

გამომხატველი ობიექტი (OB^m) და მიზეზ-
შედეგობრივი მიმართებების ამსახველი
ერთეულები.

Георгий Чикойдзе
Грузинская Национальная Академия

РЕЗЮМЕ

George Chikoidze
Georgian National Academy

SUMMARY

Article is focused on creation of submission of the contents of the statement in the form of the role scheme of sentential primitives.

In particular the following options of possible sentential primitives are considered: some attributive designs, objects expressing the contents (OB^m) and the designs which are components of statements, containing the relations “prichina→sledstvy”.

Статья ориентирована на создание представления содержания высказывания в виде ролевой схемы сентенциальных примитивов.

В частности рассмотрены следующие варианты возможных сентенциальных примитивов: некоторые атрибутивные конструкции, объекты, выражающие содержание (OB^m) и конструкции, являющиеся компонентами высказываний, содержащие отношения «причина→следствие».

აკაკი წერეთლისა და ნიკო მარის პოლიტიკის ისტორიული კონტექსტები

თემურ ჯაგოდნიშვილი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: პოლემიკა, აკაკი წერეთელი, ნიკო მარი, სომეხი მეცნიერები, ქართული ისტორია, სომხების წარმომავლობა.

აკაკი წერეთელი ქართულ ლიტერატურის-მცოდნეობაში გამორჩეულად ეროვნული ხედვის მწერლად არის ცნობილი. აღნიშნულია, რომ რასაც არ ჰქონდა მნიშვნელობა საქართველოსა და ქართველობისათვის, აკაკი თითქოს ვერც კი ამჩნევდა, ხოლო ყველგან და ყოველთვის პოეტურს, თავისთავად მშვენიერსა და ამაღლებულს „ეძიებდა და ჰპოვებდა“. ამიტომაც გასაოცრად პოეტურია მისი პროზაც და პუბლიცისტიკაც. თუმცა აკაკისათვის არც საზოგადოებრივად აქტუალური პრობლემების მძაფრი მიზეზშედეგობრივი გააზრება-წარმოჩენა ყოფილა უცხო, რაც მის პუბლიცისტიკას პოლემიკური იერით აღბეჭდავდა. ეს გარემოება კი პუბლიცისტურს მეცნიერულ-კვლევითი ინტერესებში გადაზრდის და ამ უკანასკნელის გამოხატვის როლსაც აკისრებს.

ცნობილია, რომ აკ. წერეთელი დიდ ინტერესს იჩენდა თავისი დროის ისტორიული, ეთნოლოგიური, ფილოლოგიური, წყაროთ-მცოდნეობითი, ორიენტალისტური მეცნიერული კვლევებისადმი, რაც მისი საუნივერსიტეტო განათლებითაც იყო განპირობებული. მის ნაწერებში იმ დროის მეცნიერული მიღწევების ისეთი საფუძვლიანი ცოდნა ჩანს, რაც მას ამ მეცნიერებათა სფეროებში საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას სრულიად საფუძვლიანად უქმნიდა. აკადემიური მეცნიერების სამყაროსადმი ინტერესს აკ. წერეთელს უძლიერებდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე თავჩენილი ტენდენცია-აკადემიური მეცნიერული კვლევების ვითომდა ბუნებრივი ობი-

ექტურობისა და მიუკერძოებლობის შეუთავსებლობა პატრიოტიზმით გაჯერებული ქართული მწერლობისა და პუბლიცისტიკის ინტერესებთან და ძირითად მიმართულებასთან. სინამდვილეში კი როგორც ცნობილია, აკადემიური მეცნიერების მანტიით შეინიღბა ანტიქართული ისტერია, ქართული ისტორიისა და კულტურის ისტორიის ფალსიფიცირების მცდელობები, რომლებმაც ახალი ტალღის და ტენდენციის შინაარსი შეიძინა XIX საუკუნის ბოლოს და რომლის შედეგებს დღესაც იმკის ქართული ისტორია. მეცნიერული კვლევების სამყაროსადმი აკაკის ინტერესის გამოხატვის ერთი ფაქტია მისი მონაწილეობა თბილისში 1881 წელს გამართული რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის მუშაობაში. ეს იყო XIX საუკუნეში თბილისში ჩატარებული ყველაზე წარმომადგენლობითი სამეცნიერო ფორუმი. მასში მონაწილეობდა 700-ზე მეტი მეცნიერი, მათ შორის 30-ზე მეტი მკვლევარი უცხოეთიდან (მაგალითად, ფრანსუა ლენორმანი (1837-1883) პარიზიდან, ჰაინრიხ შლიმანი (1882-1890) ათენიდან, ლუიჯი პიგორინი (1842-1925) რომიდან, ჰილდებრანტი სტოკჰოლმიდან და ა.შ. ყრილობაზე რვა სექცია მუშაობდა: 1. პირველყოფილი ძეგლებისა; 2. წარმართული და კლასიკური ძეგლებისა; 3. ქრისტიანული ძეგლებისა; 4. მუსულმანური ძეგლებისა; 5. ხელოვნებათა და მხატვრობის ძეგლებისა; 6. დამწერლობისა და ენობრივი ძეგლებისა; 7. ლინგვისტიკისა; 8. ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიისა.

აკაკიმ აქტიური მონაწილეობა მიიღო ყრილობის მუშაობაში. მან 1881 წლის 21 სექტემბერს ყრილობის მონაწილეებისათვის ქართული თეატრის ბაღში, ბუფეტის ხალიჩე-

ბიან დარბაზში, გამართულ სადილზე შთამბეჭდავი სიტყვით მიმართა. აკაკიმ ყრილობის მონაწილეებისადმი მადლიერება გამოხატა და აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო თითქმის შეუსწავლელი კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესწავლა, რადგან ეს რეგიონი მეცნიერებისათვის კვლავაც შეუცნობი რჩებოდა. დასტურად აკაკიმ მახვილგონივრულად და მიზნობრივი ქვეტექსტურობით ჩართო რუსი მკვლევრის დ. ა. ხვოლსონის (1819-1911) ელემენტარული უვიცობის ფაქტი – თბილისის სომხეთის ქალაქად მიჩნევა (4, 131): „გამოჩენილმა ორიენტალისტმა.. არ იცის რა არის, ან სად არის საქართველო და სომხების ძველი დიდების ნაშთს თბილისში ეძებსო” – აღნიშნა აკაკიმ.

აკაკის ეს სიტყვა დაბეჭდა „დროებაში” (1881, 1100, 25 სექტემბერი) და მოკლე და გულარხეინი შენიშვნის დართვით დაკმაყოფილდა: „პროფესორ ხვოლსონს თბილისი სომხეთი ეგონა და ეს აზრი სადილზე წარმოთქვა”. არადა „დროებას” ნამდვილად მართებდა განგაშის ზარის შემოკვრა თუნდაც პრობლემის სა-ეროვნო მასშტაბების წარმოჩენით, სომეხ მკვლევართა მხრიდან ისტორიული წყაროების ფალსიფიცირების და ქართულ კვალზე სომ-ხურის გადაფარების მცდელობების გაშიშ-ვლებით. თუმცა გაზეთს ამაზე მინიშნებაც კი არ გაუკეთებია.

აკაკი წერეთელმა კი დ. ხვოლსონის „უცოდინარობაში” გაცილებით დიდი საშიშროება ამოიკითხა, ვიდრე თუნდაც ერთი კაბინეტური მკვლევრის უვიცობა იყო. ეს იყო თბილისელი სომხობის მხრიდან შეგნებული დეზინფორმაცია შორს მიმავალი გათვლებით. უნდა ვივარაუდოთ, რომ სომხური თემის სიმძაფრე აკაკის პუბლიცისტიკაში უკვე აქედან იღებს სათავეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ არქეოლოგიური ყრილობის მონაწილეებისადმი მიმართულ სიტყვაში დ. ხვოლსონის კრიტიკა არ ყოფილა აკ. წერეთლის თვითმიზანი. მან ყურადღება გაამახვილა საქართველოზე, რომელიც პრომეთეს ტვირთის ზიდვისათვის პრომეთესებრ იყო

დას-ჯილი და პრომეთეს გვერდში ამირანის ამო-ყენებით ქართული მითოსის და ფოლკლორისტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე გა-ამახვილა ყურადღება. ამასთან „კლდეზე მი-ჯაჭვის” მოტივის ადგილობრივი წარმომადგენლობა საოცრად თანახმიერი აღმოჩნდა ვს. მილერის თვალსაზრისთან ამ საკითხზე, რომელიც მან ამ ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაშიც განავითარა. მაგრამ ამგვარი მეცნიერული აზრი იშვიათი იყო. ზოგადად კი ისტორიული წყაროების ფალსიფიცირებით, ტენდენციური მეცნიერული კვლევების მიზნობრივად გაყალბებული შედეგების ბეჭ-დვით სერიოზული საფრთხე ექმნებოდა ქართულ ისტორიას, კულტურას, ზოგადად ეროვნულობას. ეს ტენდენცია გამოიკვეთა რუს და მომეტებულად სომეხ მკვლევართა მხრიდან.

გათვლა, ერთი შეხედვით, არ იყო საფუძველს მოკლებული. ქართული ეროვნულობის დამცველი მთავარი ძალა – მწერლობა და პუბლიცისტიკა აკადემიურ მეცნიერულ სფეროში ვერ შეიჭრებოდა და ქართველობას დამცველი დაუსუსტდებოდა, ხოლო თუ მწერ-ლები და პუბლიცისტები მაინც გაბედავდნენ მეცნიერულ პრობლემებზე წერას, მათი „გაჩუმება” არ გაჭირდებოდა არაკომპეტენტურობის ბრალდებით. ამის მცდელობა, როგორც ცნობილია, რეალურად დაფიქსირდა კიდეც.

ქართულმა პუბლიცისტიკამ ეს გათვლა გა-აქარწყლა და ოპონენტების ტენდენციურობა შესაბამისი მეცნიერული კვლევების შედეგების ღრმა ცოდნის საფუძველზე არგუმენტირებულად ამხილა. ამგვარი ტვიფართ არის აღბეჭდილი სწორედ ილიას, აკაკისა და მათი მიმდევრების მეცნიერულ-პუბლიცისტური ნაწერები. აკ. წერეთელთან ქართული წყაროების, ისტორიის, კულტურის ფალსიფიცირებისა და ხელყოფის მძაფრი ტკივილი მრავალმხრივ არის გამჟღავნებული, თანაც ინტენსიურად სწორედ XIX საუკუნის მიწურილს, როდესაც მან უმნიშვნელოვანესი პუბლიცისტური ნაწერები შექმნა და რომელთა ტექსტები, შეუვალი პირდა-

პირობისა და მამხილებელი პათოსის გამო, აკაკის თხზულებათა გამოცემებში არ შეუტანიათ. ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ისინი ცნობილი გახდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკაკი წერეთლის კაბინეტის მიერ გამოცემული კრებულის “უცნობი აკაკის” წყალობით, რომელშიც შესულია აკაკის მიერ სხვადასხვა წლებში შექმნილი ნაწარმოებები როგორც პოეტური, ისე პროზაული, პუბლიცისტური და სხვა. ამ კრებულში გამოქვეყნდა აკაკის უცნობი ლექსი „ისევ მოვიდა ახალი წელი“. იგი დათარიღებული არ არის, თუმცა თემატიკით და განცდა-განწყობილებით აშკარად ეხმიანება აკაკის პოლემიკას ნიკო მართან ქართული წერილობითი წყაროების სომეხ მკვლევართა მხრიდან ფალსიფიცირების გამო, რომელთა მოსარჩლეობაც იკისრა ამ უკანასკნელმა. უკვე ლექსის სათაურშია შთაბეჭდილი არა მხოლოდ ავტორის განწყობა, არამედ ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაც. აქ ახალი წელი ტრადიციულ სიახლის, იმედების დროჟამულობად აღარ განიცდება. ახალი წელი მოვიდა ისევე და ისეთივე, როგორც არაერთი მისი წინამორბედი. იგი არაფერს შეცვლის, ყველაფერი უწინდებულად გაგრძელდება, ბევრი რამ კი განმეორდება კიდევაც: გრძელდება ქვეყნის დაცემა-დაკნინება, „მწერლები ერთმანეთს მგლებივით დარევიან“, გლეხები და თავადები „ჰკლავენ ერთმანეთს“, „გარემე მტრებიც აღარ გვზოგავენ“, „გვანადგურებენ“ მარცხნივ სომხები, მარჯვნივ რუსები“.

აკაკის XIX საუკუნის მიწურულის ნაწერებს მკაფიოდ აჩნევიათ დაუფარავი ტკივილი და წუხილი საქართველოს აწმყოსა და მერმისის გამო. იგი აღშფოთებულია ქართველი საზოგადოების მოქალაქეობრივი ცნობიერების უმწიფარობითა და უნიათობით და პუბლიცისტური ღიაობითა და პირდაპირობით გამოხატავს თავის განწყობილებას. ამის ერთი გამოვლენაა პოემა „ასი წლის ამბავი“, რომელიც დაახლოებით ამ პერიოდში უნდა იყოს შექმნილი. მასში

საქართველოში რუსული მმართველობის ასი წელია განცდილ-დახასიათებული. „მოყვრულად მოსულ და მტრებად გადაქცეულ რუსთა მმართველობა ამ პოემაში ასე არის შეფასებული: „რასაც დღეს სთესენ რუსები, შენ ხედავ ჩემო ჭაბუა, ჩვენ სამშობლოში ოდესმე ჭინჭრად და ეკლად ამოვა“ (1). ამას ათქმევინებს აკაკი სოლომონ ლიონიმეს ჭაბუა ორბელიანისადმი. ქართული ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის ზემოთაღნიშნული ორი მტრული ძალა აშკარად არის გამოყოფილი აკაკის არაპოეტულ ნაწერებშიც. ერთი ფაქტია აკაკის სტატია „ისტორიული განხილვა სახელწოდების არმენის, ჰაისტანის და სომხეთის“. იგი „აკაკის კრებულში“ დაიბეჭდა 1898 წელს (15). იგი კონკრეტულ ფაქტზე რეაგირების მომენტური განწყობილების გამოხატულებას არ წარმოადგენს და აქტუალურ პრობლემაზე დიდი ხნის ფიქრისა და განსჯის ნაყოფია. ამას უპირველესად ცხადყოფს თავად სტატიის შინაარსი, პრობლემური არე და დამუშავებული მეცნიერული წყაროებისა და არგუმენტების სიუხვე. ამასვე ადასტურებს აკაკის მიერ იმავე წელს „აკაკის კრებულში“ (110) გამოქვეყნებული მითითება: „სომხების შესახებ რომ სტატია დავწერე, მე მხედველობაში კერძოდ არავინ მყოლია და მით უმეტეს ნ. მარრი“ (3). ამ ფაქტის დაფიქსირება აკაკის იმ პოლემიკის საპასუხოდ დასჭირდა, რომელიც მას ნ. მარმა გაუმართა. მან აკაკის საწინააღმდეგოდ ორი წერილი გამოაქვეყნა; ერთი გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ (1898, 14841-42), ქართველი პოეტი აკაკი სომხების შესახებ“, მეორეც – იქვე (1898, 14894) სათაურით „პასუხის ნაცვლად პოეტ პუბლიცისტს“. აკაკიმ ოპონენტს პასუხი გასცა „აკაკის კრებულსა“ (1898, @17, - „პრო-ფესორ მარის საპასუხოდ“) და გაზეთ „კავკაზ-ში“ (1898, 1160,61), ორი ერთი მეორისაგან განსხვავებული წერილით, ხოლო მეორე წერილს პირდაპირ აღარ უპასუხა და „აკაკის კრებულის“ მკითხველებს მიაწოდა განმარტება (1898, 110, - „კრებულის ფოსტა“). თუმცა აკაკის ზემოთმითითებული სტატიის

დაწერის საბაზი უნდა იყოს მიხ. თამარაშვილის (1858-1918) გაძევება საქართველოდან 1898 წელს ვინმე მაქს. ორლოვსკის ქვეგამხედურობით. ამაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ აკაკიმ სტატია მიხ. თამარაშვილის გაძევების წელს (1898) გამოაქვეყნა და ნ. მართან პოლემიკაც ამ წელს გადაიტანა. ამას გარდა, აკაკი სტატიაშიც მიუთითებს (თუმცა სახელის მოუხსენებლად), რომ სტატიის უმთავრესი წყაროა მიხ. თამარაშვილი: „ჩვენ კი, ჩვენი მხრით, არ შეგვიძლია, რომ თვალყური არ ვადევნოთ არა თუ დღევანდელ მათ (სომხების-თ.ჯ.) მოქმედებას ჩვენში, თვით მათ წარსულსაც. საჭიროა ვიცოდეთ: მართლა ესენი არიან ის ძველი ჰიასტანის ხალხი, რომლებსაც არც ჩვენ უარყოფთ, თუ სხვები შემოპარულან მათი სახელით? გავსინჯავთ, შევამოწმებთ მათ ისტორიულ პასპორტს და მისთვის აქვე მოვიყვანთ სიტყვითი-სიტყვათ, შეუცვლელათ ერთი ჩვენი ახალგაზრდა-ქართველი მეცნიერის აზრს” (3,108). სახელის მოუხსენებლობა კი მიხ. თამარაშვილის მოფრთხილებით უნდა იყოს განპირობებული. ამასვე ვარაუდობენ კრებულის „უცნობი აკაკის” შემდგენლები ი. ევგენიძე და ნ. ფრუიძე.

აკაკისა და ნ. მარის პოლემიკამ დიდი რეზონანსი გამოიწვია, რაც თავისთავად ცხადყოფდასაკითხის აქტუალობას. ნ. მარს მხარი დაუჭირა სომხურმა პრესამ („მურჭი”, „ნორ-დარ”), ხოლო აკაკის – „ივერიაში” და „კვალმა”. „ივერიაში” დაიბეჭდა ნასიძის წერილი „პრი-ვატ-დოცენტი მარი და მისი სამეცნიერო მეთოდი” (1898, 1180,81), ხოლო „კვალში” ფ. მახარაძის სტატია „ქართლის ცხოვრების” გად-მოცემა ქართული ენის შემოღების შესახებ” (1898, 1120,22,24).

აკაკის სტატიის, ერთი შეხედვით, უწყინარი მეცნიერული აკადემიური სათაურის მიღმა უმძაფრესი, დიდი ხნის მოთმინების ძაფის გაწყვეტის მაუწყებელი, მამხილებელი პოლემიკისათვის მზაობა მოჩანს. პრობლემა მართლაც უმძაფრესი იყო და არა მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულის საქართველოსათვის. იგი შენელებული მოქმედების ნაღმად უხსოვარი

დროიდან ექვა ჩვენს ქვეყანას. ეს იყო (და, სამწუხაროდ, არის ამჟამადაც) სომხური საკითხი, რაც უმთავრესად, ერთი მხრივ, ქართული მიწა-წყლისა და ისტორიის მისაკუთრების მცდელობებში გამოიხატება, მეორე მხრივ, ქართული მწიგნობრობის და ლამის მთლიანად კულტურის სომხების მიერ შექმნილად და ქართველებისათვის დიდსულოვნად ჩუქების მტკიცებებში. აკაკი წერეთელმა მასშტაბურად და ღიად გააშუქა პრობლემა. მან გადაწყვიტა ისტორიულ სიცრუეში ემხილა ის ხალხი, რომელმაც სხვათა სახელი მიისაკუთრა, მალულად, უჩუმრად დაეპატრონა სხვათა მიწა-წყალს და ყველანაირი სიყალბისა და სიცრუის მქმნელობით მიიქცია ყურადღება. ქართველი ხალხისა და საქართველოსადმი მათი დამოკიდებულება შეადარა ფითრს, სუროს, ხავსს, მკბენარს. სტატიის შესავალში მსჯელობა-ანალიზის ექსპრესიულობა უზრუნველყოფილია თ. რაზიკაშვილის მოთხრობა „ფითრის” დიდი ამონარიდით. ამ ფონზე შემოიტანა აკაკიმ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეზისი: „როგორც მცენარეებში ფითრი, სურო და ხავსი, ანუ ცხოველებში მკბენარი მწერები, ისე ადამიანის ტომებშიაც ურევია მისთანა გუნდები, რომელთაც თვით-არსებობა თავისთავად არ შეუძლიათ და უნდათ სხვის სხეულზე იხარონ. ამის მაგალითს გვიჩვენებს ის დიდი გუნდი მოვაჭრეთა, რომელსაც ჩვენ შეცდომით სომხებად ვუწოდებთ” (2.). და კიდევ ერთი თეზისი:

ისტორია ცხადყოფს, რომ „ეს ხალხი, სადაც კი შეხიზნულა და თავი შეუფარებია, ცოტა სულის მობრუნების შემდეგ, დაპატრონებამოუნდომებია, თავიც იქაურ მკვიდრათ აღუარებია და ბოგანო მოსულობა გადაუფუჩრებია” (2,1). თავად სტატიაში წარმოდგენილი არგუმენტები იმის დასაბუთებას ემსახურება, რომ „მოვაჭრეთა გუნდი” არ არის არც არმენი, არც ჰაიკი; რომ არმენია, ჰაისტანი და სომხეთი არ არის ეროვნულობის აღმნიშვნელი ტერმინები. ამ ტერმინთა შინაარსის ინტერპრეტირებას დააფუძნა აკაკი წერეთელმა სომხების ისტორიული

ყალბისმქნელობის მხილება.

არარატის მითითა და ბიბლიური ნოეს კიდობნის მითით გამოჩეულობა (სულ თავდაპირველი არგუმენტი) აკაკიმ სომხებს იმით გაუქარწყლა, რომ კაცობრიობა თავისი ისტორიის ახალ ხანას მსოფლიოში რეალურად მომხდარი წარღვნის შემდგომი პერიოდით იწყებს და მათ შორის არიან არა მხოლოდ ებრაელები ნოეს კიდობნით, არამედ ბაბილონელებიც თავიანთი იზღუბარით. ახალი კაცობრიობის თავშესაფარი მთები ოთხი მდინარის – ტიგროსის, ევფრატის, ჰალისის, არაქსის-სათავეებში საერთო სახელწოდებას ატარებდნენ – სემიტურ ენაზე არა – მთა, რატ – მთათა, - არარატ – ურარატ – ურარად ნიშნავს: სიმაღლეთა-სიმაღლე, მთათა მთა;

„არმენი“, „არამი“, „რამენი“ აღნიშნავს მთიან ადგილს: აღნიშნავს სემიტურის მონათესავე ხამიტურ-ქუშიტურ ენებში (აქ აკაკი ემყარება ფრანსუა ლენორმანის „ასირიოლოგიური წერილების“ I ტომს). ასე რომ, „არმენი“ ეროვნულობის აღმნიშვნელი ტერმინი არ არის. იგი ერთნაირად ეკუთვნოდა „ყოველ ერს, რომელსაც უცხოვრია ამ ადგილებში“ (2). ამ მთიულეთის მკვიდრნი აქ არიელების ჩასახლებაზე იყვნენ თარგამოსიანები (ბიბლიის „თორგომი“) და არიელებთან საერთო არაფერი ჰქონდათ. თარგამოსიანები ასურელებმა და ბაბილონელებმა შეავიწროვეს. ძვ. წ. ა. 685-634 წწ. არიელები ჩასახლდნენ, ხოლო ძვ. წ. ა. 634-490 წწ. მათ მიჰყვნენ სომხების წინაპრები. მათი ისტორიის მიზანი გახდა „შეთვისება უცხო ერთა სახელწოდებისა“ (2). აკაკის ეს ცნობები მოჰყავს იმ დროის დიდი სახელების მქონე აღმოსავლეთმცოდნეების ფრანსუა ლენორმანის, შარლ ლანგლუას, ჰენრი რაულისონის გამოკვლევების მიხედვით.

საკითხის ღრმა ცოდნით არის აღბეჭდილი ტერმინის „სომხეთის“, „ჰაისტანის“ აკაკისეული განმარტება. ტერმინი „სომხეთი“, აკაკის მტკიცებით, ქართველური ენებისაა. იგი აღნიშნავს სამხრეთით მდებარე ქვეყანას – „სამხრეთს“, „სომხეთს“, „სომხეთს“. სამხრეთ

კავკასიისაკენ წამოწეული ერებისათვის არმენი (მთიულეთი) სამხრეთის, სომხეთის, სომ-ხეთის ქვეყანა გახდა. ასე რომ, სომხები ერ-თი ერის აღმნიშვნელი სახელი კი არ იყო, არამედ არმენიის ანუ მთიულეთის ხალხებისა, ქართველთა მონათესავე თარგამოსიანელებისა.

აკაკი იმ გარემოებაზედაც ამახვილებს ყურადღებას, რომ არიელი სომხების სახელი არც „ჰაისტანობა“, „ჰაოსიანობა“, რადგან ბიბ-ლიური თორგომი არ არის მათი წინაპარი და ვერც მისი უფროსი ვაჟი ჰაოსი (ჰაი, გაგივი) გამოდის.

აკაკი იმოწმებს ჰენრი რაულისონს, რომელიც მიუთითებს, რომ ახლანდელი სომხების წინაპრები არმენიაში (მთიულეთში) დასავლეთიდან შემოვიდნენ, აქაურების სახელი, სარწმუნოება და ზეპირგადმოცემები მითვისეს და ისტორიის ფალსიფიციერების გზას დაადგნენ.

აკაკი წერეთელმა ბერძნული, სპარსული, ევროპული საისტორიო წყაროების კონცეპტუალური დალაგებით ისიც ცხადყო, რომ არასოდეს არსებულა საკუთრივ სომხეთის იმპერია და საერთოდ სახელმწიფო.

ძვ. წ. ა. IV საუკუნეში არმენია (მთიულეთი) დაიპყრო ალ. მაკედონელმა, როგორც სპარსეთის სახელმწიფოს ნაწილი. მისი სიკვდილის შემდეგ, 193 წლამდე, არმენიას (მთიულეთს) დაეპატრონენ ანტიოქიელი ბერძნები. ამ პერიოდში სომხების წინაპრები გადმოიპარნენ არაქსის მარცხენა ნაპირზე. ძვ. წ. ა. 193-150 წწ. მთელ სპარსეთს და მათ შორის არმენიას (მთიულეთს) ფლობდნენ პარფიელები, თუმცა სომეხმა ისტორიკოსებმა პარფიელთა ბატონობა გადაასხვაფერეს და სომხური ისტორიული მითი შეთხზეს. არმენიის (მთიულეთის) დასავლეთი ნაწილი ძვ. წ. ა. 62 წლიდან შედიოდა რომის იმპერიაში.

ახ. წ. ა. 250 წლიდან გაძლიერდა სპარსეთი და არმენია (მთიულეთი) მისი სამფლობელო გახდა. სომეხი ისტორიკოსები ჯიუტად ლაპარაკობენ თავიანთი სახელმწიფოს დიდებაზე. მათი ისტორიის მცოდნე ფრანგი ორიენტალისტი, ჟან სენ მარტინი (1791-1832) კი საგანგებოდ აღნიშნავდა საზოგადოდ მეცნი-

ერთა უნდობლობას სომეხი ავტორების ნაწერებისადმი.

სპარსეთი იმ დროს მაზდეანობას აღიარებდა და, ბუნებრივია, დაპყრობილ ქვეყნებშიც ავრცელდებოდა. თუმცა სპარსეთში ცეცხლთაყვანის-მცემლობის გვერდით გავრცელდა ქრისტიანობაც, რომელიც იმ დროს ეროვნული ნიშნით არ გამოირჩეოდა.

V საუკუნიდან არაქსის ხეობის შუა ნაწილში გავრცელდა სომხური ენა და დასაბამი მიეცა სომხურ საეკლესიო მწერლობას, რადგან სახელმწიფო სომხებს არ ჰქონდათ. 639 წლამდე მათ მბრძანებლობდნენ სპარსელები, შემდეგ 1040 წლამდე-არაბები, 1121 წლამდე სელჯუკები, 1225 წლამდე-ქართველები, 1238 წლიდან-ჯალალედნი, მონღოლები, შემდეგ კვლავ სპარსელები, ოსმალ-თურქები, XIX საუკუნიდან – რუსები.

ასე ამხილა აკაკი წერეთელმა სომეხ ავტორთა ისტორიული სიცრუე და ქართული წყაროების ფალსიფიცირების მცდელობები ისეთი უღირსი საქციელის ჩათვლით, როგორცაა წარწერების ხელყოფა ისტორიულ ძეგლებზე და სანაცვლოდ სომხური წარწერების ჩაჩხაპვნა.

აკაკის სტატიას სომეხ მკვლევართაგან არავინ გამოხმაურებია, გარდა ქართული წარმომავლობის სომხური ფილოლოგიის ამომავალი ვარსკვლავის ნ. მარისა. აკაკის წერილის პასუხად მან გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ (1898, 114841-4842) გამოაქვეყნა წერილი „ქართველი პოეტი აკაკი სომხების შესახებ“. ნ. მარმა აკაკის ტენდენციურობა და არაპროფესიონალიზმი დასწამა, თუმცა მის თეზისებს სერიოზული არგუმენტი ვერ დაუპირისპირა. ამის მიუხედავად, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ნ. მარს მხარი მაინც დაუჭირა სომხურმა პრესამ.

ნ. მარის არგუმენტები ძირითადად შემდეგი შინაარსისაა:

1. სომხებს უძველესი დროიდანვე დიდი გავლენა ჰქონიათ ქართველებზე, საღმრთო წერილი, დაბადებაც სომხურიდან აქვთ ნათარგმნი;

2. დვინის 596 წლის კრების განჩინება, რომელიც სომხებს ქართველების სიძულვილსა და მტრობას ავალდებულებს, მხოლოდ და მხოლოდ პატრიარქ აბრაამის ეპისტოლე იყო;

3. სომეხი ავტორების ფალსიფიკაციები განხილვა-ანალიზით უნდა დადგინდეს. სიმართლეს უბირები ამახინჯებენ და მათ მეტი არ მოეთხოვებათ (!?);

4. პრფესორი პატკანოვი რუსი მეცნიერია, მხოლოდ ეროვნებით იყო სომეხი;

5. ინგლისელ ისტორიკოსს ჯონ რიჩარდ გრენს (1837-1883) სომხები არანაირად არ დააწერინებდნენ ქართველების აუგს;

6. სომხურ პრესაში არასოდეს დაწერილა ქართველებს ენა არ აქვთო. ამას მხოლოდ უმეცრები წერენ.

7. ქართულში რომ სომხური ენიდან არის შესული ბევრი სიტყვა, ამას სულხან-საბა ორბელიანი და დ. ჩუბინაშვილიც აღიარებენ;

8. ქართულსაც ჰქონდა დიდ გავლენა სომხურზე და ეს ჩემი კვლევებითაც დავადაგინე;

9. გამორიცხულია, რომ შეგნებული სომხები ქართულ წარწერებს ფხეკდნენ და სომხურს ანაცვლებდნენ. ამას უმეცარნი სჩადიან, ხალხი დამნაშავე არ არის.

აკაკიმ, როგორც უკვე ითქვა, ორი საპასუხო წერილი გამოაქვეყნა. ერთი, უფრო ვრცელი, თავის კრებულში დაბეჭდა (1898, 7 – „პროფესორ მარის საპასუხოდ“), მეორე გაზეთ „კაკვაზში“ (1998, 1160,61 – „Ответ приватдоценту Н. Мappy“).

ნ. მარის არგუმენტებს აკაკიმ შემდეგი ფაქტები დაუპირისპირა:

1. დაბადება ქართულად მთაწმინდელების ნათარგმნია ბერძნულიდან და არა სომხურიდან, ცალკეული ფრაგმენტები კი სირიულიდან. საპირისპირო ფაქტებს, საკუთრივ არასანდო და საეჭვო სომხური წყაროების გარდა, თუ ნ. მარი ვერ მოიყვანს, „ჩვენ სრული უფლება გვქვს ვთქვათ, რომ ბ-ნ მარს სომხურ ენასა და ისტორიასთან ერთად მათი ხასიათიც შეუთვისებია“ (3.).

2. დვინის 596 წლის განჩინებაში თეთრზე შავით წერია, რომ სომხები ქართველებს ისე უნდა მოქცეოდნენ, როგორც ურიებს. ამას ვერავინ უარყოფს. ქართველ სასულიერო წოდებას კი სომხების სამტრო რამ არასოდეს დაუდგენია. პირიქით, „მათი სარწმუნოებისა და ეროვნების დასაცავად ბევრჯერ გარეთ სისხლი დაუთხევია და შიგნით კი მზამზარეულათ თავის საკუთარი ტამრები და სამლოცველოები დაუთმია სომხებისათვის“ (3).

3. აკაკის ბრალდებას სომხებისაგან ქართული წარწერების ხელყოფის შესახებ ნ. მარმა ვერაფერი დაუპირისპირა და, ფაქტობრივ, არაპირდაპირ აღიარა.

4. ნ. მარმა ასევე ვერაფერი მოუძებნა აკაკის მიერ პატკანოვისადმი „ქართლის ცხოვრების“ ტენდენციური განხილვის მხილებას და მისი ობიექტურობის დასამტკიცებლად ისღა გამოძებნა, რომ თქვა – პატკანოვი რუსი მეცნიერი იყო.

5. ნ. მარმა, ფაქტობრივ, უპასუხოდ დატოვა აკაკის მეხუთე არგუმენტი-სომხებისაგან ინგლისელი ისტორიკოსის ჯონ რიჩარდ გრენისათვის (1837-1883) ყალბი ინფორმაციის მიწოდებით ქართველებზე არასწორი წარმოდგენის შექმნის შესახებ ნაშრომში „ინგლისელი ხალხის მოკლე ისტორია“ (1874). ნ. მარი აქაც შეეცადა სომხებისათვის ნამუსის მოწმენდას და „გულუბრყვილოდ“ განაცხადა, რა სისულელეა, სომხები ამას რატომ იზამდნენო“.

აკაკიმ პასუხად სხვა მკვლევრების – კუტილის და რუსი აღმოსავლეთმცოდნის დანიილ ხვოლსონის (1819-1911) მაგალითებზე მიუთითა, სომხებმა დ.ხვოლსონსაც დააწერინეს თბილისი სომხური ქალაქიაო. ამ შემთხვევაშიც აკაკის არგუმენტი საფუძვლიანი იყო, რადგან დ. ხვოლსონის შეცდომაში შეყვანის მოწმე თავად აკაკი იყო 1881 წელს რუსეთის არქეოლოგიური – მეხუთე ყრილობის მონაწილეთათვის გამართულ სადილზე, სადაც დ. ხვოლსონმა თბილისი სომხურ ქალაქად მიიჩნია, ხოლო აკაკიმ მწვავე რეპლიკით ამხილა მისი უვიცობა. ამ ფაქტის

ნ. მარისათვის შეხსენებით აკაკიმ სომხების ქართველებისადმი ვერაგობის კიდევ ერთი ტენდენცია ამხილა: უცხოელ მკვლევართა დეზინფორმაციით ქართული კვალის წაშლისა და სომხურის ფიქსირებისა.

6. ნ. მარის საადვოკატო წერილში, ფაქტობრივ, უპასუხოდ დარჩა აკაკის მიერ სომხურ პრესაში ქართველების და ყოველივე ქართულის, განსაკუთრებით ენის დაკნინების მცდელობათა მხილება. ნ. მარმა პირდაპირ ღიმილის მომგვრელი არგუმენტი დაუპირისპირა: ასე უბირი სომხები წერენ და მათ რა ჭკუა მოეკითხებათო. აკაკიმ მწვავედ გაკენწლა ნ. მარი: თუ უმეცრები წერენ ასე, რატომ სხვებმა, ან თავად „ბ-ნმა მარმა არ ამოიღო ხმა მათ საწინააღმდეგოთ?“

7. ნ. მარის საპასუხო არგუმენტი შეეხებოდა სომხური ლექსიკის ხვედრით წილს ქართულში, რაც მისთვის სომხური ენის ქართულზე გავლნის გამოხატულებას წარმოადგენდა. იგი დასტურად ს.-ს. ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებზე მიუთითებდა, თავად ამ ლექსიკონების ავტორები აღიარებენ სომხური ლექსიკის არსებობას ქართულშიო.

აკაკიმ ამ შემთხვევაშიც დასაბუთებული პასუხი გასცა ნ. მარის სოფისტიკურ არგუმენტს. პასუხში ორი მომენტი გამოყო: ჯერ ის ფაქტი დააფიქსირა, რომ ქართველებს მოეპოვებოდათ უფრო ადრინდელი – X საუკუნის ლექსიკონი. იოანე პეტრიწისა (ივანე ჭიჭიშვილისა), რომელიც ქართულ-სომხურ ლექსიკური ურთიერთმიმართებების თვალსაზრისით სრულიად სხვა ვითარებას აფიქსირებდა, ვიდრე სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილისა.

მეორე მომენტი ამ პასუხში იყო აკაკისეზური ირონიულობით გაჯერებული მინიშნება იმაზე, რაც ნ. მარს, როგორც ფილოლოგს, კარგად უნდა სცოდნოდა: „მეზობელი ხალხი მეზობლისაგან იმას მიიღებს, რაც იმას აკლია თვითონ“. აკაკიმ ამ საყოველთაო მოვლენის შეხსენებით ნ. მარი დაუნდობლად გაკენწლა ამ ქრესტომათიული მოვლენის მიჩქმავლის გამო. „ჩვენც, ისე, როგორც სხვებისაგან, სომხებისაგანაც გვაქვს მიღებული

სიტყვები: „მუნწი“, „მაჭანკალი“, „ავაზაკი“, „სასტიკი“ და სხვა” (3).

8. ნ. მარმა მთლიანად აღიარა აკაკის მერვე არგუმენტის უტყუარობა, რომელიც სომხურზე ქართული ენის გავლენის მტკიცებას შეეხებოდა. აკაკიმ პასუხი ამ შემთხვევაშიც მეცნიერულ ფაქტებს დაამყარა. მან მოიყვანა ციტატა „სომხური ენის გრამატიკის“ შემდგენლის აღმოსავლეთმცოდნე გატერიასის წიგნიდან: სომხური ენის გრამატიკის დაწერა შეუძლებელია იმის გათვალისწინების გარეშე, რა ეკუთვნის სომხურში ქართულ ენას. „უამისოდ სომხური გრამატიკა მოკლებული იქნებოდა მეცნიერულ საძირკველსა და მეთოდს (3). აკაკიმ თავის საპასუხო წერილში ამასთან დკავშირებით ნ. მარის ციტირებაც წარადგინა: „მე თვითონ უგატერიასოდ, ჩემდა თავათ, მიველიმ გამოკვლევამდე, რომ ქართული ენის გავლენა სომხურზე ეჭვს გარეშეაო“ (3).

9. სრულიად უმწეო იყო ნ. მარის მეცხრე არგუმენტი სომხების მხრიდან ქართული კულტურის მეგლებზე ქართული წარწერების წაშლისა და სამაგიერო სომხურის ჩაჩხაპნის შესახებ: „ამას უმეცარი ნასწავლები შვრებიან და ხალხის რა ბრალიაო“.

აკაკიმ ამ მტკიცებულებასაც ღირსეული პასუხი გასცა: „საუცხოვოა თქვენმა მზემ!... როცა უმეცრები ჩვენ წინააღმდეგ ცუდს ჩადიან, მაშინ იმახის ბ-ნი მარრი: „ეგ რა მეცნიერების ბრალიაო?“, როცა მეცნიერები: „უმეცრებმა რა ქნანო?“... ამგვარი რამეებით არის გაჭედილი მისი სტატია და, სწორე მოგახსენოთ, თუ არ პირადი ჩვენი პატივისცემა ბ-ნ მარისადმი, პასუხის ღირსათ არასოდეს არ გავხდით ამ აბლაკატურ მრავალ-მეტყველებას. ამიერიდან-კი ამგვარ რამეებზე ჩვენგან პასუხს ნუ ელის და, თუ სამეცნიერო რამ გამოკვლევით, ისე, როგორც შემვენის და ეკადრება მეცნიერს, რომელიმე სიმართლისა და ჭეშმარიტების დასამტკიცებლათ ინებებს მობრძანებას ჩვენს დაჩაგრულ უბანში, მაშინ კი დიდი სიყვარულ-ლითა და პატივისცემით მივეგებებით“ (3).

აკაკიმ, ფაქტობრივ, პირწმინდად მოუგო პოლემიკა ნ. მარს. ნ. მარმა ანგარიში არ გაუწია იმ გარემოებას, რომ პუბლიცისტიკის სივრცე ვერ იკმარებდა ნამალადევ კაზუსტიკას და ის, რაც მეცნიერების სამყაროში ნაკლებად ჩანდა, პუბლიცისტიკაში ვერ დაიფარებოდა. აკაკიმ ნ. მარის მეცნიერულ ობიექტურობას ნიღაბი ჩამოხსნა და სომხობის ადვოკატობაში „გამოტეხა“, მეცნიერებისათვის უკადრის საქციელში ამხილა და ურჩია კამათში მეტი საბუთიანობა წარედგინა და მართლაც ისე გარჯილოყო, როგორც მეცნიერს ეკადრებოდა. ამასთან ნ. მარის პიროვნებისადმი უდიდესი პატივისცემაც გამოხატა.

სრულიად ლოგიკური იყო აკაკის გადაწყვეტილება ნ. მართან კამათის შეწყვეტის შესახებ იქამდე, ვიდრე მისი ოპონენტი ახალ საბუთებს არ წარმოადგენდა. ნ. მარმა უპასუხა, თუმცა არანაირი ახალი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. მან პასუხი, სათაურით „პასუხის ნაცვლად პოეტ პუბლიცისტს“ ისევ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოაქვეყნა (1898, 14894). როგორც მოსალოდნელი იყო, ახალგაზრდა წარმატებული მეცნიერისაგან პასუხი ქედმაღლური და ამპარტავნული იყო (ნ. მარი იმ დროს 34 წლისა იყო, აკაკი 58-ისა). ნ. მარის პოზიცია მისი პასუხის სათაურშივეა გამჟღავნებული, თუმცა ნ. მარმა, შესაძლოა. არ იცოდა აკაკის საუნჟვერსიტეტო განათლების ამბავი, უმაღლესი განათლება-აღმოსავლეთმცოდნეობა, ცხადია, ვერც იმას გაუწია ანგარიში, რომ აკაკი, როგორც ეს მისი უცნობი ნაწერების შემდგენლებამაც აღნიშნეს, „კარგად იცნობს იმ პერიოდის უთვალსაჩინოეს ევროპელ მეცნიერთა ნაშრომებს და იზიარებს მათ შეხედულებას დღევანდელ სომეხთა წინაპრების არიული წარმომავლობის შესახებ“ (3, 215). ასე იყო თუ ისე, მან აკაკის წამოსძახა, რომ პოეტი იყო და მისი სტატიის ინტელექტუალური შესაძლებლობანი პუბლიცისტიკით შემოისაზღვრებოდა, თანაც იმ გაგებით, რომ აკადემიური მეცნიერული კვლევების სფეროს ვერ წვდებოდა. ნ. მარის აქცენტების

ქვეტექსტურობა სრულიად ცხადი იყო. აკაკის აღმოსავლეთმცოდნეობაში ჩაუხედაობაზე მითითებით ხელის ერთი მოსმით აქარწყლებდა მის ყველა არგუმენტს და რაიმე ფაქტობრივ დასაყრდენს აცლიდა მის სტატუსს. ე. ი. ნ. მარმა აკაკის არგუმენტებს რომ ვერაფერი მოუძებნა საპასუხო, კრიტიკა აკაკის პიროვნებისაკენ მიმართა. ამგვარი საქციელი აშკარად სცილდებოდა არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ ზოგადად ადამიანურ ურთიერთობათა ეთიკის ფარგლებს. აკაკიმ ამ მხრივაც სძლია თავის ოპონენტს. მან პირდაპირ აღარ უპასუხა ნ. მარს. მის მაგიერ ნ. მარს უპასუხა „ივერიის“ კორესპოდენტმა ნასიძემ, რომელიც წერდა ფსევდონიმით „მე გახლავარ“. მან „ივერიაში“ (1898, 180,81) გამოაქვეყნა წერილი „პრივატ-დოცენტი მარი და მისი სამეცნიერო მეთოდი“. ნ. მარის საპასუხო წერილი დასტამბა აგრეთვე ფ. მახარაძემ გაზეთ „კვალში“ (1898, 1120,22,24) „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემა ქართული ენის შემოღების შესახებ“. როგორც ნასიძემ, ისე ფ. მახარაძემ მთლიანად გაიზიარეს აკაკის არგუმენტები.

აკაკიმ, დაპირების მიუხედავად, მაინც გასცა ნ. მარს პასუხი, თუმცა არაპირდაპირი. თავის კრებულში (1898, 110) რუბრიკაში „კრებულის ფოსტა“ ანონიმი მკითხველის შეკითხვაზე პასუხის ფორმით. აქ აკაკიმ განაცხადა, რომ ნ. მარს მეორე წერილში ახალი არგუმენტები არ წამოუყენებია. „მხოლოდ რაღაც ბავშვური მედიდურობა და ყოყოჩობა... მე მეცნიერი ვარ და შენ უმეცარიო; ჩვენს, მეცნიერების, უბანში რა ნება გაქვს გაიარო“. აკაკიმ ამგვარი პოლემიკური სიციხარის ფონზედაც კი დაინდო ნ. მარის პიროვნება და აქვე განაცხადა: ნ. მარის თქმაში საწყენი არაფერია. იგი იმას ამბობს, რასაც ფიქრობს, გულწრფელია, რაც მოსაწონია და არა დასაძრახი. „საძრახი და შესაბრალი“ კაცი მაშინ არის, „როცა დარწმუნებული ერთზეა და მეორეს ამტკიცებს ჯიუტობით ან სხვა რაიმე ანგარიშით და მარს კი, დარწმუნებული ვარ, ამგვარი არა მოაქვს რა“ (18, 373-374). ცხადია, აკაკისათვის

კარგად იყო ცნობილი ნ. მარის მეცნიერული პოზიციის სათავეებიც, პოლემიკის მიზეზებიცა და მიზნებიც, სომხების თავგამოდებული დამცველობის სათავეებიც, მაგრამ მინიშნებაც კი არ უკადრებია. მან ნ. მარს არა მხოლოდ ფაქტებით სძლია, არამედ პოლემიკის მაღალი კულტურითაც. ამ პოლემიკაში აკაკის მიერ გამოვლენილი საფუძვლიანი და ღრმა ცოდნის წყაროდ ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში მიჩნეულია მიხეილ თამარაშვილის „ქართული ეკლესიის ისტორია“, რომელიც გვიან დაიბეჭდა, მაგრამ მას 1900 წელს ჩვენში უკვე იცნობდნენ (3, 214). აკაკის უცნობი ნაწერების კრებულის კომენტატორი მიუთითებს, რომ მიხ. თამარაშვილის „ქართული ეკლესიის ისტორიის“ გავლენა აკაკიზე იმითაც მტკიცდება, რომ აკაკი იმავე ავტორებს (ლენორმანს, გატერიასს, სენ-მარტენს და ა. შ.) იმოწმებს, რომლებსაც მიხ. თამარაშვილის ნაშრომი იცნობს. თუმცა ეს პრინციპულად სწორი დაკვირვება მაინც საჭიროებს დაზუსტებას. აკაკისათვის მიხ. თამარაშვილის ეს ნაშრომი ერთ-ერთი წყარო იყო და არა ერთადერთი. ამას თუნდაც ის ფაქტი ცხადყოფს, რომ ზოგიერთ უცხოელ მკვლევარს აკაკი 1881 წლის V არქეოლოგიური ყრილობიდანაც იცნობდა (მაგალითად, ფრან-სუა ლენორმანს, ჰაინრიხ შლიმანს). თუმცა არსებითი მაინც მიხ. თამარაშვილის ნაშრომი და სომხური საკითხისადმი მისი შეურიგებელი პოზიცია იყო.

ცხადია, რომ აკაკის სტატიის გამოქვეყნებით და ნ. მარის პოლემიკით სომხური საკითხი არ ამოწურულა. კონფრონტაცია განსაკუთრებით გამწვავდა სწორედ იმ ხანებში, როდესაც, ერთი მხრივ, გამოქვეყნდა ნ. მარის მიერ დამუშავებული „გრიგოლ პართელის ცხოვრების“ ტექსტის არაბული ვერსია (1906), ხოლო მეორე მხრივ, მიხ. თამარაშვილის ნაშრომი „პასუხად სომხის მწერლებს“ (1904), რომელშიც გაშუქებულია სომხების ვინაობის, საქართველოში შემოხიზვნის და განსახლების საკითხები. ნ. მარმა სომხური წყაროებისათვის ანგარიშგაწევის საფუძველზე განაგრძო მათი

მოსარჩლეობა და ახალი არგუმენტებით გაამყარა თავისი თეზისები.

„გრიგოლ პართელის ცხოვრების“ ტექსტში (11. 63-211) მოხსენიებული სომხეთის პროვინციებისა და მათი მმართველების სახელებიდან ნ. მარმა ხელნაწერ არაბულ ვერსიაში არასწორად ამოიკითხა ნუსხის მეოთხე პროვინციის დასახელება (11, 115). თავის დროზე პ. ინგოროყვამ გაარკვია, რომ სომხურ ხელნაწერში აღნიშნულია სამხრეთი პროვინცია „ალ-მნიქ“-ი. ბერძნულად „ალმნიქ“ გამოითქმოდა როგორც „არზანე ნე“, ხოლო არაბულად „არზან-ონ“, ანუ „არზანისა“. ნ. მარმა არაბული დამწერლობის დიაკრიტიული ნიშნების აღრევის საფუძველზე „არზანონი“ გააიგივა „არზანონ“-თან, ასეთი არასწორი წაკითხვის საფუძველზე კი ქართული პროვინცია კლარჯეთი („არზანონი“) სომხეთის ნაწილად გამოაცხადა. ნ. მარმა ანგარიში არ გაუწია სხვა სომხურ წყაროებს, მაგალითად, მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიას“ (ეს ტექსტი იმ დროისათვის ახალი გამოცემული იყო, 1893 წელს რუსულ ენაზე გამოსცა ნ. ემინმა). ეს და ბევრი სხვა შეცდომაც, რომლებიც მთარგმნელებმა დაუშვეს თავის დროზე, გამო-აშკარავა სომეხმა მკვლევარმა ნ. აღონცმა თავის ნაშრომში „სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში“.

პ. ინგოროყვამ დამაჯერებლად ცხადყო ნ. მარის მოსაზრების უსაფუძვლობა, ნათელიყო, რომ IV საუკუნეში კლარჯეთის მხარეში საერთოდ არ არსებობდა არტანუჯის საპიტიახშო. კლარჯეთის ადმინისტრაციული ცენტრი იმ დროს იყო თუხარისი. თავად არტანუჯი ადმინისტრაციული ცენტრი გახდა V საუკუნის II ნახევარში; ვახტანგ გორგასლის ინიციატივით, არტანუჯისციხეაგომისმაძუძუმტემარტავაზმა. დაწვრილებით ეს საკითხი გაშუქებულია პ. ინგოროყვას კაპიტალურ ნაშრომში „გიორგი მერჩულე“ (1954, გვ. 374-376). ამ ნაშრომის გამოქვეყნებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთი მხრივ, საერთოდ სომხური იწინაუცები მხილების თვალსაზრისით, მეორე მხრივ, ნ. მარის შეცდომების გამოაშკარავებით ამ საკითხში

მისი მიმდევარი ქართველი მკვლევრებისათვის თვალსაზრისის შეცვლის მხრივ (პ. კეკელიძე, ი. აბულაძე). მიუხედავად ამისა, სომეხი მკვლევრები დღესაც განაგრძობენ ყალბისმქნელობას – ქართული წყაროების ხელყოფას, ისტორიული ფაქტების გაყალბებას, უტიფარი პრეტენზიების წამოყენებას... ქართულ მიწა-წყალსა და ქართული კულტურის ძეგლებზე. მეცნიერულ გამოკვლევებად სთავაზობენ თანამედროვე მსოფლიოს საეჭვო ღირებულებების ფსევდომეცნიერულ ოპუსებს და, სამწუხაროდ, ამას ახერხებენ სომხური ლობის წყალობით. ისინი იმით სარგებლობენ, რომ სერიოზულ მეცნიერულ წრეებში მათ სერიოზულად არავინ აღიქვამს, მაგრამ, სამწუხაროდ, უტიფრობა თავისთავად არის საფუძვლიანობისა და სერიოზულობის ხელყოფა.

სომეხ მკვლევართა მხრიდან დაუსრულებელი ყალბისმქნელობის ფონზე აკაკის ნაშრომი სომხების ვინაობის შესახებ და პოლემიკა ნ. მართან განსაკუთრებულად აქტუალურია დღესაც, როგორც ისტორიული ფაქტი ქართული კულტურის ძეგლების სომეხ მკვლევართაგან ხელყოფა-მისაკუთრების მცდელობისა. ამ მცდელობებს ისინი არაიშვიათად სწორედ ნ. მარის ნაშრომებს აფუძნებენ.

აკაკის უდიდესი დამსახურება ამ ურთულესი პრობლემის „განსაჯაროებაში“, ანუ მეცნიერების სამყაროდან პუბლიცისტიკაში გადატანასა და საყოველთაო განსჯის საგნად ქცევაში.

PS. სხვათა შორის, სომხური საკითხის აკაკისეული ხედვის სიზუსტე და მისი არგუმენტების სისწორე ცხადყო რუსმა ისტორიკოსმა, რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინის ყოფილმა მრჩეველმა პროფესორ მოდესტ კოლეროვმა, რომელიც გამოეხმაურა 2015 წლის 12 იანვარს სომხეთის ქალაქ გიუმრიში მომხდარ ფაქტს – რუსი ჯარისკაცის პერმიაკოვის მიერ სომხური ოჯახის ამოწყვეტას. მართალია, ამ წერილს მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს, რუსების მხრიდან სომხებისათვის თავისდამადლების გამიზნულობისაა, მაგრამ

ისტორიული ფაქტები კონცეპტუალური სი-
ზუსტით არის გახსენებული და გასაოცრად
თანახმიერია აკაკი წერეთლის სტატიასთან
„ისტორიული განხილვა სახელ-წოდების არმე-
ნიის, ჰაისტანის და სომხეთის“.

მოდესტ კოლეროვმა არა მხოლოდ ისტორი-
ული სიმართლე წამოაძახა სომხებს, არამედ
სომხეთის სახელმწიფოს შექმნაში რუსეთის
დიდი ღვაწლიც შეახსენა და უმადურობასა
და ისტორიის ფალსიფიცირებაშიც ამხილა.
მან დაუფარავად გააშიშვლა სომხური ეთნო-
მენტალობა, სხვისი სახელისა და ისტორიის
მისაკუთრება და სხვა. მართალია, მ. კოლეროვი
საერთოდ არ ახსენებს ქართველებისა და საქარ-
თველოსადმი სომხების დამოკიდებულებას, მაგ-
რამ სომხური მენტალიტეტისა და ისტორიის
სიყალბეთა გაშიშვლებით, ისტორიული სი-
მართლის გამომზეურებით თავისთავად ხდება
ცხადი ქართველებისადმი სომხების პრე-
ტენზიების აბსურდულობა.

პროფესორ მ. კოლეროვის წერილის თეზი-
სებისა და არგუმენტებიდან საყურადღებოა
შემდეგი:

- ◆ სომხებმა არ უნდა დაივიწყონ: რომ არა
რუსეთი, არავინ დაიცავდა მათ საშინელი მე-
ზობლისაგან;
- ◆ საკვირველია, როგორ ვირივით ჯიუტად
ცდილობენ სომხები ისტორიული ფაქტების
იგნორირებას კავკასიაში მათი პირველი გამო-
ჩენის შესახებ;
- ◆ XVIII საუკუნე და რუსი ჯარისკაცებისა და
ჩინოვნიკების მცდელობა – აი, ვისი წყა-
ლობით აქვთ მათ ქვეყანაცა და დედაქალაქიც;
- ◆ სომხები სირიის უდაბნოში ცხოვრობ-
დნენ, იქ იყო მათი სამყოფელი;
- ◆ სომხებს კულინარული კულტურაც
თურქებისა და აზერბაიჯანული აქვთ;
- ◆ სომხური გვარები თურქული წარმომავ-
ლობისაა და ამას სომხები ვერაფრით მალავენ;
- ◆ ერევანი ისტორიული დოკუმენტებით 500
წლისაა. დედაქალაქის სტატუსი 1918 წლი-
დან მიენიჭა. მანამდე იგი ერევნის სახანოს

ადმინისტრაციული ცენტრი იყო;

- ◆ ისტორია არ იცნობს სომხურ იმპერიას. თუ
1918 წლამდე არსებობდა სომხეთის სახელ-
მწიფო, სადაა ან სად გაქრა? რატომ არ იციან
ეს ისტორიკოსებმა?
- ◆ XX ს. 70-იან წლებში სომხებმა გაანადგუ-
რეს სარდარის სასახლე, რათა გაექროთ ერევნის
მუსულმანური წარსულის კვალი;
- ◆ სომხებს XIX საუკუნემდე მწერალიც არ
ჰყოლიათ. მათი პირველი მწერალი ხ.
აბოვიანი იყო.

აღნიშნულ წერილში განსაკუთრებით საინ-
ტერესოა სომხური ეთნომენტალობის შეფასება.
პროფესორი მ. კოლეროვი სომხებს უწუნებს
სამოქალაქო ცნობიერების უმწიფრობას; ეროვნუ-
ლი გამორჩეულობით ტრაბახის ფონზე ქვეყნის
დაცვისა და მოვლა-პატრონობის უუნარობას,
კერძოდ, ქვეყნის საზღვრების გამაგრებისათვის
რუსული სამესაზღვრეო შენაერთების გამოყე-
ნებას; დედაქალაქისათვის შესაბამისი იერ-
სახის მინიჭების უუნარობას, რის გამოც ერევნის
„დღევანდელი იერსახე დედაქალაქის უზადრუკი
მიმსგავსებაა“, და, ფაქტობრივ, მოსახლეობისაგან
დაცლილია“.

პროფესორ მ. კოლეროვის წერილი იმასაც
ცხადყოფს, რომ სომხეთის აწმყო, განსაკუთრებით
წარსული, ისტორიის ფალსიფიკაციები რუს
მეცნიერთათვის კარგად არის ცნობილი და
თანამედროვე სომხების პოლიტიკური მართვის
იარაღად გამოიყენება: როგორც კი ურჩობას
გაუბედავენ რუსეთს, ისტორიული სიცრუის,
წარსულის უქონლობის, სხვისი წარსულის
მისაკუთრების მხილების მუქარა დაატყდებათ
თავს. სხვა მხრივ კი მათ შიში არავისი და
არაფრისა აქვთ, წერენ იმას, რაც უნდათ...
ზოგჯერ, ზოგიერთს თუ წამოცდება სიმართლე
და ეს სიმართლე ისევ საოცრად თანახმიანობს
აკაკი წერეთლის თეზისებთან... ასე მაგალითად,
ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, ლინგვისტი,
ფოლკლორისტი მანუკ აბეგიანი თავის „სომხუ-
რი ლიტერატურის ისტორიაში“ (ერევანი, 1975,
გვ. 11) წერს: „სომეხი ხალხის წარმოშობა, რო-

დის და საიდან, რა გზით ჩამოვიდნენ ერევანის მიწებზე, ვინ იყვნენ უწინ, რომელ ტომებს განეკუთვნებოდნენ, ვინ და როგორი გავლენა იქონია მათ ენასა და ეთნიკურ შემადგენლობაზე, ჩვენ ამის დამადასტურებელი არანაირი მკაფიო და ზუსტი მტკიცებულებები არ გაგვაჩნია”.

ისტორიკოსი **აქაზიმი**, ავტორი 1919 წელს პარიზში გამოცემული „სომხური ისტორიისა“, აღიარებს: „პირველი სომხური დინასტიის წარმომადგენლები ისტორიული პირები კი არ არიან, არამედ მოგონილი ზღაპრების გმირები. მოვსეს ხორენაცი მეხუთე საუკუნეში კი არა, მეშვიდე საუკუნეში მცხოვრები ცრუ ისტორიკოსია”.

გევორქ ასლანი, ავტორი შრომისა „ისტორიული ეტიუდი სომხეთის მოსახლეობის შესახებ“, პარიზი, 1909) აღნიშნავდა: „ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მოსე ხორენაც თავისი მოთხრობები სირიის ზღაპრებიდან აქვს აღებული, ანდა სომხეთში მოხეტიალე ურუფისტებისაგან გაუგონია და ისინი თავის ნაწარმოებებში ოსტატურად აღუნუსხავს. მას სირიული და ირანული წყაროები აქვს გამოყენებული. იგი იღებს და ისაკუთრებს იასენხენის ფრაგმენტებს ებრაელთა ბრძოლებიდან, მალაღეს ეიზებენის ეკლესიის ისტორიას.”

1917 წელს პარიზში გამოცემული „სომხების ახალი ისტორიის“ ავტორი **ბასმაჩიანი** კიდევ უფრო მეტი გულახდილობით წერს: სომხებისა და სომხეთის შექმნის ისტორია ბნელით არის მოცული. ეს ტერიტორია უძველესი დროიდან პამირის მიწებიდან ჩამოსული ინდიქუმის ემიგრანტებით იყო დასახლებული. სომხებს, როგორც რომაელებს, ბერძნებს, ირანელებს და სხვა ხალხებს მითიური გმირები ჰყავთ და რადგანაც სომეხი ისტორიკოსების მოყვანილი დეტალები ფაქტებს არ ეფუძნება, მათ ადგილს ზღაპრული პერსონაჟები იკავებენ.

სომეხი ისტორიკოსი **გარაგასიანი** ლონდონში 1905 წელს გამოცემულ ნაშრომში „აღმოსავლეთის საკითხის ისტორია“ აღნიშნავს: სომხების წარსულის შესახებ რაიმე ისტორიული ან მითოლოგიური ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ მათ ჰაიკსა და ნოესთან ნათესაობის მითი შეთხზეს, ვითომ იგი იაფეტის შვილიშვილი და ნოეს შვილის თორგომის შთამომავალია. ძველ ისტორიკოსთა ნაწილი ებრაული წყაროების თორგომის სახელს უკავშირებს, სომხეთის ერთ ნაწილს თორგომის შთამომავლებად მოიხსენიებს. ამის შესახებ პირველად მოსე ხორენელი ლაპარაკობს.

ამგვარად მოაზროვნე სომეხ ავტორთა ნუსხა აღნიშნულით არ ამოიწურება, მათ, მაგალითად, შეიძლება მივაკუთვნოთ ისტორიკოსი ბ. იშხანიანი, ავტორი გამოკვლევისა „კავკასიელი ხალხი“ (1916), ი. ორბელი _ სომხეთის მეცნიერება-თა აკადემიის პირველი პრეზიდენტი, სხვებიც.

ცხადია, არც მ. კოლეროვია ერთადერთი რუს მეცნიერთა შორის, ვინც სომხების ისტორიული სიცრუე ამხილა. ასეთებს შორის არიან ი. დიაკონოვი და ნ. შავროვი. მაგალითად, სომხების გამოჩენაზე მდინარე ფარათას ზედა ხეობაში ი. დიაკონოვი ძვ. წ. ა. I ათასწლეულით ათარიღებს („სომეხი ხალხის თადაპირველი ისტორია, ერევანი, 1968, გვ. 237), ნ. შავროვი კი ნაშრომში „ამიერკავკასია _ ახალი საფრთხე რუსული ინტერესებისათვის“ (სპბ-ი, 1911, გვ. 61) აღნიშნავდა: „XX საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში მცხოვრები 1.300 000 სომხებისაგან 1 მილიონზე მეტი ამ რაიონის მკვიდრნი არ იყვნენ. ისინი ჩვენ მიერ იყვნენ ჩამოსახლებულნი”.

დიდი რუსი მწერალი და დიპლომატი ალ. გრიბოედოვიც ხომ აღნიშნავდა ნაშრომში „ჩანაწერები სომხების ირანიდან ჩვენს მხარეებში გადმოსახლების შესახებ“, რომ სომეხები უმთავრესად მუსულმანი მემამულეების მიწაზე იყვნენ ჩასახლებულნი“ (17, 399-444).

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ აკაკისა და ნ. მარის პოლემიკაში ისტორიული სამართლიანობა აკაკი წერეთლის მხარეს იყო. რაც მთავარია: მან გასაოცარი პირდაპირობით გაამიშვლა ქართული ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის წინაშე არსებული ის სიყალბეები, რომელთაც უტიფრად თხზავენ

„ისტორიზმით დაავადებული” სომეხი მკვლევრები. და კიდევ, აკაკის პუბლიცისტური ნაწარმები თავის მძაფრ აქტუალბას არ კარგავს XXI საუკუნის ქართული სინამდვილისათვისაც.

ლიტერატურა:

1. აკ. წერეთელი, „ისევ მოვიდა ახალი წელი;” „ასი წელი” წიგნში: „უცნობი აკაკი”, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2001;
2. აკ. წერეთელი, „ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაისტინის და სომხეთის”, წიგნში: „უცნობი აკაკი”, თბ., 2001;
3. აკ. წერეთელი, პროფესორ მარის საპასუხოთ”, წიგნში: „უცნობი აკაკი”, თბ., 2001;
4. აკ. წერეთელი, სიტყვა, წარმოთქმული 21 ენკენისთვის არხელოგებისათვის გამართულ ქართულ წარმოდგენაზე, აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრბ. თხუთმეტ ტომად, ტ. XII;
5. `დროება”, 1881, 1100, 25 სექტემბერი;
6. ნ. მარი, ქართველი პოეტი აკაკი სომხების შესახებ”, გაზ. „ნოვოეობოზრენიე”, 1998, 14841-4842 (რუსულ ენაზე);
7. ნ. მარი პასუხის ნაცვლად პოეტ პუბლიცისტს”, გაზ. „ნოვოეობოზრენიე”, 1898, 14894;
8. აკ. წერეთელი, კრებულის ფოსტა, „აკაკის კრებული”, 1898, 110, თხზ.სრ.კრებული, ტ.13, გვ. 373-374;
9. ნასიმე, პრივატდოცენტი მარი და მისი სამეცნიერო მეთოდი, „ივერია”, 1898;
10. ფ. მახარაძე, „ქართლის ცხოვრების” გამოცემა ქართული ენის შემოდების შესახებ”, „კვალი”, 1898;
11. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954;
12. მ. აბეგიანი, სომხური ლიტერატურის ისტორია, ერევანი, 1975;
13. ი. დიაკონოვი, სომეხი ხალხის თავდაპირველი ისტორია, ერევანი, 1968 (რუს. ენაზე);
14. ნ. შავროვი, ამიერკავკასია – ახალი საფრთხე

რუსული ინტერესებისათვის, სპბ., 1911 (რუსულ ენაზე);

15. ა. გრიბოედოვი, რჩეული თხზულებები, II, მოსკოვი, 1977;
16. მოდესტ კოლეროვმა პასუხი გასცა სომხებს, www.disput.az 17 იანვარი, 2015;
17. ა. გრიბოედოვი, რჩ. თხზ., ტ. II, მოსკ., 1911;
18. აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII.

თემურ ჯაგოდინიშვილი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლისა და ნიკო მარის პოლემიკის ისტორიული კონსტექსტები

რეზიუმე

გამოჩენილი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა თავისი დროის ლიტერატურათმცოდნეობით, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ მივებში და თავის სიტყვას ამბობდა ქართული კულტურის პრობლემათა შესახებ, აქვეყნებდა წერილებს, სტატიებს, ქართულ და რუსულ პრესაში. ერთი მაგალითი ამგვარი მოღვაწეობისა არის მისი მონაწილეობა 1881 წელს თბილისში ჩატარებული V არქეოლოგიური ყრილობის მუშაობაში.

აკ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა ქართული ისტორიისა და კულტურის თვითმყოფადობის საკითხებზე, მათ შორის ნ. მართან.

ნაშრომში განხილული და შეფასებულია აღნიშნული ამ პოლემიკის პერიპეტეები, ფაქტები და არგუმენტები.

საკვანძო სიტყვები: პოლემიკა, აკაკი წერეთელი, ნიკო მარი, სომეხი მეცნიერები, ქართული ისტორია, სომხების წარმომავლობა

Temur Jagodnishvili, professor,
Georgian Technical University

Historical contexts of polemic of Akaki Tsereteli
and Nico Mari

SUMMARY

The outstanding Georgian poet of the XIX century Akaki Tsereteli actively participated in literary, historical, archaeological and ethnological investigations of the time and expressed own opinion on problems of identity of the Georgian culture, published articles in the Georgian and Russian press. One of manifestations of it is the fact of participation of A. Tsereteli in work of the V Archaeological congress of Russia which was carried out in August – September, 1881 in Tiflis.

A. Tsereteli took active part in scientific polemics on problems of identity of the Georgian culture with the famous scientist – N. A. Mar. Many of A. Tsereteli's arguments keep the scientific value and now.

In work the separate facts of this polemic are considered.

Key words: *polemic, Ak. Tsereteli, N. Mari, Armenian scientists, Georgian history, origin of Armenians.*

Темур Джагоднишвили, профессор,
Грузинский Технической Университет

Исторические контексты полемики Акакия
Церетели и Николая Марра

РЕЗЮМЕ

Выдающийся грузинский поэт XIX века Акакий Церетели активно участвовал в литературоведческих, исторических, археологических и этнологических разысканиях своего времени и высказывал собственное мнение по проблемам самобытности грузинской культуры, публиковал статьи в грузинской и русской печати. Одним из проявлений этого является факт участия А. Церетели в работе V Археологического съезда России, который проводился в августе – сентябре 1881 года в Тифлисе.

А. Церетели принял активное участие в научных полемиках по проблемам самобытности грузинской культуры с известным учёным – Н. Я. Марром. Многие из аргументов А. Церетели сохраняют своё научное значение и в настоящее время.

В работе рассматриваются отдельные факты этой полемики.

ключевые слова: *полемика, Ак. Церетели, Н. Марр, армянские ученые, грузинская история, происхождение армян*

ჟურნალისტიკა
ЖУРНАЛИСТИКА
JOURNALISM

**კატასტროფებისა და კრიზისების გაშუქება ქართულ მედიაში 2013 წლის
13 ივნისის აგალოთუხე**

საკვანძო სიტყვები: სტიქია, წყალდიდობა, ოპერატიულობა, ჟურნალისტიკა, „რუსთავი 2“

13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურება ქართული მედიის მთავარ თემად იქცა. თითქმის ორი კვირის განმავლობაში სწორედ ამ ინფორმაციით იწყებოდა ქვეყნის წამყვანი არხების საინფორმაციო გამოშვებები. ყველა ძირითადი ტელეკომპანია და საინფორმაციო სააგენტო საგანგებო რეჟიმში მუშაობდა, რათა მაყურებელს/მკითხველს უწყვეტ რეჟიმში მიეღო ახალი ინფორმაცია მოვლენების განვითარების შესახებ. ძლიერი წვიმის და მდინარე ვერეს ადიდების გამო ქუჩების დატბორვის შესახებ პირველი ინფორმაცია 13 ივნისს ღამის 12 საათისთვის გავრცელდა. თუმცა ტელეკომპანიებმა ამის შესახებ აუდიტორიას მოგვიანებით აცნობეს.

ნაციონალური არხების მიერ სტიქიის გაშუქება

რუსთავი 2

სტიქიის გაშუქება ტელეარხებიდან პირველმა „რუსთავი 2“-მა დაიწყო. ღამის 02:30 საათზე მაუწყებლის ეთერში სპეციალური საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“ გავიდა. ხოლო მანამ-

მადინა გაგიევა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

დე ტელეკომპანია მაყურებელს მორბენალი სტიქიონით აწვდიდა ინფორმაციას. „რუსთავი 2“ პირდაპირ ეთერში უწყვეტ რეჟიმში დილის 6:00 საათამდე დარჩა. ჟურნალისტიკა მაყურებელს განახლებულ ინფორმაციას სთავაზობდნენ. რამდენიმე გადამღები ჯგუფი სხვადასხვა უბნებში მუშაობდა. „კურიერი“ მალევე დაბრუნდა და 14 ივნისს მთელი დღის განმავლობაში საათში ერთხელ გადიოდა ეთერში. საღამოს კი თოქშოუ „არჩევანი“ მომზადდა, რომლის წამყვანმაც სტუმრებთან ერთად განიხილა როგორც სტიქიის შედეგები, ასევე ის მიზეზები, რამაც ეს შედეგები გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ 14 ივნისს მთელი დღის განმავლობაში არხზე მოიხსნა გასართობი გადაცემები და საინფორმაციო გამოშვებებს შორის შუალედებში მხოლოდ დოკუმენტური ფილმები გადიოდა.

იმედი

მოგვიანებით, ღამის 3:00 საათზე, ეთერში ტელეკომპანია „იმედის“ სპეციალური საინფორმაციო გამოშვება გავიდა. არხი 05:23 საათამდე უკომენტაროდ გადასცემდა სტიქიის ამსახველ კადრებს. ხოლო ამის შემდეგ ეთერში მხატვრული ფილმი და „ფარული კამერა“ გაუშვეს. მეორე დღეს, 14 ივნისის დილას, „იმედმა“ საკუთარ

მაყურებელს უკვე ეკა ხოფერიას გასართობი თოქ-შოუს გამეორება შესთავაზა. გადაცემა ორ სასტუმროში - „შატო მერესა“ და „როიალ ბატონში“ - დასვენებას ეძღვნებოდა.

„ქრონიკა“ („იმედის“ საინფორმაციო გამოშვება) სტუდიიდან მხოლოდ 14 ივნისის 11:00 საათზე გავიდა. ამის შემდეგ არხმა საგანგებო რეჟიმში განაგრძო მუშაობა - ისინი თბილისის „პრობლემურ უბნებიდან“ რთავდნენ ჟურნალისტებს პირდაპირ ეთერში და განახლებულ ინფორმაციას აწვდიდნენ აუდიტორიას. საღამოს 20:00 საათზე ეთერში გავიდა „იმედის კვირა“, სადაც წამყვანებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად იმსჯელეს მომხდარზე და მაყურებელს ბოლო ინფორმაცია მიაწოდეს. ისიც უნდა აღინიშნოს. რომ დღის განმავლობაში ტელეკომპანია ყოველგვარი კომენტარის გარეშე სთავაზობდა მაყურებელს ღამით გადაღებულ კადრებს. თუმცა საინფორმაციო ნაკადი სტიქიის ზონიდან იმდენად სწრაფად იცვლებოდა, რომ ეს კადრები უკვე ძალიან მოძველებული იყო და მათი ეთერში გაშვება აღარ იყო მიზანშეწონილი.

პირველი არხი

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველი არხი მესამე ადგილზე აღმოჩნდა - მათ მოსახლეობას მომხდარი სტიქიური უბედურების შესახებ ღამის 03:10 საათზე აცნობეს. საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“-ს ჟურნალისტები და წამყვანები პირდაპირ ეთერში მუშაობდნენ (სტუდიაში და სტიქიის ზონაში) და 06:10 საათამდე უწყვეტ რეჟიმში ავრცელებდნენ განახლებულ ინფორმაციას.

ტელეკომპანიამ მაუწყებლობა დილის 08:00 საათზე ბაქოში მიმდინარე პირველი ევროპული თამაშებით განაახლა. ხოლო „მოამბე“ ეთერში 10:00 საათზე დაბრუნდა. 30-წუთიანი საინფორმაციო გამოშვების შემდეგ ისინი კვლავ ევროპულ თამაშებს დაუბრუნდნენ და პირდაპირ ეთერში ბაქო ჩართეს. დღის განმავლობაში „პირველმა არხმა“ ახალი ამბები მაყურებელს 12:00, 14:00

და 16:00 საათზე შესთავაზა და 18:10 საათამდე მუშაობდა. როგორც წამყვანმა აუდიტორიას აუხსნა, ღამით ეთერში დაგვიანებით გასვლის მიზეზი ტელევიზიის შენობის წინ შექმნილი რთული ვითარება იყო. მთავარი საინფორმაციო გამოშვება კი ეთერში ტრადიციულად 20:00 საათზე გავიდა. სტიქიის თემის განხილვას ასევე მიეძღვნა გადაცემა „რეალური სივრცე“ და სტუმრებთან ერთად განიხილეს ღამით მომხდარი წყალდიდობა.

მაესტრო

ტელეკომპანია „მაესტრომ“ მაყურებელს ღამით განვითარებული მოვლენების შესახებ 14 ივნისს დილის 12:00 საათზე აუწყა. მანამდე ეთერში დოკუმენტური/მხატვრული ფილმები და სერიალები გადიოდა. წამყვანმა განაცხადა, რომ არხზე გეგმიური ტექნიკური სამუშაოები მიმდინარეობდა და ამის გამო მათ ვერ შეძლეს ღამით ეთერში გასვლა. მან დასძინა, რომ მიუხედავად ამისა ტელეკომპანიის ჟურნალისტები და ოპერატორები მთელი ღამის განმავლობაში სტიქიის ზონაში მუშაობდნენ.

კავკასია

ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში არც გვიან ღამით და არც 14 ივნისს მთელი დღის განმავლობაში არც ერთი საინფორმაციო გამოშვება არ გასულა. აღნიშნულ არხმა მაყურებელს სტიქიური უბედურების შესახებ მხოლოდ 15 ივნისის 17:00 საათის გამოშვებაში მოუთხრო.

ჟურნალისტური ეთიკა სტიქიის გაშუქებისას

13-14 ივნისის სტიქიის გაშუქებისას არც ერთ არხის ეთერში, რომელიც მომხდარ წყალდიდობას აშუქებდა, არ მომხდარა გარდაცვლილების იდენტიფიცირება შსს-ს მიერ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებამდე (რაც პოზიტიური ფაქტია). ტელეკომპანიებს არ გადაუციათ

გადაუმოწმებელი მონაცემები გარდაცვლილების შესახებ, არ უჩვენებიათ ახლო კადრით ცხედრები და არ შეულახავთ დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი. როგორც ამას „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ ითხოვს, წინა ღამით გადაღებულ მასალას ეთერში გასვლისას მითითებული ჰქონდა კადრების გადაღების თარიღი. აღნიშნულ ქმედებით თავიდან იქნა აცილებული მაყურებლის შეცდომაში შეყვანის ფაქტები.

თუმცა ჩვენს ტელევიზორებში გამოვლინდა სხვა პრობლემები. მას შემდეგ, როცა სტიქიის აქტიურმა ფაზამ გადაიარა, ტელეკომპანიებმა მისი გაანალიზება დაიწყეს. განსაკუთრებით ეს „რუსთავი 2“-ს ეხება. ამ პროცესში მათ საკუთარი თანამშრომლებიც ჩართეს. ისინი ხშირად უსვამდნენ ხაზს იმ გარემოებას, რომ პირველებმა დაიწყეს ამ მოვლენების გაშუქება და მუშაობდნენ უშუალოდ სტიქიის ეპიცენტრში. ჩვენ ექვეყნე არ ვაყენებთ ფაქტს, რომ იმ დღეების განმავლობაში ამ ტელეკომპანიამ ძალიან ბევრი რამ გააკეთა მოსახლეობის ინფორმირების თვალსაზრისით. თუმცა ეს იყო მათი, როგორც ჟურნალისტების მოვალეობა და არ არის საჭირო, რომ მაყურებელს ამის შესახებ მუდმივად ახსენებდნენ.

გარდა ამისა, რაც შეეხება „რუსთავი 2“-ს, სტიქიიდან რამდენიმე დღის შემდეგ არხმა წყალდიდობის ფაქტის პოლიტიზირება დაიწყო და ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ხელისუფლება მოუმზადებელი აღმოჩნდა ასეთი მასშტაბის სტიქიისათვის. ისინი რესპოდენტებსაც კი ისე არჩევდნენ, რომ ეთერში რაც შეიძლება მეტი კრიტიკა ყოფილიყო ხელისუფლების მიმართ. ამავდროულად, როგორც წესი, ისინი არ იწვევდნენ თოქ-შოუებში ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა მაყურებელს მიეცეს საშუალება თვითონ გამოიტანოს დასკვნა ამ საკითხზე და იცოდეს ყველა მხარის პოზიცია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. მაგალითისათვის 18 ივნისს ეთერში გასულ გადა-

ცემა „პროფილს“ მოვიყვანთ. ის მთლიანად 13-14 ივნისის წყალდიდობის შედეგებს და დაზარალებულებს მიეძღვნა. სტუდიაში მყოფი სტუმრები სტიქიის დროს გადატანილ ამბებს მცირეწლოვანი ბავშვების თანდასწრებით იხსენებდნენ. გადაცემაში იმყოფებოდა ქალბატონი თავის ორ პატარა შვილთან ერთად. დასმული კითხვების გამო ბავშვი იძულებული იყო გაეხსენებინა იმ ღამის მოვლენები.

„პროფილში“ მიწვეული და მომზადებული სიუჟეტების გმირების ნაწილი ამბობდა, რომ სტიქიის შემდეგ ბავშვები შეიცვალნენ: ღამით ცუდად სძინავთ, ხშირად იღვიძებენ, გახდნენ გულჩათხრობილები და აქვთ შიშის გრძნობა.

საერთაშორისო პრინციპების თანახმად, ასეთი თემების განხილვა ბავშვების თანდასწრებით ყოველად დაუშვებელია. როგორც გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებულ სახელმძღვანელო პრინციპებში არის ნათქვამი, „ზიანი არ მიყენოთ არც ერთ ბავშვს. თავი აარიდეთ ისეთი კითხვების დასმას, ან ისეთი დამოკიდებულების ან მოსაზრებების გამოხატვას, რომლებსაც აქვს განსჯის ხასიათი, რომლებიც არ ითვალისწინებს ბავშვის კულტურულ ფასეულობებს და საფრთხეს უქმნის ან ამცირებს ბავშვს, ან რომლებიც იწვევს ტრავმის შედეგად წარმოქმნილი ტკივილის და უარყოფითი ემოციის ხელახალ განცდას“.

გარდა ამისა, საქართველოს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 44-ე მუხლის თანახმად, „არასრულწლოვანის ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების პატივისცემასთან ერთად, მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს პროგრამაში მონაწილე არასრულწლოვანთა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სულიერი კეთილდღეობის დაცვა, მშობელთა, მზრუნველთა ან მეურვეთა თანხმობის მიუხედავად“.

ლიტერატურა

1. Г.Ю. Арапова, С.И. Кузеванова, М.А. Ледовских, Б.Н.Пантелеев ., - Освещение журналистами экстремальных ситуаций. – Воронеж., - 2012.
2. http://www.gncc.ge/files/7060_7177_303673_Code%20of%20Conduct.pdf
3. <http://mediachecker.ge>
4. P.M. Lester, S. D. Ross., - Images that Injure: Pictorial Stereotypes in the Media., - New York. – 2003.

Madina Gagieva
Georgian Technical University

Natural disasters and crisis coverage on the example of June, 13th flood in Tbilisi

SUMMARY

In this article we have tried to assess the events that took place in Tbilisi on June 13/14. The flood, that struck the capital of Georgia, became a kind of exam for the Georgian journalism. How quickly the media responded to this natural disaster? How was the coverage of these events on television and news agencies? What mistakes were made by the Georgian media and whether it was possible to avoid them? Were the ethical principles taken into account during the coverage of this tragedy? Journalism of Georgia has no experience of covering such disasters,

accordingly, there is no “standard of conduct” in such situations.

Key words: *disaster, flood, efficiency, journalists, „Rustavi 2“*

Мадина Гагиева, Докторант,
Грузинский Технический Университет

Методы освещения природных катастроф и кризисов в грузинских медиа на примере стихии 13 июня 2015 года

РЕЗЮМЕ

В этой статье мы попытались дать оценку событиям, которые произошли в Тбилиси в ночь с 13 на 14 июня. Стихия, обрушившаяся на столицу Грузии, стала своего рода экзаменом и для грузинской журналистики. Насколько оперативно СМИ отреагировали на наводнение, каким было освещение этих событий на телевидении и в информационных агентствах? Какие ошибки были допущены грузинскими медиа и можно ли было их избежать? Соблюдались ли во время освещения трагедии этические принципы? Журналистика Грузии не имеет опыта освещения стихийных бедствий, соответственно, нет «стандарта поведения» в таких ситуациях.

Ключевые слова: *стихия, наводнение, оперативность, журналисты, «Рустави 2»*

რედაქტირება - რთული უპრობლემატიო პროცესი

*ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: ავტორისეული ტექსტი; თემის აქტუალობა; რედაქტორის მუშაობის ეტაპები; ხელნაწერის ლიტერატურული დამუშავება; სამუშაო რევენზია; შესწორების სახეები; ენის სისწორე, სიზუსტე, სიცხადე.

რედაქტორი არის ავტორის ტექსტის ერთ-ერთი პირველი წამკითხველი, რომელიც ნაწილობრივ განსაზღვრავს ნაწერის ბედს, ამიტომ მას უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება. რედაქტორის მუშაობა რამდენიმე ეტაპისგან შედგება. პირველ რიგში ამოწმებს, თემა რამდენად სწორად არის შერჩეული, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ყველაფერი, მთავარია ასევე თემა სწორად იყოს დამუშავებული, ყურადღება უნდა მიექცეს, რამდენად დამაჯერებელია არგუმენტაცია, რამდენად გასაზიარებელია პრინციპული დასკვნები, საკითხი ამომწურავად არის თუ არა გაშუქებული. შემდეგი საფეხური არის ტექსტის სტილისტური დამუშავება, იმის შეფასება, რამდენად არის მომზადებული ხელნაწერი დასახელებად ენისა და სტილის მხრივ, დაცულია თუ არა სალიტერატურო ენის ნორმები, სწორად არის თუ არა გამოყენებული ენის ის საშუალებები, რაც შეესაბამება ნაწარმოების შინაარსს და დანიშნულებას. რედაქტირება შემოქმედებითი პროცესია და ამიტომ რედაქტორს ბევრი ფაქტორის გათვალისწინება უწევს. რედაქტირებაში გამოცემის ტექნიკური და მხატვრული გაფორმების შემოწმებაც შედის და ეს კიდევ უფრო რთულს და საინტერესოს ხდის მუშაობის პროცესს.

რედაქტორის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გააუმჯობესოს ტექსტის ენა, სტილი და კომპოზიცია. ნაწერი უნდა იყოს არა მარტო ლექსიკურად და გრამატიკულად სწორი, არამედ ადვილად

აღსაქმელი და მისაღები და, რაღა თქმა უნდა, მან უნდა შეძლოს მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენა და მისი დაინტერესება.

რედაქტორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ ტექსტში არ გაიპაროს ფაქტობრივი შეცდომები, უზუსტობანი, რომელიც ლახავს რედაქციის ავტორიტეტს და იწვევს მკითხველის დეზორიენტაციას. ამ სახის შეცდომები შეიძლება შეგვხვდეს რიცხვებში, ქრონოლოგიურ თარიღებში, გეოგრაფიულ დასახელებებში, ანდა გამოწვეული იყოს წინადადების ნაჩქარევად, დაუფიქრებლად აგებით ან ფრაზის გარეგნული სილამაზით მეტისმეტი გატაცებით. თუკი ავტორი ძალზე თავისუფლად ექცევა ისტორიულ, ლიტერატურულ ან სხვა ფაქტებს, ურევს მათ, არასწორად მიუთითებს ან ამახინჯებს, ესეც ფაქტობრივი შეცდომების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება იქცეს. სასვენი ნიშნების არასწორმა გამოყენებამაც შესაძლოა შეცვალოს ტექსტი. ფაქტობრივ შეცდომებს მიეკუთვნება აგრეთვე ავტორისთვის იმ აზრის მიწერა, რაც მას არ გამოუთქვამს, ოფიციალური დოკუმენტების სახელწოდების დამახინჯება, წყაროების არასწორი დასახელება.

რედაქტორი უნდა გაუმკლავდეს ლოგიკურ შეცდომებსაც, რაც შეიძლება შესამჩნევი იყოს ტექსტის კომპოზიციაში, თემის არასაკმარისად დამუშავებაში, არადადამაკმაყოფილებელ არგუმენტაციაში, აბზაცის ან ფრაზის სტრუქტურაში. შეიძლება შეგვხვდეს შეხედულებების და ტერმინების არასწორი და არაზუსტი განმარტება. გავრცელებულ ლოგიკურ შეცდომებს მიეკუთვნება ტექსტის გეგმის აზრობრივი არევა. როდესაც ერთსა და იმავე ან მეზობელ წინადადებებში გამოთქმულია ისეთი აზრები, რაც ერთმანეთს გამორიცხავს, ცხადია, ეს ლოგიკური შეცდომაა.

რთული ფრაზები, გაუგებარი სიტყვები, უშინაარსო, ტრაფარეტული გამონათქვამები, რთული კონსტრუქციები ტექსტს ვნებს, მკითხველს აშორებს წიგნსა თუ გაზეთს, ინტერესს უკარგავს მათ მიმართ. ახორციელებს რა უბრალოების პრინციპს, რედაქტორი ზოგჯერ მოვალეა შეამოკლოს ტექსტი, თუკი ეს არ დააზიანებს მის შინაარსს. სრულიად მიუღებელია ორაზროვანი, არაზუსტი ფორმულირებები. რედაქტორმა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას ენის განზრახ გაუბრალოება. არ შეიძლება ორიენტირება დაბალი ინტელექტუალური დონის მქონე, მოუზადებელ მკითხველზე. ენის უბრალოება და პოპულარობა ითვალისწინებს ისეთი სიტყვების შერჩევას, რომელიც მკითხველისთვის გასაგებია, ისეთი სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებას, რომელიც ადვილად აღიქმება და შეიმეცნება. თუკი აუცილებელია ტექსტში უცნობი ან ნაკლებად ცნობილი სიტყვის შეტანა, ეს სიტყვა ან უნდა აიხსნას, ან ისეთ კონტექსტში უნდა იქნას გამოყენებული, რომ მკითხველისთვის მისი მნიშვნელობა ცხადი გახდეს. ამასთანავე, რედაქტორი მოვალეა ყოველთვის მიაქციოს ყურადღება ენის სისწორეს, რაც გულისხმობს სალიტერატურო ენის კანონების და ნორმების დაცვას; სიზუსტეს – აზრის ყველაზე შესაფერისი სიტყვებით და ფრაზებით გამოთქმას და სიცხადეს – სიტყვების ისეთ შერჩევას და დალაგებას, რომ აზრი გაუგებარი არ დარჩეს.

ტექსტის ღირსება და მნიშვნელობა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის გამოვყოფთ თემის აქტუალობას, შინაარსის კონკრეტულობას, ფაქტების და საილუსტრაციო მასალის სწორ შერჩევას, გეგმის სწორად აგებას, ენის საშუალებების მართებულად გამოყენებას. რაკი ტექსტის დანიშნულებისა და ჟანრული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ენის განსხვავებული საშუალებების მომარჯვება, რედაქტორმა ამასაც უნდა მიაღვენოს თავალი.

ცალკე მსჯელობის საგანია რედაქტორის

ავტორის სტილთან დამოკიდებულება. შესაძლოა რედაქტორს შეკითხვები გაუჩნდეს ავტორის მიმართ, ბევრი შესწორებაც შეიტანოს ტექსტში, ბევრი რეკომენდაცია და წინადადება შესთავაზოს ავტორს, ზოგ რამეში არ დაეთანხმოს მას, მაგრამ ყველა შემთხვევაში რედაქტორი ძალზე ფაქიზად უნდა მოეპყრას ავტორისეულ სტილს და თავად ავტორს. თუკი ხელნაწერი ობიექტური მონაცემების საფუძველზე არ შეიძლება ჩაითვალოს გამოქვეყნებისთვის მომზადებულად, ის უნდა დაუბრუნდეს ავტორს გადამუშავებისთვის. მაგრამ რედაქტორის მუშაობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, ის ეხმარება ავტორს, სწორ გზაზე აყენებს მას. რედაქტორის მუშაობის პრინციპი სხვადასხვა ავტორთან განსხვავებულია და დამოკიდებულია მის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებაზე. ინდივიდუალური მიდგომა ავტორისადმი მასთან მუშაობის დროს ტექსტზე ლიტ. რედაქტორის მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

ზოგადად ავტორს, რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხოს თავისი ნამუშევარი, ყოველთვის უჩნდება სურვილი შეიტანოს მასში შესწორებები და გააუმჯობესოს. ზოგიერთი ავტორი, იხილავს რა თავის ნაშრომს დაბეჭდილს, სწორედ ამ ეტაპზე აღმოაჩენს, რომ თურმე ბევრი რამ შესაცვლელია, შესამოკლებელია, დასამატებელია, დასაზუსტებელია. რედაქტორი კი, რომელიც ნაწერს უცხო, დაკვირვებული თვალთვლით მათხულობს, მაშინვე ამჩნევს იმ ნაკლოვანებებს, რომელიც ავტორისთვის თვალშისაცემი გახდა მხოლოდ ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ. რედაქტორი, რომელიც პატივისცემით ეპყრობა ავტორის შემოქმედებით “ტანჯვას”, ცდილობს, რომ ტექსტის შესწორება ავტორის მიერ მიმდინარეობდეს ხელნაწერშივე, ამით დაიზოგება დროც და თანხაც.

ხელნაწერის ლიტერატურული დამუშავების ტექნიკა დამოკიდებულია გაზეთებსა და გამომცემლობებში ტექსტის გამოსაცემად მომზადების მიღებულ წესზე. რაც არ უნდა ადვილი

მოგვეჩვენოს საგაზეთო მასალა ან ნებისმიერი ტექსტი, არ შეიძლება მისი შესწორება პირველი წაკითხვისთანავე. მიზანშეწონილია ჯერ მასალის მთლიანად გაცნობა, ამ დროს მასში არ კეთდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რადგან მუშაობის ამ ეტაპზე შეიძლება რედაქტორსაც გაეპაროს შეცდომა. მაგ. გადაამუშავოს დასაწყისი ნაწილები ისე, რომ შემდგომ ნაწილებს არ შეესაბამებოდეს, ან ჩაამატოს ტექსტში ისეთი რამ, რაც ზედმეტი აღმოჩნდება და აშ. რა თქმა უნდა, თვალშისაცემი ლაფსუსები: არასწორად გამოყენებული სიტყვა, აშკარა შეცდომები ციტატებში, გაზომვის მოძველებული ერთეულები, მიუღებელი პირობითი აღნიშვნები, სავსებით აშკარა გრამატიკული, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები შეიძლება გასწორდეს მაშინვე, პირველი გაცნობისთანავე. ეს არის მუშაობის პირველი ეტაპი. მეორე ეტაპი ხელნაწერზე მუშაობისა – არის ტექსტის გულდასმით, დაწვრილებით წაკითხვა და სამუშაო რეცენზიის შექმნა. ზოგჯერ რედაქტორი თავის შენიშვნებს, მითითებებს, სურვილებს და წინადადებებს ავტორის მიმართ ათავსებს ხელნაწერის მინდორზე, არ ადგენს სამუშაო რეცენზიას. ამ ხერხს მიმართავენ მაშინ, როდესაც შენიშვნები მცირე რაოდენობის არის ან ხერხდება მათი მოკლედ ფორმულირება. წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქტორი სამუშაო რეცენზიის გარეშე თავს ვერ გაართმევს დაკისრებულ მოვალეობას. ის ცალკე ფურცელზე ჩამოწერილ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს წარუდგენს ავტორს. ხდება ისეც, რომ ზოგჯერ რედაქტორი შემოიფარგლება ავტორთან საუბრით და რეკომენდაციებით, რაც სასურველია შედეგის მისაღწევად. მესამე ეტაპი არის ტექსტის საბოლოო რედაქტირება მისი დამუშავების შემდეგ და გამოსაქვეყნებლად მომზადება.

ტექსტის შესწორების რამდენიმე სახე არსებობს. 1. შესწორება – ამოკითხვა. ამ დროს ლიტ. რედაქტორის ამოცანა მდგომარეობს ნდობის გამომხატველ ორიგინალთან ტექსტის

შედარებასა და ტექნიკური შეცდომების გასწორებაში, თუკი ასეთი რამ ხელნაწერში გაიპარა. კითხულობენ, მაგრამ არ ასწორებენ: სახელმწიფო და პარტიული ორგანიზაციების დადგენილებებს და გადაწყვეტილებებს, პასუხისმგებელი მუშაკების მოხსენებებს (თუ ის სრულადაა მოყვანილი), საინფორმაციო სააგენტოების მონაცემებს. შესწორების ამ სახეს მიეკუთვნება წიგნის ხელმეორედ გამოცემა, თუ ის ქვეყნდება გადამუშავების გარეშე, აგრეთვე გამოცემა მხატვრული ნაწარმოებების დეფინიტიური (საბოლოოდ დადგენილი) ტექსტებისა. თუმცა თუ ენობრივი ხარვეზი აღმოაჩინა რედაქტორმა, ან ცალკეული სიტყვების ახლებური დაწერა გახდა საჭირო, ეს ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას.

შესწორების მეორე სახეა შესწორება – შემოკლება. აქ იგულისხმება ხელნაწერის ისეთი დამუშავება, როდესაც რედაქტორმა ტექსტი უნდა მოათავსოს წინასწარ დადგენილი ფურცლების ან გვერდების რაოდენობაში, ამიტომ იძულებულია ტექსტის ნაწილი გადახაზოს. დარჩენილ ნაწილში მას არ შეაქვს ცვლილებები, ან ისაზღვრება მცირეოდენი სტილისტური შესწორებებით, რაც აუცილებელია ტექსტის ნაწილებს შორის შემოკლებისას დარღვეული კავშირის აღსადგენად. შემოკლება ხდება მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებებისა მათი ხელეხლა გამოცემის დროს მკითხველთა განსაზღვრული წრისთვის (მაგ. ბავშვებისთვის). ზოგჯერ ტექსტი უნდა შემოკლდეს დასახული ამოცანის მიხედვით, ვთქვათ, ნაშრომიდან მხოლოდ ის უნდა ამოვიღოთ, რაც ეხება განსაზღვრულ თემას. ასეთ შემთხვევებშიც, რა თქმა უნდა, პირველი სიტყვა ეკუთვნის ნაწარმოების ავტორს, კრებულის ან ქრესტომათიის შემდგენელს. ფაქტობრივად რედაქტორი მათთან ერთად გადის შემოკლების მთელ პროცესს. ამოკლებს რა ტექსტს, რედაქტორმა არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს ნაშრომში განხილული საკითხების მნიშვნელობის ხარისხს. ერთი ნაწილი შეიძლება

დაუნანებლად შემოკლდეს, მეორე – უნდა შენარჩუნდეს მთლიანად.

მასალის ლიტ. რედაქტირების დროს შესწორების ყველაზე გავრცელებული სახეა შესწორება – დამუშავება. ტექსტის დამუშავება არ ნიშნავს მის თავიდან დაწერას. რედაქტორი რჩება ავტორისეული ტექსტის საზღვრებში, მაგრამ ის ეხმარება ავტორს ნაშრომის სრულყოფაში, სტილის გამართვაში, მყარ არგუმენტაციაში. რედაქტორი ტექსტიდან იღებს ყველაფერს, რაც არ შეესაბამება ენის ნორმებს, რაც იწვევს გაურკვევლობას, ორაზროვნებას და ამცირებს ნაშრომის ზემოქმედებას მკითხველზე, მაგრამ ტექსტს უნარჩუნებს ავტორის ინდივიდუალურ თავისებურებებს. რედაქტორის რჩევის საფუძველზე, ითვალისწინებს რა მის შენიშვნებს, წინადადებებს და რეკომენდაციებს, ავტორი თავად ქმნის ტექსტის საბოლოო რედაქციას. ძოგჯერ ავტორი და რედაქტორი ერთობლივად მუშაობენ. მხოლოდ მცირეოდენ შემთხვევებში, როცა დამწეები, გამოუცდელი ავტორის სამუშაოა შესასწორებელი, რომელიც ჯერ ვერ ფლობს წერის რთულ ხელოვნებას, რედაქტორი თვითონ ამუშავებს მთელ მასალას, მაგრამ მუდმივად აქვს კავშირი ავტორთან. გაზეთში სამუშაოს ოპერატიულობა ზოგჯერ არ იძლევა საშუალებას ნაშრომი დაუბრუნდეს ავტორს გადასამუშავებლად. ლიტ. მუშაკი თავად ასწორებს ტექსტს, ფაქიზად ეპყრობა ავტორისეულ სტილს და ცვლის მხოლოდ იმას, რაც ეწინააღმდეგება ენის ნორმებს და ამახინჯებს აზრს.

შესწორების მეოთხე სახე არის შესწორება – გადაკეთება. მას მიმართავენ მაშინ, როდესაც დასაბეჭდად უნდა მომზადდეს მასალა იმ ავტორებისა, რომლებიც ცუდად ფლობენ სალიტერატურო ენას. ამ დროს რედაქტორის შრომის პროცესი თითქმის არ განსხვავდება დამოუკიდებელი შემოქმედებისგან. ავტორი მასალას იძლევა, ფაქტობრივად, ნედლი სახით, ლიტ. დამუშავების გარეშე და რედაქტორი

მიღებული მასალის საფუძველზე ქმნის ტექსტს.

ავტორის მიერ ტექსტის შესწორების შემდეგ რედაქტორი მას ისევ კითხულობს, ადარებს სამუშაო რეცენზიას, არკვევს, რეკომენდაციები და შენიშვნები რამდენადაა გათვალისწინებული. თუკი რედაქტორი ხელნაწერის ლიტ. დამუშავების დროს რაღაც მიზეზის გამო დროებით მოწყდა სამუშაოს, როდესაც კვლავ შეუდგება თავის მოვალეობას, აუცილებლად უნდა გადახედოს უკვე გასწორებულ ტექსტს, განსაკუთრებით გულისყურით წაიკითხოს შესრულებული სამუშაოს ბოლო ფურცლები. საბოლოოდ გამართული და გასწორებული ტექსტი წარედგინება ავტორს, რომლის ხელმოწერის გარეშე ნაშრომს შემდგომი მსვლელობა არ მიეცემა.

*ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რედაქტირება - რთული შემოქმედებითი პროცესი

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია რედაქტორის უდიდეს პასუხისმგებლობაზე ტექსტის გამოსაქვეყნებლად მომზადების პროცესში, მისი მუშაობის სირთულესა და თავისებურებებზე; აღნიშნულია, რომ რედაქტორის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გააუმჯობესოს ტექსტის ენა, სტილი და კომპოზიცია. ნაწერი უნდა იყოს არა მარტო ლექსიკურად და გრამატიკულად სწორი, არამედ ადვილად აღსაქმელი და მისაღები, მან უნდა შეძლოს მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენა და მისი დაინტერესება; ყურადღება გამახვილებულია ფაქტობრივ და ლოგიკურ შეცდომებზე, ენის სისწორეს, სიზუსტესა და სიცხადეზე. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა რედაქტორისა და ავტორის ურთიერთობას. დაწვრილებით არის განხილული რედაქტორის მუშაობის ეტაპები და ტექსტის შესწორების ოთხი სახეობა. აღნიშნულია, რომ რედაქტორის

მუშაობის მიზანი არის ის, რომ ნაწერმა ყოველმხრივ დამუშავებულმა და გამართულმა მიაღწიოს მკითხველამდე.

*Ketevan Giorgobiani, associated professor,
Georgian Technical University*

Editing–Difficult Creative Process

SUMMARY

Paper talks about the highest responsibility of editor in the process of preparing the text for publication, on difficulty and peculiarities of its operation. It mentions that the editor's most important task is to improve language, style and composition of text. Writing should be done not only lexically and grammatically correctly, but also easily perceptible and acceptable. It should make impression on reader and take an interest in them. Attention is drawn to actual and logic mistakes, accuracy, precision and clearness of language. Special place is taken by relations of editor and author. It reviews working stages of editor and 4 types of text correction in detail. It mentions that editor's work aims to provide the readers with processed and accurate writing.

Key words: *author's text; actuality of topic; working stages of editor; literature processing of handwriting; working review; types of correction; accuracy, precision and clearness of language.*

*Ketevan Giorgobiani, assoц. профессор,
Грузинский Технический Университет*

Редактирование- это сложный творческий процесс

SUMMARY

В работе говорится об огромной ответственности редактора в процессе подготовки текста к публикации, о сложности и своеобразности этого процесса; в работе отмечено, что первостепенной задачей редактора является корректировка языка, стиля и композиции текста. Статья(работа) должна быть правильной не только с точки зрения лексики и грамматики, но и легко воспринимаемой и понятной, она должна произвести впечатление на читателя и заинтересовать его. Особое внимание обращается на фактические и логические ошибки, а также чистоту, точность и ясность языка. Особое место определено взаимоотношению редактора и автора, всесторонне изучаются этапы работы редактора и четыре варианта правки текста. Отмечается, что целью работы редактора является то, чтобы работа достигла читателя обработанной и выпральной.

Ключевое слово: *авторский текст; актуальность темы; этапы творческой работы; литературная обработка рукописи; рабочая рецензия; виды поправок; чистота языка, точность, ясность.*

მედიის ფუნქციების თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გაანალიზებისათვის

ნესტან მამუჭაძე, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

XX

საკვანძო სიტყვები: მედიის თეორიული ფუნქცია, მედიის პრაქტიკული დანიშნულება, სამოქალაქო საზოგადოება, ჟურნალისტიკა – ინფორმაციულ-მმართველობითი ფორმა.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ფუნქციები დღეისათვის ერთობ აქტუალური თემაა. მოგეხსენებათ, მედიამ ევოლუციის კვალდაკვალ გარკვეული სახეცვლილებები განიცადა. მედიის რიგი ფუნქციური თეორიის შესახებ ჟურნალისტიკის მკვლევრებს ბევრი უთქვამთ და დაუწერიათ. შესაბამისად, ჩვენ არაერთ თეორიულ კვლევას ვიცნობთ. ამავდროულად, პარალელურ რეჟიმში, საინტერესოა თეორიული მედიის ფუნქციათა და პრინციპთა თეორიულ ასპექტებს როგორ ახორციელებენ პრაქტიკოსი ჟურნალისტები. აღნიშნული სტატიის აქტუალობაც, ერთი მხრივ, სწორედ ამაში მდგომარეობს.

სამოქალაქო საზოგადოება მზარდი ფენომენია, რომელიც ყოველდღიურად კიდევ უფრო ახლებურად ყალიბდება, იხვეწება, ვითარდება და გარკვეულ ინსტიტუტებსაც აარსებს. შესაბამისად, თანამედროვე გარემო მასზე მორგებას მოითხოვს. 21-ე საუკუნემ ერთგვარი სტანდარტი შემოგვთავაზა: გადარჩება ის, ვინც ძლიერია. მეტწილად, როგორცაა საზოგადოების დაკვეთა, შესაბამისია მიწოდებაც. ჩვენ შემთხვევაში დამკვეთი აუდიტორიაა, ხოლო მიმწოდებელი - მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, მედიაბაზარი. მოგეხსენებათ, ურთიერთობა ორმხრივი პროცესია და იგი მხოლოდ ცალსახა, ცალმხრივი კომუნიკაციის ამარა - წარმოუდგენელია. მაშასადამე, მედიის ფუნქციური დანიშნულება განწირულია, თუ არ არსებობს მედიააუდიტორია, რომელიც კონკრე-

ტულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს არ უყენებს ამ უკანასკნელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასმედიის ფუნქციების შესახებ არაერთი მეცნიერ-მკვლევარი დაკონკრეტებულა, მაგრამ რაც უფრო მეტად იზრდება მედიის პროპაგანდისტული როლი, გავლენა თუ სახე მასობრივ აუდიტორიაზე, მით უფრო აქტუალურია ფუნქციათა გადახარისხება. სრულიად უპრიანია დავსვათ კითხვა: ჟურნალისტიკის ზოგადი ფუნქციებიდან რომელი მიიღო თანამედროვე მედიამ და რომელი უკუაგდო? რატომ? რა არის ამის მიზეზი? მაშინ როცა ხშირად ვსაუბრობთ მასმედიის მიერ მასობრივი აუდიტორიის გავლენაზე, თავის მხრივ, თანამედროვე მედიაარეალობაში რა (ვინ) ახდენს გავლენას ჟურნალისტიკის იმ სტანდარტებსა თუ ფუნქციებზე, რაც ოდითგანვე არსებობდა?! ბოლოს და უმთავრესი _ რა ხდება ამ მხრივ რეგიონულ მედიაში (აჭარის მაგალითზე)? ცენტრალური და ნაციონალური არხებისა თუ ბეჭდური ორგანოებისგან განსხვავებით, აქ რაიმე განსხვავებულ ფენომენს ხომ არ ვაწყდებით? სად გადის ზღვარი თეორიულ და პრაქტიკულ ჟურნალისტიკას შორის და საერთოდ დასაშვებია თუ არა ამ ორი ცნების გამიჯვნა?

ვფიქრობთ, რომ ზემოთ დასმული ის კითხვები, რომლებიც პრობლემათა კვალდაკვალ გასაანალიზებელია (დისერტაცია შეიცავს თითოეულზე პასუხს და სათანადო მაგალითებზე დაყრდნობით განვიხილავთ. ნ.მ), თეორიული და პრაქტიკული ჟურნალისტიკის ჭრილში იკვეთება. ამ ეტაპზე მედიის ფუნქციების თეორიულ ნაწილზე არ დავკონკრეტდებით (ვინაიდან მსჯელობა საკმაოდ შორს წავიყვანს. მისი სიღრმისეული მიმოხილვა და პარა-

ლელეები პრაქტიკულ შედეგთან და შესაბამისი არგუმენტები, ჩვენივე საკვლევ თემას წარმოადგენს. ნ.მ).

მასმედიის ფუნქციები მედიის ეთიკური ნორმებიდან გამომდინარეობს და პირიქით. ...და კიდევ, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობაც შთააგონებს მედიის მესვეურებს, რომ „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ – თქმითაც დაშავდების“ (შოთა რუსთაველი), „სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს“ (სულხან-საბა ორბელიანი). ერთია ბელეტრისტიკულ-ლირიკული გადახვევა და მეორეა შედეგი, რასაც ჩვენ ყოველდღიურად ვაწყდებით; ერთია, რომ მომავალი ჟურნალისტიკისთვის სპეციალური განათლებაა საჭირო, მეორეა რას შთავაგონებთ უნივერსიტეტში - აუდიტორიაში მერხთან სტუდენტებს და მესამეა - რას და როგორ ახორციელებენ ისინი პრაქტიკაში? ხშირად თავადაც იციან, რომ შეცდომას ნებაყოფლობით უშვებენ, მაგრამ „სენსაციური სიახლის“ ძიება მათივე „ხიზლია“, რასაც ადრესატი (აუდიტორია) მოუთმენლად ელის. ამავდროულად, არც ის გვინდა, რომ სათქმელი შორს გაგვექცეს, მაგრამ მოცემული პირადი შეხედულებანი პირდაპირ კავშირშია მედიის ფუნქციათა თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებთან.

ყურადსაღებია, რას ნიშნავს ტერმინი საფუძველი? ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „საფუძველი - (საფუძვლისა) 1. იგივეა, რაც საძირკველი (მნიშ. 1). სახლის ს. ჩაყარეს. 2. რასაც ემყარება, ეყრდნობა რამე, რაც რისამე არსს ქმნის. 3. მრ. საფუძვლები – რაიმე თეორიის, მოძღვრების... ძირითადი დებულებები, პრინციპები. 4. რისამე გასამართლებელი მიზეზი, საკმარისი საბაბი...“. მაშასადამე, ჩვენივე საკვლევ თემის თეორიული საფუძველი ჯერაც შეუსწავლელის, მეცნიერულად დაუსაბუთებლის საძირკვლის ჩაყრისაკენ მიემართება, რასაც ამავდროულად გააჩნია კონკრეტული თეორიული მოძღვრება, ძირითადი დებულებანი თუ პრინციპები (ცხადია, რეალური მიზეზი საბაბის პარალელურ

რეჟიმშია საძიებელი. ...და თვით თეორია რა არის? „თეორია – {ბერძ.} 1. მეცნიერული პრინციპების, იდეების სისტემა, რომლებიც განაზოგადებენ პრაქტიკულ გამოცდილებას და ასახავენ ბუნების, საზოგადოების, აზროვნების კანონზომიერებებს; 2. რომელიმე მეცნიერული ნაწილი. ალბათობის თ. 3. წესების ერთობლიობა, რომელიც საჭიროა რამეში დაოსტატებისათვის (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი – გვ. 239, თბ, 1986).

რაც შეეხება ფუნქციათა პრაქტიკულ მხარეს, აქაც უპრიანად მიგვაჩნია დავსვათ კითხვა – რას ნიშნავს პრაქტიკული ჟურნალისტიკა? სიტყვის განმარტების სამიზნე ობიექტად ამჯერადაც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს გამოვიყენებთ: „პრაქტიკა – {ბერძ.} 1. ადამიანთა მოქმედება, რომლითაც ისინი ზეგავლენას ახდენენ ობიექტურ, მატერიალურ სამყაროზე და გარდაქმნიან მას. თეორია და პ. 2. თეორიული ცოდნის გამოყენება და საქმეში განმტკიცება, როგორც სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი“. სწორედაც, რომ ტერმინ პრაქტიკის განმარტების კვალდაკვალ, მსაზღვრელ-საზღვრული პრაქტიკული ჟურნალისტიკა თავის-თავად გულისხმობს სიტყვასა თუ კადრში, ფოტოსა და ახალ მედიაში „გამომცხვარ ამბავთა საიდუმლოს“, რაც რაღა თქმა უნდა, თეორიასა და პრაქტიკაში გამოწრთობილი ჟურნალისტიკის ხელოვნებას წარმოადგენს.

თანამედროვეობაში რა უფრო მისაღებად მიგვაჩნია: მედიამ თავის თავზე აიღოს დემოკრატიულობის პრინციპი, მიუკერძოებლად გააშუქოს კონკრეტული მოვლენა თუ საზოგადოებამ თავისუფალი მსჯელობის შედეგად თავად გააკეთოს არჩევანი?! ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ორივე კითხვა დისკუსიისთვის გამიზნულ აუდიტორიას შეიძლება დავუსვათ; აქვე დასაშვებია ისიც აღვნიშნოთ, რომ პირველი მეორისგან გამომდინარეობს და – პირიქით. ლოგიკური და ყველასთვის მისაღები ერთია – მედიის უპირველესი ფუნქციური დანიშნულება თეორიულადაც და პრაქტიკულადაც – სიმართლის თქმაა.

ჟურნალისტიკა, რომელიც ადამიანთა საქმიანობის ერთ-ერთ ინფორმაციულ-მმართველობით ფორმას წარმოადგენს, სპეციფიკურ ფუნქციებს ახორციელებს, რომელთა რეალიზაციით გასაგები ხდება მისი ადგილი და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქედან ცხადია, რომ ჟურნალისტიკა მიზანსწრაფული ფუნქციონირებადი სისტემაა და სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან ერთად მისი დანიშნულება საზოგადოების მართვა არის.

საქმიანობის თითოეული სახე, პირველყოფლისა ხასიათდება ე. წ. დანიშნულების ასპექტით, ანუ იმ ამოცანების გააზრებით, რომლებიც უნდა განხორციელდეს მოღვაწეობის პროცესში. სხვანაირად რომ ვთქვათ, დანიშნულება წინასწარგათვალისწინებული, წინასწარგანჭვრეტილი საქმიანობის შედეგია, რასაც საჭიროა რომ მივაღწიოთ. ადამიანის შეგნებული საქმიანობა ყოველთვის მიმდინარეობს გარკვეული შედეგის მოპოვებისათვის გზების ძიებით. მაშასადამე, დანიშნულება მიზნობრივი, შედეგობრივი ფუნქცია ყოფილა. მისი რეალიზაციისათვის კი აუცილებელია ხელთ გქონდეს საშუალებათა ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც ჟურნალისტიკის რეალურ ფუნქციონირებას მივაღწევთ. ამრიგად, ფუნქციების ცოდნა ნიშნავს წარმოდგენების ერთობლიობას ადამიანის დანიშნულების, საშუალებებისა და შედეგების შესახებ. იმავე დროს, ჟურნალისტიკისათვის დანიშნულება სუბიექტური ფაქტორი როდია, იგი ობიექტურად არსებული რეალობაა, რომელიც დამყარებულია საზოგადოების განვითარების კანონებზე. ამიტომ, ჟურნალისტიკის საქმიანობა მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რაც უფრო სრულად გავიზიარებთ მის შინაგან კანონებს.

შინაგანი სტანდარტები, რასაც რეგიონული მედია გვთავაზობს, გასათვალისწინებელი და გასასიგროებელია. გაზეთი „ბათუმელები“, გაზეთი „აჭარა“, „ტელეარხი 25“ და „აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებელი“ - იმ სტანდარტული ხედვის საშუალებას იძლევა,

რაც ფუნქციათა ჭრილში თავსდება, ოღონდ თავისებური გაგებით წარსდგება აუდიტორიის წინაშე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებელი“ გადაცემათა ნაირფეროვნებით გამოირჩევა. კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციის კვალდაკვალ გადაცემა „პარადიგმა“ წარმოგვიდგება. გადაცემა რეგიონის საგანმანათლებლო სივრცით შემოიფარგლება, სადაც სტუმრად გვევლინება ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელობა, სკოლების დირექტორები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები თუ მოსწავლეები. აღნიშნული არხი მეტი პოპულარობით მაღალმთიან აჭარაში სარგებლობს და კიდევ უფრო პოპულარულია გადაცემა „ერთი დღე სოფელში“. მაშასადამე, ამავდროულად სტატისტიკური კვლევაც ცხადყოფს, რომ აჭარაში მეტად პოპულარული კულტურულ-საგანმანათლებლო თემატიკასა და ტრადიციებზე ორიენტირებული გადაცემებია. ბუნებრივია, ამ კუთხით ჩვენ კითხვები მრავლად შეგვიძლია დავსვათ და არც პასუხი დავაყოვნოთ: რატომ? - 1. კულტურა და განათლება ერის განვითარების ცოცხალი ნაწილია, რაზედაც თითოეული ოჯახი ავტომატურადაა მიჯაჭვული. ოჯახი, რომელიც მომავლისკენ იხედება, ბუნებრივია, ნათელ გზას განათლებაში ხედავს; 2. ზემოთ მოცემული მსჯელობის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ მომდევნო პუნქტიც, ვინაიდან განათლებული ოჯახი ხშირად ტრადიციულ ხედვას მოითხოვს, რათა თვისტომს არ დაავიწყდეს ვისი გორისაა. მოგეხსენებათ, მოყვანილი ორივე არგუმენტი ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება, მაგრამ ამავდროულად ორივე გენეტიკური კოდის შენარჩუნებას ემსახურება. ტრადიცია კულტურისა და განათლების გარეშე არ არსებობს და პირიქით. მოცემულ ეტაპზე გადაცემათა ვრცელი ანალიზისგან სრულყოფილად თავს შევიკავებთ, ვინაიდან კვლავაც კვლევის პრო-

ცესში ვართ (და ინოვაციათა დასტას სწორედაც რომ დისერტაციის ძირითად ნაწილში შემოგვთავაზებთ. ნ.მ).

კულტურულ-საგანმანათლებლო და რეკრეაციული ფუნქციის ზოგადი პრინციპები ზემოთ ჩამოვყალიბებთ, რაც ასევე ზემოთ ხსენებული ორივე გადაცემის სპეციფიკასთან პირდაპირ-კავშირშია.

ჟარკო პეტანი წერდა: „ნათელ მომავალზე პოლიტიკოსები ზრუნავენ, ნათელ წარსულზე - ისტორიკოსები, ნათელ აწმყოზე - ჟურნალისტები“. ჟურნალისტიკა ოდითგანვე მომავლის პროფესიად ითვლება, რაც ჟურნალისტიკის ფართო სპექტრის კვალდაკვალ თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ერთგვარ სინთეზს მოითხოვს.

ლიტერატურა:

1. გაგომიძე შოთა - „ჟურნალისტიკის საფუძვლები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996 წ;
2. სურგულაძე, იბერი - „მასობრივი კომუნიკაცია“, თბ, 2003 წ;
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ, 1986 წ.

*ნესტან მამუჩაძე, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

მედიის ფუნქციების თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გააზრებისათვის

რეზიუმე

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ფუნქციები დღეისათვის ერთობ აქტუალური თემაა. მასმედიის ფუნქციები მედიის ეთიკური ნორმებიდან გამომდინარეობს და პირიქით. ნაშრომში განხილულია ტერმინები: საფუძველი, ფუნქცია და პრაქტიკული ჟურნალისტიკა. სიტყვათა ეტიმოლოგია თუ მეტაფორული

გაგება პირდაპირ კავშირშია რეალურ სურათთან. ლოგიკური და ყველასთვის მისაღები ერთია - მედიის უპირველესი ფუნქციური დანიშნულება თეორიულადაც და პრაქტიკულადაც სიმართლის თქმაა.

*Nestan Mamuchadze, PhD,
Georgian Technical University*

For realizing theoretical and practical functions of media

SUMMARY

Functions of a mass media is quite actual topic nowadays. Functions of mass media follow the ethical norms of media and vice versa. This work discusses the terms: base, function and practical journalism. Etymology of the terms as well as metaphoric meaning are directly linked with the real picture. One thing is logical and fine for everybody - the primary function of media in both theoretical and practical ways is to say the truth.

*Нестан Мамучадзе, докторант,
Грузинский Технический Университет*

Теоретическое и практическое понимание функций средств массовой информации

РЕЗЮМЕ

Тема функций средств массовой коммуникации является актуальной проблемой в настоящее время. Функции СМИ формируются исходя из особенностей журналистской этики и, наоборот. В статье рассмотрены термины: основы, функции и практическая журналистика. Этимология слова или метафорический план напрямую связан с реальной картиной. Логической и приемлемой для всех является основная функция СМИ - предоставить читателю правду как теоретически, так и практически.

შპრნალისტური ცხოვრება XX საუკუნის დასაწყისის ბათუმში

თამარ ორაგველიძე, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

XX

საკვანძო სიტყვები: აჭარა, გაზეთი, რედაქცია, ინტელიგენცია, ბათუმი, ბატონობა.

ოსმალთა სამასწლიანმა ბატონობამ აჭარის მოსახლეობის განათლების დონეზეც იმოქმედა. მოსახლეობის მცირე ნაწილი იყო ქართული წერა-კითხვის მცოდნე. ამაზე მეტყველებს 1875 წელს ერთ-ერთი ქობულეთელის პასუხი გაზეთ „დროების“ კორესპონდენტის შეკითხვაზე -- „რა ამბავია ახალი თქვენშიო“. ქობულეთელს უპასუხნია: „რავა ჩივი, ძიავ, ქობულეთში რა ამბავი იქნება? გაზეთი არ არის. არც ვინმე რამეს კითხულობს. ვიშოვეთ ერთი ქართული გაზეთი, მაგრამ წამკითხველი ვერ ვნახეთ...“ (გრ. ბაბილოძე, ნარკვევები განათლების და კულტურის ისტორიიდან აჭარაში, ბათუმი, 1975, გვ.13).

მართლაც, აჭარა კარგა ხანს დანატრებული იყო ქართულ გაზეთებს. XIX საუკუნის ბოლო წლებში ბათუმში გამოდიოდა გაზეთები, მაგრამ რუსულენოვანი. 1894 წელს ბათუმში გამოვიდა ლიტერატურულ-პოლიტიკური ხასიათის გამოცემა „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, რომლის რედაქტორი იყო ცნობილი რეაქციონერი და შოვინისტი გ. პალმი. გაზეთის მიმართულებაც რეაქციული იყო. იგი თავს ხმოდ აპროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს, საზოგადო მოღვაწეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს. გაზეთის რედაქცია განთავსებული იყო მარინსკის პროსპექტზე, კანდელაკის სახლში.

„ჩერნომორსკი ვესტნიკის“ პირველი გვერდი მთლიანად ეთმობოდა სარეკლამო განცხადებებს. მაგალითად: 1905 წლის №49 იუწყება იმ სანაოსნო რეისების შესახებ, რომლებსაც ახორციელებს სანაოსნოსა და ვაჭრობის რუსეთის საზოგადოება: საფოსტო-სამგზავრო რეისები

ბათუმიდან ოდესამდე; ყოველ შაბათს დღის 2 საათზე; იქნება რეისები სოხუმის, გაგრის, სოჩის, ნოვოროსიისკის, ფეოდოსიის, იალტის, სევოსტოპოლის მიმართულებით; რეისი ალექსანდრიის ხაზით - ბათუმის გავლით - ორ კვირაში ერთხელ, ოდესის გავლით -- ყოველკვირეულად (გაზ. „ჩერნომორსკი ვესტი“, 1905 წ., 1 მაისი, # 49).

არის მაღაზიების მეპატრონეთა მიერ განთავსებული ასეთი ტიპის განცხადებები და რეკლამები:

„დიმიტრიადის მანუფაქტურულ მაღაზიაში 25 აპრილიდან 5 მაისამდე ცხადდება სხვადასხვა დარჩენილი საქონლის იაფი გაყიდვა“.

ეს და სხვა ამგვარი განცხადებები, რომლებიც მრავლად გვხვდება „ჩერნომორსკი ვესტი“-ში, მიუთითებს იმაზე, რომ ბათუმში სავაჭრო საქმე იმთავითვე იყო ფეხმოკიდებული.

გაზეთის სხვადასხვა ნომერში განთავსებულია განცხადებები ბინის გაქირავება-გაყიდვაზე, მოდური ტანსაცმლისა და ნაქარგობების სწავლებაზე, სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებაზე, სამგზავრო მატარებლების განრიგზე, ტაქსით მომსახურებასა და სხვადასხვა მარშრუტის შესაბამისი ფასების შესახებ (20-25 კაპიკიდან 1 მანეთამდე) და ა.შ.

არც კულტურული ღონისძიებები იყო ახალფეხადგმული ქალაქისათვის უცხო. მაგალითად, ასეთი განცხადება: „უხუცესთა საბჭოს ბათუმის საზოგადოებრივი კრება წევრებისა და კანდიდატებისათვის აწყობსა „ოჯახურ საღამოს“. დასაწყისი საღამოს 10 საათზე. საღამოში მონაწილეობს მუსიკალური გუნდი. მამაკაცებისთვის დასწრების ღირებულებაა 1 მან., მანდილოსნებისთვის - 60 კაპ.“ (1905 წ., 20 აპრილი, #9)

ზოგ ნომერში რუბრიკით „ადგილობრივი განყოფილება“ გვხვდება საინტერესო ცნობები ბათუმის ცხოვრებიდან, მაგალითად, ნავსადგურში შემოსული გემების შესახებ, სახლების მფლობელების შესახებ, ეკონომიკისა და სხვა ამგვარი საკითხების შესახებ. წერილში „ანგარიში“ საუბარია ბათუმის ადგილობრივი წითელი ჯვრის სამმართველოს 1904 წლის შემოსავალ-გასავლის შესახებ, რომელიც გაწეული ყოფილა სამხედრო საჭიროების გამო. წერილის ავტორი მოუწოდებს ბათუმის მოსახლეობას წითელი ჯვრის ორგანიზაციაში გაწევრიანებისაკენ, დაჭრილთა და ავადმყოფთათვის შეწირულობების გაღებისაკენ. (1905 წ., 6 იანვარი, # 4).

გაზეთში განთავსებული ერთი საინტერესო განცხადების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იმხანად ბათუმში მაღალ დონეზე იმართებოდა სამხედრო და სადღესასწაულო აღლუმები. აი, ეს განცხადებაც:

„ბათუმის გარნიზონს: 6 იანვარს ქრისტეშობის დღეს, ინიშნება ბათუმის გარნიზონის ჯარის საეკლესიო აღლუმი, რომელშიც დროშითა და მუსიკით მონაწილეობას მიიღებენ ხერსონის ფეხოსანთა რაზმი, კუბანის ბატალიონის, არდაგანის ფეხოსანთა სარეზერვო პოლკის, მიხაილოვსკელი გლეხობის, არტილერისტთა და მსროლელთა ბრიგადა, ლაზინსკის ცხენოსანთა ასეული. აღლუმს უხელმძღვანელებს არდაგანის პოლკის მეთაური, პოდპოლკოვნიკი ვესელოვსკი.

იმის გამო, რომ წყლის განათება ჩატარდება ქალაქის ბაღის მოედანზე, „ნურიგელის“ ტბაზე, საჯარისო ნაწილები აღლუმის ადგილას - მარინსკის პროსპექტზე უნდა გამოცხადდნენ დილის 10 საათისთვის.

აღლუმის ხელმძღვანელის ბრძანებაზე ყველა დროშა მიტანილ უნდა იქნას საკათედრო ტაძართან. საჯარისო რაზმების ნაწილი უნდა დარჩეს ეკლესიასთან ღვთისმსახურების დასრულებამდე, ხოლო დასრულებისთანავე დროშები გამოტანილ იქნას ეკლესიიდან და ჯარისკაცები მწყობრად უნდა გაყვნენ უკან ღვთისმსახურთა პროცესიას“.

ამის შემდეგ განცხადებაში დაწვრილებით არის გაწერილი თითოეული საჯარისო ნაწილის მოძრაობის მიმართულება. მითითებულია სააღლუმო ფორმაც - საზეიმო შინელი და პალტო. განცხადებას ხელს აწერს გენერალ-მაიორი შენდიუკი („ჩერნომორსკიე ვესტი“, 1906 წ. 6 იანვარი, #4).

ამ განცხადების წაკითხვამ უდიდესი ემოცია აღმიძრა. ცოცხლად წარმომიდგა თვალწინ სასულიერო იერარქიის წარმომადგენელთა დინჯი მსვლელობა, სამხედრო პირთა მწყობრი სვლა, წყლის განათების (როგორც ჩანს, იგულისხმება ფეიერვერკების გაშვება) ცერემონიალი და აღტაცებული ბათუმელების კმაყოფილი, ღიმილიანი სახეები. ამ სურათის გაცოცხლებამ კიდევ უფრო მეტი ფასი შესძინა ჩემს თვალში სიძველისაგან გაცრეცილ საგაზეთო ფურცლებს, რადგან ამ სიძველეში აღნუსხულია ჩემი ქალაქის წარსული.

გაზეთის ნომრების მეორე გვერდზე ზოგჯერ ვხვდებით ფელეტონებსაც, რომლებიც ხელმოწერილია ინიციალებით: „რ“, „პაველ კ.“, „ა. ო.“ და სხვა.

29 მაისის ნომერში რედაქცია აუწყებს ავტორებს, რომ გამოუქვეყნებელი ხელნაწერები ინახება 2 თვის მანძილზე და უბრუნდება ავტორს მოთხოვნისთანავე. მცირე შენიშვნები, ჩანაწერები და ლექსები ნადგურდება. ის ხელნაწერები, რომლებიც დაიბეჭდა, არავითარ შემთხვევაში არ უბრუნდება ავტორს. რედაქცია ითხოვს ავტორთაგან გარკვევით წერას. ნაწერი უნდა იყოს ფურცლის მხოლოდ ერთ მხარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ განიხილება. წარმოდგენილი ხელნაწერები იკვეცება და სწორდება რედაქციის მოსაზრებისამებრ“ - ვკითხულობთ განცხადებაში (1906 წლის 29 მაისი, # 63).

გაზეთი „ჩერნომორსკიე ვესტი“ ძირითადად დაკავებული იყო სარეკლამო განცხადებებით და რუსეთიდან ტელეგრაფით მიღებული ინფორმაციების ბეჭდვით.

გაზეთის ბოლო გვერდიც განცხადებებსა და

რეკლამებს ეთმობოდა. აღსანიშნავია, რომ 1906 წლის ნომრების ბოლო გვერდები გაფორმებულია შავ-თეთრი ილუსტრაციებით, ლამაზი არშიებით, გამოკვეთილი დიდი შავი შრიფტით.

გაზეთი გათვალისწინებული იყო არაქართველი მოსახლეობისათვის. ადგილობრივი მოსახლეობის საფიქრალ-საზრუნავი მას დიდად არ აწუხებდა, როგორც ეს ჩანს ჩვენს ხელთ არსებული საგაზეთო ნომრებიდან.

გარდა ზემოდასახელებული გაზეთისა, XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ბათუმში გამოდიოდა შემდეგი გაზეთები: 1906 წლიდან -- „გურია“, „პლამია“ და „ზარია“. ეს უკანასკნელი პოლიტიკური იყო და ქადაგებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იდეებს. გაზეთს დიდხანს არ უარსებია. მისი იდეების გამგრძელებელი გახდა 1907 წელს გამოსული გაზეთი „ბატუმსკი გოლოს“.

დაარსებისთანავე დაიხურა რამდენიმე გაზეთი. კერძოდ: „ჩერნომორი“ (გამომცემელ-რედაქტორი პ. მიხაილოვი) და „ჩერნომორსკიე ნოვოსტი“ (გამომცემელ-რედაქტორი რ. მდივანი).

1909 წელს დაფუძნდა გაზეთი „ბატუმსკი ვესტი“, რომელიც მკითხველთა ფართო წრისთვის იყო განკუთვნილი და მასში უმეტესად გასართობი ხასიათის პუბლიკაციები იბეჭდებოდა. მსგავსი ხასიათისა იყო 1912 წელს დაარსებული „ჩერნომორსკი“.

გარდა ამისა 1910 – 1913 წლებში გამოდიოდა გაზეთები „ბატუმეც“, „ბათუმსკაია კოპეიკა“, ასევე, მენშევიკური პარტიის იდეოლოგიის გამტარებელი გაზეთები „ბატუმსკაია ჟიზნი“ და „ეხო ბატუმა“.

გაზეთს „ეხო ბატუმა“ აქვს საინტერესო რუბრიკები: „ადგილობრივი მატიანი“ (რომელიც მოიცავს მოკლე ინფორმაციებს ბათუმსა და საქართველოს სხვა კუთხეებში მომხდარი ყოველდღიური ამბების შესახებ - ვინ თავი მოიკლა, ვის ძაღლმა უკბინა, ვინ რუსეთიდან ჩამოვიდა და ა. შ.), „რუსეთის ამბები“ (რუსეთში გამომავალი გაზეთებიდან ამოკრებილი ინ-

ფორმაციები), „ნავთობის განყოფილება“ (ნავთობწარმოებასთან დაკავშირებული მასალები, ნავთობმწარმოებელთა ყრილობის პროგრამა), „მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეები“ (მაგალითად, დაბეჭდილია სტატია ფოტოგადაღების ახალ მეთოდებზე, ფოტოგრაფიაში საზღვარგარეთ მიღწეულ წარმატებებზე).

1920 წლის ნომერში, რუბრიკით „უკანასკნელი ცნობები“ დაბეჭდილია ასეთი ცნობა: „პირები, რომლებიც სარგებლობენ დიდი ნდობით და ამჟამად იმყოფებიან კონსტანტინოპოლში, ბათუმში გამოგზავნილ წერილში იტყობინებიან, რომ ოფიციალურ საერთაშორისო სფეროებთან დაკავშირებულ ფრიად ავტორიტეტულ უცხოურ წრეებში ამტკიცებენ უახლოეს ხანში ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებასო. თუმცა საქართველოს ხელისუფლება მზად არის დადებითად გადაწყვიტოს ეს საკითხი“ („ეხო ბატუმა“, 1920 წ., 13 ნომბერი, # 108).

გაზეთი, მიუხედავად იმისა, რომ არაქართულენოვანია, ქართული ორიენტაციის გამომხატველია. როგორც ჩანს, ეს განსაზღვრა იმანაც, რომ გაზეთ „ეხო ბატუმას“ რედაქტორი ქართველი, ვინმე გ. სულაბერიძეა.

იმავე, ზემოხსენებულ ნომერში ცალკე სვეტი ეთმოვა განცხადებას „ბათუმი, 13 ნოემბერი, 1920 წ.“. განცხადება განმსჭვალულია პატრიოტული სულისკვეთებით, გამოირჩევა ამაღლებული სტილით და აღსავსეა მოქალაქეობრივი მრწამსით. განცხადებაში ვკითხულობთ: „...რათა უკეთ მოვამზადოთ ქვეყანა თავდაცვისათვის გარე ძალების თავდასხმის შემთხვევაში, ხელისუფლებამ გამოაცხადა მობილიზაცია. ამ სერიოზულ მომენტში, როცა სახელმწიფო შეიძლება აღმოჩნდეს დიდი საშიშროების ქვეშ, ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს თავდაცვის საქმის წარმატებით ორგანიზებაში.

ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეეხება გაწვევა, უნდა ახსოვდეს, რომ მისი უმთავრესი დანიშნულებაა ქართველი ხალხის მონაპოვარის - საქართველოს რესპუბლიკის დაცვა, რომელიც

მან მოიპოვა მძიმე მსხვერპლისა და მონობის ჯაჭვის მსხვერვის ფასად.

არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ ლალატი და დეზერტირობა მიუტევებელია, რადგან არც ერთი დანაშაული არ არის ისეთი სამარცხვინო, როგორც საშობლოს დაცვის სადარაჯოზე დგომისგან დამალვა და გაქცევა.

მოქალაქეებმა, რომლებსაც არ ეხებათ გაწვევა, უნდა შეასრულონ თავისი ვალი სახელმწიფოს წინაშე და რითაც შეეძლება, დაეხმარონ ჯარს და ხელისუფლებას“ („ეხო ბატუმა“, 1920 წლის 13 ნოემბერი, # 108).

ეს წერილი ადასტურებს, რომ გაზეთში „ეხო ბატუმა“ ტრიალებდა პატრიოტული, ეროვნული სული. თუმცა მასაც, სხვა იმდროინდელი გაზეთების მსგავსად, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე საკმაო ადგილი აქვს დათმობილი რეკლამებისა და განცხადებებისათვის. მაგალითად, ასეთი განცხადებები: „შევისყიდი შუბებსა და ბეწვეულს. სანაოსნოს ქ.4. ბერძნული კანტორა“.

ან: „სავაჭრო-საკომისიო კანტორა (ინტერნაციონალის, ყოფილი მარინსკის, პრ. # 6) შეიძენს ბრილიანტებს, ძვირფას ქვებსა და კეთილშობილ ლითონებს“.

ჩვენს ხელთ არსებული საგაზეთო ნომრების გაცნობა გვამღევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ყველა ჩამოთვლილი გაზეთის სტილი ერთნაირია: რეკლამა-განცხადებები, რუსეთის საფოსტო სააგრენტოდან მიღებული ინფორმაციები, უცხოეთის ამბები, შიგადაშიგ - ფელეტონები ან ლექსები და ძალიან მოკლედ - ბათუმის ამბები.

გაზეთის იმავე გვერდზე არის ცნობები ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ, კერძოდ: სერბების ანექსიის, თურქეთში რეაქციულ ძალთა გამოსვლების, ბოსფორის ყურეში მიმდინარე რევოლუციური გამოსვლებისა და თურქების მიერ წარმოებული დესპოტიზმის შესახებ.

გაზეთის მეორე გვერდზეც გრძელდება უცხოეთში მიმდინარე ამბების თხრობა. იმავე

გვერდზე, ისევე, როგორც ეს სხვა დანარჩენ იმდროინდელ გაზეთებშია, გამოქვეყნებულია ფელეტონი სათაურით „ფიზიკური აღზრდა, როგორც ჰარმონიული ადამიანის განვითარების აუცილებელი ელემენტი“.

მესამე გვერდი ეთმობა რუსეთის გაზეთებიდან ამოკრებილ ინფორმაციებს კავკასიისა და უცხოეთის შესახებ.

ამავე ნომერში შემხვდა ძალიან საინტერესო ანგარიში 1909 წლის 16 იანვარს ბათუმის რკინის თეატრში გამართული საქველმოქმედო საღამოს შესახებ. პოლკოვნიკის მეუღლის ელენე მიხეილის ასულ რომანოვსკი-რომანკოს მიერ გამართულა კინემატოგრაფიის სენსი სამხრეთ იტალიაში 1908 წლის დეკემბერში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად. ანგარიშში ნათქვამია, რომ გაყიდული ბილეთებით შემოსულა თანხა 428 მან. და 20 კაპ. შემდეგ კი დაწვრილებით არის გაწერილი დანახარჯები შემოსული თანხიდან - აფიშის, თეატრის გადასახადის, პროგრამის, გაზეთ „ბატუმსკი გოლოსში“ გაკეთებული რეკლამის, მოსაწვევებზე მიკრული საფოსტო მარკების, მუსიკოსების, კინემატოგრაფის დემონსტრატორისა და ტრანსფორმატორისთვის.

ანგარიშში დეტალურად არის გათვლილი დარჩენილი თანხა, რასაც ემატება თითოეულის შემოწირულობის ოდენობა. ყველაფრის დაჯამების შედეგად დარჩენილი თანხა - 194 მან. და 64 კაპ. გადაეცა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს თანხის დანიშნულებისამებრ გასაგზავნად. წერილის ავტორი ე. მ. რომანოვსკაია-რომანკო მადლობას უხდის ყველა იმ პირს, ვინც გაიღო შეწირულობა და „ვინც ხელი შეუწყო საღამოს მატერიალურ წარმატებას“ (გაზ. „ბატუმსკი ნოვოსტი“, 1909 წლის 4 აპრილი, # 43).

ეს წერილი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ბათუმი არ იყო მოწყვეტილი მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და ამ პატარა ქალაქში ცხოვრების ყველა სფერო იყო განვითარებული.

ამავე გაზეთში შემხვდა წერილი ა. კრასნოვის შესახებ. წერილი იმდენად შთამბეჭდავად, მხატვრულად და ემოციურად არის დაწერილი, რომ გადავწყვიტე ფართოდ გავაშუქო იგი ამონარიდების მოშველიებით. გულდასაწყვეტია, რომ სტატიას ავტორის ხელმოწერა არ ახლავს.

სტატიაში წერია, რომ ა. კრასნოვი იყო ქართველთა დიდი მეგობარი. უყვარდა კავკასია და ცდილობდა ბევრი კარგი რამ გაეკეთებინა საქართველოსთვის, მაგრამ „სიკვდილმა მაშინ მოკვეთა ფრთები, როცა უნდა გაეშალა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ჩვენი ქვეყანა ხომ ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ჩვენ თითონ არ ვიცით, რა საგანძურს ვფლობთ. არც ის ვიცით, რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურით შეიძლება მივაღწიოთ ეკონომიკურ აყვავებას“.

შემდეგ ვრცლად არის აღწერილი ის ნაყოფიერი შრომა, რაც პროფ. კრასნოვმა გასწია ბათუმის მხარის შესასწავლად. მისი ინიციატივით მოხდა ბევრი ძვირფასი და მანამდე უცხო მცენარის კულტივირება. საუბარია იმაზეც, რომ თავიდან თურმე კრასნოვს ბევრმა ვერ გაუგო, უფრო მეტიც, დასცინოდნენ კიდევ, მაგრამ მან მალე დაარწმუნა სკეპტიკოსები, რომ ბათუმის მხარეში უნდა დარგულიყო ის უძვირფასესი ნარგავები, რომლებიც მხოლოდ იაპონიაში ხარობდა.

კრასნოვის დამსახურებით თურმე ბათუმი გამოცხადებულა „კავკასიის რივიერად“. მას ჩამოუყალიბებია ბათუმში ინტერნაციონალური სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. მანვე დააფუძნა ბათუმის ბოტანიკური ბაღი. „ერთი სიტყვით, - წერს ავტორი, -კრასნოვი არის მზრუნველი დედა ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობისათვის, ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ მისი დაუღალავი შრომით ბათუმის რაიონი გადაიქცეოდა კურორტ-ბაღნარად და კავკასიის მსხვილ ეკონომიურ ცენტრად, მაგრამ სიკვდილმა უდროოდ გაუთხარა საფლავი ამ იშვიათ ადამიანს და არ მისცა საშუალება დამტკბარიყო თავისი კოლოსალური შრომის ნაყოფით. ის გარდაიცვალა თიფლისში, რევმატიზმით და

ეს სიკვდილი ისეთივე დიდებულია, როგორც მეომრისთვის ბრძოლის ველზე დაცემა, რადგან ეს ავადმყოფობა კრასნოვმა მიიღო ბათუმის ჭაობებთან ბრძოლაში“.

სტატიაში აღნიშნულია, რომ კრასნოვს საფუძვლიანად შეუსწავლია ქართული ენა და როგორც ბევრი სხვა რამით, იგი ამ მიმართებითაც განსხვავდებოდა იმ „კულტურტრეგერებისაგან“, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ზემოდან უყურებენ და მათგან ითხოვენ რუსული ენის შესწავლას, რათა ამით შესძინონ მათ გამოცდილება და ცოდნაო. ამ, ერთი შეხედვით, გაკვირვით ნათქვამ პატარა წინადადებაში ავტორმა ძალიან ტაქტიანად და დიპლომატიურად ჩააქსოვა როგორც რუსი მოხელეების მიმართ კრიტიკა, ასევე - ქართველი მოსახლეობის გულსტკივილი.

დაბოლოს, წერილი მთავრდება ასეთი სიტყვებით: „განსვენებულმა დატოვა ანდერძი, დაასაფლავონ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და ამით თითქოსდა თქვა: „ჩემი სიცოცხლე არ დამიშურებია ამ ბაღისთვის, ჩემმა ფერფლმა კი გაანოყიეროს მისი მიწა“. ვუსურვოთ მარადიული ხსოვნა და მარადიული სიმშვიდე ამ იშვიათ ადამიანს, ხოლო მის უსაყვარლეს ბათუმს -- სრული აყვავება“ („ბატუმსკიე ვესტი“, 1915 წ., 9 თებერვალი, # 1532).

წერილის სტილი დახვეწილია. ეტყობა, რომ გაწაფული და ნიჭიერი ჟურნალისტის მიერ არის დაწერილი, მაგრამ სამწუხაროა, რომ არ ვიცით, ვინ არის ეს დახელოვნებული ჟურნალისტი, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ავტორის გვარი მოხსენიებული არ არის.

ქართული მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთის „ბათუმის გაზეთის“ გამოსვლა 1911 წლის ივლისიდან, თუმცა მან დიდხანს ვერ იარსება და ორიოდე წლის შემდეგ დაიხურა ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით.

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ მრავალ

პოლიტიკურ საკითხს ეხებოდა. მიუხედავად არსებობის ხანმოკლე დროისა, მასში დასმულ თემატიკას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და გამოხატავდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის პოზიციას.

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში ბათუმში გამოდიოდა ასევე გაზეთები: „ნაშ კრაი“, „ტრუდოვოი ბატუმ“, პირველი საზღვაო გაზეთი „მაიაკი“, ნავსადგურის ორგანო „ვოდნიკი“, „მორიაკ გრუზი“, და აჭარის საოლქო კომიტეტის ორგანო „უწებები“, შემდეგ - „პროლეტარული ბრძოლა“, რომლის მემკვიდრეები გახდნენ „ბრძოლა“, მომდევნო წლებში კი -- „ფუხარა“ (რედაქტორები: ნოე ზომლეთელი, თომა სიხარულიძე, ა. ფანცხავა).

ყველა გაზეთმა გარკვეული როლი შეასრულა საზოგადოების მსოფლმხედველობის განვითარებაში, გარესამყაროსთან დაკავშირებაში, გლობალურ საკითხებში მოსახლეობის გათვითცნობიერებაში, წიგნიერების ამაღლებაში და ა. შ., მაგრამ ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას სწყუროდა ქართული გაზეთები, მშობლიურ ენაზე გამოცემული პრესა.

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში უკვე საკმაოდ სწრაფი ტემპით იდგამდა ფეხს ჟურნალისტური საქმე. ამას ადასტურებს აქ გამოცემული გაზეთების სიმრავლე და აქტიური საქმიანობა.

ბათუმის მრავალეროვანი მოსახლეობისათვის აქ გამოცემული გაზეთები წარმოადგენდა სულიერ საზრდოს, ინფორმაციის წყაროს, ინტერესთა გაღვივების შესაძლებლობას, განათლების დონის ამაღლებას. გაზეთები მეტნაკლებად მოიცავდნენ ყველა სფეროს - ეკონომიკას, პოლიტიკას, მეურნეობას, ტექნიკას, სწავლა-განათლებას, ჯანმრთელობას, ჰიგიენის დაცვას, კულტურისა და დასვენების საკითხებს, კვებას, სიახლეების რეკლამირებას და ა.შ.

აქედან გამომდინარე, მიუხედავად გაზეთების უმეტესი ნაწილის ერთფეროვნების, სიმარტივისა და დაბალხარისხოვნებისა, თითოეული

მათგანის არსებობასა და საქმიანობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარაში საგამომცემლო საქმის განვითარებისა და ამ კუთხის კულტურული დონის ამაღლებისათვის. ამ გაზეთების დიდი ნაწილი იქცა აჭარისტანის სოციალურ გარდაქმნათა ცოცხალ მემკვიდრედ, რითაც მათ ფასდაუდებელი მნიშვნელობა შეიძინეს.

ლიტერატურა:

1. ბაბილოძე გრ., ნარკვევები განათლების და კულტურის ისტორიიდან აჭარაში, ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1975
2. გაზეთი „ბატუმსკიე ნოვოსტი“, 1909 წლის 4 აპრილი, # 43
3. გაზეთი „ბატუმსკიე ნოვოსტი“, 1914 წლის 4 ნოემბერი, # 1479
4. გაზეთი „ბატუმსკიე ვესტი“, 1915 წ., 8 იანვარი, # 1531
5. გაზეთი „ბატუმსკიე ვესტი“, 1915 წ., 9 თებერვალი, # 1532
6. გაზეთი „ეხო ბატუმა“, 1920 წ., 13 ნოემბერი,
7. გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, 1905 წლის 1 მარტი, # 9
8. გაზ. „ჩერნომორსკი ვესტი“, 1905 წ., 1 მაისი, # 49
9. გაზ. „ჩერნომორსკი ვესტი“, 1905 წ., 20 აპრილი, #39
10. გაზ. „ჩერნომორსკი ვესტი“, 1906 წ. 6 იანვარი, #4
11. გაზ. „ჩერნომორსკი ვესტი“, 1906 წლის 29 მაისი, # 63

*თამარ ორაგველიძე, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**ჟურნალისტური ცხოვრება XX საუკუნის
დასაწყისის ბათუმში**

რეზიუმე

XIX საუკუნის ბოლო წლებში ბათუმში გამოდიოდა გაზეთები, მაგრამ რუსულენოვანი, მოსახლეობა დანატრებული იყო ქართულ გამოცემებს. ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში უკვე საკმაოდ სწრაფი ტემპით იდგამდა ფებს ჟურნალისტური საქმე. ამას ადასტურებს აქ გამოცემული გაზეთების სიმრავლე და აქტიური საქმიანობა.

*Tamar Oragvelidze, PhD,
Georgian Technical University*

**Journalistic life of Batumi beginnings of the
XX century**

SUMMARY

At the end of the XIX century there were only Russian-language editions. The population

wished and would rather like Georgian edition and at the beginning of the XX century the journalistic activity started to develop very quickly. Great variety of publications and editions prove the active journalistic activity.

*Тамар Орагвелидзе, докторант,
Грузинский Технический Университет*

**Журналистская жизнь Батуми
начала XX столетия**

РЕЗЮМЕ

В конце XIX века в Батуми издавались русскоязычные газеты. Население мечтало об издании на грузинском языке и в начале XX века в Батуми уже быстрым темпом начала развиваться журналистская деятельность. Подтверждением этому является множество изданных здесь газет и их активное действие.

СПЕЦИФИКА МЕДИАТЕКСТОВ

*Лиана Сидамотидзе, Глория Чотулиди,
Грузинский Технический Университет*

XX

Ключевые слова: медиатекст, медийный текст, массовый потребитель, массовая куль-тура, коммуникация, СМИ.

Термин «медиатекст», широко используемый в теории и практике журналистики, заимствован в 1990-х годах из англоязычной научной литературы. Основные концепции медиатекста сформулировали в своих исследованиях Теун Ван Дейк, Мартин Монтгомери, Алан Белл. В России медиатекст как базовая категория впервые появляется в работах Т.Г. Добросклонской, которая занимается исследованием английской медиаречи. Наиболее востребованный для обозначения текстов массовой коммуникации термин «медиатекст» вобрал в себя параллельные, взаимозаменяемые или пересекающиеся феномены – массово-коммуникативный текст, массмедийный текст, журналистский текст, публицистический текст, газетный текст, телетекст, рекламный текст, PR-текст, Интернет-текст и т.д. Смысловое наполнение термина медиа (от лат. «media», «medium» – средство, способ, посредник) позволяет называть медиатекстом любой носитель информации, начиная от наскальных рисунков, традиционных книг, произведений искусства и заканчивая суперсовременными феноменами технического прогресса. Однако как обобщающий термин медиатекст закрепился именно за текстами массовой коммуникации. (1).

Как считают исследователи, медиатекст можно рассматривать, во-первых, как текст «в универсальном, классическом значении этого понятия» (Б.Я. Мисонжников), во-вторых, как уникальный тип текста – в отличие от

текстов других сфер коммуникации (научных, художественных и др.), в-третьих, как совокупный продукт массовой коммуникации – тексты журналистики, рекламы и PR, каждый из которых имеет свои специфические характеристики.

Определение специфики медиатекста дает А. Белл в работе «Approaches to Media Discours»: «определение медиатекста выходит за рамки традиционного взгляда на текст как на последовательность слов, напечатанных или написанных на бумаге. Понятие медиатекста гораздо шире: оно включает голосовые качества, музыку и звуковые эффекты, визуальные образы – иначе говоря, медиатексты фактически отражают технологии, используемые для их производства и распространения». (2) Современный медиатекст ориентирован на массового потребителя и предполагает использование приемов, характерных для современной массовой коммуникации; кроме того, журналистский текст, являясь частью текстов культуры, имеет современную мировоззренческую основу, где язык является не просто медиатором получения новой информации о мире, событиях, которые в нем происходят, но и своеобразным камертоном этой информации. Теоретики СМИ, понимая характер инноваций в мире и прессе, все чаще переносят акцент осмысления роли прессы как социального института, функционирование которого определяется общественно-политической ситуацией, на исследование медиадискурса (текста СМИ, взятого в событийном аспекте, в совокупности с экстралингвистическими, прагматическими, социокультурными факторами) (3). В центре

внимания ученых находятся средства и способы конструирования речевого события в связи с прагматическими, социокультурными и иными факторами. Основными информационно-структурными качествами традиционного медиатекста являются: связность и цельность, логичность, точность, ясность, понятность, доступность. Цельность текста проявляется через тематические, концептуальные и модальные связи. Связность текста проявляется через внешние структурные показатели, через формальную зависимость компонентов текста.

Литературными качествами медиатекста являются правильность, чистота и культура речи: правильность - соответствие языковой норме; чистота и благозвучие речи - отсутствие элементов, не свойственных данному стилю изложения, культура речи - высокий уровень овладения литературным языком во всем богатстве его выразительных возможностей (4).

Исследователи медийных текстов выделяют их универсальные признаки т.е. те сущностные моменты, которые являются характерными абсолютно для всех медийных сообщений. Эти признаки предопределяются, во-первых, особенностями содержания и формы сообщений, во-вторых, особенностями механизма их производства и распространения.

Первая группа признаков отражает содержательно-формальные характеристики медийных текстов:

1. Популярность. Одна и та же информация предназначена для миллионов потребителей и доступна массовому сознанию, т.е. массовая коммуникация популяризирует информацию, и этому служат такие известные признаки формы ее подачи, как:

– близость аудитории (в текстах массовой коммуникации всегда есть точки соприкосновения с интересами аудитории, в них всегда заложен отклик на ее потребности);

– ситуативность, т.е. опора на жизненные

конкретные ситуации (даже какая-то теоретическая научная информация о том или ином открытии ученых подается в СМИ через представление ситуации, в которой эта научная информация раскрывается как взаимосвязанная с жизнью человека, влияющая на нее);

– драматизм повествования, основанный на событийности, на отражении конфликтных, проблемных ситуаций повседневности или же масштабных явлений и событий, затрагивающих человечество, а также на экспрессивности используемых повествовательных структур.

2. Актуальность и сиюминутность. Сообщения массовой коммуникации имеют короткий жизненный цикл, в определенном смысле у них нет прошедшего времени — только настоящее. Массовая коммуникация опирается на то, что имеет значение для настоящего времени, что важно для принятия решений и формирования настроений, идеологии сегодняшнего дня, но что также может повлиять на будущее и позволяет поновому взглянуть на прошлое. Актуальность текстов массовой коммуникации выражается в их новизне и современности. Как правило, СМИ обращены к сиюминутным событиям и злободневным проблемам общества — политическим, социальным, бытовым и т.д., но за фиксируемыми сиюминутными и злободневными моментами жизни может открываться общая картина современного, а современное есть показательное для времени, то, по чему о нем будут судить в будущем.

3. Релевантность. Одно из условий жизнеспособности текстов, которыми оперирует массовая коммуникация, — это их соответствие информационным запросам аудитории, ее потребностям и интересам.

4. Контекстуальность. Смысл сообщения всегда развертывается и прочитывается массовой аудиторией в контексте, в котором

происходит коммуникация. Такие контексты, как «политические новости», «криминальная хроника», «кинобоевик», «детективный бестселлер» и т.п., определяют возможности «считывания», декодирования, понимания аудиторией сообщений, реализуемых в этих контекстах. Кроме того, контексты коммуникации обуславливаются идеологией общества, типом культуры, этическими и религиозными убеждениями, социально-психологическими установками и т.д.

5. **Интертекстуальность.** Сообщение в массовой коммуникации всегда является неким звеном в бесконечной цепи сообщений. Оно взаимодействует с огромным множеством других сообщений, предшествующих и последующих. Текст массовой коммуникации – это «постоянная и бесконечная ссылка текстов друг на друга и бесконечное цитирование; здесь нет базовых текстов, исходя из освоения которых шло бы развитие» (5).

6. **Стереотипность.** Тексты массовой коммуникации используют доминирующие социальные и культурные стереотипы (устойчивые образы чего-либо, совокупность общепринятых представлений), при этом тексты либо утверждают и актуализируют такие стереотипы, либо разрушают, предлагая взамен новые.

7. **Стандартизованность.** В основе текстов массовой коммуникации лежат коммуникативные стандарты – речевой и жанровый. Первый опирается на определенные функционально-стилевые характеристики, понятные публике, второй – на форму, структуру, также освоенные массовой аудиторией.

Вторая группа признаков отражает механизм производства и распространения медийных текстов:

1. **Технологичность.** Изобретение и освоение телеграфа, телефона, литьевого печатного станка, радио, кино показали,

что новые производственные технологии определяют характер и сущность массовой коммуникации. Массовая коммуникация набрала силу и проявила свои феноменологические признаки вместе с индустриализацией и развитием высокотехнологичных способов производства и передачи информации. Технологии не только позволяют воспроизвести информацию, но и выразить ее, воплотить в текстовую реальность.

2. **Тиражированность.** Текст массовой коммуникации обязательно воспроизводится посредством тиражирования. Без тиражирования текст не может выйти на массовую аудиторию и приобрести статус массового информационного продукта. Механизм тиражирования обеспечивает всеобщую доступность массовой информации.

3. **Повторяемость.** Информация, передаваемая через массовую коммуникацию, в силу многообразия каналов передачи многократно повторяется и, как следствие, постоянно варьируется. Это является одним из факторов, обуславливающих возможность реализации текстов в специализированных масс-медиа, дифференцируемых по определенным сегментам массовой аудитории. Повторяемость ведет к тому, что качественного (смыслового, творческого) расширения информации в массовой коммуникации не происходит, имеет место лишь количественное приумножение информации.

4. **Взаимозаменяемость.** Вследствие того, что тексты массовой коммуникации все время множатся, вариативно повторяя стандартизованную информацию, социальные и культурные стереотипы, а также из-за своего короткого жизненного цикла они постоянно вытесняют друг друга, одно сообщение сменяется другим, взаимозаменяемым.

Итак, все перечисленные признаки обуславливают и объясняют характер сообщений массовой коммуникации, благодаря

которому они становятся доступными аудитории средств массовой коммуникации, представляющей собой разнородную массу потребителей информации, и принимаются этой аудиторией. Если научный текст или произведение искусства может быть непонятным и недоступным (в плане интеллектуальной данности), то тексты, передающие сообщения массовой коммуникации доступны самой широкой публике.(6).

Таким образом, разработка методологии идентификации медиатекста по различным направлениям его структуры и функционирования оказывается весьма продуктивной.

Литერატურა:

1. Казак М.Ю. Медиатекст: сущностные и типологические свойства// Глобальный медиажурнал. Российское издание
2. Bell. A. Approaches to media discourse.London: Blackwell, 1996.
3. Сметанина С.И. Медиа-текст в системе культуры // Динамические процессы в языке и стиле журналистики конца XX века. СПб., 2002.
4. Валгина Н.С. Теория текста. Информационно-структурные и тональные (стили-стические) характеристики текста. URL: [http:// evartist.narod.ru/text14/31.htm](http://evartist.narod.ru/text14/31.htm)
5. Артамонова Ю.Д., Кузнецов В.Г. Герменевтический аспект языка СМЭ // Язык средств массовой информации: учеб. пособие для вузов / под ред. М.Н. Володиной. М., 2008.
6. О. В. Краснаярова. Медийный текст: его особенности и виды
7. <http://cyberleninka.ru/article/n/mediynnyy-tekst-ego-osobennosti-i-vidy>

ლიანა სიდამონიძე, გლორია ჩოტულიდი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მედიატექსტების სპეციფიკა

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია თანამედროვე მედია ტექსტის განმარტება, რომელიც ფართოდ არის წარმოდგენილი მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა ტიპის შეტყობინებებში, მედია ტექსტი განიხილება ორ ასპექტში - როგორც საინფორმაციოპროდუქტიდაროგორცმასობრივი კულტურის პროდუქტი. გამოიყოფა მასობრივი ტექსტის უნივერსალური ნიშანთვისებები.

*Liana Sidamonidze, Gloria Chotulidi,
Georgian Technical Universiti*

SPECIFICS OF MEDIA TEXTS

SUMMARY

This article presents the concept of the modern media text, widely represented in a variety of mass communication and is considered in two aspects – as a product of information and as a product of mass culture. Also, the universal signs of media text are allocated.

*Liana Sidamonidze, Gloria Chotulidi,
Georgian Technical University*

СПЕЦИФИКА МЕДИАТЕКСТОВ

РЕЗИЮМЕ

В настоящей статье дается понятие современного медийного текста, который широко представлен в самых разнообразных сообщениях массовой коммуникации; медийный текст рассматривается в двух аспектах - как информационный продукт и как продукт массовой культуры. Выделяются универсальные признаки медийного текста.

**სოციალური და
ზოგადსამეცნიერო დისციპლინები**
**СОЦИАЛЬНЫЕ И ОБЩЕНАУЧНЫЕ
ДИСЦИПЛИНЫ**
SOCIAL AND SCIENTIFIC DISCIPLINES

თანამედროვე ნაციონალიზმი და გლობალიზებული მსოფლიო

*მაია ამირგულაშვილი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

XX

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო, გლობალიზაცია, ნაციონალიზმი, გლობალიზებული, ინტერნაციონალიზმი, მოდერნიზაცია.

მთელს მსოფლიოში, რომელიც მოცულია გლობალიზაციის პროცესით, ნაციონალიზმი და ეთნოკონფლიქტები ერთ-ერთ მახასიათებლად გვევლინება. ამიტომ უნდა გამოვკვეთოთ, თუ რა არის ის ძირითადი ინტერესი, რასაც ამ პრობლემის შესწავლა იწვევს. კერძოდ კი, რით განსხვავდება დღევანდელი ნაციონალიზმი გლობალიზაციამდელი ეპოქის ნაციონალიზმისაგან.

ჰობსბაუმის წიგნში „ერები და ნაციონალიზმი 1780 წლის შემდეგ“ დასძენს, რომ XVIII საუკუნის დასასრულის ნაციონალიზმი მკვეთრად განსხვავება XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ნაციონალიზმისაგან და იგი აღარ წარმოადგენს ისტორიული ერების ძირითად ვექტორს. თუ XIX საუკუნის ნაციონალიზმი ეროვნული სახელმწიფოს ეროვნული ინდუსტრიული ეკონომიკის გარშემო ერების ჩამოყალიბების ეპოქა იყო, ხოლო XX საუკუნის პირველი ნახევრის ნაციონალიზმი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად და იდეოლოგიად უნდა ჩაითვალოს, XX საუკუნის ბოლოს ნაციონალიზმი უკიდურესი და აგრესიული სახე

მიიღო. იგი გვევლინება ის ძალად, რომელიც ეთნიკურ განსხვავებულობას ეყრდნობა და ხშირად რელიგიასთანაა გადაჯაჭვული [3.52].

ჰობსბაუმის მიხედვით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების დრო დამთავრდა და ახალ სახელმწიფოების შექმნა კაცობრიობისათვის არავითარი სარგებლის მომტანი არაა. ყოველი დღევანდელი ნაციონალური მოძრაობა ანტიპროგრესული და ქაოსის მომცველია. ასეთი დასკვნის გაკეთებისას ჰობსბაუმი მარქსიზმს ეყრდნობა და ერებისათვის ისიც გარკვეულ ეკონომიკურ ზღურბლს აწესებს.

ჰობსბაუმის ამ დებულებას ეწინააღმდეგება სმიტი და ამტკიცებს, რომ XX საუკუნეში მიმდინარე ნაციონალური მოძრაობებიდან ბევრი დემოკრატიული და პროგრესულია. ისეთი პატარა ერების დამოუკიდებლობას, როგორც სლოვენები, ჩეხები, ხორვატები და სხვა არიან, მსოფლიოსათვის არაფერი ზიანი არ მოუტანია. ამიტომ ნაციონალიზმის და სახელმწიფოების შექმნის დაკავშირება ეკონომიკურ საფუძველთან სმიტს გამართლებულად არ მიაჩნია [4.48].

თანამედროვე მსოფლიოში ეთნონაციონალიზმის გამოცოცხლება ფაქტია, რის მიზეზებსაც სმიტი კულტურაში ეძებს. გლობალიზაციის ეპოქამ კომუნიკაციების სწრაფი ტემპით განვითარება გამოიწვია, რამაც შეარყია ეროვ-

ნული ტრადიციები და კულტურა. დაირღვა ტრადიციული ღირებულებები, რის შიშითაც ხალხი უბრუნდება ეთნიკური გამორჩეულობისა და რელიგიური ცნობიერების რადიკალურ ფორმებს და ხსნას მასში ემებს, რაც თანამედროვეობის ბევრ ნაციონალისტურ მოძრაობას უკიდურესად რადიკალურ და ზოგჯერ აგრესიულ ფორმას აძლევს.

ეროვნული იდენტურობის დაცვის ყველაზე საიმედო გარანტი ეროვნული სახელმწიფოა და სწორედ ამიტომ ხშირად ნაციონალიზმი და ერი-სახელმწიფო განუყოფელ ცნებად არის წარმოდგენილი.

ე. სმიტს მიაჩნდა, რომ ერი-სახელმწიფო არაა ერთადერთი დამცველი, რისთვისაც ნაციონალიზმი და ერი-სახელმწიფო ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს. ნაციონალიზმის მიზანია შექმნას ერი (სამოქალაქო ან ეთნიკური), ხოლო სახელმწიფო არის ამ ერის გამოხატულება.

თანამედროვე ეპოქაში ნაციონალიზმი არ შემოისაზღვრება მარტო ერი-სახელმწიფოს შექმნით და მისი დაცვით, იგი ამავდროულად დაინტერესებულია ეთნიკური კულტურის შენარჩუნებითა და განვითარებით. ყველა ერი-სახელმწიფოში არის დომინანტი ეთნოსი, რომლის ეთნიკური კულტურაც, სიმბოლოები, მითები და ფასეულობები აყალიბებს სახელმწიფოების ხასიათს. სწორედ ამ ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებას მიიჩნევს სმიტი თანამედროვე ნაციონალიზმის ძირითად მიზნად. იგი თვლის, რომ თანამედროვე ინტეგრაციული პროცესები და გლობალიზაციის შედეგები ვერ ცვლის ეროვნული იდენტურობის, კულტურისა და ხასიათის უპირატეს, დომინანტ მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სმიტი მიიჩნევს, რომ ერები და ნაციონალიზმი გლობალიზაციის ეპოქაშიც რჩებიან თანამედროვე მსოფლიო წესრიგის რეალურ საყრდენად, რომ მათ არ ჰყავთ მეტოქე დღევანდელ პირობებში, გამომდინარე იქედან, რომ ერი ისეა მობმული თავის ისტორიულ ძირებს, რომ ვერავითარი გლობალური კულტურა მას ვერ

ჩაენაცვლება, ხოლო ერი-სახელმწიფოები კვლავაც დარჩებიან პოლიტიკური ერთობების მთავარ ფორმად [4.85].

ბუნებრივია, სმიტის ამ მოსაზრებას არ იზიარებენ გლობალისტები, ვინაიდან ისინი მიიჩნევენ, რომ ერი-სახელმწიფოებისა და ნაციონალიზმის ეპოქა უკვე წარსულის კუთვნილებაა, ხოლო თვით ნაციონალისტური გამოსვლებიც ძირეულად განსხვავდება იმ კლასიკური ნაციონალიზმისაგან, რომელიც წარსული ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი.

ჯ. დელანტი და პ. ომაჰონი ახდენენ რა ნაციონალიზმის ტიპოლოგიას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თანამედროვე ნაციონალიზმს, რომელსაც ისინი ახალ რადიკალურ ნაციონალიზმს უწოდებენ. თავის მხრივ ახალ ნაციონალიზმში სამი ქვეტიპი გამოიყოფა:

- ახალი მემარჯვენე რადიკალთა ნაციონალიზმი;
- რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი;
- რადიკალური რელიგიური ნაციონალიზმი [1.28].

ახალი რადიკალური მემარჯვენეების ნაციონალიზმი – ძირითადად გავრცელებულია დასავლეთის ქვეყნებში. იგი უფრო მეტად სხვადასხვა მემარჯვენე პარტიების იდეოლოგიაა. მაშინ, როცა ნაციონალიზმის სხვა ფორმების მართვა, როგორც წესი, ორგანიზაციებიდან ხდება, მემარჯვენე რადიკალების ნაციონალიზმი საარჩევნო პოლიტიკის მოხერხებულად წარმართვის დამსახურებაა. ნაციონალიზმის ეს ფორმა ნეოლიბერალიზმისა და კულტურული ავტორიტარიზმის ერთგვარ კომბინაციას წარმოადგენს.

რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი – ექსტრემისტული ნაციონალიზმის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმაა, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში ეთნიკური მილიტარიზმის სახეს იღებს. უკეთეს შემთხვევაში იგი ეთნოდემოკრატიის ფორმით გვევლინება, როცა სახელმწიფო დომინანტი ეთნოსის ნება-სურვილით იმართება რადიკალური ეთნიკური ნაციონა-

ლიზმი ჩვენს დროში ყველაზე აშკარად პოსტსოციალისტურ ქვეყნებში გამოქვეყნდა. მაგრამ პოსტკომუნისტურ ნაციონალიზმს აკლია იდეოლოგიური თანმიმდევრობა და ამ მხრივ, არ შეიძლება მისი შედარება დასავლურ ნაციონალიზმთან.

რადიკალური რელიგიური ნაციონალიზმი – თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. იშვიათი გამონაკლისის გარდა (სიონიზმი) ნაციონალიზმი, როგორც წესს, არარელიგიური, სეკულარული მოვლენაა და გარკვეულწილად უპირისპირდება კიდევ რელიგიას. მაგრამ დღეს როგორც ნაციონალიზმის, ისე რელიგიის გამოცოცხლებამ გამოიწვია მათი დაკავშირება მსოფლიოს ბევრ რეგიონში. ჯ. დელანტი და პ.ომაჰონი განსაკუთრებით უსვამენ ხაზს რელიგიისა და ნაციონალიზმის კავშირს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. მათივე აზრით საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, 1992 წლიდან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ნაციონალიზმი მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, ასევე რუსეთის ფედერაციის ბევრ რეგიონში რუსული მართლმადიდებლობა გახდა ეროვნული იდენტურობის მთავარი სიმბოლო, ხოლო აზიურ რესპუბლიკებში სულ უფრო და უფრო მზარდ პოლიტიკურ როლს თამაშობს ახალი, რადიკალური რეფორმისტული ისლამი.

რელიგიის „ნაციონალიზაცია“ და „პოლიტიზაცია“ შესამჩნევი ხდება სხვა რეგიონებშიც, რის გამოც ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ რელიგიური ნაციონალიზმი მოდერნიზმის პროდუქტია და იგი გლობალურ ძალად იქცა.

ის რომ თანამედროვე ნაციონალიზმის ეს სამი ტიპი არსებობს სადავო არ არის. მაგრამ უფრო საინტერესო იმ მიზეზების ახსნაა, რამაც გამოიწვია თანამედროვე ნაციონალიზმის ჩამოყალიბება და მისი გააქტიურება უკანასკნელი წლებში. ჯ. დელანტისა და პ. ომაჰონის მიერ გამოყოფილია ხუთი მიდგომა, რომლებიც სხვადასხვანაირად ხსნიან თანამედროვე ნაციონალიზმის აღმავლობას და ფართო გავრცელებას. ეს მიდგომებია:

1) **ისტორიის დაბრუნება** – ამ მიდგომის ავტორთა აზრით, ნაციონალიზმის „აფეთქება“ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში იმითაა გამოწვეული, რომ დიქტატურის შესუსტების შემდეგ თავი იჩინა საუკუნეების მანძილზე არსებულმა ეთნიკურმა და რელიგიურმა შუღლმა. ასე რომ, თანამედროვე ეთნოკონფლიქტები მხოლოდ ისტორიის დაბრუნებაა, ხოლო თანამედროვე პოსტკომუნისტური ნაციონალიზმის წყარო ტრაიბალიზმი და ეთნიკური სიძულვილია. ამ მოსაზრებას ძირითადად პოლიტიკოსები ემხრობიან. ისინი ამტკიცებენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის და მით უმეტეს აზიის ნაციონალიზმი ყოველთვის იყო ეთნიკური ნაციონალიზმი. მისგან განსხვავებით დასავლური ნაციონალიზმი სახელმწიფო, სამოქალაქო ნაციონალიზმია და მისთვის ეთნოკონფლიქტები დამახასიათებელი არაა.

2) **ინტერნაციონალიზმი და მოდერნიზაცია** – ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ნაციონალიზმის აღზევების ასახსნელად ერთ-ერთი არგუმენტია ის, რომ ეს მოვლენა ვერსალის სისტემის შემდგომი ერი-სახელმწიფოების მოდელის შედეგია, რომელიც დასავლეთმა თავს მოახვია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომელიც ამ მოდელს იცავდა თავი იჩინა ძველმა შეცდომამ ეთნიკური ნაციონალიზმის სახით. ამდენად, ამ მოვლენის ისტორიული მიზეზი უფრო პოლიტიკურია, ვიდრე კულტურული ან ეთნიკური. ამ თვალსაზრისით პოსტკომუნისტური ნაციონალიზმის წარმოშობის მიზეზი ინტერნაციონალიზმის მიერ წარმოქმნილი მოდერნიზაციაა.

აღნიშნული მიდგომა თავისუფალია იმ უკიდურესობისაგან, რომელიც ახასიათებს ისტორიის დაბრუნებას, როგორც თეორიულ მიმართულებას, რომელიც ნაციონალიზმის მთავარ მიზეზად კულტურულ განსხვავებებს მიიჩნევდა. ეს მიმართულება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოთა ფორმირების ადრეულ ისტორიულ სტრუქტურებს და ყურადღების მიღმა ტოვებს მოქმედი ძალების როლს, რაც მის ნაკლებ მიუთითებს.

3) **ინსტიტუციონალიზმი** – ეს მიდგომა ამტკიცებს, რომ თანამედროვე ნაციონალიზმი სათავეს ერებისა და ეროვნებების ინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკიდან იღებს. ინსტიტუციონალური მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ იგი თავისუფალია როგორც ეთნიკურობისა და კულტურის როლის უზომოდ გაზვიადებისაგან, ისე საერთაშორისო და ეთნიკურობისა და კულტურის როლის უზომოდ გაზვიადებისაგან, ისე საერთაშორისო ფაქტორების გადაჭარბებული შეფასებისაგან.

4) **გადასვლა დემოკრატიაზე** – ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების ასახვად გამოყენებულ თეორიებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია დემოკრატიაზე გადასვლის თეორია. იგი ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასვლის კანონზომიერებებს იკვლევს, რასაც ემატება ის თავისებურებანი, რაც ცენტრალიზებული ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას უკავშირებდება. ეს კი, არა მხოლოდ პოლიტიკური მოვლენაა, არამედ ის მთელი საზოგადოების ტრანსფორმაციას მოითხოვს.

დემოკრატიაზე გადასვლის პერიოდში ნგრევას იწყებს ცივი ომის ეპოქისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური სტრუქტურები. ძველი იდეოლოგიის მსხვრევას მოსდევს ახალი მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიების წარმოშობა და გავრცელება, რომლებიც ძნელად იკიდებს ფეხს და საზოგადოებაში ჩნდება სიცარიელე, ვაკუუმი და სწორედ ამის შევსება ხდება ახალი ნაციონალიზმით. დასავლეთის სამყაროში იგი წარმოდგენილია კონსერვატიზმის სახით (ახალი მემარჯვენე რადიკალები), ხოლო პოსტკომუნისტურ ქვეყნებში – რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმით.

„ეთნიფიკაცია“ კულტურული იდენტიფიკაციის საერთო სურვილის გამოხატულება კი არაა, არამედ რაციონალური სტრატეგია იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საზღვრების ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოება, სადაც ეთნიკური უმცირესობები

ასოცირდებიან მეზობელი ქვეყნების მოსახლეობასთან და ხელისუფლების სისუსტის პირობებში იქმნება დესტაბილიზაციის საფრთხე.

სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურის დაბალი დონის პირობებში – აღნიშნავს დელანტი, ეთნიკური პოლიტიკა ხშირად რაციონალური რესურსია. ეს კი ნაწილობრივ იუმორით შეიძლება ასე შევაჯამოთ: „მემარცხენეებს არა აქვთ იდეოლოგია, მემარჯვენეებს კი ფული. შედეგი ნაციონალიზმია“.

დემოკრატიაზე გადასვლის თეორია ხსნის ნაციონალიზმის მიზეზებს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მაგრამ ბუნდოვანს ტოვებს ნაციონალიზმის გამოცოცხლების მიზეზებს დასავლეთში. ამ მიდგომით ძნელია აიხსნას ის ფაქტიც, რომ დემოკრატიაზე გადასვლა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მშვიდობიანი გზით განხორციელდა (იუგოსლავია და საქართველო ამ მხრივ გამოწვევისა). უდავო ფაქტია ისიც, რომ „პერესტროიკამ“ დიდი როლი ითამაშა იმ პირობების ჩამოყალიბებაში, რომელმაც შემდგომ წარმოშვა პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმი.

5) **რეაქცია გლობალიზაციაზე** – თანამედროვე ნაციონალიზმის აღორძინების მიზეზების ახსნას მეცნიერთა დიდი ნაწილი ცდილობს იმ მიდგომით, რომელსაც შეიძლება ეწოდოს რეაქცია გლობალიზაციაზე. ამ მიდგომით თანამედროვე ნაციონალისტური გამოსვლები, ნაციონალისტური იდეოლოგიების წარმატება, ეთნიკური დაპირისპირებები და კონფლიქტები არის ის რეაქცია, რაც ეკონომიკური და კულტურული ღირებულებების შეცვლას მოჰყვას, რაც სწორედ გლობალიზაციამ მოიტანა. ნაციონალიზმზე, როგორც გლობალიზაციის პროცესის მიმართ რეაქციაზე იურგენ ჰაბერმარი დასავლეთის ქვეყნებში „კეთილდღეობის ნაციონალიზმს“ უწოდებს.

თანამედროვე ნაციონალიზმი უმრავლეს შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ გლობალიზაციის პირდაპირ შედეგად. ისევე როგორც ანტიგლობალისტური მოძრაობების დიდი ნაწილი უფრო მემარცხენე და ანტი-

იმპერიალისტური ხასიათისაა, ვიდრე ნაციონალისტური. ასევე ნაციონალიზმის თანამედროვე გამოვლინებებს შორის შედარებით ცოტაა ისეთი, რომლებიც თავისი გამომწვევი მიზეზებით უშუალოდ გლობალიზაციასთან იყოს დაკავშირებული.

ჯ. დელანტი და პ. ომაჰონი თანამედროვე ნაციონალიზმის მთავარ მიზეზად მიიჩნევენ რეაქციას გლობალიზაციაზე და საერთოდ უარყოფენ ისტორიის დაბრუნების თვალსაზრისს. ისეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი, როგორც ნაციონალიზმია, ერთი რომელიმე მიზეზით ვერ აიხსნება, თუნდაც ეს მიზეზი გლობალიზაცია იყოს [1.51].

გლობალიზაციასთანაა დაკავშირებული ნაციონალიზმის, უფრო სწორად კი, სეპარატიზმისა და რეცესიონიზმის შედარებით ახალი ფორმა, რომელიც გამოწვეულია არა იმით, რაც ამ მოძრაობებს ახასიათებდა ტრადიციულად, არამედ სულ სხვა მიზეზებით. როგორც წესი, სეპარატიზმი და სეცესია დამახასიათებელია ეთნიკური უმცირესობებისათვის, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოცემულ სახელმწიფოში მათი ყოფნა უკანონოა და საფრთხეს უქმნის მათ – როგორც ეთნოსის არსებობას. ასეთი სეპარატიზმი და სეცესიისადმი მისწრაფება გლობალიზაციის ეპოქაშიც განაგრძობს არსებობას და ძლიერდება კიდევ, მაგრამ მის გვერდით თავი იჩინა სეპარატიზმმა და სეცესიონიზმმა თვით ტიტულარული ერის შიგნით, რაც გამოწვეულია ეკონომიკური განვითარების დონეთა განსხვავებით.

გლობალიზაციის პერიოდში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის ზრდა და სახელმწიფოს გავლენის შესუსტება საშუალებას აძლევს ცალკეულ რეგიონებს უშუალოდ გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე და მოიპოვონ ეკონომიკური ავტონომიურობაც. შესაბამისად ყალიბდება აზრი: რეგიონი რომ ცალკე სახელმწიფო იყოს და მასზე არ იყოს მიბმული ქვეყნის სხვა, ჩამორჩენილი რეგიონები, მაშინ აქ ცხოვრების დონე და მოსახლეობის კეთილდღეობა გაცი-

ლებით მაღალი იქნება, რაც საკმარისი საბაზია რეგიონალური ნაციონალიზმის, სეპარატიზმისა და სეცესიონიზმის წარმოშობისა და გავრცელებისათვის.

ზოგადად აღნიშნული ტიპის ნაციონალიზმი დასავლეთის სამყაროსათვის არის დამახასიათებელი და შესაძლებელია ის მივიჩნიოთ გლობალიზაციის ერთ-ერთ შედეგად, ხოლო ის რეგიონები, რომლებიც ეთნიკურად განსხვავდებიან ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისაგან ავტონომიის განსაკუთრებულ ფორმად ჩამოყალიბდნენ. მათ ხშირად უწოდებენ სახელმწიფოებს დამოუკიდებლობის გარეშე. ასეთი ერების მაგალითია შოტლანდიელები, კატალონიელები და კვებეკელები. თუ საით წარიმართება ამ ერების ნაციონალიზმი მომავალში გარკვეული არაა. გლობალიზაციის პირობებში დამოუკიდებლობის მოთხოვნა მეტწილად ხდება იმ მოტივით, რომ აღნიშნული ხსლხები და მათი არასუვერენული სახელმწიფოები“ უშუალოდ ჩაერთონ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციულ პროცესებში. მეორეს მხრივ, ადგილი აქვს ინტეგრაციულ პროცესებს ქვეყნებს შიგნითაც, რაც გარკვეულწილად ასევე გლობალიზაციის შედეგია.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთდროულად მიმდინარეობს ორი შეუთავსებელი პროცესი: ერთი მხრივ, მისწრაფება გაცალკეებისაკენ, მეორეს მხრივ, ზოგადსახელმწიფოებრივი იდენტურობის გაძლიერება.

საერთოდ, დასავლეთისათვის დამახასიათებელი რეგიონალური ნაციონალიზმი, რომელიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნამდვილად არაა დაკავშირებული გლობალიზაციასთან, არ გამოირჩევა აგრესიულობით და არატოლერანტულობით. ის კონფლიქტები კი, რომლებიც მთელ მსოფლიოშია გაჩაღებული, თავისი მიზეზებითა და ხასიათით ნაკლებადაა დაკავშირებული გლობალიზაციასთან, ხოლო რაც შეეხება ანტიგლობალიზტურ გამოსვლებს, ისინი არაა ნაციონალისტური და მემარცხენე, ანტიიმპერიალისტურ ხასიათს ატარებს,

ვინაიდან ისინი მიიჩნევენ, რომ გლობალიზაცია დასავლეთის, კერძოდ აშშ-ის ექსპანსიას მთელ მსოფლიოში და თანაც ცხოვრების ყველა სფეროში.

ლიტერატურა:

1. Delanty G., O'Mahony P. Nationalism and Social Theory, sape Publication, London, 2002;
2. Habermas J. The Postnational Constellation. Gambridge, Polity Press, Camtridge, 2001;
3. Hobsbawn E. S. Nations and Nationalism Since, Cambridge, 1990;
4. Smith A. D. Nations and Nationalism in a Global Era, Cambridge, 1995;
5. Spenser P. Wollman H. Nationalism. A Critical Intrudiction, London, 2002;

*მაია ამირგულაშვილი
ასოცირებული პროფესორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი*

**თანამედროვე ნაციონალიზმი და
გლობალიზებული მსოფლიო
რეზიუმე**

აღნიშნული სტატიის მიზანია მოკრძალებული პასუხი გასცეს კითხვას თუ რით განსხვავდება დღევანდელი ნაციონალიზმი გლობალიზაციამდელი ეპოქის ნაციონალიზმისაგან.

თანამედროვე ეპოქაში ნაციონალიზმი არ შემოისაზღვრება მარტო ერი-სახელმწიფოს შექმნით და მისი დაცვით, იგი ამავდროულად დაინტერესებულია ეთნიკური კულტურის შენარჩუნებითა და განვითარებით.

სმიტი მიიჩნევს, რომ ერები და ნაციონალიზმი გლობალიზაციის ეპოქაშიც რჩებიან თანამედროვე მსოფლიო წესრიგის რეალურ საყრდენად და რომ მათ არ ჰყავთ მეტოქე დღევანდელ

პირობებში. ამ მოსაზრებას არ იზიარებენ გლობალისტები, ვინაიდან ისინი მიიჩნევენ, რომ ერი-სახელმწიფოებისა და ნაციონალიზმის ეპოქა უკვე წარსულის კუთვნილებაა.

სტატიაში მოკლედაა მიმოხილული თანამედროვე ნაციონალიზმის სამი ტიპი: 1). ახალი მემარჯვენე რადიკალთა ნაციონალიზმი; 2). რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი; 3). რადიკალური რელიგიური ნაციონალიზმი.

თანამედროვე ნაციონალიზმი უმეტეს შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ გლობალიზაციის პირდაპირ შედეგად. ზოგადად, აღნიშნული ტიპის ნაციონალიზმი დასავლეთის სამყაროსთვის არის დამახასიათებელი და შესაძლებელია ის მივიჩნიოთ გლობალიზაციის ერთ-ერთ შედეგად.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო, გლობალიზაცია, ნაციონალიზმი, გლობალიზებული, ინტერნაციონალიზმი, მოდერნიზაცია.

*Maia Amirgulashvili,
Associated Professor
Georgian Technical University,*

**Modern Nationalism and the Globalized
World**

SUMMARY

This article aims to answer the question – what is the difference today between the modern nationalism and the nationalism which was until the era of globalization.

In the modern era the nationalism does not cover only one nation-state and its protection, at the same time it is interested in to preserve and develop the ethnic culture.

Smith believes that the nations and nationalism stay the real pillars of the modern world order in the era of the globalization and they have not the rivals in today's conditions. This opinion is

not shared by the globalists, because they believe that the nation-states and nationalism era belongs the past.

There is reviewed three type of the modern nationalism in the article: 1. The new right-wing radical nationalism; 2. Radical ethnic nationalism; 3. Radical religious nationalism;

The modern nationalism in the most cases can not be considered as a direct result of the globalization. Generally, this type of nationalism is characteristic of the western world and it can be considered as a result of the globalization.

Key words: world, globalisation, nationalism, globalised, internationalisation, modernisation.

*მაია ამირგულაშვილი
ასოცირირებული პროფესორი,
გურჯინური ტექნიკური უნივერსიტეტი*

Современный национализм и глобализованный мир

РЕЗЮМЕ

Данная статья ставит целью дать скромный ответ на вопрос - чем отличается сегодняшний национализм от национализма до глобализационной эпохи.

В современной эпохе национализм не

ограничивается созданием только нация-государство и его защитой, он в то же время заинтересован сохранением и развитием этнической культуры.

Смит считает, что нации и национализм в эпоху глобализации тоже остаются ре-альной опорой современного мирового порядка и что они не имеют соперника в современных условиях.

Это мнение не разделяют глобалисты, поскольку они считают, что эпоха нация-государства и национализма уже стала собственностью прошлого.

В статье дается краткий обзор 3-х типов современного национализма:

- 1) Национализм новых правых радикалов;
- 2) Радикальный этнический национализм;
- 3) Радикальный религиозный национализм.

Современный национализм в большинстве случаев нельзя считать как прямой результат глобализации.

В общем, национализм данного типа свойственен для западного мира и его можно считать одним из результатов глобализации.

Ключевые слова: мир, глобализация, национализм, глобализировался, межнационализация, модернизация.

სახელმწიფო სტანდარტების უქონლობით გამოწვეული პრობლემები

*მაია ბარბაქაძე, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*სიმონ ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



საკვანძო სიტყვები: ტექნიკური დოკუმენტაცია, ნახაზი, ნაკეთობა, სტანდარტი.

მოითხოვდა რაღაც საერთო წესებისა და სტანდარტების შექმნას სივრცული ინფორმაციის სიბრტყეზე გადასატანად.

შესავალი

XXI საუკუნე განვითარებული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საუკუნეა. მსოფლიო განვითარების მიღებულმა შედეგებმა შეცვალეს ცხოვრების არსებული სტანდარტები და განუზომლად გაიზარდა მოთხოვნები მეცნიერების და მრეწველობის მიმართ. მსოფლიო გახდა ტექნოკრატიული. ყოველივე ეს ბუნებრივად უკავშირდება მოთხოვნების გაზრდას იმ სამ-ჭედლოს მიმართ, სადაც ყალიბდებიან მეცნიერები და ინჟინრები.

ცივილიზაციის განვითარების პროცესში განათლება, როგორც ზოგადსაკაცობრიო კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, განიცდის მუდმივ ცვლილებებს, რაც განპირობებულია ადამიანის სწრაფვით სრულყოფილებისაკენ.

უძველესი დროიდან ადამიანი ცდილობდა შეენახა დანახული გამოსახულება. ასე წარმოიშვა გამოყენებითი მხატვრობა. შემდეგ ადამიანმა დაიწყო თავისი საცხოვრებლის კედლების, ჭურჭლის, შრომის იარაღების და სხვა საგნების გალამაზება ნახატებით. ცივილიზაცია ვითარდებოდა და ადამიანს უხდებოდა სულ უფრო რთული ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტა: ადგილმდებარეობების სქემებისა და რუკების შედგენა, საცხოვრებელი სახლებისა და სამხედრო ნაგებობების, ხიდების, საბრძოლო და შრომის იარაღების გამოსახვა. ადამიანების მოღვაწეობის სხვადასხვა სფერო, წარმოების განვითარება

ძირითადი ნაწილი

საიჟინრო გრაფიკამ გაიარა მრავალათასწლიანი გზა ქვიშაზე ნახატიდან ძველეგვიპტურ ორთოგონალურ ნახატამდე და თანამედროვე ავტომატიზირებული პროექტირების სისტემებამდე, სამგანზომილებიან მოდელირებამდე და ანიმაციამდე.

თუ ობიექტი არ არსებობს ბუნებაში, მაგრამ მისი შექმნის იდეა უჩნდება კონსტრუქტორს, იგი თავის წარმოსახვაში ქმნის ამ ობიექტის გეომეტრიულ მოდელს და წერტილებისა და წრფეების საშუალებით აფიქსირებს ამ ობიექტის გრაფიკულ მოდელს ქაღალდზე, რომელიც შეიცავს მეტრულ და პოზიციურ ინფორმაციას თავის შემადგენელ ელემენტებს შორის. ეს ობიექტი წარმოადგენს წარმოსახვაში არსებული ფორმის მატერიალიზებულ სტრუქტურას რეალურ სივრცეში. ე.ი. წარმოსახვითი სამყარო, რომელიც იქმნება ადამიანის ფიქრებით, გრძნობით და ფანტაზიით, მატერიალურად აისახება და იქმნება მისი მატერიალური ანალოგი. შედეგად კი ვღებულობთ თავისებურ ჩაკეტილ, დიალექტიკურ ჯაჭვს თავისი ბუნებითა და წარმოშობით სრულიად განსხვავებულ სივრცულ ელემენტებს შორის.

„სივრცე“ მიეკუთვნება როგორც ფილოსოფიურ, ასევე გეომეტრიულ ცნებას. ფილოსოფიურად უსაზღვრო, სამგანზომილებიანი „სივრცე“

გრაფიკულ დისციპლინებში ლოკალური მასშტაბებით აისახება და ექვემდებარება ევკლიდეს გეომეტრიას და ნიუტონის კლასიკურ მექანიკას. უნდა აღინიშნოს, რომ ასახვის ეს პროცესი ურთიერთშექცევადია. ე.ი. გრაფიკული დისციპლინები, ისევე როგორც ფილოსოფია არის ადამიანის გონების სავარჯიშო, მისი დიალექტიკური განვითარებისთვის მომხიბვლელი და საინტერესო საშუალება.

თავის მხრივ გრაფიკა, როგორც ადამიანის წარმოსახვითი საქმიანობის პროცესი და მისი შედეგები: ნახაზი, ნახატი, ესკიზი, ავითარებს ადამიანს ემოციურად, ანუ ავითარებს მასში პერცეპტუალურ აზროვნებას.

ამგვარად, გეომეტრია და გრაფიკა ერთმანეთის შევსებით კომპლექსურად, წარმატებით ჭრის პედაგოგიკის ძირითად პრობლემას – ვიღებთ ყოველმხრივად განვითარებულ ადამიანს.

ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტებში, სადაც ყალიბდებიან ინჟინრები, კონსტრუქტორები, არქიტექტორები, დიზაინერები, მხატვრები, ანუ ვისი პროფესიული საქმიანობაც მჭიდროდ უკავშირდება წარმოსახვით საქმიანობას, ანუ მატერიალური და სულიერი სინთეზის სფეროს, გრაფიკული დისციპლინების როლი გადამწყვეტია. ამ პროფესიის ადამიანები ქმნიან კომფორტს ჩვენს გარშემო და განსაზღვრავენ ცივილიზაციის დონეს.

ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მისი დონე დიდადაა დამოკიდებული მრეწველობის განვითარების ნიშნულზე, რაც წარმოუდგენელია საინჟინრო მეცნიერებების განვითარების გარეშე. აქედან გამომდინარე, ინჟინრები მონაწილენი არიან ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის შექმნაში. ისინი ინაწილებენ პასუხისმგებლობას ქვეყნის განვითარების დონის გამო.

ინჟინერი უნდა ითვალისწინებდეს მრეწველობის განვითარების დინამიკას და შექმნას

მოქნილი, რეზერვებით მდიდარი მანქანები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ქვეყნის მრეწველობის მოთხოვნებს და ხანგრძლივად იქნებიან დაცულნი მორალური დაძველებისაგან. მანქანა უნდა იყოს ხანგამძლე და საიმედო, ეკოლოგიურად უსაფრთხო, გააჩნდეს მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლები. მანქანის კონსტრუქციაში უნდა იგრძნობოდეს ტექნიკური ესთეტიკა, უნდა გააჩნდეს ლამაზი ფორმები და დახვეწილი შესახედაობა.

კონსტრუქტორი არის ადამიანი მხედველობითი აზროვნებით და მხედველობითი მეხსიერებით. მისთვის ნახაზი, თუნდაც პატარა ესკიზიც კი გაცილებით მეტი ინფორმაციის შემცველია, ვიდრე მრავალფურცლიანი წიგნი სავსე განმარტებებით. კონსტრუქტორს სრულად შეეფერება გამოთქმა: “Qui vidit – bis legit” (ვინც ხედავს, ის ორჯერ კითხულობს).

ანალოგიური შეიძლება ითქვას მშენებელზე, არქიტექტორზე, ფერმწერზე, გრაფიკოსზე, მოქანდაკეზე, თეატრის მხატვრებზე, დიზაინერებზე, მოდის ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანებზე. მათი სამეტყველო ენა ნახაზი, ნახატი, ესკიზია.

ცხოვრებამ, თავისი განვითარების ტემპებიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, მოითხოვა ერთიანი საერთაშორისო სტანდარტების შექმნა. ამის გამო შეიქმნა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ISO (International Organization for Standardization), რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 1947 წლის 23 თებერვალს, როგორც ნებაყოფლობითმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ. იგი დაფუძნდა 1946 წელს ლონდონში, ინდუსტრიულად განვითარებული 25 ქვეყნის მიერ მიღებულ შეთანხმების საფუძველზე – შექმნილიყო ორგანიზაცია საერთაშორისო დონეზე მაკოორდინირებელი უფლებებით, რომელიც მიიღებდა სხვადასხვა

საწარმოო სტანდარტებს და განახორციელებდა მათი საერთაშორისო სტანდარტის ხარისხში მიღების პროცედურას. დღეისათვის ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 165 ქვეყანა.

თანამედროვე ტექნოლოგიური მანქანების, მოწყობილობათა და ხელსაწყოთა შექმნისთვის და ასათვისებლად აუცილებელია კონსტრუქტორული დოკუმენტაციის ერთიანი სისტემა (კდეს), რომელიც არის ქვეყნის სახელმწიფო სტანდარტების კომპლექსი, რომელიც ამყარებს კავშირს კონსტრუქტული დოკუმენტაციის დამუშავების, გაფორმების და წარმოების ერთიან წესებს შორის და წარმოებაში გამოიყენება ორგანიზაციების მიერ.

კონსტრუქტორული დოკუმენტაციის წარმოების ერთიანი წესები ვრცელდება ყველა სახის კონსტრუქტორულ დოკუმენტებზე, როგორცაა: სანგარიშო-სარეგისტრაციო, ნორმატიულ-ტექნიკური და ტექნოლოგიურ დოკუმენტებზე, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური და სასწავლო ლიტერატურა.

სუნდა აღინიშნოს, რომ ყველა განვითარებულ ქვეყანას თავისი კდეს გააჩნია. საქართველო, რომელიც შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ბუნებრივად იყო საბჭოთა კდეს მომხმარებელი, ხოლო დღევანდელ რეალობაში, როდესაც საქართველო წარმოადგენს სუვერენულ რესპუბლიკას, მას საკუთარი კდეს არ გააჩნია და სარგებლობს კონსტრუქტორული დოკუმენტაციის წარმოების იმ მოთხოვნებით და წესებით, რითაც სარგებლობდა აქამდე, ანუ საბჭოთა კავშირის კდეს სისტემით.

კდეს სტანდარტები მოიცავს შემდეგ საკლასიფიკაციო ჯგუფებს:

1. საერთო მდგომარეობა;
2. ძირითადი მდგომარეობა;
3. ნაკეთობათა აღნიშვნა და კლასიფიკაცია საკონსტრუქტორო დოკუმენტაციაში;
4. ნახაზების შესრულების საერთო წესები;
5. მანქანათმშენებლობის და ხელსაწყოთ-

მშენებლობის ნაკეთობათა ნახაზების შესრულების წესები;

6. კონსტრუქტორული დოკუმენტების მოქცევის წესები (აღრიცხვა, შენახვა, დუბლირება, შესწორება, შეტანა);
7. საექსპულატაციო და სარემონტო დოკუმენტების შესრულების წესები;
8. სქემების შესრულების წესები;
9. სამშენებლო და გემთმშენებლობის დოკუმენტების წარმოების წესები;
10. დანარჩენი სტანდარტები;

კდეს სტანდარტების აღნიშვნა აგებულია კლასიფიკაციის პრინციპზე და თითოეულ ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს 99 სტანდარტით.

უნდა აღინიშნოს, რომ კდეს-ის არარსებობა გაუგებრობაში აყენებს და ერთგვარ უხერხულობას უქმნის ჩვენს ქვეყანას. საინჟინრო საქმიანობა მკვიდრად ეყრდნობა სახელმწიფო სტანდარტებს, იგი მისი ორიენტირია და გარკვეულწილად ამ სფეროში წესრიგის დამამყარებელი. უამრავი დეტალი თუ ნაკეთობა სტანდარტულია (მაგ., ჭანჭიკი, ქანჩი, საკისარი, რედუქტორი, ძრავა და ა.შ) გარკვეული ქვეყნის სტანდარტით, რომელსაც კონსტრუქტორი იყენებს ახალი ნაკეთობის შექმნისას. იყენებს როგორც მზა ნაკეთობას, რომლის ყიდვა შეიძლება და არ საჭიროებს ნახაზების დახაზვას. ამ შემთხვევაში, ტექნიკური დოკუმენტაციის სპეციფიკაციაში მიეთითება ნაკეთობის სტანდარტი და რაოდენობა და პრობლემა ძალიან მარტივად გვარდება, იზოგება ძვირად ღირებული დრო და შრომითი რესურსი!

შექმნილ ვითარებაში კი ჩვენ თვით ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნის სტანდარტიც კი არ გავაჩნია და ყოველი ახალი ნაკეთობა თუ საინჟინრო ქმნილება ფორმდება არარსებული ქვეყნის (სსრკ) სტანდარტებით. სტუდენტები, რომელთა სწავლება ორიენტირებული და მორგებული უნდა იყოს ISO სტანდარტებზე, ეცნობიან და სწავლობენ არარსებული ქვეყნის

ტექნიკურ სტანდარტებს (კონსტრუქციების სწავლებისას პედაგოგები იძულებულნი ვართ ასე მოვიქცეთ!).

ეს საკითხი მნიშვნელოვანია თავმოყვარე ქვეყნისთვის, რომელსაც სურვილი აქვს ირიცხებოდეს განვითარებული ქვეყნების ჩამონათვალში, მის მიერ წარმოებული პროდუქცია იყოს თანამედროვე და კონკურენტუნარიანი, ახალგაზრდა თაობა დაუფლებული კაცობრიობის უახლეს მიღწევებს, უნდა გააჩნდეს საკუთარი სახელმწიფო სტანდარტები, როგორც დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ატრიბუტი.

სამწუხაროდ, ეს საკითხი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და თხოულობს საკანონმდებლო სივრცეში მოქცევას, რასაც სჭირდება დარგის მაღალი კლასის სპეციალისტების კონსოლიდირებული კოლექტივი, რომელიც იმუშავებს ქვეყნის სტანდარტების შექმნაზე ISO სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად.

ეს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულია ტექნიკის სფეროში მომუშავეთათვის – კონსტრუქტორებისთვის, მშენებლებისთვის (ჰიდრო და სამოქალაქო, სარკინიგზო, საგზაო და ა.შ). ვფიქრობთ, პრობლემის გადაწყვეტაში ქვეყანას მნიშვნელოვანი დახმარება უნდა გაუწიოს საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და მისმა პროფესორამ. ამოცანა რთულია, მაგრამ გადაწყვეტას აუცილებლად საჭიროებს.

დასკვნა

საწყის ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი ქვეყნის განვითარების პრიორიტეტული დარგები, კარგი იქნება საქართველოს სახელმწიფო დონეზე ქონდეს იურიდიული უფლება ისარგებლოს ევროგაერთიანების ან რომელიმე ქვეყნის სტანდარტებით, ვისთანაც ექნება კიდევაც სავაჭრო ურთიერთობა საინჟინრო-ტექნიკური ნაკეთობების შექმნის კუთხით. წინააღმდეგ შემთხ-

ვევაში საქართველოში შექმნილი საინჟინრო-ინტელექტუალური პროდუქცია საქართველოს საზღვრებს ვერ გასცდება და შეიძენს პროვინციულ ელფერს. საქართველო იქნება მხოლოდ მომხმარებელი და არა მწარმოებელი ქვეყანა (შესაძლებელია, შექმნილი ვითარება სწორედ ამაზეა გათვლილი!), ეს კი რასაც ნიშნავს, ვფიქრობთ დიდ ახსნას არ საჭიროებს.

*მაია ბარბაქაძე, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*სიმონ ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

სახელმწიფო სტანდარტების უქონლობით გამოწვეული პრობლემები

რეზიუმე

დღეისათვის საქართველოს არ გააჩნია სტანდარტები კონსტრუქტორული დოკუმენტაციის საწარმოებლად, რაც აუცილებელია თანამედროვე სამრეწველო სამყაროში თანაარსებობისთვის. პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს მაღალ საკანონმდებლო დონეს მაღალი კვალიფიკაციის დარგის სპეციალისტების ჩართვით.

საკვანძო სიტყვები: ტექნიკური დოკუმენტაცია, ნახაზი, ნაკეთობა, სტანდარტი.

Maia Barbakadze,
Associated Professor
Georgian Technical University,

Simon Bitsadze,
Associated Professor
Georgian Technical University,

Майя Барбакадзе, ассоциированный профессор,
Грузинский Технический Университет
Симон Бицадзе, ассоциированный профессор,
Грузинский Технический Университет

THE PROBLEMS CAUSED BECAUSE OF STATE
STANDARDS LACK

SUMMARY

Currently Georgia hasn't any available standards for the production of construction documentations that is necessary for coexistence in today's manufacturing world. Solution of problem requires a high legislative level, including highly qualified industry specialists.

Key words: technical documentation, drawings, products, standard.

ПРОБЛЕМЫ ВЫЗВАННЫЕ ИЗ ЗА ОТСУТСТВИЯ
ГОСУДАРСТВЕННЫХ СТАНДАРТОВ

РЕЗЮМЕ

На сегодняшний день Грузия не имеет собственных стандартов для производства конструкторской документации, что необходимо для сосуществования в современном индустриальном мире. Решение проблемы требует высокого законодательного уровня, включая отраслевых специалистов высшей квалификаций.

Ключевые слова: техническая документация, чертеж, изделие, стандарт.

პროექტის რისკების მართვის ღაბგაბა

ნატო ბებიაშვილი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არჩილ გრიგალაშვილი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
XX

საკვანძო სიტყვები: პროექტების მართვა, პროექტის რისკები, რისკების მონიტორინგი.

ნებისმიერ პროექტს თან ახლავს რისკები, ამიტომ აუცილებელია მათი დროულად განსაზღვრა და აღმოფხვრა. პროექტის რისკების მართვის გეგმა შეიცავს პროექტის რისკების მართვის სტრუქტურათა აღწერას და პროექტის ჩარჩოებში მისი შესრულების თანმიმდევრობას.


ეს გეგმა შეიტანება პროექტის მართვის შემადგენლობაში. რისკების მართვის გეგმა შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ◆ **მეთოდოლოგია.** მიდგომების, ინსტრუმენტების და იმ მონაცემთა წყაროების განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოცემულ პროექტში რისკების სამართავად.
- ◆ **როლების და პასუხისმგებლობის განაწილება.** შესრულების პოზიციათა სია. თითოეული პოზიციისთვის, რისკების მართვა და ხელშეწყობა, რომლებიც შეტანილია რისკების მართვის გეგმაში, თანამშრომელთა დანიშვნა ამ პოზიციაზე და მათთვის მათი პასუხისმგებლობის ახსნა.
- ◆ **ბიუჯეტის დამუშავება.** ღონისძიებების ღირებულების შეფასება და რესურსების გამოყოფა, რაც აუცილებელია რისკების მართვისთვის. ეს მონაცემები ჩაირთვება პროექტის ღირებულების საბაზო გეგმაში.
- ◆ **ვადები.** ვადების განსაზღვრა და რისკების მართვის პროცესების შესრულების სიხშირე პროექტის სასიცოცხლო ციკლის მთელ მანძილზე. აგრეთვე ოპერაციათა

განსაზღვრა რისკების მართვისას, რომლებიც პროექტის განრიგში აუცილებლად უნდა იქნეს ჩართული.

- ◆ **რისკების კატეგორიები.** სტრუქტურა, რომლის საფუძველზე ტარდება სისტემატური და რისკების ყოველმხრივი იდენტიფიკაცია, დეტალიზაციის საჭირო ხარისხით. მსგავსი სტრუქტურა ზრდის რისკების ეფექტიანობასა და იდენტიფიკაციის ხარისხს. [1]

ორგანიზაციას შეუძლია გამოიყენოს ტიპური რისკების კლასიფიკაცია, რომელიც ადრე იყო დამუშავებული. მსგავსი სტრუქტურა შეიძლება დამუშავებული იქნას რისკების იერარქიული სტრუქტურათა შედგენის მეშვეობით (იხ. ნახ. 1). მაგრამ იგივე ამოცანა შეიძლება უბრალოდ გადაიჭრას, ამისთვის უნდა შედგეს პროექტის რისკების სხვადასხვა ასპექტის ნუსხა. რისკების იდენტიფიკაციის პროცესში რისკების კატეგორიები შეიძლება გადაიხედოს. კარგ პრაქტიკად ითვლება რისკების კატეგორიათა გადასინჯვა რისკების მართვის დაგეგმარების დროს, იქამდე სანამ ეს კატეგორიები გამოყენებულ იქნება რისკების იდენტიფიკაციის პროცესში. სანამ გამოყენებულ იქნება რისკების კლასიფიკაცია მიმდინარე პროექტში, რომელიც ადრეულ პროექტებს ემყარებოდა, ის ალბათ უნდა დაზუსტდეს, შეიცვალოს ან ახალი პროექტის სპეციფიკასთან ადაპტირდეს.



ნახ. 1.

რისკების აღმოცენების ალბათობის განსაზღვრა და მათი შედეგები

კეთილსინდისიერი და სრულფასოვანი რისკების ხარისხობრივი ანალიზი ვარაუდობს, რომ განისაზღვრა რისკების წარმოშობის სხვადასხვა დონის ალბათობა და მათი შედეგები. საერთო განსაზღვრებები ალბათობის დონეების და დონეების ზემოქმედებისა თითოეული პროექტისთვის ცალკე ადაპტირდება, რისკების მართვის დაგეგმვის პროცესში და შემდგომ რისკების ხარისხობრივ ანალიზის პროცესში იხმარება.

შეიძლება გამოყენებულ იქნას შეფარდებითი (შედარებითი) შკალა, სადაც ალბათობა აღწერილია ალნიშნული, ადგავარი მნიშვნელობებით, “ძალიან ნაკლებსავაუდო”-დან “თითქმის დანადვილებით”. შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე შკალა, სადაც ალბათობას შეესაბამება ციფრობრივი მნიშვნელობა, მაგალითად: 0,1 - 0,3 - 0,5 - 0,7 - 0,9. ალბათობის გრადუირების სხვა ხერხი ვარაუდობს პროექტის მდგომარეობის აღწერის შექმნას, რომელიც შეესაბამება განხილულ რისკს (მაგალითად პროექტის დაპროექტების დასრულების დონე). [2]

რისკების მონიტორინგი და მართვა

რისკების მონიტორინგი და მართვა _ ესაა ახლად წარმოქმნილი რისკების იდენტიფიკაციის, ანალიზის და დაგეგმვის პროცესი.

რისკების მონიტორინგისა და მართვისას გამოიყენება სხვადასხვა მეთოდიკა. მაგალითად, ტრენდების და გადახრების ანალიზი, რისთვისაც აუცილებელია მონაცემები შესრულების შესახებ, რომლებიც პროექტის შესრულების დროსაა შეკრებილი. რისკების მონიტორინგი და მართვა, ისევე როგორც რისკების მართვის სხვა პროცესები, წარმოადგენს მუდმივ პროცესს, რომელიც პროექტის სასიცოცხლო ციკლის მთელ პერიოდს გასდევს. რისკების მონიტორინგის და მართვის პროცესის სხვა მიზნები უნდა განისაზღვროს თუ:

- ◆ პროექტის დაშვებები (ვარაუდები) კვლავ არსებობენ.
- ◆ ტრენდების ანალიზმა აჩვენა, რომ თავდაპირველი შეფასების შემდეგ რისკის მდგომარეობა შეიცვალა.
- ◆ რისკების მართვის პროცედურები სათანადოდ სრულდება.

- ◆ ღირებულების და მართვის რეზერვები უნდა განახლდეს პროექტის რისკების ცვლილებასთან ერთად (ერთდროულად).

მონიტორინგი და რისკების მართვა უნდა შეიცავდეს ალტერნატიულ სტრატეგიის არჩევანს, გეგმის შესრულებას გაუთვალისწინებელ გარემოებათა აღმოცენებისას და სათანადო გეგმას, მაკორექტირებელ მოქმედებათა შესრულებას და პროექტის მართვის გეგმის განახლებას. [3]

რისკებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელი პერიოდულად უნდა ახარებდეს ანგარიშს პროექტის მენეჯერს გეგმის შესრულების ეფექტიანობაზე, ასევე ყველა გაუთვალისწინებელ ეფექტზე და შესწორებებზე, რომელიც აუცილებელია რისკის სათანადო მართვისთვის. მონიტორინგი და რისკების მართვა შეიცავს საორგანიზაციო პროცესების აქტივების განახლებას, აგრეთვე საბაზო მონაცემებს პროექტის შედეგებისას დაგროვილ ცოდნაზე და რისკების მართვის შაბლონებს, რომლებიც გამოადგება ახალ პროექტებს.

1. რისკების მართვის გეგმის საწყისი მონაცემები

ეს გეგმა გულისხმობს: თანამდებობებზე დანიშვნას, მათ შორის იმ პირებისა, რომლებიც პასუხისმგებლები არიან რისკებზე, ვადებზე და სხვა რესურსებზე, რაც გათვალისწინებულია პროექტის რისკების მართვისას.

2. რისკების რეესტრი

რისკების რეესტრის საწყისი მონაცემებს განეკუთვნებიან:

- 1) იდენტიფიცირებული რისკები და პირები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან რისკებზე.
- 2) რისკებზე რეაგირებისთვის დამტკიცებული ოპერაციები.
- 3) მონარჩენი და მეორადი რისკები.
- 4) სპეციალური ხასიათის ოპერაციები.
- 5) რისკების ნიშნები და სიმპტომები.
- 6) დაბალი პრიორიტეტების მქონე რისკების სია, რომლებიც დაკვირვებას საჭიროებს.
- 7) გაუთვალისწინებელი გარემოებების ვადების

და საბიუჯეტო რეზერვები.

3. მოწონებული მოთხოვნები ცვლილებებზე

ცვლილებებზე არსებული მოწონებული მოთხოვნები შეიძლება შეიცავდეს ცვლილებებს, რომელიც ეხება სამუშაოთა მეთოდებს, კონტრაქტების პირობებს, შინაარსს და განრიგს. მოწონებულმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს რისკები ან ცვლილებები იდენტიფიცირებულ რისკებში. ამიტომ ეს ცვლილებები უნდა გაანალიზდეს, შემოწმდეს რისკების რეესტრი, რისკებზე რეაგირების გეგმა ან რისკების მართვის გეგმა. ყველა ცვლილება დოკუმენტალურად უნდა იქნეს გაფორმებული. ზეპირად გამოთქმული მოსახრებები, რომლებიც ოფიციალურ დოკუმენტებში არ არის ასახული არ დამუშავდება და პროექტში შეტანილი არ იქნება.

4. ინფორმაცია სამუშაოთა შესრულების შესახებ.

ინფორმაცია სამუშაოთა შესახებ, პროექტის შედეგების სტატუსი, შესწორებები და ანგარიშები შესრულების შესახებ არის საგულისხმო ინფორმაცია რისკების მონიტორინგის და მართვის პროცესში.

რისკების გადახედვა

რისკების მართვის და მონიტორინგის პროცესში ხშირად წარმოიქმნება იმის აუცილებლობა, რომ მოხდეს ახალი რისკების იდენტიფიკაცია და არსებული, ცნობილი რისკების გადახედვა. რისკების გადახედვა უნდა ხდებოდეს რეგულარულად, განრიგის თანახმად. პროექტის რისკების მართვა ყოველთვის უნდა იყოს პროექტის გუნდის ყველა თათბირის დღის წესრიგის აუცილებელი პუნქტი. იმ შემთხვევაში თუ წარმოიქმნება რისკი, რომელიც არ არის მოცემული რისკების რეესტრში ან თუ მისი შედეგები პროექტის მიზანზე განსხვავდება მოსალოდნელისაგან, მაშინ გეგმიური ღონისძიებები რისკებზე რეაგირებისათვის არასაკმარისი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში რისკის მართვისათვის საჭირო

იქნება დამატებითი დაგეგმვის ჩატარება იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც საჭიროა რისკებზე რეაგირებისათვის.

რისკების აუდიტი გულისხმობს რისკებზე რეაგირების ღონისძიებათა ეფექტიანობის შეფასების შედეგების შესწავლას და დოკუმენტური სახით წარმოდგენას რისკებზე, რომლებიც განეკუთვნებიან იდენტიფიცირებულ რისკებს. უნდა მოხდეს მათი წარმოქმნის ძირითადი მიზეზების შესწავლა და აგრეთვე რისკების მართვის ეფექტიანობის პროცესების შეფასება.

გადახრების და ტრენდების ანალიზი

ტრენდები (ტენდენციები) პროექტის შესრულების პროცესში საჭიროებს შემოწმებას შესრულების შესახებ მონაცემების გამოყენებით. მთელი პროექტის შესრულების მონიტორინგისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს ათვისებული მოცულობის ანალიზი და პროექტის გადახრების და ტრენდების ანალიზის სხვა მეთოდები. ამ ანალიზის შედეგების საფუძველზე შეიძლება პროგნოზის გაკეთება პროექტის პოტენციური გადახრის შესახებ მისი დასრულების მომენტისათვის ღირებულების და განრიგის მაჩვენებლების მიხედვით. საბაზო გეგმიდან გადახრები შეიძლება გვიჩვენებდნენ შედეგებს, რომლებიც გამოწვეულია საფრთხეებით ან ხელსაყრელი შესაძლებლობებით.

რეზერვების ანალიზი

პროექტის შესრულების პროცესში შეიძლება წარმოიქმნას რისკები, რომლებიც პოზიტიურ ან ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ ბიუჯეტზე ან გაუთვალისწინებელი გარემოებების რეზერვებზე. რეზერვების ანალიზისას, რათა განისაზღვროს რეზერვის ნაშთის ადეკვატურობა, აუცილებელია დარჩენილი რეზერვების მოცულობის შედარება დარჩენილი რისკების რაოდენობასთან, პროექტის შესრულების პროცესის ნებისმიერი დროის მომენტისათვის არსებული მდგომარეობით.

ლიტერატურა:

1. Руководство к своду знаний по управлению проектами. Project Management Institute, USA, 2004
2. ნატო ბებიაშვილი, ბიუჯეტირება და კონტროლი, კონსპექტი. თბ. 2011, 141გვ.
3. Мазур И. И. Управление проектами. Б М: Экономика, 2001

ნატო ბებიაშვილი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არჩილ გრიგალაშვილი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროექტის რისკების მართვის დაგეგმვა

რეზიუმე

პროექტის რისკების მართვის გეგმა შეიცავს შემდეგ ელემენტებს: **მეთოდოლოგია; როლების და პასუხისმგებლობის განაწილება; ბიუჯეტის დამუშავება; ვადები; რისკების კატეგორიები.** პროექტისათვის ორგანიზაციას შეუძლია გამოიყენოს ადრე დამუშავებული ტიპური რისკების კლასიფიკაცია.

რისკების მონიტორინგისა და მართვისას უნდა გამოიყენებოდეს სხვადასხვა მეთოდიკა, ისეთები როგორცაა ტრენდების და გადახრების ანალიზი.

*Nato Bebiashvili,
Associate Professor,
Georgian Technical University*

*Archil Grigalashvili,
Associate professor,
Georgian Technical University*

*Нато Бебиашвили,
ассоциированный профессор,
Грузинский Технический Университет*

*Арчил Григалашвили,
ассоциированный профессор,
Грузинский Технический Университет*

Planning Project Risk Management

SUMMARY

The risk management planning of the project includes the following elements: methodology; roles and responsibilities; the budget process; time; risk category. For the project an organization can use previously developed typical risk classification. For monitoring and risk management, different methods such as trend analysis and the analysis of variance must be applied.

Key words: *Project Management, Project Risks, Risk Monitoring*

Планирование управления рисками проекта

РЕЗЮМЕ

План управления рисками проекта включает в себя следующие элементы: методология; распределение ролей и обязанностей; бюджетный процесс; сроки; категории риска. Для проекта организация может использовать ранее разработанную типичную классификацию рисков. Для мониторинга и управления рисками нужно применять разные методы, такие как, анализ тенденций и анализ отклонений.

Ключевые слова: *инновационный продукт, жизненный цикл, затраты, себестоимость*

**ინოვაციური პროექტის სასიცოცხლო ციკლის ეტაპებზე დანახარჯების
ბანსაზღვრა**

*ნატო ბებიაშვილი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*არჩილ გრიგალაშვილი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
XX

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური პროდუქტი, სასიცოცხლო ციკლი, დანახარჯები, თვითღირებულება

ინოვაციური პროდუქტის სასიცოცხლო ციკლში იგულისხმება მისი არსებობის ხანგრძლივობა მოცემული პროდუქტის წარმოების აუცილებლობის დასაბუთების მომენტიდან, აგრეთვე იგულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებას, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტის შექმნასთან და სრულდება იმ მომენტში, როცა ექსპლუატაციიდან მოიხსნება ამ პროდუქტის ბოლო ეგზემპლარი (მორალური ან ფიზიკური ცვეთის გამო), ასევე დამთავრდება სამუშაოები ამ პროდუქტის უტილიზაციისათვის.

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი ხასიათდება დროითი და ეკონომიკური პარამეტრებით. მათგან უმთავრესია ეკონომიკური პარამეტრები, რომლებიც ხასიათდება მოცულობითი, დანახარჯვითი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან. პროდუქტის საჭირო ხარისხის მისაღებად საჭიროა დასაბუთების, მეცნიერული კვლევის, დამუშავების და წარმოებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების რაციონალური მოცულობა.

პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხის პარამეტრები და მათი წარმოების მოცულობა განსაზღვრავს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ეკონომიკურ დანახარჯებს.

ამასთან ერთად კავშირი დროით და ხარჯვით პარამეტრებს შორის არაა ერთგვარი. ზოგ შემთხვევაში ციკლის გახანგრძლივება იწვევს საერთო დანახარჯების გაზრდას, ხოლო ზოგჯერ მაგ., ნაკეთობის უფრო დაწვრილე-

ბითმა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებამ, შეიძლება მოგვეცეს მნიშვნელოვანი ეკონომია ამ პროდუქტის წარმოების და ექსპლუატაციის პროცესში.

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ელემენტები: სტრუქტურა – ხანგრძლივობა – მოცულობა – ხარისხი, განსაზღვრავენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარამეტრს – დანახარჯებს. პროდუქცია, სამუშაოები და მომსახურება, წარმოადგენენ როგორც საწარმოო პროცესის მიზანს, ისე მის შედეგს და მოიცავენ სასიცოცხლო ციკლის ყველა ელემენტის დანახარჯებს. (იხ. ცხრილი 1.) [1]

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი შეიძლება იყოს სრული, არასრული და კერძო (რომელიც ახასიათებს გარკვეულ ცალკეულ სტადიას).

პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის სტადიების მიხედვით ჩაითვლება შემდეგი დანახარჯები:

1. პროდუქციის კვლევა და დამუშავება – დანახარჯები სამეცნიერო კვლევაზე და სიახლეების დამუშავებაზე მოიცავენ შემდეგ დანახარჯებს:

- ჩანაფიქრის კვლევა და საბოლოო დამუშავება;
- საპროექტო, საკონსტრუქტორო და სამუშაო დოკუმენტაციის დამუშავება საცდელი ნიმუშის ან პარტიისათვის;
- სამუშაო საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის მომზადება პროდუქციის დამზადებისათვის;
- საცდელი ნიმუშის (პარტიის) დამზადება და გამოცდა.

ცხრილი 1. პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ძირითადი პარამეტრების შინაარსი

სტრუქტურული (სტადიები)	სასიცოცხლო ციკლის ძირითადი პარამეტრები		მოცულობითი	ხარისხობრივი	ხარვეზითი
	ხანგრძლივობა	დამთავრება			
კვლევა და დამუშავება	კონკრეტული პროდუქტის სამეცნიერო-კვლევითი დამუშავების ჩატარების დასაბუთების მომენტები	აქტი საცდელი ნიმუშის შემკვეთისათვის გადაცემის შესახებ	სამუშაოების საერთო მოცულობა, მათ შორის სამეცნიერო-კვლევით და საცდელი-საკონსტრუქციო სამუშაოებზე	ხარისხის და სამომავლო მარკეტინგის შესაბამისობა მეცნიერების და ტექნიკის საუკეთესო მიღწევებთან ან კონკურენტულ ნიმუშებთან	ჯამური დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, წარმოების საკონსტრუქციო და ტექნოლოგიურ მომზადებაზე
დამზადება	მოცემულ პროდუქციაზე ტექნიკური დოკუმენტაციის მიღება	ბოლო ნაკეთობის (პარტიის) გადატვირთვა	გამომშენებლის მოცულობა (ნატურალურ ერთეულებში) წლების და წარ-მოების მთლიანი ციკლის მიხედვით	პროექტით გათვალისწინებული ხარისხობრივი პარამეტრების და წარმოებაში მაღალი ტექნიკური დონის დაცვა	ჯამური დანახარჯები: წარმოების მომზადებაზე, პროდუქციის დამზადებაზე, ხარისხის და წარმოების დონის დაცვაზე
რეალიზაცია	მომხმარებლისათვის პროდუქტის პირველი ეგზემპლარიის გადატვირთვა	მომხმარებლისათვის პროდუქტის ბოლო ნაკეთობის (პარტიის) მიწოდება	დამზადების და სატრანსპორტო ხარჯები პროდუქციის მომხმარებელამდე მიტანისათვის	პროდუქციის დაცულობის უზრუნველყოფა	ჯამური დანახარჯები პროდუქციის მომხმარებელამდე მიტანისათვის, მათ შორის სატრანსპორტო და მარკეტინგული
ექსპლუატაცია	მომხმარებლის მიერ პროდუქციის პირველი ეგზემპლარიის მიღება	კონკრეტული სახის პროდუქციის ბოლო ეგზემპლარიის ექსპლუატაციიდან მოხსნა	წარმოების სასიცოცხლო ციკლში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა	საექსპლუატაციო თვისებების მაქსიმალური გამოყენება და მათი ოპტიმალური დონეზე შენარჩუნება	ჯამური დანახარჯები პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში
უტილიზაცია	პროდუქციის პირველი ეგზემპლარიის ექსპლუატაციიდან ჩამოწერა	პროდუქციის ბოლო ეგზემპლარიის ჩაბარება რესურსების ჩაბარება	ნარჩენებში ჩაბარებული პროდუქციის რაოდენობა	სამუშაოების წარმოების დონის შესაბამისობა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებთან	ჯამური დანახარჯები პროდუქციის უტილიზაციაზე

2. პროდუქციის დამზადება – დანახარჯები მომზადებაზე და ათვისებაზე, აგრეთვე პროდუქციის სერიულ წარმოებაზე, ტექნიკური დონის და ხარისხის დაცვაზე სერიულად ათვისებული პროდუქციისათვის.

3. პროდუქციის რეალიზაცია – დანახარჯები ტარაზე და სატრანსპორტო ოპერაციებზე, რომლებიც დაკავშირებულია მზა პროდუქციის მოხმარების ადგილამდე მიტანასთან, მისი დაცულობის და საექსპლუატაციო მახასიათებლების უზრუნველყოფასთან ტრანსპორტირებისას და რეალიზაციისას.

4. პროდუქციის ექსპლუატაცია (გამოყენება) – დანახარჯები შექმნაზე, მონტაჟზე, პროდუქციის და კადრების მომზადება ექსპლუატაციისათვის, მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები, დანახარჯები რემონტზე და მომსახურებაზე.

5. პროდუქციის უტილიზაცია – დანახარჯები კვლევაზე, უტილიზაციის საშუალებების დამზადებაზე, სატრანსპორტო ხარჯები, სპეციალური კონტეინერები, ტარა და სხვა დანახარჯები დაკავშირებული უტილიზაციასთან.

დანახარჯების სიდიდე სასიცოცხლო ციკლის სტადიების მიხედვით დამოკიდებულია პროდუქციის სახეზე, მის ტექნიკურ სირთულეზე და სიახლეზე. პრინციპიალურად ახალი, ტექნიკურად რთული პროდუქცია ითხოვს უფრო მეტ დანახარჯებს სამეცნიერო კვლევაზე და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე. დანახარჯები ამ სტადიაზე შეიძლება ბევრჯერ აღემატებოდეს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სხვა დანახარჯებს.[2]

უნდა აღინიშნოს, რომ მართვის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს დანახარჯების შეფასებას ახალი ინოვაციური პროდუქციის შექმნაზე, რომელიც ეფუძნება მომავალი გაყიდვებიდან მიღებული მოგების შედარებას მიმდინარე და მომავალ ინვესტიციებთან. ამგვარად, მომავალი ნაკეთობების თვითღირებულების შეფასება აუცილებელია მათი დამუშავების და ათვისების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად. თანაც, რაც უფრო ადრე იქნება ეს შეფასება გაკეთებული, მით უფრო ნაკლებია რისკი არაეფექტიან ინოვაციურ პროექტში თანხების

დაბანდებისა. ახალი ნაკეთობის დასაბუთების და დაპროექტების სტადიაზე ჩაიდება მომავალი საქონლის კონკურენტუნარიანობა და ეფექტიანობა.


მომავალი საქონლის თვითღირებულების შეფასებისათვის აუცილებელია მისი განმსაზღვრელი ფაქტორების ერთობლიობის განსაზღვრა. (იხ. ნახ. 11).

მაკროეკონომიკური ფაქტორები გამოვლინდება მასალებზე და სხვა რესურსებზე ფასებით, რომლებიც საჭიროა პროდუქციის წარმოებისათვის. მაგ. კრედიტის განაკვეთები, გადასახადები და სხვა გარე ფაქტორები, რომლებზეც საწარმოს არ შეუძლია გავლენის მოხდენა. ინფლაციის ტემპის და საბანკო განაკვეთების სიდიდის პროგნოზირება საკმაოდ რთულია და, როგორც წესი არასაიმედო. ამიტომ მომავალი საქონლის თვითღირებულების შეფასებისას მიზანშეწონილია ჩაითვალოს, რომ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა უცვლელი იქნება, ანუ უნდა დავეყრდნოთ არსებულ ფასებს.

ნაკეთობის ტექნიკური დონე – მაგ. ავტომობილისათვის ასეთი მახასიათებლებია ძრავის სიმძლავრე, საიმედობა, საწვავის ხარჯი და სხვა.

ტექნიკური დონის მაჩვენებლები უმნიშვნელოვანესია ინოვაციური პროდუქტის დანახარჯების განსაზღვრისათვის. სწორედ მათი შეფასებით იწყება ნაკეთობის სასიცოცხლო ციკლი, შემდეგ ბაზრის მარკეტინგი გვიჩვენებს მომხმარებლების მოთხოვნის დონეს, კონკურენტების პოლიტიკას, რის შემდეგაც შემუშავდება ტექნიკური პირობები ნაკეთობაზე.

დამუშავების ხარისხი მოქმედებს დანახარჯებზე, რაც აუცილებელია გარკვეული ტექნიკური დონის ნაკეთობის მოსამზადებლად. დამუშავების ხარისხის მთავარი მაჩვენებელია კონსტრუქციის ტექნოლოგიურობა. რაც უფრო მეტ ორიგინალურ ნაკეთობას, დეტალებს შეიცავს დამუშავება, მით უფრო დაბალია მისი ტექნოლოგიურობა, ხოლო რაც უფრო მეტად დახვეწილი პროცესები გამოიყენება წარმოებაში, ის მით უფრო მაღალია.



ნახ. 1. ფაქტორების კლასიფიკაცია, რომლებიც განსაზღვრავენ ნაკეთობის თვითღირებულებას

დამუშავება დასრულდება მიღება-ჩაბარების შემოწმებით და დამკვეთი (ანუ საწარმო) იღებს დოკუმენტაციას ნაკეთობაზე, რომელშიც შეცდომების რაოდენობა დაყვანილი უნდა იქნეს მინიმუმამდე, რადგან რაც ნაკლებია შეცდომა, მით უფრო ნაკლებია დანახარჯები, გამოწვეული ამ შეცდომებით (წუნის დანახარჯები, დანახარჯები ტექნიკური დოკუმენტაციის შესაცვლელად და ა.შ.).

წარმოების პირობები დანახარჯთა დონის თვალსაზრისით გამოიხატება წარმოების მოცულობით, ტექნიკის, ტექნოლოგიების და წარმოების ორგანიზების პროგრესულობით, მენეჯმენტის ხარისხით და სხვა. ამასთან წარმოების მოცულობა დამოკიდებულია მოთხოვნაზე, ბაზრის ტევადობაზე და კონკურენტთა პოლიტიკაზე.[3]

ამგვარად დანახარჯების განსაზღვრა და ნორმირება პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიაზე აუცილებელია სწორი მენეჯმენტისათვის, რათა მოხდეს მათი მართვა დანახარჯების სტაბილიზაციისა და სისტემატური შემცირების მიზნებისათვის. თუ არ

ხდება დანახარჯთა განსაზღვრა და ნორმირება, დანახარჯები სტიქიურ ხასიათს იღებენ, არ ექვემდებარებიან მართვის პროცედურებს და იძენენ მატების ტენდენციას ნაცვლად ხარჯების შემცირებისა. ფაქტობრივ დანახარჯთა მუდმივი შედარება მათ ნორმატიულ ოდენობასთან, გამოავლენს დანახარჯთა შემცირების რეზერვებს და პროდუქციის ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას. ნორმირების გარეშე დანახარჯების მართვა შეუძლებელია. ნორმატიული ბაზა გამოიყენება პროგნოზირებისა და დაგეგმარებისათვის, საწარმოო პროცესის ორგანიზებისა და რეგულირებისათვის, შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირებისათვის, აღრიცხვისა და ანალიზისათვის.

ლიტერატურა:

1. ბებიაშვილი ნ., ინოვაციური საქმიანობის ფინანსური ანალიზი. თბ. 2011.
2. Управление инновациями. Под ред. Ю. В. Шленова. – М.2003.
3. Друри К. Управленческий учёт для бизнес решений. - М.2012

*ნატო ბებიაშვილი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*არჩილ გრიგალაშვილი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ინოვაციური პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის
ეტაპებზე დანახარჯების განსაზღვრა

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინოვაციური პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ძირითადი პარამეტრები სტადიების მიხედვით და მათი თავისებურებები. სტატიაში ნათლადაა წარმოდგენილი იმ ფაქტორების კლასიფიკაცია, რომლებიც განსაზღვრავენ ნაკეთობის თვითღირებულებას. გაანალიზებულია ეს ფაქტორები და მათი გავლენა ახალი პროდუქტის თვითღირებულებაზე. კერძოდ, მაკროეკონომიკური ფაქტორები, ნაკეთობის ტექნიკური დონე, ინოვაციის დამუშავების ხარისხი, წარმოების პირობები.

*Nato Bebiashvili,
Associate Professor,
Georgian Technical University*

*Archil Grigalashvili,
Associate professor,
Georgian Technical University*

DETERMINING THE COSTS AT LIFE CYCLE STAGES OF INNOVATIVE PRODUCTS

SUMMARY

The article deals with the basic parameters of the life cycle of the innovative product viewed stage by stage and their peculiarities. It

visually presents the classification of the factors determining the cost of the product, analyzes these factors and their impact on the cost of a new product, in particular, the macroeconomic factors, the technical level of the product, the quality of innovation development, and production conditions.

Keywords: *innovative product, life cycle, expenses, cost*

*Nato Bebiashvili,
ассоциированный профессор,
Грузинский Технический Университет*

*Арчил Григалашвили,
ассоциированный профессор,
Грузинский Технический Университет*

ОПРЕДЕЛЕНИЕ ЗАТРАТ НА ЭТАПАХ ЖИЗНЕННОГО ЦИКЛА ИННОВАЦИОННОГО ПРОДУКТА

Резюме

В статье рассмотрены основные параметры жизненного цикла инновационного продукта по стадиям и их особенности. В статье наглядно приведена классификация факторов, определяющих себестоимость изделия. Проанализированы эти факторы и их влияние на себестоимость нового продукта. В частности макроэкономические факторы, технический уровень изделия, качество разработки инновации, условия производства.

Ключевые слова: *инновационный продукт, жизненный цикл, затраты, себестоимость*

მ ო ს ა ბ ა ქ ე

*მურმან თავდიშვილი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



საკვანძო სიტყვები: არჩილ მეფე, მოსაბაქე, ფულის მოჭრა, ბაკის დატკეპნა, ნიზამი, ძაღლების ყურისმგდებელი

ამა თუ იმ ენის სიტყვათა დიდი ნაწილი ატარებს ანარეკლს იმ პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარემოსი, სადაც აღმოცენდა. ამასთანავე, „ხალხთა კონტაქტები კვალს სტოვებს ენის სტრუქტურაში“.¹ ამიტომაც ამგვარ სიტყვათა კულტუროლოგიური თვალთახედვით კვლევა ბევრს რასმე საგულისხმოს აღმოგვაჩენინებს. ამ მხრივ ფრიად სიმპტომურია სიტყვა **მ ო ს ა ბ ა ქ ე**.

თავის ცნობილ „გაბაასებაში“ არჩილ მეფე ერთგან ასე აცხადებს:

**ვინ ვერ მიჰყევს რუსთვლის თქმულსა,
გარდმობრძანდეს ასე აქეთ!
მელექსობა არ შეშვენის,
დააყენეთ მ ო ს ა ბ ა ქ ე დ !.²**

აქ საინტერესოა სიტყვა **მ ო ს ა ბ ა ქ ე დ**. ზოგმა აქ ძირ სიტყვად „საბაქა“ /ფულის საჭრელი მოწყობილობა/ დაინახა.³

მაშ, ზ.სარჯველაძის მიხედვით, **მ ო ს ა ბ ა ქ ე** არის ფულის მჭრელი, „დააყენეთ მოსაბაქედ!“ ნიშნავს „ფულის მჭრელად დააყენეთ!“

რაჭულ დიალექტში დაცულია სიტყვა „მოსაბაკე“. იგი ნიშნავს **ბ ა კ ი ს** მტკეპნელს, სოხანეს მკეთებელს.

ყველა ეს მოსაზრება ამოაყირავა ნიზამის „ლეილისა და მაჯუნის“ ყურადღებით წაკითხვამ. აღმოჩნდა, რომ არჩილის ამ გამოთქმის ძირი და ფესვი სწორედ აქ იძებნება. მაშასადამე, მეფესა და პოეტს კარგად სცოდნია აზერბაიჯანელი გენიოსის ეგ ქმნილება და მის მიერ კონტექსტში ზუსტად ჩასმული სიტყვაც – **მ ო ს ა ბ ა ქ ე** /ძაღლების ყურისმგდებელი/.

„ლეილისა და მაჯუნის“ ერთი პასაჟი ასეთია: სიყვარულისაგან გახელებული, შმაგად,

-გიჟად ქცეული მაჯუნის სატრფოს კარავთან დაბორიალობს, ლეილის უთვლის:

**ძაღლები დამრწიან შენი კარვის კართან,
მეც ძაღლი ვარ, მაწანწალა,
საკუთარი ხუხულა რომ დაჰკარგვია;
ამიყვანე, მსახურად ამიყვანე,
მ ე ძ ა ლ ე დ დ ა მ ა ყ ე ნ ე,
მიბრძანე: – ძაღლებს მოუარე!⁴**

აი, აქ გაირკვა, რომ არჩილის თქმა – „დააყენეთ მოსაბაქედ!“ ფულისხმობს მაჯუნის სიტყვებს: „მეძაღლედ დამაყენე!“

„სობაკა“ რუსული სიტყვაა, არჩილი და მის გარშემო შემოკრებილი ინტელექტუალთა ამაღლა /პოლიტიკოსები, მეცნიერები, მწერლები/ ამ დროს საკმაოდ იცნობდნენ რუსეთს, რუსულ ენას; მაგალითად, არჩილის „მკობარი“ და ქვეშევრდომი იაკობ შემოქმედელი /მიტროპოლიტი/ თუ ორჯერ არა, ერთხელ მაინც არის ნამყოფი რუსეთში ელჩად, ბუნებრივია, რუსულსაც შეისწავლიდა. ეს რომ ასეა, ჩანს მისი ნაწერებიდან, სადაც არაერთი რუსიციზმია გამოყენებული; რუსიციზმები ჩანს არჩილის შემოქმედებაშიც. თვით არჩილი რუსეთში მიიღვალა და, ვიდრე იქ წავიდოდა, ბუნებრივია, საყველპურო რუსულს მაინც შეისწავლიდა. ამიტომ რუსული სიტყვა „სობაკა“ რომ სცოდნოდა, გასაკვირი არაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში საქმე სრულიად სხვაგვარადაა. მას გამოუყენებია არა რუსული „სობაკა“, არამედ სპარსული სიტყვა, რომელიც იმავე ცხოველს აღნიშნავს და იმგვარადვე ჟღერს – ეს არის **ს ა ბ ა ქ ე**. ირკვევა, რომ რუსული „სობაკა“ მოდის სპარსული სიტყვიდან **ს ა ბ ა ჰ**. ა.გ. პრეობრაჟენსკის „რუსული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ მითითებულია: ნასესხებია ირანულიდან, სავარაუდოა, ირანელი სკვითების მეშვეობით. წარმოშობით არის მიდიური „სპაკა“ /ნახსენები აქვს ჰეროდოტეს/; ფარსულად

არისო ს ა ბ ა ჰ⁵ სწორედ ეგ „საბაკ“ უწერია ნიზამის. მითითებული ფორმა ქართულად აჟღერდება ამგვარად – ს ა ბ ა ქ . აქედან გაკეთდა არჩილისეული „მო-ს ა ბ ა ქ – ე-დ“.

მაშასადამე, იქვე მივედით, საიდანაც წამოვედით:

არჩილ ბაგრატიონს ნიზამის პოემის მნიშვნელოვანი ეპიზოდები თავისი სათქმელის შესაბამისად გამოუყენებია და განჯევის ტერმინიც სათანადოდ მოუმარჯვებია.

ლიტერატურა:

1. სოსო სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, 2, თბილისი, 2012, გვ. 39.
2. ქართული მწერლობა, 6, თბილისი, 1989, გვ. 337.
3. ზურაბ სარჯველაძე, ლექსიკონი, ქართული მწერლობა, 6, თბილისი, 1989, გვ. 866.
4. ნიზამი განჯევი, ლეილი და მაჯნუნი, მოსკოვი, 1986, გვ. 234 (რუსულ ენაზე).
5. ა.გ. პრეობრაჟენსკი, რუსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. 2, გვ. 347 (რუსულ ენაზე).

*მურმან თავდიშვილი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

„მოსაბაკე“

რეზიუმე

კულტუროლოგიური თვალსაზრისით ერთობ საინტერესოა არჩილ ბაგრატიონის მიერ მომარჯვებული სიტყვა *მოსაბაკე*. მეფე-პოეტი მიუთითებს: ვინც რუსთველს კვალში ვერ მიჰყვება, ის დასაჯეთ და *მოსაბაკე* დააყენეთ!

ზოგმა მეცნიერმა აქ რუსული სიტყვა „სობაკა“ დაინახა, ზოგმა – რაჭული დიალექტის ტერმინი „მოსაბაკე“ – ბაკის მტკეპნელი.

აღმოჩნდა, რომ არც ერთია და არც – მეორე; ავტორს კარგად სცოდნია სპარსული კულტურული სამყარო, კერძოდ სპარსული მწერლობის შედეგები – ნიზამის „ლეილი და მაჯნუნი“. გამოთქმა სიყვარულისაგან შემოიღო ტრფიალს ეკუთვნის, ლეილის რომ ეხვეწება: შენს მემადლედ /მოსაბაკედ/ დამაყენეო! ლექსიკური ერთეულიც სპარსული „საბაკ“ აღმოჩნდა.

საკვანძო სიტყვები: არჩილ მეფე, მოსაბაკე, ფულის მოჭრა, ბაკის ტკეპნა, ნიზამი, ძაღლების ყურისმგდებელი

*Murman Tavdishvili, professor,
Georgian Technical University*

“Mosabake”

RESUME

According to viewpoint of cultural sciences it is interesting that the word “mosabake” is used by Archil Bagrationi. The King-poet mentions: who doesn't follow Rustaveli he will punish him and appoint on a position of *m o s a b a k e*!

Some scientists found similarity with Russian word “sobaka” (a dog), some of them considered that it is the word from Racha dialect “mosabake” that means – “wares rammer”. Its found out that none of them were right – the author knows very well the Persian cultural world, in particular masterpiece of Persian literature – “Layla and Majnun” by Nizami. It expresses love to madness when supplicating to Layla: you have made me a dog-man /”mosabake”/! The lexical unit was found to be Persian “sabak”.

Key words: Archil bagrationi, mosabake, dog, wores rammer, Nizami, dog-mon

*Мурман Тавдишвили, профессор,
Грузинский Технический Университет*

«Мосабаке»

РЕЗЮМЕ

С культурологической точки зрения довольно интересно слово приспособленное Арчилом Багратиони М О С А Б А К Е. Царь-поэт указывает: кто не может идти в след за Руставели, того накажите и назначьте МОСАБАК-ем!

Некоторые ученые увидели здесь русское

слово Собака, некоторые – термин рачийского диалектра Мосабаке – трамбовщик земли.

Оказалось, что не одно, не другое; автор хорошо знал персидский культурный мир, в частности шедевр персидской письменности – «Лейли и Маджнун» - Низама. Выражение относится к влюбленному, помешанному от любви, когда он просит у Лейли: назначить его ее собаководом (/мосабаке!/ лексической единицей оказался персидский «Сабах».

Ключевые слова: Мосабаке, монетчик, трамбовщик земли, Низами, псарь

«Диалог религиозных лидеров и политических деятелей во имя мира и развития»

(V Съезд лидеров мировых и традиционных религий)

*Нона Кобавна Ломидзе (Грузия, Тбилиси)
Доктор политических наук,
ассоциированный профессор,
Грузинский Технический Университет*

XX

Ключевые слова: Астана, Нурсултан Назарбаев, Астанинский экономический форум Международная выставка ЕХРО-2017, Премия ЮНЕСКО «Город мира», Музей Мира и Согласия

Астана сегодня - это не только изысканная архитектура, но и культурный и интеллектуальный центр евразийского пространства где проходят различные форумы, конгрессы и другие мероприятия международного значения. Идея создания новой, современной столицы Казахстана принадлежит Главе государства Нурсултану Назарбаеву. За короткий срок новая сто-

лица, обрела статус общенациональной идеи, стала символом независимости и глобального успеха молодого государства. За последние несколько лет столица Казахстана неоднократно находилась в фокусе внимания всего мирового сообщества. В Астане прошел исторический Саммит ОБСЕ, состоялись юбилейные саммиты ШОС и ОИС, Астанинский экономический форум и другие международно-значимые события. В начале 2011 года столица республики принимала участников и гостей VII Зимних Азиатских игр. В настоящее время Астана является одним из главных фаворитов в конкурсе на проведение международной выставки ЕХРО-



«Сегодня древняя казахская земля удостоена великой чести - она приглашает лидеров и высоких представителей мировых и традиционных религий со всех концов земного шара для проведения диалога между цивилизациями и религиями». Президент Казахстана Н.Назарбаев

ამერიკის საგარეო პოლიტიკის რადიკალურ ცვლილებებს მოახდენდა. მასზე „მდიდარი“ ავანსები გაიცა. პრეზიდენტ ჯორჯ კენედის ინაუგურაციის შემდეგ ასეთ იმედებს ამერიკის არც ერთ ადმინისტრაციაზე არ ამყარებდნენ. მსოფლიო საზოგადოებამ მისგან დასახა გმირი, რომელსაც უნდა გამოეყვანა მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან და გაექრო დამაბულობა საერთაშორისო ასპარეზიდან.

ობამამაც ამერიკულ საზოგადოებას შესთავაზა თვისობრივად ახალი სტრატეგია „ჭკვიანი ძალა“ სახით. სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა 2009 წლის დასაწყისში განაცხადა, რომ ობამას ადმინისტრაციის უმთავრეს პრინციპს ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ჯოზეფ ნაის „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია უნდა წარმოადგენს (smart power). „ჭკვიანი ძალის“ ცნება საერთაშორისო ურთიერთობებში ჯოზეფ ნაიმ განსაზღვრა როგორც შესაძლებლობა, რომ უხეში და რბილი ძალის კომბინირება მოხდეს გამარჯვების სტრატეგიის მისაღებად“. ჭკვიანი ძალა თავის თავში გულისხმობს დიპლომატიური მექანიზმების აქტიურად გამოყენებას, დარწმუნების უნარს, ნდობის აღდგენას და ამ საშუალებებით გავლენის მოპოვებას. „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია შემუშავდა 2003 წელს ამერიკის ერაყში შეჭრის შემდეგ იგი იყო რეაქცია ჯორჯ ბუშის ნეოკონსერვატიულ საგარეო პოლიტიკაზე და მის ლიბერალურ ალტერნატივას წარმოადგენს. „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის შემუშავებას საფუძვლად დაედო თითქმის მთელ მსოფლიოში ჩატარებული კვლევები, რომლის მიხედვითაც ნათელი ხდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმიჯი შეილახა და ვაშინგტონის ნდობა დაეცა. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

1. მსოფლიო საზოგადოების სოციოლოგიურმა კვლევამ 2007 წლის ივლისში აჩვენა, რომ 15 ქვეყნიდან 10 არ ენდობა შეერთებულ შტატებს, როგორც საერთაშორისო მშვიდობაზე პასუხისმგებლიან მოთამაშეს.

2. BBC-მ გამოკითხა 26.000 ადამიანი 25 განსხვავებულ ქვეყანაში. სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა ნახევარს მიაჩნია, რომ ამერიკა ასრულებს ნეგატიურ როლს მსოფლიოში.

3. კანადის, დიდი ბრიტანეთისა და მექსიკის გაზეთების კვლევების მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობას ჯორჯ ბუში მიაჩნდა საფრთხე მსოფლიო მშვიდობისათვის, ისევე როგორც ახმად ნეჯადი ირანში, ჩრდილოეთ კორეის პრეზიდენტი კიმ ჯონგ ლი და ჰეზბოლას ლიდერი ჰასან ნასრალი. ასეთ რთულ ვითარებაში საჭირო გახდა ახალი საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობდ შეერთებული შტატების იმიჯის აღდგენას გლობალური მასშტაბით. სწორედ ამიტომ საჭირო გახდა ახალი პოლიტიკის „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის შემუშავება [1, 23]. საგარეო პოლიტიკის ამ მიდგომის ნაკლი ძნელად თუ მოიძებნება. იგი არის პრაგმატული, ოპტიმისტური და საკმაოდ გულწრფელი. ჩვენ 11 სექტემბრის ტერაქტის დროს ორმაგად დავზარალდით.

თავდაპირველად, მსხვერპლით, ადამიანებით ვინც დაიღუპნენ თვითმფრინავების შეჯახების დამო, მაგრამ ასევე ჩვენ დავკარგეთ ჩვენი ნაციონალური ნდობა და ოპტიმიზმი, ღირებულებები, რომელიც ასახულია ჩვენს კონსტიტუციაში, ეკონომიკური სისტემა, და სანდო ლიდერის როლი გლობალური მასშტაბით, მაგრამ „ჭკვიან ძალად“ ქვეყნის შემთხვევაში ჩვენ მათ დავიბრუნებთ“, – მიაჩნია „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის მთავარ შემოქმედს ჯოზეფ ნაის [10].

ამრიგად, „ჭკვიანი ძალა“ არის უნარი კომბინირება მოახდინო უხეში და რბილი ძალის და წარმატებულ სტრატეგიად აქციო იგი. შეერთებული შტატები ცივი ომის პერიოდში იყენებდა ხოლმე ასეთ კომბინაციებს, მაგრამ ცივი ომის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. მსოფლიო უფრო „პატარა გახდა“ და გამოიკვეთა

საფრთხეები, რომლებსაც შეერთებული შტატები მარტო ვერ უმკლავდება.

ოტავას უნივერსიტეტის მეცნიერი პოლ რობინსონი გახმაურებულ სტატიაში „ფერადი რევოლუციებით“ დაბრმავებულები“ – წერს – „ჩვენი ენთუზიაზმით ვიპოვეთ სხვები, ვინც თითქოს ჩვენს მიზნებს იზიარებენ, საკუთარ თავს სისულელეში ვარწმუნებთ, რომ ნებისმიერი ვინც ჩვენ არ მოგვწონს არალეგიტიმურია, რომ ჩვენი მტრის მტერი ჩვენი მეგობარია და ნებისმიერი ვინც დემოკრატიაზე საუბრობს – დემოკრატია. შედეგად, ჩვენი და ჩვენი სავარაუდო მოკავშირეების ინტერესები ზარალდება... უკრაინული არჩევნების შედეგი ჩვენ იმის შანსს გვაძლევს, რომ ყალბი წარმოდგენები გვერდზე გადავდოთ, ვალიართ, რომ მსოფლიო გაცილებით ნიუანსურია, ვიდრე ამას ჩვენ ვალიარებთ და უარი ვთქვამთ იმ ქედმაღლურ წინადადებაზე, რომ ჩვენ განვსაზღვრავთ ისტორიის მიმდინარეობას. საკუთარი ქვეყნის რევოლუციური წარმომავლობის გათვალისწინებით, ამერიკელები ფერად რევოლუციამდე არსებული მითისგან უნდა გათავისუფლდნენ“. მართლაც, ცივი ომის დასრულების შემდეგ თეთრი სახლი აქტიურად ცდილობდა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში დაეჭირა მხარი ე. წ. დემოკრატიულ ძალებისათვის, მაგრამ სინამდვილეში ისინი დემოკრატიულობისგან ძალიან შორის იდგნენ. ობამამ გადააფასა თავისი წინამორბედების სტრატეგია და შემოგვთავაზა ახალი ხედვა; იგი ცდილობს „მსოფლიო ისეთი მიიღოს როგორც არის“ და დაუსრულებელი დემოკრატიული ექსპერიმენტებით არ ეცადოს მის შეცვლას. სწორედ ამას ადასტურებს ობამას ერთ-ერთი საჯარო გამოსვლაც, სადაც მან აღნიშნა, რომ იგი არ ეცდება დემოკრატის გავრცელებას და მხარს დაუჭერს იმ ქვეყნებს, სადაც უკვე ჩამოყალიბებულია იგი. ობამა ცდილობს გავლენა მოიპოვოს არა ხელოვნურად შექმნილ ვითომდა დემოკრატიულ რეჟიმებზე, არამედ ეროვნულ მთავრობებზე, რომელიც მოსახლეობამ აირჩია.

პირველად ბარაკ ობამამ ეს აზრი დააფიქსირა 2009 წლის 4 ივლისს, ეგვიპტეში კაიროს უნივერსიტეტში გამოსვლისას: „ამერიკა პატივს სცემს უფლებას, რომ მსოფლიოში ისმოდეს მშვიდობიანი და კანონიერი ხმა, თუნდაც მათ არ ვეთანხმებოდეთ, ჩვენ მივესალმებით, ყველა არჩეულ მშვიდობიან მთავრობას – რომელიც თავისი ხალხის პატივისცემით მართავს... ზოგიერთი მთავრობა მხარს უჭერს დემოკრატის როცა აღარ აქვთ ძალაუფლება, მაგრამ როცა იყვნენ მთავრობაში დაუფიქრებლად არღვევდნენ სხვის უფლებებს“. ნიშნავს ეს იმას, რომ ამერიკა არ ჩაერევა ინტერესის სფეროში მყოფი ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში?

ბარაკ ობამა მსოფლიოს წესრიგს მისი წინამორბედებისაგან განსხვავებულად ხედავს. იგი უშვებს, რომ არსებობს რამდენიმე პოლიტიკური ცენტრი და არ ფიქრობს, მხოლოდ ერთ პოლუსიან მსოფლიოზე, სადაც ამერიკა იქნება ლიდერი, ობამა რეალისტია, რომელიც აღიქვამს მსოფლიოს ისეთს როგორც არის და არ ცდილობს მის შეცვლას, რასაც ცდილობდნენ მისი წინამორბედები. „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია პირველ რიგში გულისხმობს პარტნიორობის განმტკიცებას. ობამაც ცდილობს ურთიერთობები დააღაგოს რუსეთთან, ჩინეთთან და ევროპასთან. სწორედ ამ სამ პოლუსზეა კონცენტრირებული მსოფლიოს ძალა. თეთრი სახლის ახალი ლიდერიც ამ პოლუსებზე ცდილობს პარტნიორობის გაღრმავებას.

ობამა მოქმედებს „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიით, სტრატეგიით, რომელმაც ამერიკის ლიდერობა უნდა განამტკიცოს, მაგრამ არა სხვა ძლიერ სახელმწიფოებთან დაპირისპირებით, არამედ მათთან თანამშრომლობის შედეგად. პარტნიორობის ნათელ მაგალითს წამოადგენს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღება ირანთან დაკავშირებით და „გადატვირთვის“ პოლიტიკის დაწყება რუსეთთან.

2009 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და ამერიკის

სახელმწიფო მდივანმა ჰლარი კლინტონმა „გადატვირთვის“ ღილაკს დააჭირეს ხელი. ამით, ცივი ომის მეტოქეებს შორის თანამშრომლობის ახალი ერა უნდა დაწყებულიყო და, მართლაც, მხარეებს შორის შეთანხმება შედგა ავღანეთის საკითხთან დაკავშირებით – რუსეთი ავღანეთისკენ ტვირთის გადაზიდვისთვის ამერიკულ სამხედრო თვითმფრინავებს საჰაერო სივრცეს უხსნიდა (ყოველწლიურად 4,500 ფრენა). მოლაპარაკება დაიწყო „ბირთვული იარაღის შემცირების“ ახალი ხელშეკრულების შემუშავების მიზნით. 2009 წლის 6 ივლისს ობამას მოსკოვში ვიზიტისას ხელი მოეწერა ხელშეკრულების წინასწარ ვარიანტს. ხელშეკრულებას უნდა ჩაენაცვლებინა მისი წინამორბედი – „სტრატეგიული შეიარაღების შემცირების“ 2008 წლის დეკემბერში ვადაგასული ხელშეკრულებ. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ „რუსეთის ურთიერთობის“ გადატვირთვა ობამას ადმინისტრაციისთვის ცალმხრივი დათმობების სერიად გადაიქცა“. სანაცვლოდ კი სანაცვლოდ მოკლევადიან გათვლებში რაიმე რეალური შედეგის მიღება დღემდე ეჭვქვეშ დგას.

თუმცა, ვაშინგტონის „გადატვირთვის“ პოლიტიკის მთავარი მიზანი არის საერთაშორისო საზოგადოების გაერთიანება და გარკვეულწილად აშშ-ის მიზნების სამსახურში ჩააყენეს. სწორედ ვაშინგტონის მიზანი იყო ირანის სანქცირება.

ობამას საგარეო პოლიტიკა კონცენტრირებულია დიდ სახელმწიფოებზე და სწორედ მისი მემკვიდრით ცდილობს პრობლემების მოგვარებას. სწორედ გაერთიანებული ძალებით ცდილობს აშშ რუსეთის დაბრუნებას სამართლებრივ სივრცეში, თუმცა ამ ეტაპზე რუსეთის წინააღმდეგ სანქციები სიტუაციას ვერ ცვლის. აშშ-ის ყველაზე ახლო პარტნიორი მუსლიმანურ სამყაროში – თურქეთიც შტატებისგან დამოუკიდებელ და ხშირ შემთხვევაში საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარებას იწყებს. თურქეთმა მაშინ, როცა ევროკავშირი არ იღებდა, ჩათვალა, რომ მის

გავლენა აღმოსავლეთით უნდა გაეაქტიურებინა და გაილაშქრა ისრაელის წინააღმდეგ, რათა ისლამური სამყაროდან პატივისცემა მიეღო, მართლაც, ანკარა ამერიკის ერთ-ერთი მთავარ მოწინააღმდეგედ იქცა, მაშინ, როცა ისლამურ სამყაროში თურქეთის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო. გარდა ამისა, ასევე უნდა ვახსენოთ ბრაზილიაც, ვაშინგტონი ბრაზილიის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი და დამხმარე იყო, თუმცა როგორც ჩანს მისი პრეზიდენტი ლულაც ვაშინგტონის წინააღმდეგ ილაშქრებ. რას ნიშნავს ეს ობამას პოლიტიკის სისუსტეს?

ჩარლ კრაუტამერი – პულიცერი პრემიის ლაურეატი და პოლიტიკური მიმოხილველი ობამას ამ სტრატეგიის კაპიტულაციას უწოდებს: „ისე იქცევიან, თითქოს რუსეთთან ვალში არიან, ცდილობენ პუტინს ასიამოვნონ, იფიქრებ რუსეთია სუპერძალა. ჩვენ დაგვეშალა ქვეყანა და პუტინია არბიტრი. 1970-80-90-იან წლებში, როდესაც რომელიმე სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთის პრობლემა ჰქონდა, ვაშინგტონში მოდიოდა. ახლა შეხედეთ, ვისთან მიდიან არაბი ლიდერები, სირია, თურქეთი, ისრაელიც კი მოსკოვში მიდის. მოსკოვი გახდა დომინანტი ძალა. გადატვირთვის პოლიტიკის შედეგად რუსეთს მოქმედებას არეალი გაეხსნა ახლო აღმოსავლეთში, ამერიკამ დათმო ჩეხეთსა და პოლონეთში ანტისარაკეტო ფარის პროექტი, ხელის შეუწყო რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო, მოკლედ, რითაც შეძლო ასიამოვნა. პუტინი ამ დროს რას აკეთებს? – გაშმაგებული ანტიამერიკანიზმითაა დაკავებული, ქვეყნიდან აძევებს ყველას და ყველაფერს, რაც ჩვენ გავლენასთან ასოცირდება, რადიო თავისუფლების ჩათვლით. ჩვენ კი ვიღიმით და არაფერს ვამბობთ. ასე რომ, „გადატვირთვა“ უბრალოდ კაპიტულაცია იყო [3, 45].

ასე მხოლოდ კრაუტამერი არ ფიქრობდა. „ჩვენ გვჯერა ცვლილებების“ – სლოგანი, რომელიც 2008 წლის ამერიკელთა უმეტესობამ ირწმუნა, მისი პრეზიდენტობის ბოლო მხოლოდ

40%-ს სჯერავს, მაგრამ ობამას სტრატეგია არ არის გათვლილი მოკლევადიან მიზნებზე თუკი 2016 წელი საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატები გაიმარჯვებს, მაშინ „ჭკვიანი ძილის“ სტრატეგიას მიეცემა თავისი სიცოცხლისუნარიანობის დამტკიცების შანსი.

ლიტერატურა:

1. Nasrashvili . blog-post.com 2010/06/ blog-post.html.
2. 7 days.ge/index2.php newsid.
3. ჟურნალი „ტაბულა“ # 126. თბ. 2013. გვ. 85

*ქეთევან ჯიჯეიშვილი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*გიორგი ჩხიკვიშვილი, ასისტენტ-პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

აშშ-ს თანამედროვე სტრატეგია „ჭკვიანი ძალა“

რეზიუმე

ნაშრომში „აშშ-ს თანამედროვე სტრატეგია „ჭკვიანი ძალა“ განხილულია გლობალურ პოლიტიკაში ძალთა ბალანსის კარდინალურად ცვლილების ფონზე „რბილი ძალის“ სტრატეგიის „ჭკვიანი ძალის“ პოლიტიკით ჩანაცვლების დინამიკა. დასაბუთებულია ამერიკელი მეცნიერის ჯოზეფ ნაის ახალი სტრატეგიის შემუშავების წინაპირობები, ამ ახალი სტრატეგიის არსი და განსხვავებები „რბილი ძალის სტრატეგიასთან შედარებით.

სტატიაში ავტორები ცდილობენ გაანალიზონ აშშ-ს რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკის ბირთვული შედეგები და იმსჯელონ გრძელვადიან გათვლებში ამ ახალი სტრატეგიის სიცოცხლისუნარიანობის შესაძლებლობებზე.

*Ketevan Jijeishvili, Associated professor,
Georgian Technical University*

*Giorgi Chkhikvishvili, Assistant- professor
Georgian Technical University*

Modern strategy of USA “ Smart power”

SUMMARY

In this article “ Modern strategy of USA “ Smart power”. Is discussed on the background of Cardinal changes in the balance of power in global politics, Replacement of the “Soft power” by the “ Smart power “. Is Analyzed famous american scientists Jozeph Nay’s new strategy, the Sense and differences of this new strategy.

Authors analyzed relations between USA and Russian federation on this new (“reset”) level , Their first results and long-term projections.

*Кетеван Джиджеишвили,
ассоциированный профессор,
Грузинский Технический Университет
Георгий Чхиквишвили, асистент-профессор,
Грузинский Технический Университет*

**современная стратегия США „Умная
власть “**

РЕЗЮМЕ

В этой статье “современная стратегия США „Умная власть “. Обсужден на фоне Кардинальных изменений в равновесии сил в глобальной политике, Замена “Мягкой силы” “Умной властью “. Проанализирован новая стратегия известного американского учена Джозефа Нейя, Смысл и различия этой новой стратегии.

Авторы проанализировали отношения между США и Российской Федерацией на этом новом (“сброс”) уровень, Их первые результаты и долгосрочные проектирования.

**საბუნებისმეტყველო
დისციპლინები**

**ЕСТЕСТВОВЕДЧЕСКИЕ
ДИСЦИПЛИНЫ**

SCIENCE

**მაღალი რიგის დიფერენციალური განტოლების უმსაზრისო მახასიათებელი
განტოლების ფორმის გამოკვლევა და ზოგადი ამონახსნის n-ური რიგის
წარმოებულის**

*ციალა ბუჩუკური, ,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



საკვანძო სიტყვები: დიფერენციალური განტოლება, კომპლექსურად შეუღლებული, n რიგის წარმოებულის.

ქცის) მაღალი რიგის წარმოებულების გამოთვლა. ამიტომ საჭიროდ მივიჩნით, გამოვეყვანა ზოგადი ამონახსნის n-ური რიგის წარმოებულის ფორმულა.

1. შესავალი

როგორც სამოქალაქო და სამრეწველო, ასევე ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობაში გამოიყენება ცილინდრული გარსის ტიპის კონსტრუქციები. გარსის დამაბული დეფორმირებული მდგომარეობის გამოსაკვლევად, სხვადასხვა ავტორების მიერ, მიღებულია მაღალი რიგის დიფერენციალური განტოლება ძაბვის ან ჩალუნვის ფუნქციის მიმართ. ასეთი დიფერენციალური განტოლების ზოგადი ამონახსნის ჩაწერისას ვაწყდებით გარკვეულ სირთულეს მახასიათებელი განტოლების ფესვთა გამოკვლევის დროს. ამ საკითხის გამოკვლევის მიზნით ჩვენ მიერ განიხილება მე-8 რიგის არაერთგვაროვანი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლება. ინტეგრირების ნებისმიერი მუდმივების განსაზღვრისათვის საჭიროა მოცემული დიფერენციალური განტოლების ზოგადი ამონახსნის (რთული ფუნ-

2. ძირითადი ნაწილი

ვთქვათ, საინჟინრო ამოცანის ცილინდრულ გარსებში $x(\phi)$ რადიალური გადაადგილების მიმართ მივიღეთ მე-8 რიგის არაერთგვაროვანი, შემდეგი სახის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლება:

$$\frac{d^8 x}{d\phi^8} + \frac{d^6 x}{d\phi^6} + a^2 x = f(\phi). \quad (1)$$

სადაც $x=x(\phi)$ არის სადაწნეო ცილინდრული გადახურვის რადიალური გადაადგილება.

(1) დიფერენციალური განტოლების მახასიათებელი განტოლება იქნება:

$$S^8 + S^6 + a^2 = 0. \quad (2)$$

ნათლად ჩანს, რომ (2) მრავალწევრს ნამდვილი ფესვი არ აქვს, რადგან $a^2 > 0$, ხოლო ნამდვილი ფესვების შემთხვევაში გვექნება

$$S^8 + S^6 + a^2 \geq a^2 > 0 \quad (3)$$

რაც ეწინააღმდეგება (2) განტოლებას. ამასთან, რადგანაც ამ განტოლების ყველა კოეფიციენტი ნამდვილი რიცხვია, ამიტომ მისი ფესვები წყვილ-წყვილად შეუღლებული რიცხვებია [1].

ახლა ვნახოთ, a^2 სიდიდის მიხედვით (2) განტოლებას რა შემთხვევაში აქვს თუნდაც ერთი ჯერადი ფესვი და რა შემთხვევაშია ყველა მისი კომპლექსური ფესვი მარტივი. როგორც ალგებრიდანაა ცნობილი [2,3], მრავალწევრს აქვს ჯერადი ფესვი (კომპლექსური თუ ნამდვილი), მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მას და მის პირველი რიგის წარმოებულს აქვს საერთო ფესვი. მართლაც ნებისმიერი n -ური რიგის მრავალწევრი

$$P_n(x) = x^n + a_1x^{n-1} + \dots + a_{n-1}x + a_n.$$

წარმოდგება ნამრავლის სახით:

$$P_n(x) = \prod_{i=1}^n (x - x_i),$$

სადაც x_i არის მრავალწევრის ფესვი ნამდვილი თუ კომპლექსური, ჯერადი თუ მარტივი. ამასთან, ნამრავლის გაწარმოების წესის მიხედვით გვექნება:

$$P'_n(x) = \left(\prod_{i=1}^n (x - x_i) \right)' = \sum_{i=1}^n \prod_{i \neq j} (x - x_j).$$

აქედან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ, თუ $x=x_k$ არის $P_n(x)$ მრავალწევრის მარტივი ფესვი, ანუ $x_k \neq x_i$, ყოველი $i \neq k$ $1 \leq i \leq n$, მაშინ

$$P'_n(x_k) = \prod_{i=k}^n (x_k - x_i) \neq 0.$$

ახლა, ვთქვათ, $x=x_k$ არის $P_n(x)$ მრავალწევრის ჯერადი ფესვი, მაშინ

$$P'_n(x_k) = \prod_{i=1}^n (x - x_i)' = (x - x_k)^2 \cdot q_{n-2}(x),$$

სადაც $q_{n-2}(x)$ არის $(n-2)$ რიგის მრავალწევრი. აქედან გამომდინარეობს, რომ

$$P'_n(x) = 2(x - x_k) \cdot q_{n-2}(x) + (x - x_k)^2 \cdot q'_{n-2}(x)$$

მაშასადამე,

$$P'_n(x_k) = 2(x_k - x_k) \cdot q_{n-2}(x_k) + (x_k - x_k)^2 \cdot q'_{n-2}(x_k) = 0.$$

რისი ჩვენებაც გვინდოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ (2) განტოლებას აქვს ერთი მაინც $S=S_i$ ჯერადი ფესვი, მაშინ, რადგანაც

$$(S^8 + S^6 + a^2)' = 8 \cdot S^7 + 6 \cdot S^5,$$

ეს ფესვი აკმაყოფილებს შემდეგ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{cases} S^8 + S^6 + a^2 = 0, \\ 8S^7 + 6S^5 = 0. \end{cases}$$

საიდანაც ვღებულობთ

$$\begin{cases} S_i^2 = -\frac{3}{4} \text{ ანუ } S_i = \pm \frac{\sqrt{3}}{2}i, \\ (S_i^2)^4 + (S_i^2)^3 + a^2 = \left(-\frac{3}{4}\right)^4 + \left(-\frac{3}{4}\right)^3 + a^2 = 0. \end{cases} \quad (3)$$

ანუ

$$a^2 = \frac{27}{256}. \quad (4)$$

მაშასადამე, (4)-ის განტოლების გათვალისწინებით მივიღებთ:

$$S^8 + S^6 + \frac{27}{256} = \left(S^2 + \frac{3}{4}\right)^2 \left(S^4 - \frac{1}{2}S^2 + \frac{3}{16}\right) = 0. \quad (5)$$

(5) განტოლების ფესვებია:

$$S_1 = S_2 = \frac{\sqrt{3}}{2}i, \quad S_3 = S_4 = -\frac{\sqrt{3}}{2}i,$$

$$S_5 = \frac{1}{2}\sqrt{1+\sqrt{2}} \cdot i, \quad S_6 = \frac{1}{2}\sqrt{1-\sqrt{2}} \cdot i,$$

$$S_7 = -\frac{1}{2}\sqrt{1+\sqrt{2}} \cdot i, \quad S_8 = -\frac{1}{2}\sqrt{1-\sqrt{2}} \cdot i.$$

რომელთაგან პირველი ოთხი S_i ($i=1,2,3,4$) წმინდა წარმოსახვითი ჯერადი ფესვებია, ხოლო დანარჩენი ოთხი S_5, S_6, S_7, S_8 არის წყვილ-წყვილად კომპლექსურად შეუღლებული ფესვები.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ, როდესაც დარღვეულია (4)

პირობა, ანუ $a^2 \neq \frac{27}{256}$, მაშინ (3) განტოლებას აქვს მხოლოდ მარტივი კომპლექსურად შეუღლებული ფესვები:

$$S_{2j+1} = a_j + b_j, \quad S_{2j+2} = a_j - b_j. \quad (6)$$

სადაც $j=0,1,2,3, \quad i^2=-1$

სიმარტივისათვის შემოვიფარგლებით

$$a^2 \neq \frac{27}{256} \quad \text{შემთხვევით, როცა (2) განტოლებას}$$

აქვს მხოლოდ მარტივი კომპლექსურად შეუღლებული ფესვები, მოცემული (6) ტოლობების სახით.

(1) განტოლების ზოგადი ამონახსნი, შეიძლება ამოვწეროთ შემდეგი სახით:

$$X = X_1 + X_0 \quad (7)$$

სადაც x_1 არის (1) განტოლების რაიმე კერძო ამონახსნი, ხოლო x_0 არის (1)-ის შესაბამისი ერთგვაროვანი განტოლების:

$$\frac{d^8 x}{d\varphi^2} + \frac{d^6 x}{d\varphi^6} + a^2 x = 0 \quad (8)$$

ზოგადი ამონახსნი $a^2 \neq \frac{27}{256}$ შემთხვევაში.

(2) და (6) განტოლებების შესაბამისად (8) განტოლების ზოგადი ამონახსნი მოიცემა შემდეგი ფორმულით:

$$x(\varphi) = \sum_{j=1}^8 c_j e^{s_j \varphi} \quad c_j = const, \quad j=1,2,\dots,8. \quad (9)$$

თუ გამოვიყენებთ ეილერის $e^{i\varphi} = \cos \varphi + i \sin \varphi$ ფორმულას, გვექნება:

$$x(\varphi) = \sum_{j=1}^n C_j e^{\operatorname{Re} s_j \varphi} (\cos I_m S_j \varphi + i \sin I_m K_j \varphi) = \sum_{j=1}^8 (\operatorname{Re} C_j + i I_n C_j) e^{\operatorname{Re} s_j \varphi} (\cos I_m S_j \varphi + i \sin I_m K_j \varphi)$$

$$(\varphi) = \sum_{j=1,3,5,7} e^{\frac{a_{j+1}\varphi}{2}} \left[c_j \cos b_{\frac{j+1}{2}} \varphi + c_{j+1} \sin b_{\frac{j+1}{2}} \varphi \right] \quad (10)$$

სადაც $C_j, j=1,\dots,8$ ნამდვილი მუდმივები (6)-ის შესაბამისად გარკვეული წესით გამოისახება.

$C_j, j=1,\dots,8$ კომპლექსური მუდმივების საშუალებით და პირიქით, როდესაც $x(\varphi)$ არის (8) განტოლების ნამდვილი ამონახსნი.

ხშირად საჭიროა (1) განტოლების ამონახსნის, ანუ (10) ფორმულით განსაზღვრული $x(\varphi)$ ფუნქციის n -ური რიგის წარმოებულის გამოთვლა. ამისათვის ამოვხსნათ შემდეგი ამოცანა. ვიპოვოთ $x^n(\varphi)$ -ის ისეთი გამოსახულება, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვთვალოთ $x(\varphi)$ ფუნქციის n -ური რიგის წარმოებული წინა რიგის წარმოებულებისაგან დამოუკიდებლად.

განვიხილოთ (10) დამოკიდებულება, რომლის მარჯვენა მხარე არის ორი:

$$u(\varphi) = e^{\frac{a_{j+1}\varphi}{2}}$$

და

$$v(\varphi) = c_i \cos b_{\frac{i+1}{2}} \varphi + c_{i+1} \sin b_{\frac{i+1}{2}} \varphi$$

ფუნქციათა ნამრავლი. შემდგომში მათემატიკური ოპერაციების გამარტივების მიზნით, შემოვიღოთ აღნიშვნები:

$$f(\varphi) = u(\varphi) \cdot v(\varphi) \quad (11)$$

$$a_{\frac{j+1}{2}} = a, \quad b_{\frac{j+1}{2}} = b, \quad c_i = c_1, \quad c_{i+1} = c_2, \quad (12)$$

ამრიგად, საჭიროა ამოიხსნას შემდეგი ამოცანა. გამოვიყვანოთ

$$f(\varphi) = u(\varphi) \cdot v(\varphi) = e^{a\varphi} (c_1 \cos b\varphi + c_2 \sin b\varphi) \quad (13)$$

ფუნქციის n რიგის წარმოებულის გამოსათვლელი ზოგადი ფორმულა, რომელიც დამოკიდებული იქნება უშუალოდ n -ზე და არ იქნება დამოკიდებული n -ის წინა რიგის წარმოებულზე (ცხადია, იგულისხმება, რომ ამ ფუნქციებს n -მდე ჩათვლით აქვს ყველა რიგის წარმოებული).

ამ ამოცანის გადასაწყვეტად ვისარგებლოთ ეილერის ცნობილი ფორმულით [4]

$$e^{a \pm ib} = e^a (\cos b \pm i \sin b)$$

როდესაც $a=0$, მაშინ მივიღებთ ეილერის ფორმულებს:

$$\begin{aligned} e^{ib} &= \cos b + i \sin b, \\ e^{-ib} &= \cos b - i \sin b. \end{aligned} \quad (14)$$

საიდანაც:

$$\cos b = \frac{e^b + e^{-b}}{2}, \quad \sin b = \frac{e^b - e^{-b}}{2i}. \quad (15)$$

ცხადია, $f^{(n)}(\phi)$ -ის ზოგადი ფორმულის მიღებას (15) ფორმულების გამოყენება საკმარისად ამარტივებს (15) დამოკიდებულებების გათვალისწინებით. (13) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\begin{aligned} f(\phi) &= e^{a\phi} \left(c_1 \frac{e^{b\phi} + e^{-b\phi}}{2} + c_2 \frac{e^{b\phi} - e^{-b\phi}}{2i} \right) = \\ &= \frac{e^{a\phi}}{2} [(c_1 - ic_2) \cdot e^{b\phi} + (c_1 + ic_2) \cdot e^{-b\phi}] = \\ &= \frac{1}{2}(c_1 - ic_2) \cdot e^{(a+ib)\phi} + \frac{1}{2}(c_1 + ic_2) \cdot e^{(a-ib)\phi}. \end{aligned} \quad (16)$$

რადგან
 $(e^{a\phi})^{(n)} = a^n \cdot e^{n\phi}$

ამიტომ (16)-დან გვექნება:

$$\begin{aligned} f^{(n)}(\phi) &= \frac{1}{2}(c_1 - ic_2) \cdot (a+ib)^n e^{(a+ib)\phi} + \\ &+ \frac{1}{2}(c_1 + ic_2) \cdot (a-ib)^n e^{(a-ib)\phi}. \end{aligned} \quad (17)$$

მიღებული გამოსახულების გამარტივების მიზნით, შემოვიღოთ დამხმარე α_1 და α_2 კუთხეები. დავუშვათ, $C_1^2 + C_2^2 \neq 0$ და $a^2 + b^2 \neq 0$ მაშინ გვექნება:

$$c_1 \pm ic_2 = \sqrt{c^2 - c_2^2} (\cos \alpha_1 \pm i \sin \alpha_1), \quad (18)$$

$$a_1 \pm ib_2 = \sqrt{a^2 + b^2} (\cos \alpha_2 \pm i \sin \alpha_2).$$

სადაც

$$\cos \alpha_1 = \frac{c_1}{\sqrt{c^2 + c_2^2}}, \quad \sin \alpha_1 = \frac{c_2}{\sqrt{c_1^2 + c_2^2}}, \quad (19)$$

$$\cos \alpha_2 = \frac{c_1}{\sqrt{a^2 + b^2}}, \quad \sin \alpha_2 = \frac{b}{\sqrt{a^2 + b^2}}.$$

ეილერის (14) ფორმულების თანახმად, (18) ფორმულები ასე ჩაიწერება:

$$\begin{aligned} c_1 \pm ic_2 &= \sqrt{c^2 - c_2^2} e^{\pm i\alpha_1}, \\ a_1 \pm ib_2 &= \sqrt{a^2 + b^2} e^{\pm i\alpha_2}. \end{aligned} \quad (20)$$

(20)-ის გათვალისწინებით (17) გადაიწერება შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} f^{(n)}(\phi) &= \frac{1}{2} \sqrt{(c_1^2 + c_2^2) \cdot (a^2 + b^2)} \cdot \\ &\cdot e^{a\phi} \cdot (e^{i(b-a_1+n\alpha_2)} + e^{-i(b-a_1+n\alpha_2)}). \end{aligned} \quad (21)$$

სადაც

$$\begin{aligned} e^{i(b-a_1+n\alpha_2)} + e^{-i(b-a_1+n\alpha_2)} &= \cos(b-a_1+n\alpha_2) + \\ &+ i \sin(b-a_1+n\alpha_2) + \cos(b-a_1+n\alpha_2) - \\ &- i \sin(b-a_1+n\alpha_2) = 2 \cos(b-a_1+n\alpha_2) \end{aligned}$$

ამ უკანასკნელის გათვალისწინებით (17) მიიღებს სახეს:

$$\begin{aligned} f^{(n)}(\phi) &= \frac{1}{2} \sqrt{(c_1^2 + c_2^2) \cdot (a^2 + b^2)} \cdot \\ &\cdot e^{a\phi} \cdot \cos(b-a_1+n\alpha_2). \end{aligned} \quad (22)$$

(12)-ის თანახმად

$$\begin{aligned} f^{(n)}(\phi) &= \sqrt{(c_1^2 + c_2^2) \cdot (a_1^2 + b_1^2)} \cdot e^{a_1\phi} \cdot \cos(b_1 - \alpha_1 + \\ &+ n\alpha_2) + \sqrt{(c_3^2 + c_4^2) \cdot (a_2^2 + b_2^2)} \cdot e^{a_2\phi} \cos(b_2 - \alpha_1 + \\ &+ n\alpha_2) + \sqrt{(c_5^2 + c_6^2) \cdot (a_3^2 + b_3^2)} \cdot e^{a_3\phi} (b_3 - \alpha_1 + n\alpha_2) + \\ &+ \sqrt{(c_7^2 + c_8^2) \cdot (a_4^2 + b_4^2)} \cdot e^{a_4\phi} \cos(b_4 - \alpha_1 + n\alpha_2). \end{aligned}$$

ამრიგად, $x_n(\phi)$ ფუნქციის n რიგის წარმოებული მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\begin{aligned} \frac{d^8 x}{d\phi^8} &= \sum_{i=1,3,5,7} \sqrt{(c_1^2 + c_2^2) \cdot \left(\frac{a_{i+1}^2 + b_{i+1}^2}{2} \right)^n} \cdot e^{\frac{a_{i+1}\phi}{2}} \cdot \\ &\cdot \cos \left(\frac{b_{i+1}}{2} - \alpha_1 + n\alpha_2 \right). \end{aligned} \quad (23)$$

სადაც:

$$\begin{aligned} \alpha_1 &= \arccos \frac{c_i}{\sqrt{c_i^2 + c_{i+1}^2}} = \arcsin \frac{c_{i+1}}{\sqrt{c_i^2 + c_{i+1}^2}}, \\ \alpha_2 &= \arccos \frac{\frac{a_{i+1}}{2}}{\sqrt{\frac{a_{i+1}^2}{2} + \frac{b_{i+1}^2}{2}}} = \arcsin \frac{\frac{b_{i+1}}{2}}{\sqrt{\frac{a_{i+1}^2}{2} + \frac{b_{i+1}^2}{2}}}. \end{aligned}$$

(23) ფორმულა საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ $x(\phi)$ ფუნქციის ნებისმიერი n რიგის წარმოებული.

3. დასკვნა

გამოკვლეულია მე-8 რიგის არაერთგვაროვანი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების

შესაბამისი ერთგვაროვანი განტოლების მახასიათებელი განტოლების ფესვები, ჯერადი კომპლექსური ფესვების არსებობისა და მარტივი, კომპლექსურად შეუღლებული ფესვების არსებობის თვალსაზრისით.

ცხადია, განტოლების ამონახსნი შიდავს c_1, \dots, c_n ინტეგრირების მუდმივებს, რომელთა განსაზღვრისათვის ხშირად საჭიროა $x(\phi)$ ფუნქციის რადიალური გადაადგილებების სხვადასხვა რიგის წარმოებულების განსაზღვრა. გაანგარიშების გამარტივების მიზნით, მიღებულია მათი მნიშვნელობების გამოსათვლელი n -რიგის წარმოებულის ზოგადი ფორმულა, რომლის საშუალებით შესაძლებელია, $x(\phi)$ ფუნქციის წარმოებულების მიმდევრობით გამოთვლის გარეშე, ამ ფორმულით ვიპოვოთ სასურველი რიგის წარმოებული.

ლიტერატურა:

1. Бронштейн И. Н. Семедяев К. А. Справочник по математике. Из. Наука, М. 1986- с. 554
2. Курош А. Г. Курс Высшей Алгебры. Из. Наука, М. 1968 - с. 430
3. Корн Г. Корн Т. Справочник по математике для научных работников и инженеров. Из. Наука, М. 1970 - с. 720
4. Фихтенгольц Г. Н. Курс дифференциального и интегрального исчисления. Т. 1 М. 1958, с. 606.

ციალა ბუჩუკური,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაღალი რიგის დიფერენციალური განტოლების შესაბამისი მახასიათებელი განტოლების ფესვთა გამოკვლევა და ზოგადი ამონახსნის n -ური რიგის წარმოებული რეზიუმე

მოცემული გვაქვს მე-8 რიგის არაერთგვაროვანი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლება. გამოკვლეულია შესაბამისი ერთგვაროვანი მახასიათებელი განტოლების ფესვები. დადგენილია მახასიათებელი განტოლების თავისუფალი წევრისათვის პირობა, რომლის დროსაც

ერთგვაროვან განტოლებას აქვს მარტივი, კომპლექსურად შეუღლებული ფესვები. მიღებულია არაერთგვაროვანი განტოლების ამონახსნი და ამ ამონახსნის n -ური რიგის წარმოებულის გამოსათვლელი ფორმულა.

საკვანძო სიტყვები: დიფერენციალური განტოლება, კომპლექსურად შეუღლებული, n რიგის წარმოებული.

Tsiala Buchukuri
Georgian Technical University,

High - order differential equation of the characteristic equaton of the root research and the general order of n -type produced

SUMMARY

It is given the 8-th order non-homogeneous the ordinary differential equation. Investigated the roots of the corresponding characteristic equation. The characteristic equation is established for members free in which the uniform equation has simple in a complex – interfaced root. The solution of the non-homogeneous equation and a formula of a derivative of n -a decision order is received.

Keywords: The differential equation, of the complex interfaced, n -tier derivative.

Бучуკური Циала Яковлевна
Грузинский Технический Университет,

Исследование решений характеристического уравнения соответствующего дифференциальному уравнению высокого порядка n -ная производная общего решения

РЕЗЮМЕ

Дано неоднородное, обыкновенное дифференциальное уравнение 8-го порядка. Исследованы соответствующие корни, характерного уравнения. Характеристическое уравнение устанавливается для членов свободных, в котором однородное уравнение имеет простые, комплексно – сопряженные корни. Получено решение неоднородного уравнения и формула производной n -го порядка решения.

Ключевые слова: Дифференциальное уравнение, комплексно сопряженное, n -го уровня производная.

**მათემატიკური ქიმიის განვითარება თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტში**

*რუსუდან გოგიბერიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
მიხეილ გვერდწითელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*

XX

**„ზუნება მათემატიკის ენით მეტყველებს“
გალილეო გალილეი**

საკვანძო სიტყვები: მათემატიკური ქიმია, კორელაციური განტოლება, ანბ და ანბ მატრიცები.

მათემატიკური ქიმია თანამედროვე თეორიული ქიმიის ერთ-ერთი ახალი დარგია, რომლის მიზანია თანამედროვე მათემატიკის მძლავრი გამოთვლითი აპარატის (ჯგუფთა თეორია, მატრიცების თეორია, გრაფების თეორია, ინფორმაციის თეორია და სხვ.) გამოყენებით ქიმიის თეორიული პრობლემების გადაჭრა [1].

საინტერესოა, რომ ტერმინი „მათემატიკური ქიმია“ პირველად მ. ვ. ლომონოსოვმა 1741 წელს გამოიყენა თავისი წიგნის სათაურად: „მათემატიკური ქიმიის ელემენტები“ [2].

დღეისათვის მათემატიკური ქიმია წარმოადგენს ინტენსიურად განვითარებად მეცნიერებას: მსოფლიოში გამოდის რამდენიმე დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალი („მათემატიკური ქიმია“, „კომპიუტერული ქიმია“ და სხვ.), სისტემატურად ტარდება სემინარები და კონფერენციები, იწერება სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები. ამასთან ერთად, მათემატიკურმა ქიმიამ თავად განიცადა დიფერენციაცია - წარმოიქმნა: ტოპოლოგიური ქიმია, კომპიუტერული სინთეზი, ქიმიო-ინფორმატიკა და სხვ [1].

საქართველოში მათემატიკური ქიმიის დაბადების თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ 1983 წელი, როდესაც მ. გვერდწითელის დამხმარე სახელმძღვანელოში „ორგანულ ნაერთთა ნომენკლატურის პრინციპები“ წარმოდგენილი იქნა მოლეკულის მათემატიკური ჩაწერის ახალი მეთოდი - გარკვეული მატრიცის სახით [5].

მათემატიკური ქიმიის ვრცელი პრობლემატიკიდან უმნიშვნელოვანესია სამი:

1. მოლეკულური დისკრიპტორების (ტოპოლოგიური ინდექსების) კონსტრუირება, მათი გამოყენებით „აღნაგობა - თვისებები“ ტიპის კორელაციური განტოლებების აგება და მათ ბაზაზე ნაერთთა სხვადასხვა კლასის გამოკვლევა;
2. ორგანულ ნაერთთა სხვადასხვა ჰომოლოგიურ რიგში იზომერების ჩამოთვლა და კლასიფიკაცია;
3. უცნობი რეაქციების კომპიუტერული ძიება და ნაერთის სინთეზის ოპტიმალური გზის კომპიუტერული დაგეგმვა.

სამივე აღნიშნული მიმართულებით ქართული მათემატიკური სკოლის მიერ მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები. ძირითადი ჯგუფი შედგება: ხელმძღვანელი ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ გვერდწითელი, წევრები: ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი გია გამზიანი, აკადემიური დოქტორები: გიორგი ლევიშვილი, რობერტ დევდარიანი, გიორგი ჩაჩავა, აკაკი გახოკიძე, ილია გვერდწითელი, ეკატერინე ცაგურია. ჯგუფის მუშაობაში სისტემატურად მონაწილეობენ სხვა მკვლევარებიც, მათ შორის სტუდენტებიც.

დღეისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური ქიმიის საუნივერსიტეტო სამეცნიერო ჯგუფის მიერ გამოცემულია 20-ზე მეტი მონოგრაფია, 300-მდე სამეცნიერო სტატია, ჯგუფის წევრები სისტემატურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში (50-ზე მეტი თეზისი), დაცულია 2 სადოქტორო და 10 საკანდიდატო დისერტაცია. ცნობისათვის - საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სამეცნიერო

ჟურნალში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია“ უკვე მეხუთე წელია შეიქმნა რუბრიკა „მათემატიკური ქიმია“.

მოკლედ განვიხილოთ მოლეკულური დისკრიპტორების გამოყენების საფუძველზე საუნივერსიტეტო ჯგუფის მიერ მიღებული შედეგები.

მოლეკულური დისკრიპტორები (ტოპოლოგიური ინდექსები) ეწოდებათ ისეთ მათემატიკურ კონსტრუქციებს, რომლებიც რიცხობრივად ახასიათებენ მოლეკულის აღნაგობას და ინვარიანტულნი არიან მოლეკულაში ატომების ნუმერაციისაგან (უფრო ზუსტად - მოლეკულური გრაფის წვეროებისა და წიბოების ნუმერაციისაგან). ზოგადად, მოლეკულურ დისკრიპტორებს (T_i) და ნივთიერების გარკვეულ ფიზიკურ-ქიმიური თვისებების რიცხობრივ მახასიათებელს (P) შორის არსებობს შემდეგი ფუნქციური დამოკიდებულება (აგებული მრავალფაქტორიანი ანალიზის მეთოდით):

$$P = h_0 + h_1 T_1 + \dots + h_n T_n,$$

სადაც h_i გარკვეული რიცხობრივი კოეფიციენტებია.

დღეისათვის მათემატიკურ ქიმიაში შემუშავებულია დაახლოებით 50-მდე ტოპოლოგიური ინდექსი, მათგან 5 კონსტრუირებულია მათემატიკურ ქიმიის ქართული სკოლის მიერ. განვიხილოთ ორი მათგანი - $lg(\Delta_{AB})$ და $lg(\Delta_{AC})$ [4.]

$lg(\Delta_{AB})$ წარმოადგენს ანბ-მატრიცის დეტერმინანტის მნიშვნელობის ათობით ლოგარითმს. ანბ-მატრიცა (აბრევიატურა „ანბ“ ნიშნავს - „ატომური ნომერი“ „ქიმიური ბმა“) კვადრატული, სიმეტრიული მატრიცაა. მისი დიაგონალური ელემენტებია მოლეკულაში შემავალი ქიმიური ელემენტების ატომური ნომრები, არადიაგონალური-ქიმიური ბმების ჯერადობები (ერთმაგი, ორმაგი ან სამმაგი), ზოგადად, სამატომიანი ABC მოლეკულის შესაბამის ანბ-მატრიცას გააჩნია სახე:

$$\begin{vmatrix} Z_A & \Delta_{AB} & \Delta_{AC} \\ \Delta_{AB} & Z_B & \Delta_{BC} \\ \Delta_{AC} & \Delta_{BC} & Z_C \end{vmatrix}$$

სადაც Z_A, Z_B , და Z_C , შესაბამისად, A, B და C ქიმიური ელემენტების ატომური ნომრებია, $\Delta_{AB}, \Delta_{BC}, \Delta_{AC}$ ქიმიური ბმების ჯერადობები A და B, B და C, A და C ატომებს შორის [6].

ანბ მატრიცის რანგი მის შესაბამის მოლეკულაში შემავალი ატომების რიცხვის ტოლია. ქვემოთ მოტანილია ციანწყალბადის გრაფიკული ფორმულა, შესაბამისი მოლეკულური გრაფი და მისი შესატყვისი მესამე რანგის ანბ მატრიცა.



აქ დიაგონალური ელემენტები 1, 6 და 7, შესაბამისად, წყალბადის, ნახშირბადისა და აზოტის ატომური ნომრებია, არადიაგონალური ელემენტები 1 და 3, $H - C$ და $C \equiv N$ ბმების ჯერადობებია.

დიდი მოლეკულებისათვის გამოთვლები (მატრიცის დეტერმინანტის მნიშვნელობის გამოთვლა) საკმაოდ შრომატევადია, გარდა ამისა, მოლეკულის სტრუქტურულიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ატომების განხილვის აუცილებლობა ხშირად არ არსებობს. ამ შემთხვევაში ანბ-მატრიცის ნაცვლად გამოიყენებენ ქვაზი-ანბ-მატრიცა ($\bar{ანბ}$), რომელიც საშუალებას იძლევა არა მარტო ადექვატურად აისახოს კონკრეტული მოლეკულის სტრუქტურული სპეციფიკა (ქიმიის თვალსაზრისით), არამედ გამოთვლებიც მნიშვნელოვნად მარტივდება.

ფორმარულად, $\bar{ანბ}$ მატრიცის ანბ-ს ანალოგიური სახე აქვს, ოღონდ დიაგონალური ელემენტები გადმოსცემენ არა ცალკეული ქიმიური ელემენტების ატომურ ნომრებს, არამედ მოლეკულის სხვადასხვა სტრუქტურულ ფრაგმენტში შემავალი ქიმიური ელემენტების ატომური ნომრების ჯამს, არადიაგონალური ელემენტებია - ქიმიური ბმების ჯერადობებია ამ ფრაგმენტებს შორის.

ასე, მაგალითად, ალანინი ($NH_2 - CH_2 - COOH$) შეიცავს 10 ატომს, ამიტომ შესაბამისი ანბ-მატრიცა მეთე რანგისაა. განვიხილოთ მოდელი: $A - B - C$ სადაც:

$A \equiv NH_2$, $B \equiv CH_2$, $C \equiv COOH$. ამ შემთხვევაში შესაბამისი ანბ-მატრიცა მესამე რანგის იქნება.

ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა რთული მოლეკულა გამოვსახოთ 3 სტრუქტურული ერთეულით, რომლებიც წარმოადგენენ: ნახშირბადოვან ჩონჩხს, ჩამნაცვლებელს და სარეაქციო ცენტრს. ასეთი გამარტივება ტრადიციულია ორგანულ ქიმიაში. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ დღეისათვის არსებული არც ერთი სხვა ტოპოლოგიური ინდექსი მოლეკულის ამგვარი ფრაგმენტაციის საშუალებას არ იძლევა. და ბოლოს, შესაბამისი მოლეკულებისთვის $\lg(\Delta_{\text{ანბ}})$ ან $\lg(\Delta_{\text{ანგ}})$ გამოთვლის შემდეგ იგება კორელაციური განტოლებები.

$$P = a \lg(\Delta_{\text{ანბ}}) + b \text{ და } P = a'(\Delta_{\text{ანგ}}) + b'$$

სადაც P მოლეკულის გარკვეული ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრია ($T_{\text{დღ}}, T_{\text{ფულ}}, D_4^{20}, \Delta G, \Delta H, \Delta S$ და სხვა); a, b, a' და b' ნამდვილ რიცხვებია.

კორელაციური განტოლებების აგება ხდება კომპიუტერზე, უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით. კორელაციური განტოლების სიზუსტე განისაზღვრება ე. წ. კორელაციის r კოეფიციენტით.

კორელაციური განტოლებები საშუალებას იძლევა ჩატარდეს ერთტიპიურ მოლეკულათა მახასიათებელი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების მნიშვნელობათა ცვლილებების ანალიზი. ნაერთთა კლასის (ჰომოლოგიური რიგის) რომელიმე წევრისათვის, რომელიმე პარამეტრის ექსპერიმენტული მნიშვნელობის არქონის შემთხვევაში, ინტერპოლაცია-ექსტრაპოლაციის გზით მოხდეს მისი თეორიული გამოთვლა.

ანბ-მატრიცების მეთოდის პრაქტიკულად გამოყენების სადემონსტრაციოდ, განვიხილოთ მის ფარგლებში CrX_2 ჰალოგენიდების შესწავლა.

ქრომ (II) ჰალოგენიდების ზოგადი ფორმულა CrX_2 , სადაც $X = F, Cl, Br, I$. შესაბამის ანბ-მატრიცას გააჩნია სახე:

$$\begin{vmatrix} 24 & 1 & 1 \\ 1 & Zx & 0 \\ 1 & 0 & Zx \end{vmatrix}$$

სადაც 24-ქრომის ატომური ნომერია. ამ ნაერ-

თების დუღილის ტემპერატურების ექსპერიმენტული მონაცემების გამოყენებით აგებულია კორელაციური განტოლება:

$$T_{\text{ფულ}} = 360,01 \lg(\Delta_{\text{ანბ}}) + 3030$$

$T_{\text{ფულ}} CrBr_2$ ექსპერიმენტულად უცნობია და გამოთვლილია ამ კორელაციური განტოლების საშუალებით: $T_{\text{ფულ}}(CrBr_2) = 1281^\circ C$.

კორელაციის r კოეფიციენტი 0.9830-ის ტოლია. ამგვარად, ჯაფეს კრიტერიუმის მიხედვით, ადგილი აქვს კარგ კორელაციას.

საუნივერსიტეტო ჯგუფის მიერ, ანბ-ანგ მატრიცების გამოყენებით, ზემოთ განხილულის ანალოგიურად, შესწავლილია 60-ზე მეტი სხვადასხვა კლასის არაორგანული, ორგანული და კოორდინაციული ნაერთი. ყველა შემთხვევაში კორელაციების სიზუსტე საკმაოდ მაღალია, რაც მიუთითებს მეთოდის ეფექტურობაზე.

ლიტერატურა

1. P. R. Rouvray, Chemical Application of Topology and Graph Theory, Amsterdam, 1983.
2. К. Б. Яцимирский, Применение теории графов в химии, Киев, Наука, 1975.
3. გ. გამზიანი, მათემატიკური ქიმია, თბილისი, მეცნიერება, 1990.
4. გ. გამზიანი, მ. გვერდწითელი, იზომერიის მოვლენა მათემატიკური ქიმიის თვალთახედვით, თბილისი, მეცნიერება, 1992.
5. მ. გვერდწითელი, ორგანული ქიმიის თეორიული საფუძვლები, თბილისი, თსუ გამომც., 1989.
6. M. Gverdtsiteli, M. Rusia, G. Chachava, Mathematical-Chemical Investigation of some Classes of Inorganic and Organic Compound, Tbilisi, Universal, 2010.

რუსუდან გოგიბერიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
მიხეილ გვერდსიტელი, ივ. ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

**მათემატიკური ქიმიის განვითარება
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
რეზიუმე**

განხილულია თეორიული ქიმიის ერთ-ერთი ახალი დარგის - მათემატიკური ქიმიის არსი, რომლის მიზანია თანამედროვე მათემატიკის გამოთვლითი აპარატის (გრაფები, მატრიცები) გამოყენებით თეორიული ქიმიის პრობლემების გადაჭრა. მოყვანილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური ქიმიის სამეცნიერო ჯგუფის მიერ მიღებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი შედეგი. გამოყვანილია კორელაციური განტოლებები, გამოკვლეულია მათი სიზუსტე და დადგენილია მეთოდის ეფექტურობა.

საკვანძო სიტყვები: მათემატიკური ქიმია, კორელაციური განტოლება, ანბ და ანბ მატრიცები.

*Русудан Гогибериძе,
Грузинский технический университет,
Михеил Гвердцители,
Тбилиский государственный университет,*

**Развитие математической химии в
Тбилиском государственном университете**

Резюме

Рассмотрена суть одной из новейших отраслей

теоретической химии - математической химии, основной целью которой является изучение и решение многих проблем теоретической химии применением современной математической вычислительной аппаратуры (графы, матрицы). Показаны некоторые достижения научной группы математической химии при Тбилиском государственном университете. Получены корреляционные уравнения, оценены их точности и доказана эффективность рассмотренного метода.

Ключевые слова: математическая химия, корреляционное уравнение, матрицы типов „ანბ“ и „ანბ“.

*Rusudan Gogiberidze,
Georgia Technical University,
Mikhail Gverdtsiteli,
Tbilisi State University*

**The Development of Mathematical Chemistry at
Tbilisi State University**

SUMMARY

Brief characterization of mathematical chemistry is represented. Some results – obtained by the scientific group at Tbilisi state university – are discussed.

Keywords: mathematical chemistry, correlation equation, matrix „ანბ“ and „ანბ“.

AB_n ტიპის მოლეკულების მათემატიკური მოლეკული გრაფების თეორიის ფარგლებში

*რუსუდან გოგიბერიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
მიხეილ გვერდწითელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



საკვანძო სიტყვები: მათემატიკური მოდელი, გრაფი „სიმეტრიული ვარსკვლავი“, ფსევდო-თანაზიარობის მატრიცა.

სხვადასხვა ტიპის მოლეკულების შესაბამისი მათემატიკური მოდელებს აგება და გამოკვლევა მათემატიკური ქიმიის მაგისტრალურ ამოცანას წარმოადგენს [1-3]. ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა გრაფების თეორია [4-5].


განვიხილოთ AB_n ტიპის მოლეკულები, სადაც A n - ვალენტოვანი ქიმიური ელემენტია ($n = 1, 2, \dots, 8$), ხოლო B - ერთვალენტოვანი ქიმი-

ური ელემენტი. ასეთი ტიპის მოლეკულების მათემატიკურ მოდელს წარმოადგენს გრაფი „სიმეტრიული ვარსკვლავი“.


„სიმეტრიული ვარსკვლავი“ ეწოდება გრაფს, რომლის ერთი წვეროს ხარისხია n , დანარჩენი წვეროების - 1. თითოეულ „სიმეტრიული ვარსკვლავს“ შეესაბამება **ფსევდოთანაზიარობის მატრიცა**, რომლის დიაგონალური ელემენტები შესაბამისი წვეროების ხარისხებია, არადიაგონალური - წიბოების ჯერადობები - 1.

ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მოლეკულა, შესაბამისი გრაფი და **ფსევდოთანაზიარობის მატრიცა**:

HCl		$\begin{vmatrix} 1 & 1 \\ 1 & 1 \end{vmatrix}$
BeCl ₂		$\begin{vmatrix} 2 & 1 & 1 \\ 1 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 1 \end{vmatrix}$
BCl ₃		$\begin{vmatrix} 3 & 1 & 1 & 1 \\ 1 & 1 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix}$
CCl ₄		$\begin{vmatrix} 4 & 1 & 1 & 1 & 1 \\ 1 & 1 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix}$



$$\begin{vmatrix} 5 & 1 & 1 & 1 & 1 & 1 \\ 1 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix}$$



$$\begin{vmatrix} 6 & 1 & 1 & 1 & 1 & 1 \\ 1 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 \\ 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix}$$

ზოგადად, გრაფი „სიმეტრიული ვარსკვლავის“ შესაბამის ფსევდოთანაზიარობის მატრიცას გააჩნია სახე:

$$\begin{vmatrix} n & 1 & 1 & 1 & \dots & 1 \\ 1 & 1 & 0 & 0 & \dots & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 & \dots & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 & \dots & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ 1 & 0 & 0 & 0 & \dots & 1 \end{vmatrix}$$

როგორც ვხედავთ, გრაფი „სიმეტრიული ვარსკვლავის“ შესაბამისი ფსევდოთანაზიარობის მატრიცა კვადრატულია, რომლის რიგი ერთით მეტია წიბოების რაოდენობაზე. პირველი სტრიქონის და პირველი სვეტის ყველა ელემენტი 1-ის ტოლია (გარდა პირველისა), a_{11} -ის მინორი M_{11} არის n რანგის კვადრატული მატრიცა, რომლის მთავარი დიაგონალური ელემენტებია 1-იანები, ყველა დანარჩენი ელემენტი 0-ებია.

თეორემა. გრაფი „სიმეტრიული ვარსკვლავის“ ფსევდოთანაზიარობის მატრიცის დეტერმინანტი 0-ის ტოლია.

დამტკიცება ვაწარმოოთ ინდუქციის მეთოდით

$$D_1 = \begin{vmatrix} 1 & 1 \\ 1 & 1 \end{vmatrix} = 1 - 1 = 0$$

$$D_2 = \begin{vmatrix} 2 & 1 & 1 \\ 1 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 1 \end{vmatrix} = 2 - 1 - 1 = 0$$

დავუშვათ მისი მართებულობა n რაოდენობის წიბოსათვის:

$$D_n = \begin{vmatrix} n & 1 & 1 & 1 & \dots & 1 \\ 1 & 1 & 0 & 0 & \dots & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 & \dots & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ 1 & 0 & 0 & 0 & \dots & 1 \end{vmatrix} = 0$$

დავამტკიცოთ მისი მართებულობა $(n+1)$ რაოდენობის წიბოსათვის - ვაჩვენოთ რომ $D_{(n+1)} = 0$

$$D_{n+1} = \begin{vmatrix} n+1 & 1 & 1 & 1 & \dots & 1 \\ 1 & 1 & 0 & 0 & \dots & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 & \dots & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ 1 & 0 & 0 & 0 & \dots & 1 \end{vmatrix} =$$

გამოვაკლოთ პირველ სტრიქონს მეორე სტრიქონი.


$$= \begin{vmatrix} n & 0 & 1 & 1 & \dots & 1 \\ 1 & 1 & 0 & 0 & \dots & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 & \dots & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ 1 & 0 & 0 & 0 & \dots & 1 \end{vmatrix} =$$

დავშალოთ დეტერმინანტი მეორე სვეტის ელემენტების ალგებრული დამატებების მიხედვით:


$$= a_{12}A_{12} + a_{22}A_{22} + \dots + a_{n+1}A_{n+1} = a_{22}a_{22} =$$

$$= 1 \cdot \begin{vmatrix} n & 1 & 1 & \dots & 1 \\ 1 & 1 & 0 & \dots & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ 1 & 0 & 0 & \dots & 0 \end{vmatrix} = 1 \cdot D_n = 1 \cdot 0 = 0.$$

ზემოთ განხილული მათემატიკური მოდელი შეიძლება გამოვიყენოთ ზოგიერთი ქიმიური რეაქციის ფორმალურ-ალგებრული დახასიათებისათვის. განვიხილოთ ქიმიური რეაქცია:



ამ პროცესის ჩანაწერი გრაფების სახით იქნება:



რადგან რეაქტანტები (რეაგენტები და რეაქციის პროდუქტი) წარმოადგენენ გრაფ „სიმეტრიულ ვარსკვლავებს“ (სამ-ქიმიანს, ერთ-ქიმიანს და ხუთ-ქიმიანს), შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი ტიპის რეაქციების მიმდინარეობის ქვაზითანაზიარობის მატრიცის დეტერმინანტის მნიშვნელობა არ იცვლება (ნულის ტოლი რჩება). ამგვარად, „სიმეტრიული ვარსკვლავების“ მონაწილეობით მიმდინარე პროცესებისათვის ქვაზითანაზიარობის მატრიცის დეტერმინანტი არ იცვლება (ნულის ტოლი რჩება).

ლიტერატურა

1. P. R. Rouvray , Chemical Application of Topology and Graph Theory, Amsterdam, 1983.
2. К. б. Яцимирский, Применение теории графов в химии, Киев, 1975.
3. გ. გამზიანი, მათემატიკური ქიმია, თბილისი, მეცნიერება, 1990.
4. Ф. Харари, Теория графов, Москва, 1980.
5. О. Оре, Теория графов, Москва, 1980.

რუსუდან გოგიბერიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
მიხეილ გვერდწითელი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,

AB_n ტიპის მოლეკულების მათემატიკური მოდელი გრაფების თეორიის ფარგლებში

რეზიუმე

AB_n ტიპის მოლეკულებისათვის, (სადაც A n-ვალენტოვანი ქიმიური ელემენტია, B ერთ-ვალენტოვანი) შემუშავებულია მათემატიკური მოდელი - გრაფი „სიმეტრიული ვარსკვლავი“. დამტკიცებულია ამ ტიპის გრაფის შესაბამისი ფსევდოთანაზიარობის მატრიცის დეტერმინანტის ნულთან ტოლობა. ნაჩვენებია ამ მოდელის გამოყენების შესაძლებლობა ზოგიერთი ტიპის ქიმიური რეაქციისათვის.

საკვანძო სიტყვები: მათემატიკური მოდელი, გრაფი „სიმეტრიული ვარსკვლავი“, ფსევდო-თანაზიარობის მატრიცა.

*Rusudan Gogiberidze,
Georgia Technical University*

*Mikhael Gverdsiteli,
Tbilisi State University*

*Русудан Гогиберидзе,
Грузинский технический университет,*

*Михаил Гвердцители,
Тбилиский государственный университет,*

**Mathematic Model of AB_n Type Molecules within
the Scope of Graph Theory**

**Математическая модель графов
молекул типа AB_n .**

SUMMARY

Резюме

For AB_n Type molecules (where: A is n – valence Chemical element, B – mono valence) mathematical model – graph „symmetric star“ was elaborated. It was shown that the value of the determinant of the Pseudo-contiguity matrix is zero. The possibility of using this model for some types of chemical reaction is demonstrated.

Для молекул типа AB_n (где А n-валентный химический элемент, В – одновалентный) разработана математическая модель – граф „симметричная звезда“. Доказано, что детерминанты матрицы псевдос-межности этих графов равны нулю. Показано, что эту модель можно использовать для некоторых типов химических реакции.

Keywords: *mathematical model, graph „symmetric star“, pseudo-contiguity matrix.*

Ключевые слова: *математическая модель, граф „сим-метричная звезда“, матрица псевдосмежности.*

გატარების დროსაც. ორივე შემთხვევაში აუცილებელია დაემთხვევს პაკეტების (ან მათი შემცველი ცალკეული ნაწილების) რაოდენობები მოწყობილობების შემავალ და გამავალ ინტერფეისებზე.

ადვილი მისახვედრია, რომ თუ ქსელის მუშაობის რაიმე დროის მომენტისათვის პაკეტების რაოდენობა i – ური სერვერის შემავალი ინტერფეისის პორტებზე $1, 2, 3, \dots, (n - 1), n$ პაკეტების რაოდენობა მკვეთრად აღემატება პაკეტების რაოდენობას იმავე i – ური სერვერის გამოსასვლელი ინტერფეისის პორტებზე $1, 2, 3, \dots, (m - 1), m$, მაშინ, ცხადია ქსელის სწრაფქმედება (და შესაბამისად მისი წარმადობაც) შენელებს. ასეთ შემთხვევებში საჭიროა ჭარბი პაკეტების რაოდენობა შეინახოს (განთავსდეს) ამ კონკრეტულ სერვერთან მიერთებული კომპუტატორის ბუფერულ მეხსიერებაში და გაიცეს ისინი ქსელის მუშაობის პიკური დროის გასვლის შემდეგ.

წარმოდგენილ სტატიაში შევეცადეთ ვაჩვენოთ უფრო თვალნათლივ კონტროლის ახალი მეთოდი გლობალური ქსელის სერვერული i – ური მოწყობილობის შემავალი და გამავალი ინტერფეისების ნებისმიერად აღებულ მიმდინარე დროის მომენტში ქსელის დატვირთვის რაიმე კონკრეტულ მაგალითზე.

ეს შეიძლება ვაჩვენოთ ცხრილის სახით (ეს ცხრილი განხილულია [1]-ში), რომლის პირველ სვეტში ნაჩვენებია იქნება ქსელის i – ური სერვერის შემავალ ინტერფეისზე მიწოდებული პაკეტების რიგითი ნომრები და მათი მოცულობები (გამოხატული ფრჩხილებში მითითებული ფიქსირებული დეიტაგრამების რაოდენობით). კონტროლის საწყის ეტაპზე ამოირჩევა პაკეტები, რომლებიც შეიცავენ დეიტაგრამების მინიმალურ რაოდენობას (ასეთი პაკეტებია მე-2 და მე-3, რომლებიც შეიცავენ სამ-სამ დეიტაგრამას). მომდევნო ეტაპზე მათი მნიშვნელობა (3) მრავლდება შემავალ ინტერფეისზე მიწოდებული პაკეტების საერთო რაოდენობაზე (ჩვენს მაგალითში 8-ზე). ე.ი. $3 \times 8 = 24$. ვიღებთ ნამრავლს 24-ს რომელიც პირველი შესაკრების სახით მიეწოდება დამგრობებელ ამჯამავზე და სწარმოებს მისი დამახსოვრება. ამავე ეტაპზე პარალელურად

სწარმოებს ციფრი 3-ების გამოკლება ინტერფეისზე მიწოდებული თითოეული პაკეტის შემცველი დეიტაგრამებისაგან და ფორმირდება პაკეტებში დარჩენილი დეიტაგრამებისაგან შედგენილი ახალი სვეტი (8, 0, 0, 2, 2, 2, 5 და 12). შემდეგ პროცესები იტერაციულად მეორდება, ე.ი. ამ სვეტის პაკეტების დეიტაგრამებიდან კვლავ ამოირჩევა მინიმალური მნიშვნელობის დეიტაგრამა (2) და დაითვლება მათი რაოდენობა (ასეთებია სამი 2, 2, 2 მნიშვნელობის დეიტაგრამა). ისინი კვლავ მრავლდება ამავე სვეტში დარჩენილი ნიშნადი მოცულობის პაკეტების საერთო რაოდენობაზე, ფორმირებული ნამრავლი ($2 \times 6 = 12$), რომელიც მეორე შესაკრების სახით კვლავ მიეწოდება დამგრობებელ ამჯამავს და ა.შ. პროცესები მეორდება მანამდე სანამ ბოლო სვეტი არ გახდება 0-ვანი მნიშვნელობის ან მასში დარჩება ერთი ნიშნადი მნიშვნელობის დეიტაგრამა (ჩვენს მაგალითში 4 მნიშვნელობის), რომელიც მრავლდება 1-ზე, ე.ი. $4 \times 1 = 4$ და ეს ნამრავლი ბოლო შესაკრების სახით მიეწოდება დამგრობებელ ამჯამავს. ამით მთავრდება მინიმალური დეიტაგრამების ამორჩევის, გამოკლებისა, გამრავლებისა და დამგროვებელ ამჯამავში შეკრების ოპერაციები.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულ კონტროლის მექანიზმს საფუძვლად უდევს მეთოდი, რომლის მიხედვითაც საშუალება გვქმნება განვსაზღვროთ სერვერის გამოსასვლელი ინტერფეისის პორტებში პაკეტების დაყოვნების დროითი ხანგრძლიობები, რომლის მიხედვითაც შეირჩევა კომპუტატორის ოპერატიული მეხსიერების (ბუფერული მეხსიერების ზონებში) რამდენ ხანს შეიძლება პაკეტების შეყოვნება. ბუფერული მეხსიერების ზონებში დეიტაგრამების რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება ბუფერის მეხსიერების მოცულობა, ანუ მეხსიერების იმ უჯრედების რაოდენობა, რომელიც საჭიროა პაკეტების დროებით შესანახად. კონტროლის ზემოთაღნიშნული მექანიზმის სრული რეალიზაციისათვის საჭიროა არითმეტიკული მოწყობილობა, რომელიც შეიცავს დეიტაგრამების მთვლელს, გამომკლებ და სამრავლ მოწყობილობებს და დამგროვებელ ამჯამავს.

სერვერების ინტერფეისის კონტროლის არითმეტიკული მოწყობილობის კვანძები ასრულებენ შემდეგ ოპერაციებს:

1. მთვლელი დაითვლის სერვერის შემავალ ინტერფეისში მიწოდებული პაკეტების (კლიენტების განაცხადების პაკეტების) საერთო რაოდენობას საკონტროლო დროის პერიოდში;
2. განსაზღვრავს შემავალ ინტერფეისში მიწოდებული თითოეული პაკეტის მოცულობას (ანუ რამდენი დეიტაგრამები-საგან შედგება თითოეული პაკეტი იმავე საკონტროლო დროის განმავლობაში);
3. სერვერის შემავალ ინტერფეისში მიწოდებული პაკეტებიდან შეარჩევს უმცირესი მოცულობის პაკეტს (ე.ი. გამოიცნობს იმ პაკეტს, რომელსაც გააჩნია ყველაზე ნაკლები რაოდენობის დეიტაგრამები სხვა დანარჩენ პაკეტებს შორის);
4. ჩაატარებს გამოკვლების ოპერაციას, განსაზღვრავს რა ამით თითოეულ ნაშთებს (ე.ი. შეასრულებს თითოეული პაკეტის შემცველი დეიტაგრამების გამოკვლევას);
5. შამრავლ მოწყობილობაში შეასრულებს გამრავლების ოპერაციას (ე.ი. დეიტაგრამების უმცირესი რაოდენობის ამსახველ რიცხვს გაამრავლებს სერვერის შემავალი ინტერფეისის პორტებზე მიწოდებული პაკეტების საერთო რიცხვზე);
6. მიღებულ ნამრავლს პირველი შესაკრების სახით შეიტანს დამგროვებელ ამჯამავში, რომელიც დაელოდება მეორე შესაკრების მიწოდებას;
7. ფორმირდება საკონტროლო დეიტაგრამების ახალი რიგი და სრულდება იტერაციულად მე-2 დან - მე-6 ოპერაციები მანამდე, სანამ დამგროვებელ ამჯამავში არ შევა ბოლო შესაკრები მნიშვნელობა.

ამგვარად, დამგროვებელ ამჯამავში ფორმირდება საბოლოო ჯამი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონტროლის მექანიზმის (მეთოდის) არსი მდგომარეობს იმაში, რომ დამგროვებელი ამჯამავის გამოსასვლელზე ფორმირებული სა-

ბოლო რიცხვი (საბოლოო ჯამი) აუცილებელი უნდა დაემთხვეს სერვერის შემავალ ინტერფეისზე მიწოდებულ ყველა პაკეტში არსებული დეიტაგრამების საერთო, რაოდენობას საკონტროლოდ აღებული დროის პერიოდში (დროის მონაკვეთში).

ლიტერატურა

1. ნ. ნატროშვილი, ო. ნატროშვილი. კომპიუტერული ქსელის კომუტატორებში ჭარბი პაკეტების დაყოვნების ჯამური ხანგრძლიობის ოპერატიული განსაზღვრის მეთოდი. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ "მოამბის" შრომების დამატება. 1/(16), თბილისი 2010;
2. ო. ნატროშვილი. მონაცემთა მიღება-გადაცემების მართვისა და დიაგნოსტიკების ალგორითმები კომპიუტერულ ქსელებში. ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2009;

Отар Натрошвили

Грузинский технический университет

О РАЗРАБОТКА МРТОДА КОНТРОЛЯ ИНТЕРФЕЙСОВ СЕРВЕРНЫХ УСТРОЙСТВ

Резюме

Рассмотрены методы контроля интерфейсных устройств серверов компьютерных сетей. Показан пример, подтверждающий корректность работы разработанного метода контроля.

Ключевые слова: *Компьютерные сети, серверы, интерфейсы. Метод контроля*

Отар Натрошвили

Georgian Technical University

ABOUT DEVELOPMENT OF A CONTROL METHOD OF INTERFACES OF SERVER DEVICES SAMMARY

Control methods are considered devices of servers of computer networks are considered. The example confirming a correctness of work of the developed control method is shown.

Keywords: *Computer networks, servers, interfaces. Control method.*



პრიმ ოუენ მოსის გნოსტიკური არქიტექტურა

*მაია დავითაია, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*თედო ხარჩილავა, სტუდენტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

XX

***საკვანძო სიტყვები:** არქიტექტურა, გნოსტიციზმი, ექსტრავერტულ, ინტროვერტული, სივრცე.*

1943 წელს ლოს ანჯელესში დაბადებული ერიკ ოუენ მოსი ფორმალური ენობრივი კოდით ახლოს დგას დეკონსტრუქტივიზმთან, თუმცა მას მონაწილეობა არ მიუღია 1988 წლის MMOMA-ს დეკონსტრუქტივისტთა გამოფენაში. იმ უბრალო მიზეზით ვერ მიიღებდა მონაწილეობას, რომ მისი არქიტექტურა ამერიკულ ეროვნულ სცენაზე გამომზეურდა შედარებით უფრო გვიან, ხოლო 1988 წლამდე რაც უკეთებია, დეკონსტრუქტივიზმის ლინგვისტიკაში არ თავსდება. ის თავს მიაკუთვნებს გნოსტიკურ არქიტექტურას და საბოლოო განაცხადს არქიტექტურის იდეოლოგიაზე 1999 წელს გამოცემული წიგნით „გნოსტიკური არქიტექტურა“ აკეთებს.

გნოსტიციზმი ახ.წ.ად. I-II საუკუნეში აღმოცენებული რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობაა, რომელშიც ერთმანეთს შეერწყა წარმართული (როგორც აღმოსავლური, ისე ელინური) და ქრისტიანული მოძღვრებები. ამ რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემათა ერ-

თობლიობა ქრისტიანული ფაქტებისა და მოძღვრების საფუძველზე აღმოცენდა. გნოსტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ისინი ფლობენ უმაღლეს, პრივილეგირებულ ცოდნას, რომელიც ქრისტიანული რწმენის საპირისპიროდ მოიაზრება. თუ ქრისტიანული რწმენა და ცოდნა ეკლესიის, როგორც ერთი მთლიანობის საკუთრებაა, რომლისგანაც იგი ცალკეულ მორწმუნეს გადაეცემა, გნოსტიციზმში ცოდნის შეძენა ინდივიდუალურ დონეზე ხდება, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება ქრისტიანობას. სიტყვა გნოსტიციზმი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან - „გნოსის“ - შემეცნება და გვთავაზობს ჩვეულებრივი ანალიტიკური ცოდნისაგან განსხვავებული ცოდნის და-უფლებას. გნოსტიკური ცოდნა არ ექვემდებარება უბრალოდ სწავლას, არამედ ის საიდუმლოა, რომელიც გულისხმობს გარკვეულ მდგომარეობაში შესვლას, გარდაქმნას, რადგან გნოზისში ჩადებული ცოდნა მივიღოთ, გავიგოთ, ჩავწვდეთ. მივიღოთ გნოზისი, ნიშნავს გარდავიქმნათ, შევცვალოთ ჩვენი მდგომარეობა კოსმოსში და იმავდროულად სამყაროსადმი დამოკიდებულებაც. ამის გარეშე ვერ მოხერხდება

იმ საიდუმლო ცოდნის დაუფლება, რომელსაც ადამიანის ხსნა შეუძლია.

გნოსტიკური სწავლება მრავალფეროვნებით ხასიათდება, მაგრამ გამოირჩევა ორი არსებითი ნიშანი, რომელიც ყველა მიმდინარეობისთვის საერთოა. პირველი ისაა, რომ გნოსტიკური თეორიები დუალისტურ მსოფლმხედველობაზეა დაფუძნებული, ისინი ორი ღვთაების არსებობას ამტკიცებენ: უმაღლესის, ტრანსცენდენტურის (რომელსაც ე.ო.მოსთან ხშირად შევხვდებით) და უმდაბლესის - დემიურგის, რომელიც ჩვენს სამყაროს მართავს. მეორე დამახასიათებელი ნიშანი კი - ძველი აღქმის ან სრული უარყოფა, ან მისადმი უარყოფითი დამოკიდებულებაა. გნოსტიციზმი, გარდა რელიგიური საწყისებისა, წარმოადგენს მსოფლმხედველობის, აზროვნების ახალ ფორმას, ახალ პარადიგმას (იდენტა და შეხედულებათა ერთობლიობა), თუმცა ერთ-ჯერადს. IV-V საუკუნეებში განადგურებული გნოსტიციზმი უკვალოდ არ გამქრალა. მისი ნაკვალევის პოვნა დღევანდელ დღესაც შესაძლებელია.

გნოსტიკური აზროვნების აფეთქება, თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალსახეობით, შეგვიძლია დავინახოთ XX საუკუნეში, ექსპერიმენტებითა და უტოპიური იდეებით გაჯერებული მოდერნიზმის პერიოდში. გნოსტიკოსად შეიძლება მივიჩნიოთ XX საუკუნის ისეთი დიდი ფილოსოფოსი, როგორც ლუდვიგ ვიდენშტაინი იყო, ხოლო მისი ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი გნოსტიკური აზროვნების ბიბლიად, ახალ ნიმუშად. გნოსტიკოსებს შორის ირიცხებიან ცნობილი მოაზროვნეები, ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი ჟორჟ პატაი, რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი, არქიტექტურაში კი ერიკ ოუენ მოსი.

ე.ო.მოსი თავის წიგნში ცდილობს გააფართოვოს დისკუსიის საზღვრები თანამედროვე არქიტექტურის სტილსა და იდეოლოგიაზე დებატებს მიღმა, საკუთარი ნაგებობებისადმი პირადი, ინდივიდუალური მიდგომის ხაზგასმით. მოსი კონცენტრაციას აკეთებს იმ არქი-

ტექტორების წინაშე წამოჭრილ ფუნდამენტურ კითხვებზე, რომლებიც „კრიტიკულად აშენებენ“. გნოსტიციზმი, მისი მტკიცებით, საშუალებას აძლევს არქიტექტორს გასცდეს არქიტექტურის შექმნის გზაზე წამოჭრილ წინააღმდეგობებს და დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ ინტუიციას. მოსის აზრით, არქიტექტურა დამოკიდებულია არქიტექტორის ინტროვერტულობაზე და არა ექსტროვერტულ (გარე) ფაქტორებზე.

მოსი წერს: „გნოსტიკური არქიტექტურა არის ავტობიოგრაფიული. ეს თეზისი გამომდინარეობს ჩემი მრავალწლიანი ცდებიდან, მინდოდა მომეძებნა იმ სამყაროს ახსნა, რომელშიც მე ჩემი თავი აღმოვაჩინე“. მიზანს კი მისთვის წარმოადგენდა ტექნიკასა და ტექნოლოგიასთან დაკავშირებული კითხვების აცილება. „გნოსტიკური არგუმენტის განვითარების პროცესი მოითხოვს ყოველგვარი ემპირიული დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას, რომელიც გამოიყენებოდა იმის ასახსნელად, თუ რატომ იყო ესა თუ ის ნაგებობა ისეთი, როგორც იყო“. აღინიშნა, რომ ქრისტიანული მოძღვრებისაგან განსხვავებით, გნოსტიკური ცოდნის მიღება ინდივიდუალური პროცესია. ამასვე ამბობს მოსი, რომ მისი არქიტექტურა არ არის დამყარებული უკვე აქამდე არსებულ ემპირიულ გამოცდილებაზე და მან, თვითონ იპოვა გზა ამ არქიტექტურის შექმნისთვის, რასაც მის მიერ გამოთქმული მოსაზრება ადასტურებს: „არქიტექტურა არ არის მეთოდი, პროცესი, ტექნიკა ან ტექნოლოგია. ეს არის მუდმივი მოძრაობის, დინამიზმის შენარჩუნების სტრატეგია.“

გნოსტიციზმის ერთ-ერთი ნიშანი ისაა, რომ ის არ არის დოგმატური მოძღვრება. გნოსტიკოსები პირველი თავისუფალი მოაზროვნეები, თავისუფალი ინტერპრეტატორები არიან. მოსი ნაშრომში წერს: „მე ვცდილობ გავანთავისუფლო საკუთარი თავი, რომ ვიფიქრო ისეთ არქიტექტურაზე, რომელიც ქმნის აპრიორების ჯამს, შედეგს. მე ვემბ გზას, რომელიც არ გამორიცხავს საკუთარი გამოცდილების საშუალებით საბოლოო წერ-

ტილამდე მისვლას. თანამედროვე არქიტექტორები ხშირად ცდილობენ მშენებლობის ლოგიკის დემონსტრირებას, იმ ხაზის გაცნობიერების გარეშე, რომელიც ლოგიკას გასდევს: „აუცილებელი იყო გაგვეკეთებინა კოლონა და კონსოლი რათა დატვირთვებისთვის გაეძლო... და ა.შ. ეს რაციონალურობაა. მე ვეძებ არგუმენტირებულ ქრონოლოგიას, სადაც თანმიმდევრობა ცვლადია, სვეტებისა და მალეზის, ფერმის შეუმოსავი ფოლადისა და ლითონის, კოლონებისა და მისი პარალელური თუ ორთოგონალური სიხისტის ელემენტებს შორის ურთიერთობას. ლოგიკა არასდროს იძლევა იმაზე დიდ გარანტიას, ვიდრე მისი წინაპირობა. უამრავი დამაინტრიგებელი კითხვაც პასუხგაუცემელი რჩება ამ ემპირიული ლოგიკით. ეს მე დეგას მოცეკვავეებს მაგონებს. დაბალანსებული დისბალანსის ძიებაში ყოფნა. სწორედ ასეთი გადაწყვეტის შედეგია სივრცე, რომელიც მივიღე შამიტაურ ხლოცკ-ში. მე დამაბულობას ვეძებ. სწორედ ეს დამაბულობა, შესაძლებლობებს შორის, სრულიად ნათლად წარმოაჩენს ჩვენს კულტურას“. აქ ნათლად ჩანს მოსის თავისუფალი აზროვნება, მისი ინტერპრეტაცია, დოგმების არარსებობა. გნოსტიკურ მოძღვრებაში პირობითად, ერთ დღეს ერთს შეეძლო ლიტურგიის ჩატარება თავისებურად, ხვალ მეორეს, რომელსაც შეეძლო ის აბსოლუტურად შეეცვალა. ამ თავისუფლების გადმოტანის შესაძლებლობას არქიტექტურაში ადასტურებს მოსის სიტყვები: „დიზაინის პროცესი უნდა იყოს პერსონალური. დიზაინი არის პროცესი, როცა არქიტექტორი აშენებს საკუთარ თავს, ეძებს გზას, რომ განაზოგადოს, ნაწილ-ნაწილ საკუთარი ენით შექმნას სივრცე“. მისი აზრით, თითოეულ ადამიანს შეუძლია ააშენოს ისეთი სამყარო, როგორც თვითონ სურს.

მოსისთვის, გნოსტიციზმი მოითხოვს როგორც ინტელექტუალურ, ისე ლირიკულ აზროვნებას. დიალექტიკა პოულობს დამაბულობას, ლირიკა კი შთანთქავს მას. მოსი თავის გნოსტიციზმში

ხედავს ორ ძირითად სახეს-დიალექტიკას (ტრანსცენდენტულობას) და ლირიკას. თითოეულის მნიშვნელობაზე კი მას საკუთარი მოსაზრება გააჩნია.

დიალექტიკა (მოძღვრება განვითარების შესახებ) არის, ან შეიძლება იყოს, პოეზიის ნაწილი. რაც ნიშნავს, რომ ნამუშევარი შეიძლება შეიცავდეს ინტელექტუალურ დიალექტიკას და ლირიკულად იყოს დაფარული. მოსი ამას დიალექტიკურ ლირიკას უწოდებს. დიალექტიკა არ უარყოფს ცერებრალურ (მიმართავს ან მოითხოვს ინტელექტის გამოყენებას, უფრო ინტელექტუალური ვიდრე ემოციური) არგუმენტებს. ის მხოლოდ იმას ამბობს, რომ არსებობს სივრცითი პერსპექტივა, რომელიც სცდება დიალექტიკური არგუმენტების ინტელექტუალურ საზღვრებს, თუ დიალექტიკა ზუსტადაა დაკავშირებული მასთან. რაც ნიშნავს, რომ დიალექტიკის სიზუსტე უზრუნველყოფს მის დამლევას. გნოზისი არის ტრანსცენდენტური ცოდნა და არა ემპირიული. გნოსტიციზმის, როგორც რელიგიის, შემთხვევაში, გნოზისის კონცეფცია მომდინარეობს რელიგიური კონტექსტიდან, როგორც ცოდნა, რომელიც აღწევს ფორმას, შემდეგ იცვლება და ცვლის ისტორიის მიმდინარეობას. გნოსტიკური არქიტექტურა კი აშენებს ტრანსცენდენტურ სივრცეებს დროში და დროის მიღმა.

ლირიკა სივრცის ფორმაა. ელიოტის ცნობილი ფრაზა „ოთხი კვარტეტიდან“ – „დედამიწის საყრდენი წერტილი“, არის დამაბულობის წერტილი, ან შეიძლება სწორედ ამ დამაბულობის დამლევაზე იმუშაოს. მას არ შეუძლია უფრო შორს წასვლა. არანაირი დამატებები, არანაირი შემცირებები. თუ არქიტექტურა არის ცხოვრების და ცხოვრების საკითხების მატერიალური არსებობა, მაშინ არქიტექტურაც დამაბულობა ხოლო ამ დამაბულობის გამოძევებით შეიძლება მისი გადალახვა, იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება იმდენად ძლიერი, რომ გადალახოს ინტელექტუალური დიალექტიკა და გახდეს

გნოზისი. ანუ ლირიკას შესწევს ძალა გახდეს გნოზისი, თუ მას ექნება საკმარისი ძალა, რომ გადალახოს ინტელექტუალური დიალექტიკა.

რისი შეცნობა ხდება გნოსტიციზმში? სწორედ ამაში მდგომარეობს რევოლუციური არსი გნოსტიციზმისა-ღმერთის შემეცნების ერთადერთი საშუალება არის საკუთარი თავის შეცნობა. თუ ადამიანთა ხედვა არის, ტრადიციულად, გარეთ, გარე სამყაროსკენ მიმართული, გნოსტიკოსები არიან ისინი, რომლებმაც ხედვა შეაბრუნეს საკუთარი თავისკენ. ამას აქვს წინაპირობა. დელფოსის აპოლონის ტაძარზე წერია „gnostise seayton“ – „შეიცან თავი შენი“, რაც გნოსტიკოსებთან გადაიქცა შემეცნების, როგორც თვითშემეცნების რელიგიურ სტრატეგიად. არ არსებობს გარე სამყაროს შემეცნება, არსებობს საკუთარი თავის შემეცნება. მოსის აზროვნებაში კი ეს ყოველივე ასე გამოიხატება: „არ შეიძლება არქიტექტურა უბრალოდ ეკუთვნოდეს გარკვეული ინტერესების გაერთიანებას, რომლებიც ემსახურებიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ უტილიტარულ მიზნებს, თუმცა ესენი წარმოადგენენ საჭიროებას, რომელიც პოულობს გამოხატულებას არქიტექტურის ექსტრავერტულ, ანუ გარეგან, მხარეში. იყოს გაუმჯობესებული, ინტროვერტული (შინაგანი) ადამიანური ღირებულებების წარმოსადგენად, რომლებიც ისევე რეალურია, მაგრამ სუსტი და გამოსავლენად უფრო რთული. რთულია ამ ორ სივრცეს შორის ზღვარის დადგენა. ადამიანური ღირებულებები უნდა იყოს გამოხატული ზუსტად, იქ, სადაც ნამდვილადაა მათი ადგილი. ისინი უნდა იყოს დაცული მთელი დროის განმავლობაში, თუნდაც მონასტრებში, სიმღერებში და შენობებში“.

მოსის ნამუშევარში სემიტორ ბლოკი (Samitaur Block) კარგად ისახება გნოსტიკური არქიტექტურის არსი და ის თეორიული მოსაზრებები, რომლებმაც გამოიწვიეს მისი შექმნა. ბოლო რამდენიმე წელია მოსი დაინტერესდა ჰენრი მურის სკულპტურით „მუზარადი“ და

სივრცისადმი დამოკიდებულებაში აღმოაჩინა ბევრი საერთო საკუთარ თავსა და მას შორის. მოსის აზრით: „მუზარადი ჩვეულებრივი გაგებით ადვილი აღსაქმელია. შენ მას დაიხურავ, ის კი შენს თავს დაიცავს. მაგრამ მას აქვს სივრცეები ცხვირისთვის, პირისთვის, ყურისთვის და თვალისთვის. და თავად თავის ფორმა. თავისა და ჩაფხუტის ფორმა შეესაბამება. მურისთვის, ის რაც მუზარადშია მოთავსებული არ წარმოადგენს შიგთავსის სინონიმს, ის, რაც დაცული რჩება წარმოადგენს შეზღუდულ მასას მუზარადის მიერ. რაც შიგნითაა აღიქმება გარედანაც, ჭრილების საშუალებით, მაგრამ არასდროსაა ბოლომდე გასაგები. არის ადგილები სადაც ხდება ფორმის გაწყვეტა, დიზუნქტივები (ანუ დამოკიდებულება ორ მკაფიო ალტერნატივას შორის), ამ შემთხვევაში შემცველსა (მუზარადს) და დაცულს (თავი) შორის. მოსისთვის ეს მუზარადი წარმოადგენს ზონების თანმიმდევრობას - გარე ნაწილის გარე სივრცე (the outside of the outside), გარე ნაწილის შიდა სივრცე (the inside of the outside), შიდა ნაწილის გარე სივრცესა (the outside of the inside) და შიდა ნაწილის შიდა სივრცეს (the inside of the inside) შორის. The “Glue” არის ის, რასაც მოსი უწოდებს გარეს შიდა ნაწილსა და შიდას გარე ნაწილს შორის სივრცეს. როგორც მოსი წერს: „მე დაინტერესებული ვარ ისეთი გარემოებებით, როდესაც ორი ფორმა არ შეესაბამება ერთმანეთს, მაგრამ გააჩნიათ საკმარისად შესაბამისი ასპექტები, რათა წაკითხულ და აღქმულ იქნან როგორც ერთი ნაწილი, ერთმანეთის გამამლიერებელი, მაგრამ ამავდროულად წინააღმდეგობებით სავსე“.

რა საერთო აქვს მუზარადსა და მოსის სივრცეებს? პასუხის მოძებნაში ისევ მოსი გვეხმარება Samitaur Block-ის არქიტექტურით. Samitaur-ი აერთიანებს განსხვავებულ ნაწილებს - საყრდენებს, სვეტებს, კიბეებს, აუზს. მაგრამ ისინი არ შეესაბამებიან ერთმანეთს თუ მათ ერთმანეთის გვერდით დავალაგებთ, ეს ნაწილები განზრახ არალოგიკურია, სამაგიეროდ

ყველა ფორმა შეესაბამება სხვას, Glue-s, რომელიც აძლევს მათ საშუალებას გაერთიანდნენ და გადაიქცნენ შენობად. Glue არის კონცეპტუალური ამება, რომელიც აქ შემოსაზღვრულია მკაცრი, ორთოგონალური პერიმეტრით - Samitaur-ის ბლოკით, ხოლო სვეტები და რიგელები კი გამოყენებულია ჰაერში მის ასაწევად. შედეგად მიიღო შეუსაბამო ოთხი ერთეული - შესასვლელის, კიბის, აუზის/ხიდის, საერთო და კაბინეტების სივრცის ანომალია.

აქედან გამომდინარე, როგორც მურის „მუზარადს“ აქვს ერთმანეთისთვის შეუსაბამო შიგა და გარე სივრცეები, ასევე აქვს Samitaur-საც, მაგრამ ორივე აღიქმება როგორც ერთი მთლიანი, დამოუკიდებელი ნაწილი. მათი არსებობა ერთმანეთის გარეშე არ შეიძლება, მაგრამ ამავდროულად ისინი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

რატომ შეიძლება ეს ნაგებობა ჩაითვალოს გნოსტიკური არქიტექტურის ნიმუშად? როდესაც მოსი საუბრობს ინტროვერტულ და ექსტროვერტულ სივრცეებზე და მაქსიმალური და მინიმალური შესაძლებლობებს შორის გამავალ ზღვარზე, Samitaur-ში წარმოდგენილია ორივე სივრცე, მაგრამ ისევ მოსის სიტყვებიდან გამომდინარე „ძნელია დავინახოთ ის ზღვარი, რომელიც Samitaur-ის ექსტროვერტულ და ინტროვერტულ სივრცეებს შორის გადის“.

„არ შეიძლება არქიტექტურამ მოახდინოს რატიფიცირება თუ რა არის რეალური და რა არა. არქიტექტურამ უნდა შემოგვთავაზოს ალტერნატივა. მან უნდა შეძლოს თავიდან გადააწყოს არსებული კონსესუსი.“ ეს უკანასკნელი ფრაზა წარმოადგენს მოსის, როგორც გნოსტიკოსი არქიტექტორის არსს, რადგან გნოსტიციზმი-ეს არის ერთგვარი ალტერნატიული ქრისტიანობა, ისევე როგორც მოსის შემოქმედება წარმოადგენს არსებული არქიტექტურის ერთგვარ ალტერნატივას, ახალი პარადიგმებითა და დოგმების გარეშე.

ლიტერატურა:

1. Eric Owen Moss, Gnostic architecture, First published in the USA in 1999 by The Monacelli Press, inc. 10 East 92 nd Street, New York 10128.

*მაია დავითაია, პროფესორი,
თედო ხარჩილავა, სტუდენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*

ერიკ ოუენ მოსის გნოსტიკური არქიტექტურა

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ამერიკელი არქიტექტორის ერიკ ოუენ მოსის შემოქმედება. ის საკუთარ თავს გნოსტიკოს არქიტექტორად მოიხსენიებს და თავის თეორიულ მოსაზრებებს გნოსტიციზმთან, რომელიც ფილოსოფიურ-რელიგიური მიმართულებაა, აკავშირებს. ნაშრომი იწყება ერიკ ოუენ მოსის მცირე ბიოგრაფიით. შესავალ ნაწილში ხდება მოსის, როგორც დეკონსტრუქტივისტი არქიტექტორის გაცნობა, ისე როგორც კრიტიკოსები მსჯელობენ მის ლინგვისტურ კოდზე. განიხილება გნოსტიციზმის არსი, თუ რას წარმოადგენს ის რელიგიური თვალსაზრისით, რაშიმდგომარეობს მისი ფილოსოფიის არსი. სტატიაში საუბარია იმ საერთო ნიშნებზე, რომელსაც მივაკვლიეთ მოსსა და გნოსტიციზმს შორის. ბოლო ნაწილში წარმოდგენილია მაგალითები მოსის პრაქტიკული შემოქმედებიდან, რათა უკეთ წარმოჩენილიყო მისი თეორიული ნააზრების პრაქტიკაში გადმოტანის საშუალებები.

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურა, გნოსტიციზმი, ექსტრავერტული, ინტროვერტული, სივრცე.

*Maia Davitaia, Professor,
Tedo Harchilava, student,
The Georgian Technical University*

*Maia Davitaya, Professor
Tedo Harchilava student
Грузинский Технический Университет*

**Eric Owen Moss Gnostic
Architecture**

**Гностическая архитектура
Эрик Оуен Мосса**

SUMMARY

РЕЗЮМЕ

Presented report is about works of an architect - Eric Owen Moss. He calls himself Gnostic Architect and in this work his theoretical considerations are concerned with Gnosticism. The work begins with a short biography of Eric Owen Moss. In the preamble of the work Moss is introduced as a deconstructivist architect, as the critics call his linguistic code. The report discusses the essence of Gnosticism, what constitutes its religious point of view and what is the essence of his philosophy. The paper discusses the common signs, which we have found between Moss and Gnosticism. The last section presents practical examples of Moss architecture, to better determine the ways to bring his theoretical thinking in practice.

literatura:

В статье представляется творчество американского архитектора Эрик Оуен Мосса. Он себя считает гностическим архитектором и проводит параллель в своих теоретических работах с гностицизмом, который считается философско-религиозным течением. Статья начинается с обзора его биографии и в введении представлен Мосс как деконструктивист архитектор так как о его лингвистическом коде рассуждают критики. Обозревается само течение гностицизм то что он представляет с религиозной точки зрения и с философской стороны. В статье идет речь о тех общих чертах которые объединили Мосса с гностицизмом. В конце представлены примеры из практики Мосса чтоб лучше представить его теоретические идеи перенесенные в реальность.

Key Words: *Architecture, Gnosticism, Extravercher, Introvercher, Space.*

Ключевые слова: *Архитектура, гностицизм, экстравертное, интровертное, пространство.*

ისტორიული ქალაქის პრობლემები ლანღაფტური ზონის ოქნტიფიკაციის კონტაქტში

*მედია მეღვაძე, აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

XX

საკვანძო სიტყვები; ლანღაფტი, ბიოკლიმატური, ანალიზი, ძველი თბილისი, კონტექსტი, სივრცულ-არქიტექტურული, ინვერსიული.

პრეამბულა

„თბილისი-პანორამის“ პრობლემა უნდა განვიხილოთ რამდენიმე ასპექტის სფეროში. ეს ასპექტებია; ა) ბიოკლიმატური, ბ) სივრცულ-არქიტექტურული გ) მოცულობით- გეგმარებით - ტექნოლოგიური, ანუ ე.წ. High_ტექნოლოგიები მწვანე სახურავი, ჭკვიანი მინდა და ა.შ.

ამიტომაც, ამ საკითხის - „თბილისი პანორამის“- განხილვა, როგორც თანამედროვე ქალაქ-გეგმარებითი ინსინუაციისა - მომწონს არ მომწონს მომხმარებლურ-ობივატელურ რაკურსში, არ შიძლება. რადგან არქიტექტურა, როგორც ყველამ იცის, არის არა მონო, არამედ პოლივექტორული დარგი, სადაც ჰარმონიულად თანაარსებობენ მეცნიერების, საინჟინრო ხელოვნებისა და არქიტექტურული შემოქმედების ურყევი საფუძვლები, რომელთაგან ყოველი სეროზული განსჯის, ანალიზისა და სისტემური აზროვნების შედეგს წარმოადგენს.

თბილისი-ნიუ-იორკი

ყველასთვის ცნობილია, რომ ნიუ-იორკი - აშშ-ს უდიდესი მეგაპოლისი შედგება ხუთი რაიონისაგან: ბრონქსი, ბრუკლინი, მანჰეტენი, ქვინზი და სთეით - აილენდი. თითოეულში მილიონზე მეტი მოსახლეა სთეით-აილენდის გარდა. ჰავა კონტინენტურ - ტენიანია. მასზე ჩრ. ამერიკის კონტინენტალური ქარები ახდენს გავლენას. ზამთარი ცივია $t=-20^{\circ}$. თოვლის საშუალო სიმაღლე $H=0,6\text{ მ} -1.0\text{ მ}$. ზამთარში წვიმა ხშირია, ატლანტიკის ოკეანეს ზეგავლენით. ნიუ-იორკის ეს მცირე ბიოკლიმატური ანალიზი ჩვენ

გვკირდება თბილისთან მისი შედარებითი ანალიზისთვის. აქვე დავძენთ, რომ ნიუ-იორკის ლანღაფტი არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით და სირთულით. XX საუკუნის 70-იან წლებისთვის მისმა ეკოლოგიურმა დაბინძურებამ პიკს მიაღწია. მაგ; ბრონქსში მდ. ბრონქსის სანაპირო ამოქოლილი იყო 25-იანი სიმაღლის ნაგავსაყრელის მთებით, რაც იყო მიზეზი მისი მოსახლეობისთვის მდინარის არსებობის არცოდნისა.

რა მდგომარეობას აქვს ადგილი ახლა?

1. ბრონქსში ნიუ-იორკის მერის განკარგულებით ნაგავსაყრელი გაუქმდა. 25 მეტრიანი ნაგვის მთები მოიჭრა მათ ადგილას საფუძველი ჩაეყარა 1000 მ² ფართის პარკს.

2. ნიუ-იორკის მერიამ მოახდინა 5 მილიარდი ინვესტირება მანჰეტენზე განლაგებულ ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში, რომლის ფართია 341 ჰა. ამის შედეგად ბრუკლინის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი მილიონი ძირის ხისჩარგვის პროგრამით მოხდება სითბური გაზების ეფექტის შემცირება. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ნიუ-იორკის რიგით მეორე მწვანე სახურავების პროგრამა გადაიზარდა 8000 სახურავების გამწვანებიდან დღევანდელი დღისათვის ქალაქის ყველა სახურავის ჯამურ ფართში, რომელიც უდრის ცენტრალური პარკის გაოთხმაგებულ ფართს.!!!

თბილისი

რა სურათი გვაქვს თბილისში. დიამეტრალურად საპირისპირო.

ჯერ დავიწყოთ იმით, თუ რას წარმოადგენს ჩვენი დედაქალაქი, როგორც გეოგრაფიულ - გეოლოგიური ფენომენი. - მდინარე მტკვის ხეობაში ხუთ ბუნებრივ ტერასაზე

განალაგებული ისტორიული ქალაქი, რომელშიც არის ჩრ. დასავლეთისა და სამხრ.-აღმოსავლეთის ხეობის მიმართ გაბატონებული ქარები. ჰავა კონტინენტალურია. ზაფხულში ცხელი, მშრალი. ზამთარი ცივი ტენიანი. თბილისის ჰავის პირველი დახასიათება მოგვცა ვახუშტი ბატონიშვილმა: “თბილისი ჰავითა არს მშუენი და მხიარული..., ზაფხული ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარი ცივი. ზაფხულ–შემოდგომა მშუენი და სტროფო.” [1] (აქ ჩანს რამდენად შეიცვალა თბილისი ჰავა დაახლოებით 1735 წლიდან დღემდე).

აღმოსავლეთით მახათასა და დასავლეთით თრიალეთის ქედებიდან აღმავალ — დაღმავალი ინვერსიული და კონვექციური ჰაერის ნაკადები, რომლითაც ბუნებრივ განიავებას ახდენს ქალაქის ყველა უბნებისა გაბატონებული ქარების პერპენდიკალურ მიმართულებით, მ ზაფხულში კომფორტულ გარემოს ქმნის თბილისის ყველაზე დაბალ ნიშნულზე მყოფ უბნებშიც.

ეს მცირე ბიოკლიმატური ექსკურსი დაგვიჩვენა რომ დავიწყეთ საუბარი ე.წ. „თბილისი პანორამის“ საპროექტო წინადადებაზე.

ეს პრობლემა ორ ნაწილად გვინდა გავყოთ: 1. არქიტექტურული წინადადება თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც არის არაკორექტული ჩარევა გარემოში, როგორც არასწორი ქალაქგეგმარებით – სივრცულ–არქიტექტურული გადაწყვეტა. მოხდა უბადლო არქიტექტურული ძეგლის ე.წ. ცეკავშირის შენობის განადგურება. ავტორები გივი მელქაძე, ნელი ქვარცხავა. ბატონმა გივი მელქაძემ, ბატონ შოთა ყავლაშვილთან ერთად 1956 წელს დაამუშავა ე.წ. ლენინის მოედნის, დღეს თავისუფლების მოედნის, ქალაქგეგმარებითი კონცეფცია კოლეგებთან ერთად, რომლის ბრწყინვალე დაგვირგვინება იყო 1971 წ. აშენებული „ცეკავშირის შენობა.“ ეს არქიტექტურული ნაწარმოები ნიშანდებული იყო იმით, რომ მიუხედავად თავისი დიდი მასშტაბისა ის არ ჩანდა. რას ნიშნავს არ ჩანდა? ე.ი. მისი ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტა იყო ისეთი,

რომ შენობის ზომები არ იყო შემაწუხებელი და იგი არქიტექტურული ტერმინოლოგიით თავისზე მნიშვნელოვანს ხაზს უსვამდა– ეს იყო მოედნის სივრცე და ხელოვნების მუზეუმი. რითი მიაღწიეს ავტორებმა ამას? შენობის მოშენების ხაზის უნიკალური აბრისის შექმნით!!!

დღეს ეს ნაგებობა დაანგრეს. წაშალეს ჩვენი ქალაქის კიდევ ერთი ისტორიული– ეპოქის ნიშნის მატარებელი– ფურცელი. და ვიღებთ სულ სხვა საპირისპირო მოშენების ხაზს თავის ყველა ატრიბუტით.

2. თვით ე.წ. პანორამა. ეს რენდერების ერთობლიობა, რომელსაც არ აქვს სრული პროექტის სახე, წარმოადგენს სალალავის ქედის ერთ–ერთი ამალღების პერიმეტრულ მოშენებას. რას ნიშნავს მთის პერიმეტრული მოშენება? მისი ყველა პარამეტრების დესტრუქციულ ცვლას.

ჯერ განვიხილოთ თვით იერსახე, რასაც ავტორები გვთავაზობენ. ტერასული მოშენება ვერტიკალურ – ჰორიზონტალური სიბრტყეების გაჩენით. ვსვამთ კითხვას: რასთან გვაქვს საქმე? იცის კი ავტორმა რას აკეთებს? ეს ასე ვთქვათ, ტერასული შენობები ბოლო წლების არქიტექტურული მოდაა, რომელსაც არა– ერთმა ცნობილმა უცხოელმა არქიტექტორმა ხარკი შესწირა.

ბოლო ათწლეულების მსოფლიო ეკოლოგურმა კატასტროფებმა დააყენა მწვანე არქიტექტურის აქტუალობის საკითხი. ჰოლანდიაში კი მიიღეს კანონი ხელოვნური ლანდშაფტის შექმნის შესახებ, რაც გასაგებიცაა. ჰოლანდიელები ტრამალურ– ბუნებრივ გარემოში ცხოვრობენ და მიწის სიმცირის გამო დამბებით – ოკეანეს აჭრიან ფართს. ბუნებრივია მათი ლტოლვა რთული რელიეფისადმი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიუ–იორკის ცენტრალური პარკი მთლიანად ხელოვნურ ლანდშაფტს წარმოადგენს, რომელიც არქიტექტორ–დენდროლოგებმა, თავის დროზე, შექმნეს. აქ ყველაფერი ანტროპოგენურია–ხელთქმნილია: ტბები, მთები... 341 ჰა ადამიანის კეთილი ნებისა და ჰუმანიზმის ნაყოფია.

დახრილი ხაზი

რა არის მთა, ფერდი? – ეს არის დახრილი ხაზი სივრცეში. რაც არქიტექტურული ფორმებით შემოდის ან სუფთა დახრილი ხაზის სახით, როგორცაა პირამიდები უდაბნოში: გიზეს ანსამბლი, ან იგივე ეგვიპტის უკიდურესი კუთხეებში საფეხუროვანი დახრილი ხაზი – ჯოსერის პირამიდა. სად ქმნის ადამიანი ისტორიულად და დღესაც თვალისათვის სასიხარულო, მზერის დამაფიქსირებელ ნიშანს – ვერტიკალს, დახრილს სივრცეში? – სიბრტყეზე. ის ქმნის სიმალლეს- მთის, ფერდის პროექციას, იქ სადაც ეს მთა, ფერდი არ არსებობს, არ არის – ტრამალზე. და ა.შ. და ა.შ.

მაშ „პანორამა“ ეს არის მთა დახურული ხელოვნური შუშის მითით? დიახ!!! ეს ქალაქგეგმარებითი-სივრცულ-არქიტექტურული ინსინუაციაა და წარმოადგენს ბუნებრივ, ბრწყინვალე, რთული რელიეფის-ლანდშაფტურ სისტემაში მატერიალიზებულ აზროვნებით **ტაქტოლოგიას! მთას მთა ჩამოაცვეს!!!** რატომ? – მოდას უკმეის? თანამედროვეობას ფეხი აუბეს? – ალბათ. ეს, ჩვენი აზრით, პირიქით, არათანამედროვე აზროვნების შედეგია და ჩვენს ქვეყანაში მარგინალური ტენდენციების შემოჭრის ნიშანია.

ბუნებრივ-კლიმატური ანალიზი

აქ მოვიყვან ნათელა ქვასალიას ანალიზის ციტირებას თბილისის ამ უბანზე გაკეთებული გეოფიზიკური- კვლევიდან ..“ ეს მიკრორაიონი მოიცავს მთაწმინდის ფერდობებსა და სოლოლაკის ტერასირებულ ქედს დაბახანის ხეობა, ბოტანიკურ ბაღს. ფერდობები დაფარულია მცენარეული საფარით და ექსპოზიციის გამო ნაკლებად ხურდება სხვა რაიონების ფერდობებისგან განსხვავებით (მახათის მთის ფერდობი). აქ განვითარებულია მთა-ხეობის ქარები, რომელსაც ბიოკლიმატური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩრდილო დასავლეთის ქარების სიძლიერე, ოროგრაფიული პირობების გამო რამდენადმე შემცირებულია. ეს მიკრო-რაიონი კარგად

ნიავება და ხასიათდება კომფორტული პირობებით. აქ ხშირია ინვერსიები. 766 მ სიმაღლეზე ქრის სამხრეთ აღმოსავლეთის ქარი, რომელსაც ყოველთვის თან მოაქვს სიგრილე. გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ ეს ფერდობები 10⁰ და 30⁰ დახრის დროს იღებს 10-20% მეტ რადიაციას, ჰორიზონტალურ ზედაპირთან შედარებით“ [2]

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ჩანს, თუ ამ ადგილს რა ბიოკლიმატური პარამეტრები გააჩნია.

და ამიტომაც მთაზე ზევიდან დადგმული არქიტექტურა ყველა ამ პარამეტრს ანგრევს და ქმნის ბიოკლიმატური დესტრუქციის კუნძულს, რაც იქნება **მიზეზი ამ უბანში ჰავის შეცვლისა**. ბევრი ქვეყანაა მსოფლიოში, რომლებიც ოცნებობენ მწვანე მთიან ლანდშაფტზე, სუფთა წყალზე, სუფთა ქარებზე, ინვერსიული ქარების ნაკადებზე. და ერთად-ერთი ქვეყანაა საქართველო, რომელსაც აქვს ყველაფერი ეს და თავისი პოლიტიკური ნებით ანადგურებს ბუნებრივ გარემოს და ქრის მთებს, მაგ:- ცირკის ფერდზე, ალექსიძის ქუჩაზე მშენებარე ასე ვთქვათ „ორი რქა“ და „თბილისი პანორამა“ სადაც მთას სახურავს „ადებს“.

ტექნოლოგიური „ინოვაციები“

ახლა განვიხილოთ პროექტში გამოყენებული ტექნოლოგიები: 1. ჭკვიანი მინა.

2. მწვანე სახურავი,

1. ჭკვიანი მინა. თუ „პანორამაში“ ჭკვიანი მინა გამოყენებული, ამ გამოგონების ავტორების მიერ გახმოვანებული პარამეტრები ასეთია :ეს მინა შთანქავს მზის სითბურ ენერჯის – ინფრაწითელი სხივების 40-60% –ს. დანარჩენს შესაბამისად აირეკლავს. და მეორე ეს მინა სრულიად აირეკლავს მზის რადიაციულ- ულტრაიისფერ გამოსხივებას. რაც იმაზე მეტყველებს, რომ პროექტში არსებული მთის მთელი პერიმეტრისა და შენობის სიმაღლის ჯერადი სითბური და რადიაციული გამოსხივების ეკრანს ვიღებთ „თბილისი პანორამის“ სახით. ეს კი- მთლიანად შეცვლის მიკრო-ჰავას ამ გარემოში და ადამიანის ჯამრთელობისათვის საშიშს გახდის მას. ამასთან

ჰაერის ინვერსიული ნაკადები, რომელიც ბუნებრივ განიავებას წარმოადგენს, თბილისის ამ უბნისათვის, გადაიჭრება თერმიული რეჟიმის შეცვლის გამო. უბანში აღარ იქნება ინვერსიული ნაკადები და განიავება.

2. მწვანე სახურავები. ესეც ინსინუაციას წარმოადგენს. რენდერებზე ჩვენ ვხედავთ ტერასებზე დარგულ ხეებს, რომლებმაც, თითქოს, უნდა შექმნან გამწვანებული ტყის მასივი. რის ადგილზე? მოჭრილი მთისა და ბუნებრივი საფარის მაგივრად!!! ხელოვნური რკინაბეტონის სიბრტყეზე ხემ უნდა შეცვალოს ორგანული მიწის საფარზე ხე?!? და მეორე, რენდერში ნაჩვენები გამწვანება მიეკუთვნება ინტენსიური გამწვანების სახეს, რომლის პარამეტრებს წარმოადგენს ორგანული გრუნტის სიმაღლე $H = 1.0-5.0$ მ–დე, ფასი $1m^2 = 52$ ევრო.

ფასს რომ არ შევხვით, გრუნტის ანუ ხის ჩასარგავად საჭირო ორგანული სიბრტყის სიმაღლე 5 მეტრი ნიშნავს, რომ ფასადის რითმი, რასაც ჩვენ ვხედავთ რენდერებზე, შეიცვლება. ყოველი შემინვის ზოლის ზევით იქნება ხუთმეტრიანი, ანუ 2 სართულის სიმაღლე მიწის ზოლი ყრუ რკინაბეტონის კედლის სახით. შიძლება წარმოვიდგინოთ რასთან გვექნება საქმე! თუ ავტორები ამას არ გააკეთებენ, მაშინ მთლიანად გაქრება ფასადის მომხიბვლელობა. ე.ი ინტენსიური გამწვანება შეიცვლება ექსტენსიურით: $H = 0,05 - 0,5$ მ, ანუ ბალახითა, ყვავილით. მაგრამ ესეც ვერ გაკეთდება. რადგან მოშენება, როგორც უკვე ვთქვით, მთის მიმართ პერიმეტრალურია, ანუ ქვეყნის ყველა მიმართულებით გვაქვს შემინვა: სამხრეთის, სამხრეთ–დასავლეთის, დასავლეთის, და სამხრეთ–აღმოსავლეთით ორიენტირებულ ფასადებზე, ყველა სახის მწვანე ნარგავი იქნება გადამწვარი, მინაზე არეკლილი მზის სითბური და რადიაციული გამოსხივებით.

სურათი არასახარბიელოა!

დასკვნა

1. „თბილისის პანორამის“ სახით ადგილი აქვს ქალაქგეგმარებით – სივრცულ არქიტექტურულ მძიმე შეცდომას.

2. „თბილისის პანორამის“ ზედა ტერასული მოშენება არის უხეში ჩარევა ქალაქის ბუნებრივ გარემოში, მისი ავთენტური ლანდშაფტის განადგურების სახით, რაც შედეგად გამოიწვევს თბილისის ამ უბნის ჰავის შეცვლას მისი გაუარესების კუთხით.

3. დაუშვებელია განხორციელება მსგავსი დესტრუქციული პროცესებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება: ა) საქართველოს კონსტიტუციით ადამიანისათვის გარანტირებულ უფლებას – ჯამრთელობასა და სიცოცხლეზე.

ბ) საერთაშორისო დეკლარაციას ბუნებრივი ლანდშაფტის შესახებ 2011 წ.

გ) 2008 წ. ნიო–იორკსა და ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ კვლევების რეკომენდაციებს.

ლიტერატურა:

1. გვასალია ნ. „ქ.თბილისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რადიაციული რეჟიმი და ბიოკლიმატური დახასიათება“ თბილისი 1999წ. გვ. 8.
2. გვასალია ნ. „ქ.თბილისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რადიაციული რეჟიმი და ბიოკლიმატური დახასიათება“ თბილისი 1999წ. გვ. 92

*მედეა მელქაძე, აკადემიური დოქტორი,
ასოციირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**ისტორიული ქალაქის პრობლემები
ლანდშაფტური ზონის იდენტიფიცირების
კონტექსტში**

ანოტაცია

ჩვენი სტატია (მოხსენება) სათაურის ყოველი ფრაზისა და ცნების პროექციაა.

რისი თქმა გვსურს ამით? მივდივით სათაურის თითოეულ ცნებას რიგრიგობით. 1. ისტორიუ-

ლი ქალაქის პრობლემები - ეს არის მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის საჭირობო პრობლემა, რომელიც სულ უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე არქიტექტურაში მომძლავრებული ახალი ტექნოლოგიების ფონზე. 2. ლანდშაფტური ზონა-არეალი ქალაქის ურბანულ ზონებში ბუნებრივი გარემოს იდენტიფიკაციის დაცვის მიზნით. 3. იდენტიფიკაცია, ანუ გაშიფვრა, არსობრივი აქცენტების გამოვლინება და ხაზის გასმა.

რა არის ჩვენი განსჯის საგანი? ქალაქის ისტორიული ნაწილი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს ლანდშაფტური ზონის განუყოფელ სუბსტრუქტურას, ჰარმონიულად თანაარსებობს მასთან და ერთობლიობაში ქმნის იმ ფენომენს, რასაც „ძველი თბილისი“ ჰქვია.

ის რომ ჩვენი ქალაქის ისტორიული უბნები სერიოზული პრობლემის წინ დგას, ყველასთვის ცნობილია.

ისმის კითხვა: - რა არის ეს პრობლემები? პასუხია- მრავალგვარი: 1. სეისმური, 2. ბუნებრივ-კლიმატური, 3. ქალაქგეგმარებითი, 4. ტექნოლოგიური, 5. სოციალურ-ეკონომიკური და ა.შ.

არქიტექტურა ყველა ზემოჩამოთვლილი პრობლემის ეპიტენცენტრში დგას და თანამედროვე ტექნოლოგიურ-სამშენებლო-ბუმის ეპოქაში არცთუ უმნიშვნელო პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი ქალაქის ძველი უბნებისათვის (საშიშროების მიზეზები ცალკე საუბრის თემა).

საშიშროება, რომელიც ჩვენ დაგანვიხილოთ, არის არქიტექტურული მოცულობისა, როგორც სისტემა - პოსტსტრუქტურის სემანტიკური სისტემისა და ბუნებრივი გარემოს, როგორც სტრუქტურის შეთავსება - შეუთავსებლობის, ანტაგონიზმისა და ტავტოლოგიის ფონზე.

ზემოაღნიშნული საკითხი არის არქიტექტურისა და ბუნებრივი გარემოს - ლანდშაფტის დიალოგი - ურთიერთობა. ეს პრობლემა არის თუ არა საერთაშორისო, თუ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სპეციფიკას

წარმოადგენს? - მოკლე პასუხია: საერთაშორისოა და ამ კონტექსტში დასავლური მაგალითების მოყვანა, მათი სისტემური ანალიზი და შედარება საქართველოს რეალობასთან, არის ჩვენი მოხსენების სივრცე, რომლის პრიზმაში მოვახდენთ აშშ-ების როგორც თანამედროვე არქიტექტურის ერთ - ერთი ვექტორის - ორგანული არქიტექტურის - აკვნის ფენომენის განხილვასა და სამამულო არქიტექტურის თავისებურებებთან შედარებას.

Medea Melkadze, asociate professor,
Georgian Technical University

This historic city problems in the identification context of landscape zone

SUMMARY

Our article (report) is a projection of each phrase and the concept of the title .

What do we mean? Follow the subject turns to each concept. 1. problems of the historic town - it is the world's problems in any country which is becoming increasingly important in the modern architecture on the new technologies background. 2. Landscape-zone in the city urban areas the natural environment identification. 3. Identification-the substantive emphasis and underline it.

What is our topic for discussion? The historic part of the city which at the same time is the integral substructure of the landscape zone, harmonically co-exists and creates the phenomenon of the “Old Tbilisi” .

It is known that historic districts of our city have serious problems.

The question is - what is the problem? Answer

is- variety: 1. seismic, 2. Natural climate, 3.cityplanning, 4. technological, 5. social-economic and etc.

Architecture stands in the epicenter of the all above problems and in a modern technical-construction-boom era is quite a significant potential threat to the old districts of our city .

The danger which we have to consider, is a combination of an architectural volume as a system – post-structure of semantic system and the natural environment, as a structure - incompatibility, antagonism and repetition on the background.

Above the issue is the dialogue and communication the architecture and the natural environment. Is this problem international or is it only the specifics to our country? The short answer is: It is international and in the context of Western examples, systematic analysis and comparison to the reality of Georgia is the space of our report. And in this context we discuss about one of the US modern architecture vector - organic architecture. So we observe the experience of organic architecture in the context of Georgian reality.

*Медея Мелкадзе, ассоциированный профессор,
Грузинский Технический Университет*

Проблемы исторического города в контексте идентификации ландшафтной зоны

РЕЗЮМЕ

Наша статья является проекцией каждой фразы и понятия самого заглавия. Что является предметом нашего анализа? Историческая часть Тбилиси, которая одновременно является частью ландшафтной зоны, гармонически сосуществует с ней и в целом создаёт тот феномен, который мы называем «Старый Тбилиси».

Известно, что историческая часть города стоит перед серьёзной проблемой. Какие это проблемы?- 1. Сейсмические; 2. Природно-Климатические; 3. Градостроительные; 4. Технологические; 5. Социально-экономические и т.д

Таким образом, наша статья является системным и паралельным анализом всех выше сказанных проблем с последующим объёмно-архитектурным и био-климатическим заключением и соответствующими рекомендациями.

სამრეწველო არქიტექტურა და ტურიზმი

ნინო იმნაძე, პროფესორი,
გიორგი ვარდოსანიძე, სტუდენტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: ღვინის ქარხანა; ტურიზმი; კონტექსტი; რეგიონალიზმი; ტრადიცია

წინამდებარე სტატიის მიზანია გავაანალიზოთ საქართველოში არსებული ღვინის მარნები და ქარხნები, რომლებიც დაფუძნებულია თანამედროვე არქიტექტურაზე და ტექნოლოგიებზე ღვინის წარმოებაში. ჩვენ მათ განვიხილავთ ტურიზმის კუთხით. „ღვინის ტურიზმი“ ტურიზმის ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა მთელს მსოფლიოში.

ღვინის მწარმოებლები საკუთარ ღვინის ქარხნებსა თუ პატარა მარნებში ცდილობენ შექმნან ისეთი გარემო, რომლითაც მოიზიდავენ ტურისტებს. ამისთვის მათ სჭირდებათ პროფესიონალი არქიტექტორები, რომლებიც შექმნიან დამახასიათებელ მიმზიდველ სამ-რეწველო არქიტექტურას. მიზანი არის ის, რომ მოახდინონ ღვინის ტურიზმის ორიენტირება მსოფლიო არქიტექტურულ პროცესებში; ანუ სამრეწველო არქიტექტურა მეღვინეებმა გამიყენონ საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაციისთვის და ასეთი სახით მიიზიდონ ტურისტები. ეს არის ერთგვარი მარკეტინგული და პიარ-ხერხი მიმართული ეკონომიკის გაუმჯობესებისთვის. ღვინის პოპულარიზაციისთვის გასული საუკუნის 20 - იან წლებში ფრანგმა ბარონმა როტმილდმა საფუძველი ჩაუყარა ღვინის ეტიკეტის ხელოვნებას. პროდუქტის წარდგენის ესთეტიკა მომხმარებლისთვის გახდა მნიშვნელოვანი და გადაიქცა დამოუკიდებელ პროფესიად. პრესტიჟულად და მოდურად. ასევე ცნობილია ივანე მუხრანბატონის მიერ გამოყენებული მარკეტინგული ხერხი. პარიზის ბაზარზე დასამკვიდრებლად ი.

მუხრანბატონის მიერ დაქირავებული სტუდენტები პარიზის რესტორანში შედიოდნენ და მოითხოვდნენ მუხრანის ღვინოს. მომსახურე პერსონალისგან უარის მიღების შემთხვევაში დემონსტრაციულად ტოვებდნენ რესტორანს, როგორც ჩანს ეს იყო საკმარისი მიზეზი პარიზელი რესტორმების მფლობელებისთვის და სომელიებისთვის, რომ მუხრანის ღვინოს გასცნობოდნენ და შეეტანათ რესტორნებში.

არქიტექტურა ერთგვარ პროპაგანდის ხერხად გვევლინება. ამის დასტურად არქიტექტურის ისტორიაში არაერთი მაგალითი მოიძებნება, თუმცა ის ატარებდა უფრო პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ხასიათს. არქიტექტურის, როგორც კონკრეტული პროდუქციის პოპულარიზაციის, გავრცელების და ბიზნესის წარმოების ხერხად გამოყენების პრეცედენტი, მხოლოდ 21-ე საუკუნეში გაჩნდა. სამრეწველო არქიტექტურა მიმართული ქვეყნის იმიჯის გასამდიერებლად და კაპიტალის მოსაზიდად ამ საუკუნის პროდუქტია, ანუ სამრეწველო არქიტექტურა გვევლინება, როგორც მარკეტინგული ხერხი საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის და პროდუქციის რეკლამისთვის. ცხადია, ჩნდება სამართლიანი ეჭვი, როგორი არქიტექტურა უნდა იყოს? რამდენად შესაძლებელია სამრეწველო არქიტექტურა გახდეს მხატვრულად საინტერესო, დამაინტრიგებელი, მიმზიდველი და ამსათანავე ზუსტად პასუხობდეს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, რომელსაც საკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. საინტერესოა, რომ ღვინის წარმოებისთვის ფორმულირებული არქიტექტურაც სპეციფიური ხასიათის ატარებს. ამ სპეციფიურობას მეტწილად განსაზღვრავს ფოლკლორული აქსესუარები. ამდენად, ღვი-

ნის ქარხანა ეს არის სამყარო, ერთგვარი შუა-ლედური რგოლი ურთიერთგავლენებისა ფოლკლორსა და ინოვაციურ წარმოებას, საზოგადოებასთან ურთიერთობასა და არქიტექტურას, მარკეტინგულ სვლასა და ესთეტიკას, ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის, აქ ერთმანეთთან მჭიდროდ გადაჯაჭვულია ფუნქციურობა და ესთეტიკა. თუმცა არქიტექტურას უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება.

მსოფლიო არქიტექტურა ამ ურთიერთობის არაერთი მაგალითს გვთავაზობს. არქიტექტორებმა **რენცო პიანომ და ერიკ დეროტშილდმა, მარიო ბოტამ, არნოლდო პომოდორომ, გინი ბოერი და მარცო ცასამონტისი არცეასმა, ქრისტიან დე პოტზამპარკმა, ჰერცოგ დე მერიონმა სხვადასხვა ქვეყნებში ააგეს** ღვინის ქარხნები, რომლებსაც ღვინის ტამბებს უწოდებენ. თვითოეული მათგანი ხასიათდება უნიკალური არქიტექტურით, ორიგინალური იერით და ინდივიდუალურობით, კონტექსტუალობით გარემო ლანდშაფტთან და ღვინის დაყენების ისტორიულ ტრადიციებთან. ღვინის უძველესი და მშვენიერი ტრადიციების შენარჩუნებისათვის, მჭიდრო კავშირით არქიტექტურულ კონცეფციასა და ღვინოს შორის ნელნელა ყალიბდება ახალი მიმდინარეობა სამრეწველო არქიტექტურაში.

საინტერესო არქიტექტურით გამოირჩევა ღვინის ქარხნები ესპანეთში. არქიტექტორების ფრენკ გერის, რიჩარდ როჯერსის, ნორმან ფოსტერის, ზაჰა ჰადიდის და სანტიაგო კალატრავა მიერ დაპროექტებულმა ღვინის ქარხნებმა ესპანეთი გადააქციეს უზარმაზარ საგამოფენო სივრცედ არტობიექტებით, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ვიმსჯელოთ მსოფლიო არქიტექტურულ ტენდენციებზე. თვითოეულის არქიტექტურა ძალზე საინტერესო და შთამბეჭდავია, ატარებს კონკრეტული არქიტექტურის ხელწერას, ინოვაციურია. ხასიათდება სიმბოლურობით და მეტაფორული-

ბით. ასე მაგალითად ფრენკ გერის მიერ 2006 წელს დაპროექტებულმა სასტუმრო მეღვინეობა “Merques de Riscal” -ისათვის გახადა მთელს მსოფლიოში ცნობილი ღვინის ტურიზმის ცენტრად. იგი შედის მსოფლიოში ყველაზე ცნობილ მეღვინეობათა ათეულში. არქიტექტორმა ჩვეულებრივ არაორდინარული სტილით შექმნა მხიარული, სადღესასწაულო, სასიამოვნო განწყობილების შემქმნელი, მეტაფორებით და სიმბოლოებით სავსე ნაგებობა.

სანტიაგო კალატრავას მიერ დაპროექტებული ღვინის ქარხანა იოსის სიერა დე კონტაბრიას ფერდების ძირას, იოსის სიმბოლო გახდა, რომელიც ღვინის ყველა აქსესუარზეა დატანილი. გარემო ბუნებამ განსაზღვრა შენობის არქიტექტურული სახე. ასოცირდება უამრევ საგანთან: სინუსოიდი, გიგანტური ფრინველი, ღვინის კასრების მთა, ფანტასტიური ორღანი და ა. შ. ფრანგი არქიტექტორი ფილიპპე მაზიერესი ესპანეთში აპროექტებს მეღვინეობა ვინა რეალის. იგი მდებარეობს შემადლებულ ბორცვზე. საინტერესოა რომ აქ სუფთა საწარმოო სივრცე გამოიყურება, როგორც მხატვრული ინსტალაცია. ამ შენობამ 2004 წელს მიიღო ჯილდო საუკეთესო ღვინის ტურიზმის არქიტექტურაში.

საქართველოში ღვინის ტურიზმი თანდათან ვითარდება. მთელი რიგი ტურისტული კომპანიები ღვინის ტურებს გეგმავენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. განსაკუთრებით გამოირჩევა კახეთის რეგიონი. სადაც ღვინის დამზადების ტექნოლოგიების, ტრადიციული მეთოდების არსებობის და ღვინის დაგემოვნებისა ბევრი ადგილი დიდი ისტორიის მატარებელია, რაც ქმნის დამატებით სტიმულს ტურისტების მოსაზიდად.

ღვინის ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით სადაც ერთმთლიანობაშია გაერთიანებული „ღვინო - კულტურა - არქიტექტურა - დასვენება“ არც ისე ბევრია. თუმცა აღნიშვნის ღირსია კახეთში შატო „მერე“, ასევე „კახური

ტრადიციული მეღვინეობა“, რომელიც მე-19 საუკუნიდან არსებობს, დღეს კომპანიაში გაერთიანებულია რამდენიმე საწარმო.

ღვინის ქარხანა, რომელშიც ჰარმონიულად თანაარსებობს ისტორია, უძველესი არქიტექტურა და თანამედროვეობა არის შატო „მუხრანი“. შატო „მუხრანის“ საქმიანობა მეღვინეობის იმ უნიკალური ტრადიციის გაგრძელებას ეფუძნება, რომელიც შექმნა ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელმა - ივანე მუხრანბატონმა ჯერ კიდევ 1879 წელს. „შატო მუხრანმა“ მსოფლიოს მასშტაბით დაიმკვიდრა სახელი თავისი შესანიშნავი სასახლით, უნიკალური მარნით, ლამაზი ბალებით, ვენახებით და საჯინიბოებით. ივანე მუხრანბატონის (ბაგრატიონის) სასახლე ე. წ. „შატო“ აშენდა 1870 წელს. ფრანგი არქიტექტორების მიერ. სასახლის შიგნით განთავსებული იყო თეატრი 150 კაცზე. სასახლის წინ 5 ჰექტარ ფართობზე, ვერსალის მებაღემ დააპროექტა ბაღი, რომლის შუაგულში ულამაზესი შადრევანია, საიდანაც წყლის ნაცვლად მუხრანული ღვინო გადმოიფრქვეოდა. დღეს ამ ადგილზე მეურნეობა განახლდა და მის ტრადიციებზე ახალი წარმოება შეიქმნა. აშენდა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხანა.

„შატო მუხრანის“ უნიკალურობა ღვინისა და ისტორიის გარდა, მის მრავალფუნქციონალურობაშია. რესტავრაცია ჩაუტარდა სასახლეს, აქ შესაძლებელია ჩატარდეს ბიზნეს შეხვედრები, ქორწილები და სხვადასხვა ღონისძიებები. სასახლის ეზოში აიგი თანამედროვე ქარხანა, რომლის არქიტექტურა უნიკალურობით გამოირჩევა, ამ უნიკალურობას განსაზღვრავს უზარმაზარი ქანობიანი სახურავი-ამფითეატრი, რომელიც დაფარულია მწვანე საფარით. ნაგებობა, რომელიც მაქსიმალურად ინტეგრირებულია ლანდშაფტში და შეუმჩნეველია გარეშე თვალისთვის ორ ფუნქციურად განსხვავებულ სივრცეებს აერთიანებს: მიწისქვეშა - ტექნოლოგიას და მიწისზედა - კულტურას. სახურავი-ამფი-

თეატრის მწვანე საფარი საინტერესო ფონს უქმნის ძველ არქიტექტურას, რომლის ეკლექტიკური მშვენიერი არქიტექტურა მკაფიოდ იკვეთება. სწორედ ასეთმა სინთეზმა ისტორიასა და თანამედროვეობას შორის განსაზღვრა შატოს პოპულარობა არამარტო ტურისტებში არამედ პროფესიონალებშიც. გიგანტურ სახურავზე-ამფითეატრზე, შატოს ფონზე იგეგმება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება.

ამდენად ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში არსებული მეურნეობების არქიტექტურა ორიენტირებულია რეგიონალური, ტრადიციული-ხალხური არქიტექტურის ნიმუშების გამოვლენაზე, ერთი შეხედვით კიტჩია, თუმცა იგი არ არის გამაღიზიანებელი, მიმზიდველია რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად არის მოძებნილი ფოლკლორული ელემენტები, რითაც შექმნილია უნიკალური ატმოსფერო და განწყობილება. თვითოეულ მეურნეობა წარმოადგენს თეატრალურ ინსტალაციას, რომლის მთავარი მოქმედი პირი ადამიანია და ეთნოგრაფიული ინსტრუმენტები. ორიენტირებულია, იმაზე, რომ ტურისტებმა დააგემოვნონ ღვინო და მიირთვან ნაციონალური კერძები, მონაწილეობა მიიღონ ღვინის სხვადასხვა დღესასწაულებში, მათგან განსხვავებით შატო „მუხრანი“ კომფორტული და თანამედროვე ღვინის სამყაროა. არქიტექტურებმა დიდი ტაქტით შექმნეს საინტერესო სინთეზი ისტორიასა და თანამედროვეობას შორის, და ამით შემოიტანეს სრულიად ახალი თემა ქართულ თანამედროვე არქიტექტურაში „ღვინო - არქიტექტურა - ტურიზმი“.

ლიტერატურა:

1. <http://www.vinoge.com/qarTuli-Rvinis-kompaniebi>
2. <http://www.winemag.com/April-2013/Architectural-Wine-World-Wonders/>

ნინო იმნაძე, პროფესორი,

გიორგი ვარდოსანიძე, სტუდენტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ღვინის ქარხანა; ტურიზმი;
კონტექსტი; რეგიონალიზმი; ტრადიცია

სამრეწველო არქიტექტურა და ტურიზმი

რეზიუმე

წინამდებარე სტატიის მიზანია გავანალიზოთ საქართველოში არსებული ღვინის მარნები და ქარხნები, რომლებიც დაფუძნებულია თანამედროვე არქიტექტურაზე და ტექნოლოგიებზე ღვინის წარმოებაში. ჩვენ მათ განვიხილავთ ტურიზმის კუთხით. „ღვინის ტურიზმი“ ტურიზმის ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა მთელს მსოფლიოში.

ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში არსებული მეურნეობების არქიტექტურა ორიენტირებულია რეგიონალური, ტრადიციული ხალხური არქიტექტურის ნიშნების გამოვლენაზე, ერთი შეხედვით კიტჩია, თუმცა იგი არ არის გამაღიზიანებელი, მიმზიდველია რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად არის მოძებნილი ფოლკლორული ელემენტები, რითაც შექმნილია უნიკალური ატმოსფერო და განწყობილება. თვითოეულ მეურნეობა წარმოადგენს თეატრალურ ინსტალაციას, რომლის მთავარი მოქმედი პირი ადამიანია და ეთნოგრაფიული ინსტრუმენტები. ორიენტირებულია, იმაზე, რომ ტურისტებმა დააგემოვნონ ღვინო და მიირთვან ნაციონალური კერძები, მონაწილეობა მიიღონ ღვინის სხვადასხვა დღესასწაულებში, მათგან განსხვავებით შატო „მუხრანი“ კომფორტული და თანამედროვე ღვინის სამყაროა. არქიტექტურებმა დიდი ტაქტით შექმნეს საინტერესო სინთეზი ისტორიასა და თანამედროვეობას შორის, და ამით შემოიტანეს სრულიად ახალი თემა ქართულ თანამედროვე არქიტექტურაში „ღვინო - არქიტექტურა - ტურიზმი“.

Nino Imnadze, professor,

*Giorgi Vardosanidze, Student,
Georgian Technical University*

Industrial architecture and turizm

SUMMARY

The purpose of this article, analysis of the existing wineries and cellars in Georgia, which are based on a modern architecture and technology in wine production. We will consider them in terms of tourism. Wine tourism is a one of the actual directions in the world. In many countries, the wine change their image. During the analysis, revealed that the architecture of the existing wineries in Georgia are oriented on identifying the features of the national folk architecture, on the one hand, this is kitsch, but it is not annoying, attracted since care found folklor components and create a unique atmosphere and mood. Each winery is a theatrical installation, where main characters is a people and ethnographic tools, are focused on the fact that tourists have taken a part in the different wine festivals, to test national dishes, in opposite of them Chateau Mukhran is a comfortable and modern. In these winery architects have created an interesting synthesis between history and modernity and at the same time created a completely a new topic in Georgian modern architecture “ wine – architecture – tourism”.

Key words: winery, turizm, kontekst, regionalism, tradition

Нино Имнадзе, профессор,

*გიორგი ვარდოსანიძე, Студент,
Грузинский Технический Университет*

Промышленная архитектура и туризм

РЕЗЮМЕ

Цель данной статьи анализ существующих в Грузии винных заводов и погребов, которые основаны на современной архитектуре и технологии в винном производстве. Мы их рассмотрим с точки зрения туризма. Винный туризм один из актуальных направлений в мире. Во многих странах вино меняет их имидж.

В ходе анализа выявлено, что архитектура существующих винных погребов в Грузии ориентированы на выявление региональной, традиционной – народных архитектурных черт, с одной стороны эта китч, но она не

раздражает, привлекает так как при каждом конкретном случае найдены соответствующие фольклорные элементы и создано уникальное атмосфера и настроение. Каждый винный погреб, представляет собой театральную инсталляцию, где главные действующие лица люди и этнографические инструменты. Ориентированы на то, чтобы туристы приняли участие в разных винных фестивалях, попробывали национальные блюда, в отличие от них, шато Мухрани комфортный и современный. Архитекторы создали интересный синтез между историей и современностью, и этим создали совершенно новую тему в Грузинскую современную архитектуру „ вино – архитектуру - туризм“.

Ключевые слова: Винный завод, туризм, контекст, регионализм, традиция.

რეაგირებადი არქიტექტურის მახასიათებელი XXI საუკუნის ამერიკაში

ნათია ქოჩლაძე, ასისტენტ-პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: რეაგირებადი არქიტექტურა, ინტერაქტიული ტექნოლოგიები, ინტეგრაცია, ადაპტაცია

რეაგირებად არქიტექტურას უმრავლეს შემთხვევაში აღწერენ, როგორც არქიტექტურის ნიმუშს, რომელსაც შეუძლია მისი გარემომცველი სამყაროს ცვალებადი პირობების შესაბამისად შეიცვალოს ფორმა. ტერმინი „რეაგირებადი არქიტექტურა“ (responsive architecture) ნიკოლას ნეგროპონტემ შემოიტანა, რომელიც პირველი დაინტერესდა ამ საკითხით, როდესაც მეოცე საუკუნის სამოციან წლებში სივრცული დიზაინერული პრობლემების შესასწავლად არქიტექტურაში კიბერნეტიკა მოიშველიეს. ნეგროპონტეს მიხედვით რეაგირებადი არქიტექტურა კომპიუტერული მიღწევების და სივრცული ნაგებობების და სტრუქტურების ინტეგრაციის ნატურალური პროდუქტია. რეაგირებადობა არქიტექტურაში ორი სახით ვლინდება – ინფორმატიული რეაგირება ანუ რეფლექსური და უშუალოდ ფიზიკური ქმედება, ანუ სიმულაციური. პირველის მაგალითი შეიძლება იყოს კედელი, რომელიც პატარავდება, თუკი შენობა ცარიელია, ხოლო მეორის - ოთახი, რომელიც გასართობ ადგილად იქცევა მომხმარებლის სურვილისამებრ.

დღევანდელი მდგომარეობით რეაგირებადი არქიტექტურა არ არის მხოლოდ შენობის კარკასზე დამაგრებული „ჭკვიანი“ (smart) სისტემები, რეაგირებადი არქიტექტურა შედგება „გონიერი“ (intelligent) ჩარჩოსგან, ფასადისგან და სისტემებისგან. ეს შენობები იცვლიან ფორმას და ფერს, მოიცავენ და გარემოცულნი არიან გონიერი სისტემებით, ზვერავენ მზის მოძრაობას და იცვლიან ფორმას, რათა ზაფხულში იყოს ჩრდილი, ხოლო ზამთარში მეტი მზე შეუშვან

შენობაში, იბერტყავენ თოვლს სახურავიდან, ფორმასაც კი იცვლიან, რათა ქარის დაწოლა შეამცირონ ან ვენტილაცია გააუმჯობესონ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის არის რომ, რეაგირებადი არქიტექტურა უფრო მდგრად შენობებს ქმნის. იმ ტრადიციული ყუთებისგან განსხვავებით, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რეაგირებადი შენობები ადაპტირდება გარემოს შესაბამისად, რათა მაცხოვრებელთა ცხოვრების პირობები გააუმჯობესოს. მათი შესაბამისობა და სოციო-ტექნიკური საკითხების ამოხსნა სამი ძირითადი გზით ხდება: პირველი, გვთავაზობს საშუალებებს შემცირდეს შენობაში გამოყენებული ენერჯია შენობის სიმყარის შეუმცირებლად. მეორე, არქიტექტორს საშუალებას აძლევს შექმნას შენობის ახალი კლასის გარსი, რომელიც აქტიურად იცვლის ფორმას და ამინდის და სეზონის მიხედვით ერგება გარემოს. ამგვარად კლებულობს შენობაში დახარჯული ენერჯიის რაოდენობა და მესამე - ეს არის რეაგირებადი ტექნოლოგიების მიერ შემოთავაზებული ახალი ესთეტიკა. მოდერნიზმის მსგავსად, ეს ესთეტიკა შედეგია ახალი შენობების ახალი სისტემების აწყობის ხერხისა. ახალი არქიტექტურის, რეაგირებადი არქიტექტურის სისტემები ძლიერ განსხვავდება ჩვენთვის ჩვეული არქიტექტურის სისტემებისგან. ულტრა მსუბუქმა რეაგირებადმა სისტემებმა შენობის დიზაინზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. შეიცვალა რა არქიტექტურის მიზნები, შეიცვალა მისი შექმნის მეთოდებიც. საუკუნოვანი ცოდნა იმისა, რომ შენობის ფორმა შენობის ფუნქციასთან ძირეულად არის დაკავშირებული სრულიად ახლებურად შეიძლება იყოს გააზრებული, რეალიზებული და მიღწეული.

რეაგირებადი არქიტექტურის საინტერესო მაგალითები შეიქმნა 21 საუკუნის აშშ-ში. მაგა-

ლითად შეიძლება მოვიყვანოთ „ნორთ ჰაუსი“-ს პროტოტიპი – ვაშინგტონი, ბურკ ბრაის სოლეილ-კვადრაცი პავილიონი (მილოუკის ხელოვნების მუზეუმი), პრერიის სახლი ილინოისში, პავილიონი „ეკოვირენ“- კალიფორნია, „მოტივტივე“ სახლი ბრედ პიტის „მეიქ ით რაით“-ის ახალი ორლეანის ორგანიზაციისთვის, „ესკინის“ პროტოტიპი – პენსილვანიის და კორნელის უნივერსიტეტები.

2001 წელს დასრულდა ეერო საარინენის მიერ აგებული მილოუკის ხელოვნების მუზეუმის დამატებითი შენობის, სკულპტურული, პოსტმოდერნისტული ნაგებობის მშენებლობა. მისი ავტორია სანტიაგო კალატრავა. მშენებლობისთვის თანხა ბეტი და ჰარი კვადრაცებმა გაიღეს (იმ დროისთვის ანონიმურად). 142,050 კვადრატული ფუტის მომცველ კვადრაცი პავილიონში ძირითადად საზოგადოებრივი სივრცეებია განლაგებული - რეცეფშენი, აუდიტორია, კაფე, მაღაზია, პარკინგი, პლუს 10,000 კვადრატული ფუტი მობილური სივრცე დროებითი გამოფენებისათვის. ამ სტრუქტურაში გართიანდა უახლესი ტექნოლოგიები და ძველი სამყაროს ოსტატობა. შენობა თითქმის ხელითაა გაკეთებული, სპეციალურად მისთვის აწყობილ ხის ფორმებში ასხავდნენ ბეტონს.



ბურკ ბრაიზ სოლეილ. სანტიაგო კალატრავა

ვინდჰოვერ ჰოლი კვადრაცი პავილიონის მთავარი შესასვლელი ჰოლია. ეს არის გოთიკუ-

რი საკათედრო ტაძრის კალატრავასული პოსტმოდერნისტული ინტერპრეტაცია. იგი მიჩიგანის ტბას გადაჰყურებს. მუზეუმის სიმბოლოდ ქცეული ფრთები, ბურკ ბრაიზ სოლეილ, მოძრავი, მზისგან დამცავი ეკრანია, 217 ფუტის სიგრძის. შექმნილია 72 ფოლადის მალისგან, რომელთა სიგრძე 26-დან 105 ფუტამდეა. მთელი სტრუქტურა 90 ტონას იწონის. ფრთის გახსნას ან დახურვას 3,5 წუთი სჭირდება. მალეზე დამაგრებული სენსორები მუდმივად აკონტროლებენ ქარის სიჩქარეს და მიმართულებას. როგორც კი ქარის სიჩქარე 3 წამზე მეტ ხანს იქნება 23 მსთ-ში, ფრთები ავტომატურად იხურება. როგორც სანტიაგო კალატრავა ბრაიზ სოლეილის მიმართებაში ამბობს „შენობის ფორმა ერთდროულად ფორმალურია (ასრულებს კომპოზიციას), ფუნქციონალურია (განათებულობას აკონტროლებს), სიმბოლურია (იხსნება სტუმრების მოსაპატიჟებლად) და სახიერია (მუზეუმის და ქალაქის დასამახსოვრებელი ნიშანია).

„ნორთ ჰაუსი“ შეიქმნა როგორც სადემონსტრაციო პროექტი, რომელიც ფოკუსირებულია მაღალეფექტურ არქიტექტურაზე, რეაგირებად სტრუქტურებზე და ინტერაქტიულ ტექნოლოგიებზე. იგი ტექნიკის მიღწევების დემონსტრაციას ახდენს და მხარს უჭერს ენერჯის დაზოგვას. აგრეთვე იგი ჩაიფიქრეს, როგორც კვლევითი ლაბორატორია, სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე დააკვირდებოდნენ დანერგილი სისტემების მუშაობას. ნორთ ჰაუსის შექმნის იდეა 2007 წლის შემოდგომაზე გააჟღერეს პროფესორებმა ჯეფრი თუნმა და ქათი ველიკოვმა ვატერლოოს არქიტექტურული სკოლის უნივერსიტეტში. პროექტის განვითარება და დიზაინი განაგრძო ამავე უნივერსიტეტის, ასევე რიერსონის და სიმონ ფრეიზერის უნივერსიტეტების ფაკულტეტის წევრებისგან და სტუდენტებისგან შემდგარმა დიდმა ჯგუფმა, რომელსაც ერქვა „თიმ ნორთ“.

ნორთ ჰაუსი აირჩა როგორც ფინალისტი 2009 წლის „სოლარ დეკათლონის“. ფინალისტების

კონკურსი ვაშინგტონში ჩატარდა, მასში თორმეტმა პროექტმა მიიღო მონაწილეობა. თორმეტივე პროექტი დაიდგა ნეიშენალ მოლზე და ერთმანეთს ათ პუნქტში ეჯიბრებოდნენ: არქიტექტურა, ინჟინერია, განათების დიზაინი, საყოფაცხოვრებო მოწყობილობები, სიცოცხლისუნარიანობა ბაზარზე, კომუნიკაციები, კომფორტის ზონა, ცხელი წყლის წარმოება, აუდიო-ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი. ნორთ ჰაუსმა ოთხ ნომინაციაში გაიმარჯვა.

სახლი ორ ძირითად ზონადაა გაყოფილი. პირველი ზონა, ეს არის ჩრდილოეთ ნაწილი, რომელშიც ძლიერი თბოიზოლაციაა გამოყენებული. იგი მოიცავს ყველა მექანიკურ და ელექტრულ კომპონენტებს, სველ წერტილს და საწყობს. მეორე ზონა არის ღია, ტრანსფორმირებადი საცხოვრებელი და საძილე სივრცე, რომელიც სამი მხრიდან შემინულია, ხოლო ექსტერიერიდან ჟალუზები აქვს.

სახლი გათვლილია არა მხოლოდ ცივ ზამთარზე, არამედ სამხრეთ ონტარიოს კონტრასტულ ტემპერატურაზე – ცხელ ზაფხულზე და ცივ ზამთარზე. სახლი სწრაფად პასუხობს ტემპერატურულ ცვლილებებს, რაზეც პასუხისმგებელია ფასადის სისტემა DReSS. ამას გარდა სახურავზე ჰორიზონტალურად დამაგრებულია ფოტოგალვანური სისტემა ოპტიმალურად ზაფხულში მუშაობს, ხოლო ფასადის სამივე მხარეს ვერტიკალურად ჩამონტაჟებული ფოტოგალვანური სისტემა ზამთარში მუშაობს, როდესაც მზის სხივები დაბალი კუთხით ანათებს. ეს სისტემები წლის მანძილზე სახლის მიერ დახარჯულ ენერგიაზე ორჯერ მეტს აწარმოებს. სახურავზე დამაგრებული სისტემა უზრუნველყოფს ცხელ წყალს და გათბობას, თბოიზოლაციის მექანე ფანჯარა კი იღება იმ შემთხვევაში თუ ექსტერიერში კარგი ტემპერატურაა და პასიურ ვენტილაციას უზრუნველყოფს. კედელზე დამაგრებული სამი სენსორული ეკრანიდან იმართება განათება, შიდა და გარე ჟალუზები, ინტერიერის კლიმატი. აგრეთვე აწვდის ინფორმაციას დახარჯული

ენერგიის შესახებ. იგივე ინფორმაცია მაცხოვრებელს მიეწოდება ინტერნეტით და სმართფონით. ნორთ ჰაუსი ქარხნულად წარმოებული, ასაწყობი სახლია. პროექტი მასიურ წარმოებაზე გათვლითაა შექმნილი და ითვალისწინებს სახლის ტიპის და ზომის ცვლას.

პრერიის სახლი ილინოისში ORAMBRA-ს მიერაა შექმნილი (2011 წ.) და მასში ახალი ტენსეგრიტული (დაჭიმულ-შეკუმშული) სისტემა და მოპირკეთების ტექნოლოგიებია გამოყენებული. თერმო და ფოტო-ქრომატული საღებავის საშუალებით შენობის ინტერიერის მემბრანები თბილ დღეებში ღიადება და ცივ დღეებში მუქდება. შედეგად მიღებულია რეაგირებადი არქიტექტურის ნიმუში, რომელიც ამცირებს ნახშირბადის გამოყოფას და ელევანტურ, ახალ ესთეტიკას გვთავაზობს.



პრერიის სახლი ილინოისში

2013 წლის ზაფხულში კალიფორნიულმა ჯგუფმა სმით-ალენმა პირველი, მთლიანად 3D პრინტერზე ამობეჭდილი არქიტექტურული სტრუქტურა წარმოადგინა, ეს არის მოდულური, გარემოზე რეაგირებადი პავილიონი, რომელიც მისი გარემომცველი ტყის ფორმის შესაბამისად იცვლის ფორმას. სტრუქტურა 585 ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისგან შედგება, რომელიც ბიო-დეგრადირებადი პლასტიკისგანაა დამზადებული.

მორფოზისის არქიტექტორებმა თომ მეინის ხელმძღვანელობით შექმნეს აშშ-ში პირველი ნებადართული მოტივტივე სახლი, იგი ბრედ პიტის მეიქ ით რაით-ის ორგანიზაციისთვის შეიქმნა ნიუ ორლეანში, სადაც Lower Ninth Ward-ის უბანი განადგურდა ქარიშხალი კატრინას

გამო 2005 წ. მოტივტივე სახლი მასშტაბირებადი პროტოტიპია, რომელიც შეიძლება მასიურ წარმოებაში ჩაიშვას და ადაპტირდეს მსგავსი პრობლემების მქონე რაიონებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სახლში გამოყენებულია მაღალი ტექნოლოგიები, ენერგო ეფექტური საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ქარხნულად დამზადებული ასაწყობი კონსტრუქციები რათა შეიქმნას ხელმისაწვდომი, მდგრადი შენობა, რომელიც საკუთარ ენერგიას აწარმოებს, ამცირებს რესურსების დანახარჯს და აგროვებს წყალს საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის.



მოტივტივე სახლი. ნიუ ორლეანი

სახლი ოთხ ხიმინჯზეა აწეული, შენარჩუნებულია ადგილობრივი არქიტექტურისათვის დამახასიათებელი პორტიკი და გათვალისწინებულია ასასვლელი ხნიერი და ინვალიდი მაცხოვრებლებისთვის. ეკიპირებულია ყველა აუცილებელი მოწყობილობით, რათა ჰქონდეს საკუთარი წყალი, ენერგია და სუფთა ჰაერი.

მოტივტივე სახლი პირველი პრეცედენტია აშშ-ში, თუმცა ამგვარი ტექნოლოგია განვითარებულია და იყენებენ ნიდერლანდებში, სადაც არქიტექტორები და მენაშენები ცდილობენ რომ ზღვის დონის მატებას, რაც კლიმატის ცვლილებითაა გამოწვეული შესაბამისი ტექნოლოგიების მქონე მშენებლობა მოარგონ.

მოტივტივე სახლის შასი დააპროექტეს და ააშენეს მორფოზისის არქიტექტორებმა და UCLA-ს კურსდამთავრებულმა სტუდენტებმა. 2009 წ. შასი ჩაიტანეს ახალ ორლეანში, სადაც ადგილზევე დაასრულეს მისი აწყობა ქარხნული დეტალებით.

ჯენი საბინის ნამუშევრები 21-ე საუკუნის

ახალი მიმდინარეობის არქიტექტურული პრაქტიკის წამყვანი ნიმუშებია. იგი არქიტექტურის და მეცნიერების ინტეგრაციას იკვლევს და არქიტექტურაში მათემატიკის და ბიოლოგიის თეორიებს იყენებს. მუშაობს კორნელის უნივერსიტეტის არქიტექტურის დეპარტამენტში. მან პიტერ ლოიდ ჯონსთან ერთად დაარსა ლაბსტუდიო. „ჩვენს მიერ პრაქტიკულად შესრულებულ არქიტექტურული დიზაინის ნამუშევრებში ბევრი სფეროს გავლენა მოქმედებს: ტექსტილი, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, უჯრედის ბიოლოგია“ ამბობს თავად საბინი. „ჩვენი სურვილია სინთეზში მოვიყვანოთ ბიომასალები, მათემატიკა, არქიტექტურა და თანამედროვე მასალები რაც ამ ესოდენ განსხვავებულ დისციპლინებზე ცოდნის დაგროვებას უზრუნველყოფს. შედეგი იქნება ახლებური აზროვნების დაწყება, დიზაინის ახალი მოდალურობა, მონტაჟის, კონსტრუქციების ახალი პრინციპები“.

ორანჟერეა, რომელიც ამერიკული ფილოსოფიური საზოგადოების მუზეუმის ეზოში დაიდგა, ჯენი საბინის მცირერიცხოვანი განხორციელებული პროექტებიდან ერთ-ერთია. პროექტი 3D პრინტერზეა შესრულებული და Greenhouse and Cabinet of Future Fossils ქვია.



ორანჟერეა. ჯენი საბინი

ჯენი საბინი ერთ-ერთი მონაწილეა უპრეცედენტო პროექტისა - პენსილვანიის და კორნელის უნივერსიტეტის ინჟინრებმა, არქიტექტორ-დიზაინერებმა და ბიოლოგებმა

„ნეიშანალ საიანს ფაუნდეიშნ“-ისგან მიიღეს 2 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტი, რათა ადამიანის უჯრედის მოქნილობა და მგრძობიარობა გამოეყენებინათ როგორც მოდელი მომავალი თაობის შენობების გარსისთვის, რომლებიც ადაპტირდება გარემოს ცვლილებების შესაბამისად, იცვლის ფერს და რაც მთავარია ზრდის შენობის ენერგოეფექტურობას. პროექტი 2013 წელს წარმოადგინეს. მას e-Skin (მეორე კანი) ქვია, რადგანაც ადამიანის უჯრედების თვისებები გადატანილია ჩიპზე და ინტეგრირებულია შენობის გარსში.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, რეაგირებად არქიტექტურაში მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის ასპექტი არ არის მთავარი, აქ მნიშვნელოვანია სივრცის შესწავლა ტექნოლოგიების საშუალებით. ჩანს, თუ როგორ შეიცვალა დამოკიდებულება სივრცის გარსისადმი, მისი აღქმა, რომელიც მხოლოდ გარეს და შიდას საზღვარი აღარ არის. ახალი ტექნოლოგიების შექმნა ახალი არქიტექტურული სივრცის შექმნას განაპირობებს.

ლიტერატურა:

1. Velikov Kathi and Thun Geoffrey – Responsive building envelopes: characteristics and evolving paradigms. www.rvtr.com/files/HPH.pdf
2. Tristan d’Estree Sterk – Building upon Negroponte: a hybridized model of control suitable for responsive architecture. www.orambra.com/
3. Tristan d’Estree Sterk – CAAD for responsive architecture. www.orambra.com/~caadForResponsiveArchitecture.html
4. Occupant-responsive buildings – Centerline, www.cbe.berkeley.edu

ნათია ქოჩლაძე, ასისტენტ-პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

XXI საუკუნის “რეაგირებადი არქიტექტურა” ამერიკაში

რეზიუმე

რეაგირებადი (მგრძობიარე) არქიტექტურა დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს არქიტექტურული კვლევის სფეროში. ტერმინი „რეაგირებადი არქიტექტურა“ ნიკოლას ნეგროპონტემ შემოიტანა, რომელიც პირველი დაინტერესდა ამ საკითხით, როდესაც მეოცე საუკუნის სამოციან წლებში სივრცული დიზაინერული პრობლემების შესასწავლად არქიტექტურაში კიბერნეტიკა მოიშველიეს.

ჩვეულებრივ რეაგირებადი არქიტექტურის განსაზღვრება ენიჭება იმგვარი კლასის არქიტექტურას ან შენობებს, რომელთაც შეუძლიათ შეიცვალონ ფორმა გარემო პირობების ცვალებადობის შესაბამისად.

აშშ-ში რეაგირებადი არქიტექტურის 21 საუკუნის მაგალითებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ ჩრდილოეთის სახლის პროტოტიპი – ვაშინგტონი, ბურკ ბრაის სოლეილ-კვადრაცი პავილიონი (მილუოკის ხელოვნების მუზეუმი), პრერიის სახლი ილინოსში, პავილიონი „ეკოვირენ“ – კალიფორნია, „მოტივტივე“ სახლი ბრედ პიტის „მეიქ ით რაით“-ის ახალი ორლენის ორგანიზაციისთვის, „ესკინის“ პროტოტიპი – პენსილვანიის და კორნელის უნივერსიტეტები.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, რეაგირებად არქიტექტურაში მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის ასპექტი არ არის მთავარი, აქ მნიშვნელოვანია სივრცის შესწავლა ტექნოლოგიების საშუალებით. ჩანს, თუ როგორ შეიცვალა დამოკიდებულება სივრცის გარსისადმი, მისი აღქმა, რომელიც მხოლოდ გარეს და შიდას საზღვარი აღარ არის. ახალი ტექნოლოგიების შექმნა ახალი არქიტექტურული სივრცის შექმნას განაპირობებს.

საკვანძო სიტყვები: რეაგირებადი არქიტექტურა, ინტერაქტიული ტექნოლოგიები, ინტეგრაცია, ადაპტაცია

*Natia Kochladze, asistent-professor,
Georgian Technical University*

Responsive architecture of XXI century in the U.S.A.

SUMMARY

Responsive architecture takes over a notable position in the field of architectural research.

The term “responsive architecture” was given to us by Nicholas Negroponte (Greek American architect), who first conceived of it during the late nineteen sixties when spatial design problems were being explored by applying cybernetics to architecture.

The common definition of responsive architecture is a class of architecture or building that demonstrates an ability to alter its form, to continually reflect the environmental conditions that surround it.

Some 21 century examples of responsive architecture in USA are North house prototype, Burke brise soleil - Quadracci Pavilion (Milwaukee Art Museum), Prairie house in Illinois, Echoviren pavilion, “Floating” house for Brad Pitt’s Make It Right New Orleans foundation, proto-type called eSkin.

As far as we see in the case of responsive architecture it is not merely the aspect of AI (artificial intelligence) that draws attention, but the experience of space through technology. It is shown that there is a change of focus towards space envelopes, which give up their solely meaning as boundary between the dualistic positions of inside and outside. The emerging new technologies stipulate creation of a new architectural space.

Keywords: *Responsive architecture, interactive technologies, integration, adaptation.*

*Natia Kochladze, asistent-professor,
Georgian Technical University*

«Реагирующая архитектура» XXI века в Америке

РЕЗЮМЕ

«Реагирующая» (отзывчивая) архитектура с течением времени занимает существенное место в архитектурных исследованиях.

Термин «реагирующая архитектура» был придуман Николасом Негропonte, который первым заинтересовался этим вопросом, когда в 60-ых годах XX века для решения дизайнерских проблем в архитектуру вовлекли кибернетику.

Обычно «реагирующей» называют строение, которое может изменить форму в соответствии с изменениями в окружающей среде.

Интересные примеры «реагирующей архитектуры» можно привести из американской архитектуры XXI века: прототип северного дома – Вашингтон, Бурк Брайс Солеил – Квадрави павильон (музей искусства в Милуоки), Дом прерий в Иллинойсе, павильон “Эковирен” в Калифорнии, “Плавающий” дом для организации “меик ит райт”, прототип “Э-скин» – Пенсильванский и Корнейский университеты.

Как видно из примеров, в «реагирующей архитектуре» важен не только искусственный интеллект, тут на первый план выходит изучение пространства посредством технологий. Мы видим, как менялось отношение оболочки пространства, его восприятие. Оболочка уже не только граница между внутренней и внешней средой. Создание новых технологий обуславливает создание эстетически новой архитектурной среды.

Ключевые слова: *реагирующая архитектура, интероактивные технологии, интеграция, адаптация.*

თბილისის ცენტრი. გეგმარეგულირების განვითარების უსაქლო პროექტი

პავლე მინდიაძე, არქიტექტორი,
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: რეკონსტრუქცია, ცენტრი, ურბანული, ფუნქციები, რკინიგზა

თბილისის ცენტრის რეკონსტრუქცია, როგორც ქალაქგანვითარების უპირველესი ამოცანა, განიხილება მისი მომიჯნავე ტერიტორიების, და მთლიანად ქალაქის კონტექსტში. ცხადია, დღეს ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარზე მყოფი, ერთიანი ურბანული ორგანიზმის ეს უმნიშვნელოვანესი შემადგენელი, მისი ფუნქციების გადანაწილებისთვის შესაფერის სივრცეების შექმნა ჩამოყალიბებას საჭიროებს. ცენტრის პრობლემები მის მისადაგომებთან, ასევე მისი ფუნქციური დატვირთვების შემცირების საშუალებით უნდა მოგვარდეს. დედაქალაქის მოსახლეობის მზარდი, ხარისხობრივად განსხვავებული, მაღალი სტანდარტებზე გათვლილი კულტურულ-საგანმანათლებლო, სოციალური თუ სხვა ტიპის მოთხოვნების დაკმაყოფილება სამომავლოდ ქალაქის განვითარების პოლიცენტრულმა მოდელმა უნდა შეძლოს.

თბილისის ქალაქგანვითარების ძირითადი ვექტორი მისი დაბალი არქიტექტურულ-ურბანული ხარისხის მქონე უბნების ძირეული რეკონსტრუქციისკენ არის მიმართული. ასეთი უბნების დიდი ნაწილი რკინიგზის გადაღმა ტერიტორიებზეა. მათგან ზოგიერთი ქალაქის ცენტრთან საკმაოდ ახლო მანძილზე არიან და თბილისის ახალი ურბანული აქცენტების შექმნის საშუალებას იძლევიან. ასეთებად, პირველ რიგში, ელიას მთის (პლატოს) და მეტრომშენის დასახლებები შეიძლება განვიხილოთ. მათი ცენტრთან სიახლოვე, ადვილად მიღწევადი მოხერხებული კავშირი, შესანიშნავი დისლოკაცია, ქალაქის ისტორიული ლადშაფტის აღქმის (ხედვის) უნიკალური შესაძლებლობა

ამ უბნებს (ასევე არსენალის მთას) მაღალი ღირებულების სარეკონსტრუქციო ზონებად აქცევს. ელიას და მეტრომშენის (ეს უკანასკნელი თბილისის 1913 წლის რუკაზე უნივერსიტეტის დასახლებით მოიხსენიება) საცხოვრებელი უბნების გამართული გეგმარებითი სქემა რაიმე მნიშვნელოვანი კორექტივების გარეშე იძლევა მაღალი კომფორტის და სიმჭიდროვის საცხოვრებელი რაიონის შექმნის საშუალებას.

ის რეალობები, რომლებიც დაფიქსირდა გარე ავლაბრის პლატოზე წმინდა სამების კათედრალური ტაძრის და პრეზიდენტის სასახლის აგებით, დამეორესმხრივად რინდელი, თბილისის ამ მეტად მნიშვნელოვანი სივრცისთვის შეუფერებელი განაშენიანებით, გაუმართავი ურბანული სტრუქტურით, განაპირობებს შემდეგ ქალაქგეგმარებით გადაწყვეტებს:

თბილისის მარჯვენა ნაპირის - ქვეყნის და დედაქალაქის მართვის, მოსახლეობის სოციალური მომსახურების ობიექტებით გადატვირთული ცენტრი ნაწილობრივ უნდა გამონთავისუფლდეს ამ ტიპის ფუნქციებისგან. შესაძლებლად დარეალურად მიგვაჩნია, საქართველოს პრეზიდენტის სასახლის მნიშვნელოვანი გაფართოება – რეკონსტრუქციის (ადაპტირების) შემდეგ ქვეყნის პარლამენტის აქ განთავსება. ასევე მიმდებარედ, ავლაბრის პლატოზე, პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებების, მნიშვნელობის შესაბამისი, ახალი რეზიდენციის აგება. უნდა მოხდეს გარე ავლაბრის ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულების გახსნა და სამრეკლოს ქუჩის ვექტორზე (რკინიგზის ქვეშა, სარეკონსტრუქციო გვირაბით) მისი დაკავშირება როგორც კახეთის გზატკეცილის საპროექტო მონაკვეთთან, ასევე რკინიგზის გადაღმა უბნებთან. ეს საპროექტო, საქალაქო მნიშვნელობის მაგისტრალური ქუჩა*

გახდება ქვეყნის მმართველობითი კვარტლის, პირველხარისხოვანი ორგანიზაციების, დაწესებულებების, დიპლომატების, მაღალი რანგის ვიზიტორთა სასტუმროების, ქვეყნისთვის და ქა-ლაქისთვის სხვა, მნიშვნელოვან შენობა-ნაგებობათა დამაკავშირებელი ღერძი, ალღუმების მოწყობის ადგილი.

მაგისტრალი ა.ზურაბიშვილის ქუჩის ვექტორს დასავლეთი მიმართულებით გააგრძელებს. შემდეგ იგი გაყვება მესხიშვილის და სამრეკლოს ქუჩებს და გვირაბის გავლით დაეკონტაქტება კახეთის გზატკეცილის საპროექტო მონაკვეთს.

გარე ავლაზარის, თბილისის ცენტრალის (რკინიგზის ვაგზლის) ჩრდილოეთით, არსებული რკინიგზის ხაზის გასწვრივი, 2,5 კმ. სიგრძის და საშუალოდ 0,3კმ. სიგანის ტერიტორია, ქალაქის ბირთვის პერიფერიებზე, ან მის მოსაზღვრედ მდებარე, მოხერხებული დისლოკაციის მქონე სარეკონსტრუქციო სივრცეები, ასევე თბილისის (დაგეგმილი) სამი მუნიციპალიტეტის ქვეცენტრები, წარმოადგენენ იმ სამომავლოდ განსახორციელებელ ურბანულ ქმედებათა რიგს, რომლებმაც, სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა განაპირობონ ქალაქის ოპტიმალური, მდგრადი განვითარება. (პოლიცენტრული მოდელი).

თბილისის შემთხვევაში, ქალაქგანვითარების მნიშვნელოვან შემადგენელს მის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებთა რაოდენობის შემცირება წარმოადგენს. ამ რთული პრობლემის წარმატებით გადაჭრამ ქალაქის სასიცოცხლო კომპონენტების ხარისხობრივი გაუმჯობესება უნდა გამოიწვიოს. სამშენებლო მიწის ნაკვეთების ერთეულზე ღირებულების მოსალოდნელი ზრდა ქალაქგანვითარების ეკონომიკის თვალსაზრისით, დადებით მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ (სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მისი ქვეყნების დედაქალაქებს შორის, თბილისში საცხოვრებელზე ყველაზე დაბალი ფასებია). მოსახლეობის სიმჭიდროვის კლება შესამჩნევად გააუმჯობესებს ქალაქის გადატვირთული ცენტრის როგორც ტრანსპორტით, ასევე საინჟინრო კომუნიკაციებით მომსახურებას.

ქალაქის ისტორიული ნაწილის დაცვის ზონების ბოლო კორექტირება 2006 წელს დამუშავებული-თბილისის ისტორიული ნაწილის საყრდენი გეგმის საპროექტო დოკუმენტაციის შედეგად მოხდა. ჩვენი გადაწყვეტით დედაქალაქის სახელმწიფო დაცვის ზონა, ხსენებული საყრდენი გეგმით მონიშნულ საზღვრებს ელიას მთის უბანთან ერთობლიობაში განიხილავს. თბილისის ეს, რკინიგზის გადაღმა, დაბალი სიმჭიდროვის განაშენიანების ტერიტორია თავისი დისლოკაციით, მისი ფერდობიდან დანახული ქალაქით, გამორჩეულია ყველა იმ სარეზერვო უბნებს შორის, რომელთა რადიკალური რეკონსტრუქციის შესაძლებლობაც განიხილვის საგანი უნდა გახდეს. ჩამოთვლილმა, ასევე ქალაქგანვითარებისთვის სხვა, უაღრესად მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა შესაძლოა აქტუალური გახადონ ახალი რეგულაციები ქალაქის ისტორიული ნაწილის ზონების დადგენის მიმართულებით:

1. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა. განისაზღვრება საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მუხლი 37.
2. ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონა. განისაზღვრება საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მუხლი 3
3. ქალაქის ისტორიული ნაწილის გეგმარებითი ქსოვილის დაცვის ზონა. შემოთავაზებული ახალი რეგულაცია ვრცელდება განაშენიანების რეგულირების ზონის მიმდებარე უბნებზე. ძეგლების და კულტურული მემკვიდრეობის სხვა უძრავი ობიექტების დაბალი კონცენტრაცია. გეგმარებითი ქსოვილის, განაშენიანების მასშტაბის შენარჩუნების პრიორიტეტი.

4.1 ქალაქის ისტორიული ნაწილის განვითარების ზონა-1.

შემოთავაზებული ახალი რეგულაცია ვრცელდება გეგმარებითი ქსოვილის დაცვის ზონის მიმდებარე უბნებზე. ძეგლების და

კულტურული მემკვიდრეობის სხვა უძრავი ობიექტების უმნიშვნელო კონცენტრაცია. კომპლექსური რეკონსტრუქციის არეალი. საშუალო სიმჭიდროვის განაშენიანება. რეალური ეკონომიკური (ფინანსური) ეფექტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენაზე მიმართვით.

4.2. ქალაქის ისტორიული ნაწილის განვითარების ზონა-2.

შემოთავაზებული ახალი რეგულაცია. ვრცელდება ქალაქის ისტორიული ნაწილის განვითარების ზონა-1-ს მიმდებარე უბნებზე. ძეგლების და კულტურული მემკვიდრეობის სხვა უძრავი ობიექტების გარეშე. რადიკალური რეკონსტრუქციის არეალი. მაღალი სიმჭიდროვის განაშენიანება. განსაზღვრული სიდიდის ეკონომიკური (ფინანსური) ეფექტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, კომპლექსების რესტავრაციაზე წარმართვის აუცილებელი პირობით.

5. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა.

განისაზღვრება საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მ 39.

ძველი ქალაქის ურბანული ფორტიფიკაცია.

შემოთავაზებული ზონირების მთავარი მიზანი დედაქალაქის მწვავედ ავარიული, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების, კომპლექსების გადარჩენაა. ასეთი მიდგომა, როგორც მინიმუმ, დამატებით თანხებს მოიზიდავს დასახული მიზნის მისაღწევად - მნიშვნელოვნად შეავსებს კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენაზე გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრებს. შესაძლებელს გახდის მენაშენეთა დაინტერესებას, მათ აქტიურ ჩართვას ძველი ქალაქის რენოვაციის - ჯერ კიდევ ძნელად მიმდინარე პროცესში. წარმოდგენილი, ახალი რეგულაციის 4.1 და 4.2 ზონების ინტენსიური ათვისებით შესაძლოა მიღწეულ იქნას როგორც მაღალი ხარისხის ურბანულ-არქიტექტურული, ასევე რეალური

ფინანსური ეფექტი. თბილისის ისტორიულ ბირთვს, ახალი ფუნქციებით და ფორმით

განახლებული უბნების მეზობლობა, ქალაქს (ისტორიულ ბირთვს), ნგრევის პირამდე მისული შენობების ბინადართა ამ უბნებში გადმოყვანის შესაძლებლობას მისცემს. ყოველივემ ხელი უნდა შეუწყოს თბილისის ისტორიული ნაწილის განვითარების, რეაბილიტაციის პერსპექტივის შექმნას. დღევანდელი მძიმე რეალობის ილუსტრაციად კი ძველი ქალაქის უკლებლივ ყველა უბანი გამოდგება. თუნდაც გუდიაშვილის მოედნის მიკროუბანი, რომელიც საზოგადოების დიდი ყურადღების მიუხედავად, უკვე მეორე ათეული წელია, „წარმატებით“ განაგრძობს თვითგანადგურებას. ახალი, ზემოთ მოყვანილი რეგულაციებით, ქალაქის ისტორიული ნაწილის განვითარების 4.2. ზონის ტერიტორიების მაღალი ინტენსივობით ათვისება ქალაქის ცენტრის, მისი ისტორიული ნაწილის, უდაოდ ღირებული უბნების ირგვლივ ერთგვარი „ურბანული ფორტიფიკაციის“ შექმნის საშუალებას მოგვცემს.

ქალაქის ცენტრალური ნაწილის ერთი, მეტად მწვავე, სპეციფიკური სატრანსპორტო პრობლემის გადაჭრა მისი არაურბანული ტერიტორიის გამოყენებით იქნება შესაძლებელი. საკითხი ეხება ლეონიძის, ქიქოძის, ლორთქიფანიძის, ამალაძის და უკუმიმართულებით ამალაძის, ასათიანის, დადიანი-თუმანიანის ქუჩებს. ამ მარშრუტით გადაადგილება ყველა ის სატრანსპორტო (მათ შორის დიდგაბარიტიანი და მძიმეწონიანი) საშუალება, რომელიც კოჯრისკენ (სოფლები. წავკისი, შინდისი, ტაბახმელა, კიკეთი...) და კოჯრიდან მოძრაობს. ჩამოთვლილი ქუჩები ქალაქის ისტორიული ნაწილის ფარგლებში მოქცეული მაგისტრალურია (მათი მნიშვნელობის და არა გაბარიტების, გამტარუნარიანობის გამო). დღევანდელი, ზღვარს გადასული ინტენსივობის მოძრაობა დიდ ზიანს აყენებს ძველი თბილისის ამ ნაწილის განაშენიანებას, არქიტექტურულ ძეგლებად აღიარებულ შენობებს. ორთაჭალა-კრწანისი-შინდისის გაკვაალულ მარშრუტზე

ახალი საავტომობილო გზის აგებით (ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მშენებლობა დაწყებულია) შესაძლებელი გახდება ნაწილობრივ სამგზავრო და მთლიანად სატვირთო გადაზიდვების მხოლოდ ამ მარშრუტზე გატარება, მოიხსნება ის რეალური საფრთხე, რომელიც სამწუხაროდ უკვე სახეზეა და გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს. გარდა ამისა, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, ახლო მომავალში აუცილებელი გახდება მარო მაყაშვილი-ამაღლების ქუჩის სატრანსპორტო ნაკადების ალტერნატიულ მიმართულებაზე გადანაწილება. პეტრიაშვილი-შანიძის ქუჩების გაგრძელებაზე, რჩეულიშვილის ქუჩის ქვეშ გვირაბის გაყვანამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ყოველივეს. გვირაბი გაკვეთს მამადავითის მთას და სამადლოს თავზე შეუერთდება კოჯრის გზას. სოლოლაკზე გამავალ, ქალაქის დასავლეთ აგლომერაციასთან კავშირს დუბლიორი, დამატებითი “კარიბჭე” გაუჩნდება.

*პავლე მინშიძაძე, არქიტექტორი,
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**თბილისის ცენტრი. გეგმარებითი
განვითარების შესაძლო მოდელი**

რეზიუმე

თბილისის ცენტრის გეგმარებითი პრობლემების მოგვარება მის მიმდებარე, ქალაქის ნაკლებად ღირებული უბნების რადიკალური რეკონსტრუქციის მეშვეობით უნდა განხორციელდეს. ცენტრიდან ფუნქციათა ნაწილის ამ უბნებში გადმოტანა – განვითარებამ, მაღალი სტანდარტების და სიმჭიდროვის განაშენიანებამ, თავის თავზე უნდა აიღოს თბილისის ისტორიული ბირთვის ზღვარგადასული, სატრანსპორტო, თუ სხვა სახის დატვირთვები. ეს მაღალი კომფორტის მატარებელი, ახლადგანაშენიანებული უბნე-

ბის სისტემა, როგორც ურბანული ფორთი-ფიკაცია, შესაძლებელს გახდის ცენტრის მასშტაბურ რეკონსტრუქციას – გამწვანებული საზოგადოებრივი სივრცეების შექმნას, ჭარბი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას, კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა-რესტავრაციას. როგორც შედეგი, მისი საქალაქო სტრუქტურის ეფექტურ ფუნქციონირებას.

*საკვანძო სიტყვები: რეკონსტრუქცია, ცენტრი,
ურბანული, ფუნქციები, რკინიგზა*

*Paul Dzindzibadze, architect
Georgian Technical University*

The Center of Tbilisi. Model of Planning Development

SUMMARY

Today this most important component of the united urban organism, being on the verge of its physical capacities (we mean its provision with social, transport and engineering infrastructure) needs creation and formation of appropriate areas for redistribution of its functions. **The problems of the center must be settled by means of reduction of its functional loading and its access ways.** The proposed **polycentric model of development of the city** should be able to satisfy the increasing population of Tbilisi, with the cultural-educational, social or other types of demands - qualitatively different and of high standards. The main vector of development of Tbilisi is directed at the radical reconstruction of its districts of low architectural-urban value. The majority of such districts are located on the other side of the railway. Some of them are on the sufficiently short distances from the center of the city and they allow creating new urban accents of Tbilisi. In the first place these are the Elia plateau and Metromsheni settlement. Their proximity to the center and (potentially)

convenient connection, beautiful dislocation and unique possibility of perception (vision) of the historical landscape of Tbilisi make these districts the reconstruction zones of high value. The realia, that have been mentioned by construction on the Gare Avlabari plateau of the **Holy Trinity Cathedral and Presidential Palace**, and on the other hand, by residential development that is inappropriate for this part of Tbilisi, with badly arranged urban structure, stipulates the following town-planning solutions: The right side of Tbilisi - the center, overloaded by the objects for governing of the country and the capital, and for social service of population, should be exempted from this type of functions. We think that it is possible and feasible - after significant widening and reconstruction (adaptation) of the presidential palace - to locate here the parliament of the country. It is also construction on the adjacent place, on the Avlabari plateau, of new Palace of the president, appropriate to the importance of his constitutional rights. The north-eastern direction of Gare Avlabari will be opened and connected on the direction of the Samreklo Street (through the railway tunnel that is to be reconstructed) with the projected section of Kakheti Highway, as well as with the districts on the other side of the railway. This projected **arterial street** important for the city will become the axis, connecting the governing quarter of the country, other high-priority organizations, establishments, hotels for diplomats and high-rank visitors, buildings important for the country and the city, and the place for carrying out of parades.

Urban Fortification of Ancient City

The main target of the proposed zoning is the complex saving of the real entities of cultural legacy that currently are in emergency conditions. Such approach will, at least, attract additional amounts for the realizations of the targets set, significantly replenish the budget means allocated. Additionally, it may arouse

the residents' interest and employ them in the process of the salvation of the ancient city. The intensive development of Zone 4.1 and Zone 4.2 can make both high quality of urban architecture and financial efficiency possible. The historical nucleus of Tbilisi, with its co-existence of ancient and renovated forms and functions, can give the chance for some residents of old houses in poor quality to move to desirable district. All these will promote the renaissance of the ancient city.

Key words: *Reconstruction, center, urban, functions, Railway*

*Павел Дзиндзибадзе, архитектор
Грузинский Технический Университет*

Центр Тбилиси. Фортификация города

РЕЗЮМЕ

Более чем полтора века идет перманентный, но далеко не всегда запланированный процесс развития и формирования центра Тбилиси. Он имеет ключевое значение в географии города. Центр, со всех сторон огибая ядро, в целом является его естественным продолжением. Между ними можно провести только условную границу.

Современный центр Тбилиси является переуплотненной во всех отношениях городской субстанцией - обилием полуразрушенных (разрушенных) домов, включенных в список культурного наследия города. Функциональная, и как одно из следствий, транспортная загруженность в этой части Тбилиси давно достигло своего предела. Абсолютное отсутствие территориальных ресурсов для прокладки новых магистралей, или радикальной, крупномасштабной реконструкции какой либо его части (из за наличия

здесь уникальной городской ткани), оставляет единственный выход из положения: Вопросы развития Центра, исторического ядра Тбилиси, надо решать в непосредственной его близости - на прилегающих и периферийных, менее ценных в историческом и архитектурно-градостроительном плане-территориях. Посредством радикальной реконструкции, применением высокоплотной качественной жилой, общественно-деловой застройки, появится возможность перемещения здесь ряда государственных и общегородских функции, горожан, живущих в аварийных, стесненных условиях старой застройки. Вследствие вокруг исторической, действительно ценнейшей части Тбилиси, образуется своего рода функционально-защитный “пояс” -

Урбанистическая фортификация города.

В дальнейшем система улиц, паркингов, эффективный общественный транспорт, высокий стандарт проживания, услуг, этого развитого городского организма вызовет перемещение тех функции, от которых рано или поздно ядро города должно избавиться. Снизится и количество здесь проживающих. Как следствие, появится возможность, путем устройства новых общественных, озеленных пространств, старому городу вернуть свои утраченные преимущества. Историческая часть Тбилиси должна стать самым комфортным, дорогостоящим районом города.

Ключевые слова: Реконструкция, центр, Урбанистика, функции, Железнодорожные

ავტორთა საყურადღებოდ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალი „განათლება“ რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალია. რეფერირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ რეფერატულ ჟურნალში.

სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს (დადგენილება N3, 30.04.3008) და სტუ-ს აკადემიური საბჭოს (დადგენილება N5 „სადისერტაციო საბჭოს შესახებ“) მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში, რომლის თანახმადაც, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მიეწოდება საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისა და კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ტექნიკურს და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე;
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (მინიმუმ 150 სიტყვა) სამ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური) სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სრული სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური;
- ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word-ში;
- ქართული ნაშრომი იწყობა sylfaen, AcadNusx შრიფტით;
- რუსული და ინგლისური ნაშრომები იწყობა Times New Roman შრიფტით;
- შრიფტის ზომა უნდა იყოს 12, ინერვალი - 1,5; ველების ზომა მარჯვენა მხარეს 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ;
- ნაშრომის მოცულობა ხუთ და ზოგ შემთხვევაში მეტ ნაბეჭდ A4 ზომის გვერდს წარმოადგენს;
- ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის). სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა;
- ნაშრომი უნდა მოგვარდეთ CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთი ეგზემპლარად A4 ზომის ქაღალდზე;
- ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია თავად ავტორი.